

ახეული

ლიტერატურული ჟურნალი
N1 2024



მხატვალი — ირინა ჩიტაშვილი



გისმენდი —
გამაღომბუდე!



თურქი
კლასიკოსები და
ახადგამბრდა
ქახოვანი
მთახბმნაქები



ლიცენცირებული
ოღიბვა
„ნახილმანების
ლმახოი“

ჩვენს ინანიშვიდის სახელობის „ერთი მოთხრობის“ ჯონაჯისი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს ბედიტ
დაჯიღოვდა სტუ-ის ქართული ფილოლოგიისა და ბეღიანტაქროლოგიის
ღეპიხტაბენის ხეღმღუნანი, ჰიოფასოიხი თებეხი ჯაბოღნიშვიღი.

ღვასღღოღოსიღ მეცღნიერს ვუღლოცავთ ღიღ და
საამაყო ჯიღღოს!


ღუღრღღ „ანეუღის“ ზეღღაღღი



თბიღისის №86
საჯაიო სოღის
ბეოხე(ა) ჰანის
ბოსნავღეღის
შენვეღეხა
საბავშვო
ბეღიღებთან



ანანი წიბნები





მხატვანი – მანი ბოძინაშვილი



ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები: რევაზ ბალანჩივაძე, ლინა ბარათაშვილი, ზაირა გოგოლაძე, ნუნუ ლალიძე, მათა მჭედლიშვილი, ეკა ოთარაშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, თემურ ჯაგოდნიშვილი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანაული

№1. (№42) აპრილი. 2024

ლიტერატურული ფუნქციონირი

პოეზია	
სანდრო ბახიძე	3-4
ივანე ჯავახიშვილი – 80 დიდხანს ელვაწოს ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ!	5
პოეზიის უძველესი წიგნაკიდანი	
ივანე ჯავახიშვილი გისმენდი – გამალომგულე!	6
სსტუნა	
ამაღნი ნახოშვილი პირველად თემური ძველანაგაში, მშობლიურ სკოლაში ენახე...	8
ნინო ახანაშვილი თემურ ჩალაბაშვილი	9
სულა და ჰაგიდგატაია	
ნინო ქადაგიძე გულისტკივილით ამოძახილი	10
ერთი ლექსის უკვლავად	
ბაქრაზ ბაქრაძე იგავური თავდასხმა ფრესკებიდან	11
ერთი ლექსი	
ბახიძე ხახიანი თემურ ჩალაბაშვილს	12
გალაყვინდელთაგან ერთი მანქანა	
ნინო დახიანი-სახონი	
„ერთი ხელნაწერი – ორი ლექსის წყარო“? „ტყუილი თუ კონფაბულაცია“?	13
პოეზია	
ბახი ანანა სალომეაშვილი	16
ბაქრაზ სახანი	18
ივანე ბაქრაძე ნინოლო – „მთვარეული ესკიზები“	20
პეტრე	
თან ხაბაძეანი მუხე – ძმა	22
ბასო ბოძიაშვილი ბილიკი, სადაც ბავშვობას უნდა გაეგლო	27
თამარ ხოხიანიძე ჩემი მარიტა	31
თატგმანი	
თურქი კლასიკოსების ნაწარმოებები, ომარ სეიფედინი, რეფიქ ჰალით კარაი, რეშათ ნური გუნთექინი	33
ერთი ლექსი ბიხსტან ბაბაშვილი	41
პეტრე	
სანდრო ჭანიძე კარზე კაკუნის ხმა გაისმა	42
ნინო ჭანიძე გომარეთული (გომარული) ჩანახატებიდან	43
თამარ მთვარეშვილი ინტერვიუ ნუნუ ლალიძესთან, ლექსები	45
პოეზია	
თოხნიანი ღვინოშვილი	48
დანი მახინიძე	50
დანი ბაქრაძე	52
სიფყურის ექვთ	
ნინო სანდრაშვილი სიტყვებით გაკვალული ჭეშმარიტების გზა	53
ნათიქაძე დანი ახანაშვილი გაზაფხულის ფერადებით	54
პეტრე	
თამარ მახინიძე მწვანე რაინდები	55
ლალი ანდრეასი – 60 ოთხი ფაქტიანი დედისადმი	56
მინიატურები დანი ბიხიანიძე	57
პოეზია	
ნათანა მახინიძე	58
მანა მახინიძე	59
პეტრე	
სოფო ნახაძე მან მხოლოდ პლაჟი დატოვა	60
ამიან ფაჩაშვილი ბზარი; მუყაოს ყუთი	63
დანი მთვარეშვილი-სანდრაშვილი არუნდატი როის რომანი „წვრილმანების ღმერთი“	65
პოეზია შოთა ბოგონიძე	72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (მმლიანე) ალაშია
ნინო არსენაშვილი
რეზაზ ბალანჩივაძე
თამარ ბაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლელია ქიტოშვილი –
სახლთმშენებლისა
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ღებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაბოღანიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორი
თამარ შაიშვილი

გაზეთის პირველი გვერდი: იხილეთ ჩიტიშვილის ნაშრომები
გაზეთის ბოლო გვერდი: მხატვარი – იხილეთ ჩიტიშვილი

ჟურნალ „ანელის“ ყველა ნომრის წაკითხვა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის საიტზე: www.nplg.gov.ge – ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

ლოგოს ავტორი
ბიოხიზი ზეზუნაძე

ხელახლის ტელეფონი: 551 00 50 58


ხელახლის ინტერნეტ-მისამართი: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოსაქვეყნებელი სტატიის
მოცულობა ახ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ენციკლედის დაბეჭდვა მომდევნო „მნიშვნელოვანი“

პოეზია

სანდრო ბერიძე



გაბნეული მეილი

ხუთია დილის, ისევ ზეზე ვარ,
გადაფასებულ წიგნებს ვალაგებ.
გარეთ კი თურქულ ჩილიმს ეწევა,
სიყვარულის და წყევლის ქალაქი.

დგას დაჭმუჭნილი ბოთლების მოდა,
მიდის სეზონი ბულის და ბურდის.
აქ არა მარტო ლექსი გაკოტრდა,
აქ პარნასს შარდის სუნი აუდის.

სცენას ორი გზა გულში გასჩრია,
ყრუ მღუმარება მიაქვთ კულისებს.
აზიური ტყის იღუმალ შრიალს
იჭვით უყურებს ევროპული მზე.

მინის სული აქვთ ფერებს და საგნებს,
და გულგრილობა მეფობს სრულიად.
სახლი, რომელშიც შენ რილკე თარგმნე,
ის სახლი უკვე დანგრეულია.

მოხანდეების მოდგა პლეადა,
ქართულ ახალუნს ირგებს თურანი.
ბათუმი უკვე ქვების ტყეა და
ბათუმი გახდა ქვების უღრანი.

გუშინწინდელზე ხვალე შორია,
უბერებელი ჟამიც შებერდა.
შენ – თბილისური გმოსავს გლორია,
მე – ბათუმური დამრჩა ლეგენდა.

აცვია ზეცას ცელოფნის ნარმა,
შეცვალა წესი უწესო წესმა.
დამქროლა ქარმა, დამქროლა ქარმა,
დამქროლა ქარმა, უსასტიკესმა.

არ ვყვები ზღაპარს...

ახლა სხვა სამხილს,
და სხვა სათქმელს მკარნახობს გული,
არ ვყვები ზღაპარს,
არც გაგონილს
და არცა იგავს.
ხულადან ბათომს მე დავბრუნდი დამძიმებული,
ასე მეგონა, მინარეთის ტყეებში ვიყავ.

აქ უდიდამოდ
ანთებული სანთლების მნათი,
ეცემა ჩრდილად სალოცავთა კბოდეც და კიდეს.
წყვილი ცრემლიდან სხალთის ტაძრის გაჰყურებს
ხატი,
ქუდ-ფესიან და
ჰიჯაბიან მედრესეისტებს.

უზალთუნ-ვერცხლმა ამოფერთხა მედროვის უბე,
რაც ვერ ქნა აღამ,
ვერ ქნა ბეგმა
და ვერ ქნა ხანმა.
ქეიფს და ტრაპეზს მოყვარული გეყავსო მეუფე,
მოწყენით მითხრა,მეზავრმა ერთმა,ყელზე ჯვრიანმა.

განვლილზე უფრო,
მე მალონებს გზა ჯერ უვალი,
ნუგინ იფიქრებს, გამძაფრებას ვდებდე ღრამაში...
აქ მოთმინების კვერთხით მეფობს ორი უფალი,
აქ პირჯვრით ლოცვას ერქმინება საბახნამაზი...

წარწერა ერთი სახლის კედელზე

წავიდა სადღაც... ცხოვრება გაქრა,
აღარც კი მკითხა, გაქრა თავისით.
მე მინდა ბევრი მოგიყვე, მაგრამ,
როგორ მოგიყვე, ეს აღარ ვიცი.
ხსოვნა, ლეთას წყალს რომ გადაურჩა,
მეწერა სულზე – დაუდგრომელზე.
მე მინდა ბევრი გიამბო, თუმცა,
არ ვიცი, რაზე ანდა რომელზე.
ვიცხოვრე ასე, ავად თუ კარვად,
შენთვის ვიტირე და შენთვის ვწერე.
მე ყველაფერზე მოყვები, ალბათ,
არყოფნის მერე... არყოფნის მერე...

* * *

რაც თავი მახსოვს,
რაც გული და გონება მახლავს,
ამ ნაოფლარ და
უაბზაცო ჭაპანწყვეტაში,
ამ თეთრ-ცელოფან-კაბა-ჩაცმულ დედამიწაზე,
სადაც დღე-ღამის
უფინიშო ჯირითს ვესწრები,
მეძავი დროის უდროობით
დამტკბარ სიძულვილს,
ხმაურიანი მღუმარების რუხ ხეივანში,
დაჰყავს ხელკავით,
სიყვარულის უხმო სიმღერა.

ჩვეულებრივად

დღე მომდის, როგორც უიღბლო კარტი,
მაცდური ქალის ხელით დაყრილი.
ჩვეულებრივად გავიდა მარტი,
ჩვეულებრივად დადგა აპრილი.

არავის ველი... არც მე მელიან...
თავის ფიქრში წევს ზეცა მაღალი.
მთელი წელია... მთელი წელია...
არ არის ირგვლივ რამე ახალი.

შორს ნაზამთრალი ჩანან ხედები,
თვალეებს წყლიანი ნისლი ედება...
უღირიკულო – მოგონებები...
უპოეზიო – შემოქმედება...

პროვინციული თმენა და თმობა,
სურვილი შორი... წყევლად გამხდარი.
ისევ ის ძველი ნაცნობი ყოფა...
გადატანილი ძლივსლა ზამთარი.

ჩვეულად დევნის მძლეველი – ძლეულს,
სიცილი – ტირილს... და... წყევლა – აჯას...
მე... სულკურთხეულს... მე... სულკურთხეულს...
(იმედად ჩემად), კკითხულობ ვაჟას.

* * *

ნუ გეშინია,
ამ მანქანების,
ამ გაყინული ავტოსტრადების,
ნუ გეშინია ცივი ზვატის და
თერმობირთვული ზამთარის.
სიმღერა შენი
ოთხად გააპობს
უხეში ძალით შედუღებულ რკინა-ბეტონებს
და თითო ნაპობში
ველურ გვირილებს ამოიყვანს,
რომელთა სინატიფე,
ერთად აღებულს გადაწონის,
ყველა სიცივეს,
ყველა სიმძიმეს,
სიტლანქესა და უხეშობას.
ნუ გეშინია...
შენს სიმღერებთან
ხმა უწყდებათ მგუდავ საყვირებს
და რობოტებიც
ლამის ცრემლად იღვენთებიან.
რა საჭიროა მერმისზე იჭვი,
ჭმუნვა ან დავა,
უფლის წყალობით
და სიტყვის მაღლით,
ცათამბჯენების მღუმარე და ხმაურიან ჩრდილში,
ასფალტს ამოხეთქავენ ნაზი ყვავილები,
ქვებს ამოანგრევენ ბალახები
და ჩაიცვამენ შენეული
ლექსების კაბებს...


ციკლიდან: „თივად ქცეული ყვავილები“
მარტის მერვე დღე

მე დავიბადე მარტის მერვე დღეს,
როცა ამინდი
პოეტით იყო ბუტია
და ტირილისკენ წასული თოვლი
ელვროდა მიწას, უნებლიეთ,
ვითარცა გრძნობა.
მე ხარკად მიმცეს ზღვებს და ქარაფებს
და ბედისწერით ბოძებულ გზაზე,
არ მჭონია,
არც ბავშვობა
არც სიჭაბუკე,
რადგან მზიანი დღეების ნაცვლად
სულის წიაღში ჩაწოლილი ნისლები მახსოვს.
ეპყრათ კვერთხები წკვარამ ღამეებს
და მპატიჟებდნენ სიზმრები მუდამ
მკვდარ ოცნებებთან.
დიოდნენ წლები მღვრიე წყლებივით...
ცხოვრების ტყეში,
წაგებული ომების შემდეგ,
მოვებნე დედის პაწია ცრემლი,
თოთო ლოყაზე რომ დამეწვეთა,
წერტილდაუსმელ იმედებად რომ აყვავილდა,
რომლითაც სიკვდილს თავდაღწეული,
დავბრუნდი ჩამავალი მზიდან
ობოლი სხივივით
და დედის ცრემლი,
პაწია და მზისტოლი ცრემლი,
ჩემებრ დაღლილ და სევდამისჯილ მოგზაურისთვის,
გადიქცა ხვითოდ,
რომელიც ახლა,
მარტის მერვე დღეს,
ხელისგულზე სათუთად მიდევს,
და მე – გულდასულდამძიმებული, ვდგავარ
მუხლებზე,
ეკლესიადქცეულ დედის საფლავთან,
უხმო ძახილით:
„მოვედი, დედა, კარი გამიღე“!

დეკემბრის ვარდი

ბაღი ღუმლის ტყვეა,
ქარის გამტყდარა ქნარი,
რა მოწყენილი დღეა,
რა მოწყენილი დარი.
მაისი ფოთლებს წაჰყვია,
კენტი შენა ხარ მარტო,
გრძნობა არვისთან გათქვა,
ჩუმაღ, დეკემბრის ვარდო.
ოცნების მონა გახდი,
გფარავს ფარული სევდა,
ამ უბუღბულო ბაღში
რამ მოგიყვანა ნეტა.
სიოს ნანავი მოკვდა,
ზეცა ფითრდება სწრაფად,
ეს განწირული როკვა
ბედისწერაა ალბათ.

ივანე ჯავახიშვილი - 80



დიდხანს ელვაწოს
ერისა და ქვეყნის
სასიკეთოდ!

ყველგან ნახავთ, სადაც ეროვნული საქმე იწყება... სახელოვანი მთამსვლელების – სიმონ, ალიომა და ალექსანდრა ჯავახიშვილების შთამომავალი და მათი ღირსეული მემკვიდრეა. მამას, რომელმაც ჭიათურაში ალპინისტური სექცია შექმნა, 8 წლიდან დაჰყვებოდა სხვადასხვა გასვლაში... თუმცა მამიდან – ქართული ალპინიზმის ლეგენდამ, ალექსანდრა ჯავახიშვილმა გაზარდა. ჯავახიშვილების ოჯახის კარი სტუმრისათვის მუდამ ღია იყო. აქ იკრიბებოდნენ ქართული კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

ამ ყველაფერს უკვალოდ არ ჩაუვლია, რადიოში უძღვებოდა საავტორო პროგრამას „ჩვენნი საგანძური“ და „ხანის რადიოს“ ოთხშაბათის გადაცემას. ქართული სპორტის, კულტურის, მწერლობის, ემიგრაციის ამაგდარი და ქომაგია.

სწორედ მისი თანადგომით დაარსდა ლიტერატურული ჟურნალი „ახელი“ და ბოლომდე ჟურნალის ერთგული გულშემატკივარია.

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, ქართული კულტურის რაინდი, ჭიათურის საპატიო მოქალაქე...

ვუსურვებთ, ასეთივე შემართებით კვლავ დიდხანს ელვაწოს ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ!

ლიტერატურულ ჟურნალ
„ახელის“ რედაქცია

პოეტის ონის ნიგნაკიდან...

ივანე ჯავარიძე



გისმენდი – გამალომგულე

თემურ ჩალაბაშვილის მოგონებები
მსახიობებზე

2023 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი და ჩემი შვილიშვილის – ივლიტა უგრელიძის ნათლია, ყველასთვის საყვარელი პოეტი და პიროვნება თემურ ჩალაბაშვილი. იშვიათად მინახავს სიყვარულისა და სინანულის ისეთი გამოხატვა, რაც თემურის გარდაცვალების შემდეგ ვიხილე. ორმოცი დღის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე, მრავალი წერილი, ფოტო თუ ვიდეორჩანაწერი ვრცელდებოდა თემურზე, რაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებდა მის უშუალო სიახლოვეს ხალხთან, უბრალო ადამიანებთან, ვისთვისაც, თუკი რამ შეეძლო, ყველაფერს დაუზარებლად აკეთებდა, ეხმარებოდა, ძმობასაც უწევდა, მეგობრობასაც, თანამშინაობასაც. ამიტომაც იყო აუნაზღაურებელი დანაკლისი მისი ამ სამზოვლან წასვლა, ამიტომაცაა, რომ არ წყდება ტკივილიანი თუ სასიამოვნო მოგონებები მასზე.

მეც ამ თვალსაზრისით ვთავაზობ მკითხველს თემურის მოგონებას: „გისმენდი – გამალომგულე“, შარშან გამოცემული წიგნიდან „ტარიელ საყვარელიძე (ღირსეული მარჯანიშვილეელი – 100)“, რომელშიც შეტანილია და ამით გადარჩა მისი ლექსპროზები ყველა ქართველისათვის საყვარელ მსახიობებზე, ჭეშმარიტად სახალხო არტისტებზე: ნინო (ნინიკო) ჩხეიძეზე, ტარიელ საყვარელიძეზე, კოტე მახარაძეზე, გოგი გელოვანზე.

„ალბათ, არცთუ იშვიათად ხდება, რომ ახლო მეგობრულ ურთიერთობებში ბევრი ისეთი რამ გრჩება ხოლმე შეუმჩნეველი, აღმოჩენისას საკუთარ თავს რომ უჯავრდები – ეს აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე, რატომ არ ვიცოდით. ჩემთვის სწორედ ასეთი აღმოჩენა იყო, უახლოესი მეგობრის, პოეტ

თემურ ჩალაბაშვილის უბის წიგნაკში შემონახული ლექსები, რომელიც მას არასდროს გამოუქვეყნებია და ჩემდა გასაკვირად, არც არასდროს უხსენებია. წიგნის წერის პროცესში, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როცა ვთქვი ტარიელ საყვარელიძის 100 წლის საიუბილეო წიგნს ვამზადებ-მეთქი, თემურმა მკითხა:

– არ იცი, ბატონ ტარიელზე და მის მეგობრებზე პატარ-პატარა მიძღვნები რომ მაქვს?



პირველად მესმის შენგან-მეთქი, – ვუპასუხე. თემური წამიერად ჩაფიქრდა და გაკვირვებით თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: – აქამდე ეს როგორ არ მითქვამსო. დამპირდა, გაჩვენებო და მართლაც, პოეტის უბის წიგნაკში ჩაწერილი ლექსებიდან საინტერესო აღმოჩნდა ტარიელ საყვარელიძესა და მის მეგობრებზე: კოტე მახარაძეზე, გოგი გელოვანზე და ნინიკო ჩხეიძეზე ნახევრად ხუმრობით, კარგ გუნებაზე შექმნილი ლექსები. ეს ექსპროზები თუ ლექსპროზები, საოცრად ესადაგება იმ კეთილ განწყობილებებს, რაც იმ პერიოდში თეატრში და თეატრის სამეგობრო წრეებში სუფევდა.

თემურ ჩალაბაშვილი, ანუ „ჩალაბა“, როგორც მას ახლობლები მოფერებით ვეძახით, გიზო სინარულიძისა და თეატრის ახალგაზრდა მსახიობების: ავთო მიქაძის, აკაკი მესაბლიშვილის, ამირან ბუაძის, შოთა მშენიერაძის მეგობარი, უკვე განმაურებული და სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ ამღერებული ლექსების ავტორი გახლდათ და ტარიელ საყვარელიძის თაობის დიდებულმა მსახიობებმაც ისე დაიახლოვეს, რომ თემურს ხელ-ფეხი „გაეხსნა“, „შედგმაც“ არ დააყოვნა, შეიქმნა დაუვიწყარი მიძღვნითი სტრიქონები, რომელსაც, რაც დრო გავა, მეტი ფასი დაეძება.

თემურთან ყოველი შეხვედრის დროს, მუდამ დანანებით ვიგონებდით ტარიელ საყვარელიძეს, კოტე მახარაძეს, ზურაბ ლაფერაძეს, მათ ხელში გაზრდილ უდროოდ წასულ ახალგაზრდა მსახიობებს, რომელთაც თავიანთი ხელოვნებითა თუ ადამიანური თვისებებით, წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენ ხსოვნაში. სამგლოვიარო თუ სამეგობრო სუფრასთან მყოფებს, ხშირად გვითქვამს ამ დიდებული ადამიანების შესანდობარი და მათთან ურთიერთობის მრავალი სურათი გაგვიცოცხლებინა

მათთვის, ვინც პირადად არ იცნობდა და სცენაზე არ უნახავსეს საოცარი ადამიანები.

მარჯანიშვილის თეატრის სამეგობროსთან გატარებულ დაუვიწყარ წლებს ასე იხსენებს ყველასთვის საყვარელი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი: „იყო დრო, როცა მარჯანიშვილის თეატრის ყოველდღიური სტუმარი ვიყავი. ხელს ისიც მიწყობდა, რომ პლენანოვზე, იქვე შორიანლოს, მაშინდელი კლარა ცეცხლის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ამიტომაც ჩემთვის უთეატროდ გატარებული დღე, დღედ არ ითვლებოდა.“

თითქმის ყველა საინტერესო და დიდ მსახიობებთანაც კი მიწვევდა შეხვედრები.

ახლაც სულ თვალწინ მიდგას ის წლები, ის უბედნიერესი დღეები...

...მარჯანიშვილის თეატრს ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდა, მინდოდა ჩემთვის საყვარელი ადამიანებისთვის ლექსები, ზოგიერთისთვის კი მეგობრული შარჟები მიმეძღვნა და ცალკე წიგნად გამომეცა. საიუბილეო პერიოდი ძალიან მძიმე და ქვეყნისთვის საბედისწერო წლებს დაემთხვა, ამიტომაც, ჩემი სურვილი არ ასრულდა.

ტარიელ საყვარელიძე, კოტე მახარაძე, ზურაბ ლაფერაძე, გოგი გელოვანი, თენგიზ არჩვაძე, მალხაზ ბებურიშვილი, გიზო სინარულიძე ის მსახიობები იყვნენ, რომელთაც განსაკუთრებული მიდგომა და დამოკიდებულება ჰქონდათ ახალგაზრდებისადმი. თავს ევლებოდნენ, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ, თავიანთ უმცროს მეგობრებად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ მათ, არამედ „თეატრს გარეთ“ მყოფ მათ მეგობრებსაც, რომელთა შორის მეც აღმოვჩნდი.

ეს საოცარი მსახიობები ძალიან უყვარდა ხალხს. ვერ წარმომიდგენია, ბატონი ტარიელი ვისთვის არ იყო საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება. გარდა ბრწყინვალე ხელოვანისა, ის სხვა მრავალი ზნემაღალი თვისებებითაც განსვლდა დაჯილდოებული. ყოველ მის მოქმედებას სიკეთის სხივი დაჰყვებოდა და ამ სტრიქონების ავტორსაც უგემია მისი გულის სიტბო“.

თემურ ჩალაბაშვილმა, რომელიც დიდებულად და გულში ჩამწვდომად კითხულობდა არა მხოლოდ საკუთარ ლექსებს, არამედ მოხიბლული იყო ქართველ პოეტთა შედევრების ტარიელისეული კითხვით; სწორედ აქედან გამომდინარე მიუძღვნა მას ლექსი:

„ტარიელ საყვარელიძეს! ვაჟა-ფშაველას ლექსის „ბაკურის“ დიდებულ მკითხველს...“

ქართულ ლექსს შენი ხმის მადლი
წმინდა მირონა დაჰკურე.
გისმენდი – გამალომგულე,
გამათუმ-გამაბაკურე.
შენს „თავს“ არავის შეგადრი,
სულასე – მედგრად მაჩვენა.
ჩემი სალამი თეატრის –
ნამდვილ მამას და მარჩენალს...

სხვადასხვა შეხვედრის დროს, ტარიელ საყვარელიძის გარდა, თემური მის უახლოეს მეგობრებსაც უძღვნიდა ხოლმე „ლექსპრომტებს“, რაც ხალისიანს ხდიდა ხოლმე ამ შეხვედრებსა და ურთიერთობებს.

კოტე მახარაძეს

ღმერთმა რომ ხელი დაგასხა
გამოგარჩია ტოლებში,
ბედი გწყალობდა როლებში,
უფრორე მეტად – ცოლებში.
ხარ მოუბარი უებრო,
აფერუმ, კოტე ბატონო,
შე, ერთო კაცო თეატრო,
შე, ღმერთო, კომენტატორო...

ნინო (ნინიკო) ჩხეიძეს

შეგამკობ დითირამბოთი,
ახლა არ მკითხო, რადაო,
ამაყობ საუშანგოთი,
უშანგის პატარა დაო!..

გოგი გელოვანს

არ გიძებნია არასდროს –
არც სახელი, არც ტიტული.
შენმა გიტარამ დამადნო,
სიმღერით კოლორიტულით.
განსხვავებული კაცი ხარ,
სულ სხვა სიმტკიცით ნაკვეთი,
თეატრის გარეთ იბარებ –
ზოგჯერ სიმღერის გაკვეთილს...



ხსოვნა



ბოლოს თემური ძველანაგაში, მშობლიურ სკოლაში ვნახე...

88 წლის თვალცრემლიანი მასწავლებელი ვზივარ და ვწერ მოგონებებს თემურ ჩალაბაშვილზე. ბუნება ისეთი ულმობელია, თემური უნდა წერდეს ჩემზე მოგონებებს და, სამწუხაროდ, მე ვწერ მასზე... თემურს ვასწავლიდი მეზუთე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე. ის იყო თავაზიანი, ზნეკეთილი, მშრომელი, თბილი, მეგობრული. დაიბადა ძველანაგაში. იგი მეტად ამაყობდა, რომ ბავშვობა სოფელში გაატარა. თემურს უყვარდა მშობლიური კარმიდამო, იმიტომ რომ აქაურმა ხალხმა შეაყვარა მამულისადამი დამოკიდებულება, ურთიერთობა მეზობლებთან და ახლობლებთან.

მშობლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მის სწავლა-განათლებას. პატარობიდანვე გამოირჩეოდა სხვა ბავშვებისგან.

ჩვენ, პედაგოგებს, ყველა ბავშვი გვიყვარს, მაგრამ არიან მოსწავლეები, რომლებიც სწავლით, უნარჩვევებით, ქცევით იმსახურებენ ჩვენს დიდ სიყვარულს და მას საყვარელ მოსწავლედ მივიჩნევთ. სწორედ ასეთია ჩემთვის თემურ ჩალაბაშვილი.

თემურს ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად უყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა. მხატვრული ლიტერატურის კითხვა. მარტო თვითონ კი არა, სხვებს – კლასელებსაც მოძღვრავდა. უყვარდა სხვისი დანმარება. პატარობიდანვე წერდა ლექსებს. ჯერ კიდევ პატარამ მე მიძღვნა ლექსი, რომელიც ძალიან მოეწონათ მასწავლებლებს და პედაგოგებს. ერთ სტროფს გავიხსენებ:

„მასწავლებელს, ნეტავ, რა დამავიწყებს,
ან მის სახეს ჩემს გრძნობებში რა წაშლის?
სიამაყით მოვიგონებ ყოველთვის,
როცა წიგნის თუნდ ერთ ფურცელს
გადავში“...

სკოლაში ვასწავლიდით რითმებს ასაკის მიხედვით. ის ამით არ კმაყოფილდებოდა, უფრო მეტი უნდოდა ლექსების წერისას. ყოველ ლექსს მაკითხებდა, რითმებს სწავლობდა. ამიტომ იყო, რომ უკვე წლების შემდეგ მეუბნებოდა, ჩემს პოეტობასა და ჟურნალისტობაში დიდი ღვაწლი თქვენ მიგიძღვითო.

თემური კლასელების სული და გული იყო. არ ყოფილა შემთხვევა, სკოლაში უმისოდ რამე

ჩატარებულიყო. როცა საატესტატო გამოცდას აბარებდა, სამი თემიდან ერთი იყო თავისუფალი თემა: „სამშობლო ჩემს ცხოვრებაში“. რა თქმა უნდა, თემურმა ბოლო თემა აირჩია და დამსახურებული ხუთიანი მიიღო.

სტუდენტობის დროსაც არ ივიწყებდა მშობლიურ სოფელსა და სკოლას. მოდიოდა მასწავლებლების და სკოლის სანახავად. ვსაუბრობდით სასკოლო პროგრამებზე, მის ლექსებზე...

ჩემთან მოდიოდა სახლში, მილოცავდა ახალ წელს. მე მას ახალი წლის მეკვლესა და ახალი წლის მახარობელს ვეძახდი. თვალები წიგნების კარადებისკენ მიუბრუნდა. მეუბნებოდა: ნეტავი ოდესმე თქვენდენი წიგნი მექნებაო? ამაღენი კი არა, ათჯერ მეტი გექნება-მეთქი. მართლაც, გამომცემლობაში რომ მუშაობდა, ყველა წიგნს ვყიდულობო, მითხრა. სწორედ მაშინ მომიძღვნა პირველი საჩუქარი – ანდრო თევზაძის დიდი წიგნი „ლიტერატურული წერილები“, რომელიც ჩემს სამაგიდო წიგნად გადაიქცა.

რამდენ კრებულსაც გამოსცემდა ჩემი საყვარელი თემური, მივხვანიდა ხოლმე თავისი ბიცილის, ჩვენი მასწავლებლის, ბელას ხელით. ლექსების ბოლო კრებული არ წამიკითხავს. შემპირდა, ახლა უნდა გამოვცე დიდი წიგნი და გამოვიგზავნიო. არ დასცალდა.

ბოლოს თემური ძველანაგაში, მშობლიურ სოფელში ვნახე, მისმა სკოლამ შეხვედრა გაუმართა. სკოლის დირექტორმა მთხოვა დასწრება და მოგონებები მასზე. რა თქმა უნდა, სინარულით დავთანხმდი, მაჩუქა თავისი დიდი სურათი, უზომოდ გაიხარა.

ბევრი ვისაუბრეთ, სურათებიც გადავიღეთ. თქვენს სურათს განსაკუთრებული ადგილი მიეჩინა ჩვენს სახლშიო. თან ახლდა შვილიშვილი ლუკა, რომელსაც შესციცინებდა. გამაცნო და უთხრა, ჩემი ძვირფასი მასწავლებელიაო. ლუკამ შეხვედრის დროს პაპის ლექსი წაგვიკითხა. მე ვუთხარი შენსავით კარგი მოსწავლე იქნება-მეთქი. არაო, ეს ჩემზე უკეთესიაო...

თემურ ჩალაბაშვილით ამაყობს ძველანაგა, სკოლა, პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებულია.

სოფელში ყველა ახსოვს, რომ იგი ამ თვისებებთან ერთად იყო კარგი თამადა, სათავეში ედგა დიდ ქორწილებს.

თემურს უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, თბილისი... დაფასებულიც იყო. მას თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებაც მიანიჭეს. მე მას ტელეფონით მივულოცე და იცით, რა მითხრა? – თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებას მარტო თბილისში დაბადებულებს კი არ ანიჭებენ, არამედ მათაც, ვისაც უზომოდ უყვარს თბილისი... თბილისში დაბადებული რომელი გამეჯიბრება სამშობლოსა და თბილისის სიყვარულშიო. ამაში დიდი წვლილი თქვენც მიგიძღვითო...

ამაღლია ნატროშვილი,
თემურ ჩალაბაშვილის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი

ნიწო არსენაშვილი



თემურ ჩალაბაშვილი

მე და თემურ ჩალაბაშვილი ერთმანეთს ყველაზე ხშირად უნივერსიტეტში ვხვდებოდით (ჩვენს სტუდენტობისას საქართველოში ერთი უნივერსიტეტი იყო); შეგხვედრივართ: მწერალთა კავშირშიც, საავადმყოფოშიც, ეკლესიაშიც, ქუჩაშიც და ტრანსპორტშიც. სადაც შეხვდებოდი თუ შეგხვდებოდა, იმდგვარი იყო თემურიც, მაგრამ თავის აღმოსავლურ სიდინჯესა და წონასწორობას არასდროს დაკარგავდა. ორი შეხვედრა მინდა გავიხსენო:

გაზაფხულია. დიდმარხვა იწურება. რუსთაველის გამზირზე მიმავალმა უცებ გადავწყვიტე ქაშუეთში შესვლა. სანთლები შევიძინე. ჯერ ქვედა ტაძარი მოვილოცე. გრივოლ ორბელიანის განსასვენებლთანაც შევჩერდი. აქა-იქ რამდენიმე მოძლოცველი იდგა ხატებთან. სიმშვიდე სუფევდა. მერე ზევით ავედი. თეთრი გიორგის ხატთან დავანთე სანთელი. ადამიანს უფალთან სამადლობელსა და სათხოვარს რა დაუღვეს და მეც კარგა ხანს გავჩერდი იმ კუთხეში, სადაც წმინდა გიორგის დიდი ხატია კედელზე.

შუაღლე გადასული იყო. ლოცვა დაწყებული... საოცარი გალობა ისმოდა. მგალობლებისკენ გამექცა მზერა. საკურთხეველიდან ხელმარჯვნივ, ჩემგან მოპირდაპირე მხარეს იდგნენ და გალობდნენ. იქვე ტაძრის სვეტთან თემურ ჩალაბაშვილი დავინახე, მარჯვენა წვერიანი ნიკაპისთვის შემოუჭლო და გარინდებული უსმენდა მგალობლებს. მეც იქით წავედი, შორიანხლოს დავექე და ლოცვას დავუგდე გულისყური. შუაღლედში რამდენჯერმე გავხედე თემურს: მისალმების ნიშნად თავს მაინც დაუკრავ, ან თვითონ ხომ არ მომესალმა ასევე ჩუმად და ვაითუ, ვერ შევნიშნე-მეთქი. მაგრამ მალე მივხვდი, თემური ფიზიკურად იდგა ტაძარში, მისი სხეული იყო ქაშუეთში, სული კი მგალობელთა ხმებთან ერთად, როგორც ერთ-ერთი საგალობელი, უფლი-საკენ მიისწრაფოდა.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში თბილისში ჯერ კიდევ დადიოდა ტრამვაიცა და ტროლეიბუსიც;

სამწუხაროდ, მერე მალე გაქრა და საოცარი ნოსტალგია დაგვიტოვა. მე პირადად, ახლაც სიამოვნებით ვიმეზავრებდი ტრანსპორტის ამ სახეობებით.

ტროლეიბუსი ნომერი 8 (მგონი, სწორად მანსოვს), კოლმეურნეობის მოედნიდან საბჭოს მოედნამდე დადიოდა წრიული სვლაგეზით. მე ხშირად მიწევდა ამ ტროლეიბუსით მეზავრობა – ხან საბჭოს მოედნიდან კოლმეურნეობის მოედნამდე, ხანაც – პირიქით, კოლმეურნეობის მოედნიდან საბჭოს მოედნამდე.

ერთ მშვენიერ დღესაც სამსახურში მიმავალი საბჭოს მოედნის ბოლო გაჩერებაზე ტროლეიბუსის ფანჯარასთან მოვკალათდი. ცოტა ხნის შემდეგ, „ვარანცოვზე“ თემურ ჩალაბაშვილი ამოვიდა, შორიდანვე ამიწია ხელი და გვერდით მომიჯდა.

მოვიკითხეთ ერთმანეთი. ნაბახუსევი ჩანდა. ფხიზელს ნაკლებად სჩვეოდა ლექსების თქმა, ახლა კი მუზა მოსძალებოდა და ხან თავის ლექსებს მიკითხავდა, ხანაც სხვებისას ჩაურთავდა. მეც ავეყვი და ვცდილობდი, ტოლი არ დამელო. სიკვდილ-სიცოცხლის ამბავსაც მივადექით, ადამიანის არსებობის დასაწყისიდან არსებულს.

ისე შეგყვებით საუბარში, ვერც კი შევნიშნეთ, როგორ აღმოვჩნდით ისევ საბჭოს მოედანზე, როცა ორივე კოლმეურნეობის მოედანზე უნდა ჩამოვსულიყავით: ის „ციცკრის“ რელაქციაში მიდიოდა, რომელიც მაშინ მშრალ ხიდთან, ხიდის №1-ში იყო განთავსებული, მე – სამსახურში. რატომღაც მხოლოდ საბჭოს მოედანზე გავიხედეთ ტროლეიბუსის ფანჯრიდან და ორივეს გაგვეცინა. უცებ მომიბრუნდა:

– გოგო ნინო, – ქიზიყურად მოუქცია, – მე ნაბახუსევი ვარ და დამავიწყდა, სად უნდა ჩავსულიყავი. შენ რაღა დაგემართაო?

მეც პოეზიამ დამათრო-მეთქი, – ჩემდა გასაკვირად, მოსწრებულად ვუბასუხე.

ოხ, შენ რა ვითხარო (აღბათ, ჩემი იმედი ჰქონდა, რომ კოლმეურნეობაზე ჩასვლისას გავაფრთხილებდი და მე კი იმედი გავუტრუე), წავყვეთ ისევ, სხვა რა გზა გვაქვსო.

აილო ბილეთები და მერე წრეზე გავყვეთ ტროლეიბუსს..

ასე ხდება ზოგჯერ, როცა ადამიანები მარადიულ თემებზე საუბრობენ, მაგრამ რა არის მარადისობა, ან თუნდაც წუთისოფელი უადამიანოდ და თანაც ისეთი ადამიანის გარეშე, როგორიც თემურ ჩალაბაშვილია. ის 2023 წლის 28 დეკემბერს (გიორგი ლეონიძის დაბადების დღეს), მარადისობაში გადავიდა;

ძველმა წელმა ახლის გზები
უცნაურად ჩალამბა,
ამ სოფლიდან იმ სოფელში
წაიყვანა ჩალაბა.

სკოლს და პატივს

ნინო ქალაგიძე



გულისტკივილით ამოძახილი

ბავშვობაში ერთი სული მქონდა, როდის გადავშლიდი მუქ ნარინჯისფერყდიან წიგნს, სადაც მშობლიური ქართულით, მაგრამ ჩემთვის მეტად საუცხოო სიტყვებით ეწერა ნაწარმოებები. 90-ანი წლები იდგა. გაყინული საკლასო ოთახები, ქუთუკიანი და ქუდიანი ბავშვები ვისხედით მერხებთან და კვითხულობდით იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამებას“.

მამინ ბებრი ვერაფერი გამეგებოდა, არც არავის აუხსნია, სომხები როგორ მოხვდნენ ცურტავში, რატომ იყო ვარსკენი პიტიახში და არა ერისმთავარი, რატომ იწყებოდა ნაწარმოებში დროის ათვლა პეროზ მეფის გამეფებიდან და არა თუნდაც ვახტანგ გორგასლის ზეობიდან, კიდევ მრავალი სხვა დეტალი, მაგრამ, სამაგიეროდ, ქართული სიტყვები ისე საუცხოოდ ჩაგვესმოდა და რასაც ბავშვური გონებით ჩავწვდით, ნაწარმოების იდეა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ხელთათმნიანი ხელის გაყოლება სტრიქონიდან-სტრიქონზე აღარ გვიჭირდა. მას მოჰყვა აბო, გრიგოლ ხანძთელი, რუსთაველი, გურამიშვილი.... ნავთის სუნისა და ფითილის ბჟუტვის წყალობით გადავიკარგებოდი ხოლმე მეხუთე, მერვე, მეთექვსმეტე საუკუნეებში. რაც ტკიბლ მოგონებად გამომყვა ამ მძიმე წლებიდან. ეს იყო ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები.

მერე გავიზარდე და თავად გავხდი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. გადავწყვიტე. ანბანი პატარებისთვის დაფაზე ფერადი ცარცებით მზეში მეხატა. თავადაც მზეში მოეხაზათ ქართული ასოები – სამოთხის ყვავილები. მერე გამიტაცა ხელნაწერებმა და ქრისტიანულმა ლიტერატურამ. ძალიან მინდოდა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს, რუსთაველსა თუ სხვა ქართველ პოეტსა და მწერალს, მოვფერებოდი და ისე მიმეტანა ბავშვების გულებამდე. ვუყვებოდი, რომ შუმანიკი შრომანს ნიშნავს. შრომანი კი აღდგომის სიმბოლოა. თითქოს მსუბუქი სიტყვაა, მაგრამ ქალისთვის როგორი მძიმედ სატარებელი სახელია და თან გასაფრთხილებელი. წუთისოფლის წუმპეში სითეთრე შესანარჩუნებელი, ნაზია და სიმტკიცე და ზოგან სიფიცზე გამოსავლენიც. იაკობთან

ურთიერთობა მთლად პოეზიაა დედაშვილობის, ზრუნვის, ადამიანობის, მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობის... და თან როდის? მეხუთე საუკუნეში.

აბო. ესეც ყვავილივით გასაფრთხილებელი, უცხოობაში გადმოხვეწილი არაბი ბიჭი, სულს რომ საზღვარი არა აქვს და სადაც ღმერთს იპოვის, იქაა სამშობლო. თვითონ ნაწარმოები ხომ თავისი პოლიჟანროლობით ცალკე პოეზიაა, ცალკე მწერლური ოსტატობაა, მაგრამ მის ცხოვრებაშიც იმდენი სინაზე და სიფაქიზე იკითხება, სევდაც, თუნდაც დასაკლავად განწირული თითქოს გვერდით რომ მისდევს საკუთარ სხეულს. ასეთი ეპიზოდი მერვე საუკუნეში დაწერილ ნაწარმოებში ამოიკითხო, იშვიათია. ისეთი დეტალებია, რომლებიც მოზარდის სუნთქვასა და სმენასაც აფაქიზებს და ნებისმიერი მსმენელისაც. ნერსე ერისთავის სულისკვეთებასა და თავგანწირვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასევე საქართველოს ერთიანობის იდეაზე და ა.შ... თვით მამა გრიგოლის ცხოვრება ხომ საზებრო და ალილუიასავით სამეორებელი ტექსტია, ზეცისა კაცი. ბერი შელახული სამოსით, რომელიც მზესავით ანათებს და შემოკლებულ ვერსიას რომ სწავლობდნენ ბავშვები, ვწუხდი, ვრცელ ვერსიაში რამდენი საყურადღებო მონაკვეთია, სასწაულია და რამდენია გასააზრებელი გრიგოლის საქციელში-მეთქი, მისახვედრ-ამოსაკითხი. ასეთი ბრძენი, გონიერი, ღვთივ სულიერი წინაპრები რომ გყავდა, ეს ხომ ცალკე საამაყო თემაა. გრიგოლის დაწყებულ საქმეს აღმაშენებელი ასრულებს და აერთიანებს საქართველოს, მათ საუკუნეების შემდეგ ილია მიჰყვებათ და ა.შ. და ა.შ...

სასულიერო ლიტერატურის ფესვზე ჰყვავის საერო პოეზია და სულ მთლად ახალ ტოტემზე ფეთქავს თანამედროვე ლიტერატურა. ძალიან დამწყდება გული, თუ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებას შეამცირებენ.

ჩვენ ჯერ ფესვებს უნდა დავხედოთ და მერე მოვიწონოთ თავი ტოტემით. სახელმძღვანელოში ისედაც სამად სამი კინკილა ნაწარმოებია შეტანილი, ისიც შეკვეცილი სახით და რაღაა აქ ამოსაკლები? ვეჭვობ. გატლაქნდება სახელმძღვანელოს სული.

ვისურვებდი, მთაწმინდელებიც შესულიყვნენ ეროვნული გამოცდების პროგრამაში და შუმანიკამდე ერთი საუკუნით ადრე შექმნილი „მოქცევაი ქართლისაიც“. ვარდისა და მაცვლის ბუჩქს ამოფარებული ნინო.

არ გეგონოთ, ცარიელი პათეტიკაა! უბრალოდ, ამ ტექსტების სწავლებისას ტყავიდან ვძვრები, რაც ვიცი და რაც არ ვიცი, ვეძიებ, მეც ვსწავლობ დღემდე, ვუკვირდები და ყველა ბგერისა და ბწკარედის შერხევას ვაგრძნობინებ ხოლმე ჩემს მოსწავლეებს, როგორც შემძლია. ამ გლობალიზაციის ეპოქაში ეგეც არ აღწევს სრულყოფილად და კიდევ უფრო შემცირებული რანაირად მიაღწევს? ის, რაც საუკუნეების განმავლობაში მტერმა ვერ მოგვიკლა, ვერ ჩავიქრო და გადავარჩინეთ ქართველებმა ჩვენს სულში, 21-ე საუკუნეში ჩვენზე ხელით ნუ ჩავიკლავთ, ნუ დავისამარებთ!

ერთი ლექსის კვლევითი გულნაჯ გვალაია



იგავური
თავდასხმა
ფრესკებიდან

ბალათერ არაბულის შემოქმედებიდან

წარწერა ფრესკაზე



ზეცისკენ შუქის ჩქერად მალღდება,
მიუკარები ბნელი ღამისთვის,
ფრესკების სუნთქვით სავსე თაღები
ქაშუეთის და მამადავითის...
შენც ხომ იქითკენ მივიხარია,
ჩუმად იცხოვრო და იარსებო
და კიდევ შეხვდე დედა მარიამს,
შენ, მაცხოვარო, წმინდა იესო...
შენ, ვისაც ქვეყნად, თუნდაც მცირედით,
არ გაქვს სამკვიდრო შესაფერისი,
კვლავაც ღალატით და დამცირებით,
ეკლიან გზებით გიხმობს მერმისი...
უკან მოგდევდა მაშინ მრავალი,
გეთსემანდინდნ როცა დაეშვი,
რა იქნა შენი კეთილი მრევლი?
ჯვარზე გაკრული მიმზერ კაემნით...
ან ცათა შინა ვინ მოისურვა,
რომ ამ ქალაქის ბუღში გეცხოვრა,
შენ, შორეული სივრცის მოსურნეს
და მზის სხივივით წმინდა მაცხოვარს...
განსოვს პასექის მწარე ღღეობა,
როს მხრებზე მძიმე ჯვარი გეკიდა
და მიჩვეული კედლის ტყვეობას
დაღონებული მიმზერ ფრესკიდან...

ბალათერ არაბული

ბალათერ არაბულის სულიერ გზებებს შეზღუდული პოეტი, ეკლესიის ფრესკების სუნთქვით გაჟღერებული თაღებიდან, შეუერთდა შუქის ამალღებას ზეცისკენ და ჩამოგვიტანა ლექსი „წარწერა ფრესკაზე“.

პოეტი ზებუნებრივად ერთვება იღუმალის კავშირების წრეში და მოკვდავთათვის სრულიად შეუმჩნეველი მოვლენები, სულის მოძრაობის უნარის წყალობით, კოსმიური რეალობიდან იტვირთება მისი აზროვნების ფოკუსში, უზენაესი წესითა და რიგით ლაგდება სტრიქონებზე, ფორმირდება ლექსად და გვაზიარებს ახალ იგავებს.

ქრისტიანული სამყაროს ისტორიული და სულიერი ვნების თანხვედრის ეპოქა მოწმე იყო ყველაზე დიდი კაცობრიული ტკივილისა, იესო ქრისტეს ჯვარცმით რომაა ცნობილი. გოლგოთა მოუწყვეს ცოდვებისაგან კაცობრიობის მხსნელს. იმ დღიდან დღემდე ამ გოლგოთაზე ვდგავართ და ქრისტეს ჯვარცმის დაუსრულებელი პროცესისა და პროცესიის თანამონაწილენი, ვერაფრით მოვეგეთ გონს, ქრისტეს აღდგომის ველზე ვერ გადავიხატავთ. ჩაიკეტა სულიერი ხედვის სარკმელი, არა ჩანს ზეცა და, რა თქმა უნდა, ვერც კოსმიური ნათელი აკრთობს ღამეს, სულიერ სიბნელეს. მორწმუნეთა ურწმუნო მდგომარეობა აფეთებს ბალათერ არაბულის შინაგანაწილს, მას ისეთი სამხრეთი გადაშლია თვალწინ, სამერმისოდაც რომ ვერაფერი ამშვიდებს. სულის გაპობამდე შემალონებელია იმ რეალობიდან მისი გაცხადებანი.

ბალათერ არაბულის ადამიანური და პოეტური შეგნების ფოკუსები, განზოგადებული სულიერი მრწამსისა და ეკლესიური რწმენის ზერეულ შეგნების თვალთახედვიდან, იმ კომპარულ რეალობაში გვაბრუნებენ, რომელსაც მოუცავს საზოგადოებრივი ცნობიერება. ორიათასწლიანი სულიერ-გონებრივი დამბლიდან ვერგამოღწეული შემეცნება ადამიანის ტყვეა. ბეცი აზროვნება მხოლოდ ერთ ფრაგმენტს – ჯვარცმის კადრს ამჟღავნებს და შორსაა მისგან ქრისტეს აღდგომა.

პოეტს იმათ გარემოში უწევს ყოფნა, ვინაც ეკლესიის კედლებიდან ზე ახედვა ვერ ისწავლეს და თვალებს მიაპყრობენ მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმის ფრესკას. მათ ცნობიერებაში არ მოიპოვება აღდგომა, ვერ მსჭვალავს მათი შინაგანი ხედვის სხივი აღდგომის შორეულ ცხადს. დარჩა მენსიერებაში ჯვარცმის კადრები, მუდმივი გლოვა მხსნელის გამო და მკვდარია იმედი მომავლისა. ასეთ განწყობას მოჰყვა ბნელი საუკუნეები.

ეკლესია, ღმერთის საბრძანისი, შემწე ყოველი მლოცველისა, სადაც არ უნდა იდგეს – მალღობზე თუ დაბლობზე, როგორც, მაგალითად, ქაშუეთისა და მამადავითისა, ვერ შეგვაწვდენენ უზენაეს ღმერთს, ჩვენი სულიერი აზროვნების ჩაკეტილობის კვალად. ავტორი ამ ლექსის სტრიქონებიდან ეკლესიების კედელთა ჩარჩოებში დატყვევებულ ფრესკებს ეხმიანება და ერთვის მათგან გამონაშუქ სხივთა იღუმალმეტყველ ჩქერს, კედლების ტყვეობიდან თავდასაღწევად, აღდგომის ველზე გასანავარდებლად. დიდია პოეტის სწრაფვა სიტყვის

უზანაეს სამსახურში ჩასართავად.

ხატებისა და ფრესკების სამეუფოდან ლოცვების ატაცება მლოცველთა სულიერი შეგნების შესაბამისად რომ იმართება, ვერ აღწევს იმ სიმაღლემდე, სიმშვიდე რომ სუფევდეს. საზოგადოების სულიერ-შემეცნებითი მოცემულობა განმსაზღვრელია მისი ყოფითობისა.

ორსაუკუნოვანი ჩამორჩენა შემეცნებითი გონისა, ვერ უმკლავდება ცხოვრების წინეს, ვინაიდან, ფრესკებზე ჯვარცმული ცოდვილი ხალხის განმათავისუფლებელი, კედლის ჩარჩოებში გამოკეტეს, არასაიდან არ არის ხსნა. მართალია, ადამიანები-დღესაც თანაუგრძობენ ქრისტეს და განიცდიან მშობელ მარიამთან მის განშორებას, თუმცა მათში არ იპოვება უნარი იესოს ტკივილის შესამსუბუქებლად.

ლექსი გაჟღენთილია ავტორის შინაგანი ხმის ჩუმი მოთქმით, ეკლესიის გუმბათებიდან ავარდნილი სხივთა ჩქერი თუ ვერ უმკლავდება ღამის სიბნელეს, პოეტი მზადაა სიტყვით შეეწიოს ზოგად სულიერ ცნობიერებას, დროულად რომ გაირღვეს ქრისტიანული სამყაროს წინაშე ამხედრებული ბნელი ძალების ალყა, რათა ქრისტეს ჯვარცმის ველიდან გადავინაცვლოთ აღდგომის ველზე და შევიძოსოთ მისი ბრწყინვალეობით, ქვეყნიური ბოროტებისგან თავდაღწევის საიდუმლო ცნობიერებით აღვივსოთ, ფრესკებიდან ზევით ასვლა შევიძლოთ, ეკლესიის გუმბათებიდან აღმამსროლო სხივთა ჩქერს მივდიოთ, სულიერი აღმაფრენის იდუმალ გზებს ჩარჩოებიდან გადმოვაბიჯებინოთ, ყოფითი სიბნელები ჯვარცმულ ქრისტეს კი არა, ამაღლებულს შევავედროთ. შევივნოთ აღდგომის დიდება, ცხოვრებაშივე უზენაეს ღირებულებებს დავეწაფოთ.


ეკლესია ცად ამალღების საფეხურია. ამის გარეშე საზოგადოება ღალატითა და შურითაა შეპყრობილი. დღესაც, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჯვარზე რომაა გაკრული ქრისტე, შემდგომი მოვლენები ვერ აღიქვა მეხსიერების ბარათმა და ვერც წაიკითხა მრევლმა, რადგანაც რომელიღაც კუნჭულიდან შემოეპარა ეშმაკი. აი, იმ დაუცველობის შედეგს ვიძიებთ ახლა.

პოეტის სიტყვა ელვავა გონებისთვის, მეხის გავარდნაა ცნობიერებისთვის, ამ მისიას არ ღალატობს ბალათურ არაბული. მას ის აზრიც იპყრობს, რომ ადამიანი არ იყო ღირსი ღმერთისგან ამ დიდი მსხვერპლისა, მხოლოდშობილი ძე რომ გამოავჩაუნა ჩვენთვის, ცოდვებისაგან დამსხნელად.

კედლის ტყვეობიდანაა დღეს გასათავისუფლებელი ჯვარცმისგან ამალღებული იესო. ხალხის მხსნელი ხალხმავე დაატყვევა. ამ ვითარებაშია შემეცნებითი გონი და ეს ლექსი ზარია მრავალთა გონების გამოსალვიძებლად. თაღებიდან ამომავალი შუქთა ჩქერი, უკარება ღამეს ანუ ბნელ ცნობიერებას გაქცეული ჯანყია ფრესკებიდან გადმოსულ სულთაგან, არსებული რეალობის მიმართ, სულიერების სიბნელიდან დასახსნელად, ზეციურ ცნობადობასთან შესართველად.

პოეტის ერთი ლექსი

ტარიმლ ხარხელაური



თემურ ჩალაბაშვილს

ფერი იცვალა ჩვენმა მზემ, ძმაო, ლღვება და მამულს მკერდზე ადნება, ბევრჯერ ვიტირეთ სამშობლოს გამო, ბევრჯერ და, უფრო ახალგაზრდებმა. ახლაც მამულის ტკივილი გვიღრღნის მამულის წყლულით დაფლეთილ ფილტვებს, ვინ იცის, როგორ წამებად გვიღირს დღეს სამშობლოსთვის სათქმელი სიტყვა. დაკოცნეთ ყველა ბილიკი ღამის, სად გაუვლია ქართულ მხედრობას – და ბოლოს მაინც ვუჩოქებთ კრწანისს, რომ ღალატისთვის ვთხოვთ შენდობა. გონებას შავი ფიქრი გვიწამლავს, სდუმს საქართველო, სისხლიც გრილია, ზურგით ვატარებთ, ძმაო, წიწამურს და პატიებას ვერ ვთხოვთ ილიას. და ჩამოფლეთილ ლურჯ ვენებს ვლოკავთ, დარდად დავიდნეთ სამშობლოს გულზე, სამშობლო სხვისა დაკრულზე როკავს, ჩვენ ცრემლიანი თვალებით ვუმზერთ. დაგლეჯილია ყოველი ნერვი, ჩაქრობაზეა ჩვენი სანთელი, თემურ ბატონო! რა ვუთხრათ მერმისს, რომ ჩვენზეც რამე ჰქონდეს სათქმელი. დაკოცნეთ ყველა ბილიკი ღამის – სად გაუვლია ქართულ მხედრობას, ბოლოს კი მაინც ვუჩოქებთ კრწანისს, რომ ღალატისთვის ვთხოვთ შენდობა.

გალაქტიკონოლოგიური ოპოსიტი

ენიმო ღარბაისელი-სტრონი



ერთი ხელნაწერი – ორი ლექსის წყარო?

(„მეგობრის ხსოვნას“ თუ „ურიცხვ დროშებში“)

საიტ galaktion.ge-ზე, რომლის ხშირი სტუმარიც განლაგართ და თქვენთვისაც მირჩევია, ესტუმრეთ-მეთქი, პოეტის ერთი ხელნაწერით (იხ. ილუსტრაციებში) ორი ლექსი დევს.

<https://galaktion.ge/?page=AdvancedSearch>

მე ვიტყვოდი, ერთი ხელნაწერის ორი სხვადასხვა, ორგვარი წაკითხვა.

ერთ ლექსს ჰქვია „მეგობრის ხსოვნას“, ხოლო მეორეს – „ურიცხვ დროშებით“. ვნახოთ ეს ვერსიები:

მეგობრის ხსოვნას

მიუძღლოდი ჯარს, ჭიხვინებდა შენი მერანი –
ომში წასულთა ზიარება გებარა ოდეს –
წინ მიდიოდენ მედროშენი, მოსიმღერენი,
ერთი მათგანიც აღარ მოვა აქ არასოდეს.
უკანასკნელად გილიმოდენ გზაზე ქალები,
გეუბნებოდენ: საქართველო შენი გახსოვდეს.
ბედნიერებას ვპირდებოდენ მათი თვალები.
ერთი მათგანიც აღარ მოვა აქ არასოდეს.
მუსიკა, ცრემლი, საქართველო: ზრუნვის საგანი..
თითქო ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს,
ოჰ, არასოდეს არვინ მოვა იმათთაგანი –
ოჰ, არასოდეს არ ამოვა მზე, არასოდეს!
1920-იანი წლები.

ურიცხვ დროშებში

ცხრაას ჩვიდმეტი! ჭიხვინებდა შენი მერანი,
ბარიკადების მღელვარება გებარა ოდეს.
ურიცხვ დროშების მიდიოდენ მოსიმღერენი.
ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!
უკანასკნელად გვილიმოდენ გზაზე ქალები:
გახსოვდეთ მასა და მიზანი მისი გახსოვდეთ,
ბედნიერებას ვკპირდებოდენ მათი თვალები,
ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!
მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი...

თითქო ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს...
ოჰ, არასოდეს არვინ მოვა იმათთაგანი!

[1925]

თქმა არ უნდა, ჩვენ წინაშეა ერთი და იგივე ლექსი, ორი სხვადასხვა ამოკითხვითა და ასევე, ორი სხვადასხვა სათაურით!

თავისთავად ლექსის შინაარსობრივ მხარეზე ამჯერად არ გავამახვილებ ყურადღებას, ვიტყვი მხოლოდ, რომ გალაკტიონისებრი სიმძაფრით გაჯერებული ტრაგიკული ინტონაციითაა სავსე და გადმოცემულია დიდ რევოლუციურ ცვლილებათა პირობებში ადამიანის, პიროვნების ფრუსტრაციის მდგომარეობა.

ვინაა ლექსის ერთი ვერსიის სათაურში „მეგობრად“ მოხსენიებული, თვით ტექსტებში კი მეორე პირით გამოხატული ეს პიროვნება?

– თავიდან იმედიანი, მერე კი – მრავალმხრივ დანაკარგთა გამო, ტრაგიკული? ვინმე სხვა თუ იქნებ, თავად გალაკტიონი?

– პირობითად დისტანცირებული და ექსპლიციტური მეორე პირში?

ასეთ ხერხს ხომ გალაკტიონი სხვა ლექსებშიც მიმართავდა.

ჯერ კიდევ ადრე ადრე, მაგ. „აუზისაგან“, იგი იყენებდა პირობით მეორე პირსაც – „შენ აისრულე სურვილი დიდი“ მარმარილო „აჰყვე კიბეებს, სადაც სფინქსი ქვას ეფერება“.

იქნებ ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“, რომლის არაერთ ანალიზსაც ვიცნობთ, თუმცა ვერ ვიტყვოდი, რომ რომელიმე მათგანი ბოლომდე მისაღები და ამომწურავია, თავად გალაკტიონიცაა ნაგულისხმევი?

ამ ბოლო ლექსში პოეტი მესამე პირშია წარმოდგენილი და, ჩემი აზრით, ესაა საკუთარ, მომავალ სიკვდილში „წინასწარი შერბენის ცდა“, რაც თუ ჩემს მიდგომას გავიხსენებთ, გალაკტიონის სიმბოლისტურ ქმნილებათა ესთეტიკურ სპეციფიკას რომ ეხება, სახეთა მრავალპლანაინობის, პოლიფონიურობის გამო, კი არ გამორიცხავს, კი არ აუქმებს ინტერპრეტაციათა სხვა შესაძლებლობებს, არამედ ერთვის და ემატება მათ.

თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა და აქ ვჩერდები...

„აწ პირველსავე სიტყვას მივიდეთ“!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ ორ ლექსს ხელნაწერი წყარო – ერთი აქვს. სავარაუდოდ თარიღად ერთგან ოციანი წლები ეთითება, მეორეგან – თითქოს მეტი კონკრეტულობა, 1925 წელი.

გალაკტიონს რომ სჩვეოდა საკუთარი ხელნაწერების არა მხოლოდ გადათარიღება, არამედ მკვეთრი კონცეპტუალური ცვლილებაც ტექსტში, ეს გალაკტიონოლოგებისთვის და მისი გულდასმითი მკითხველებისთვისაც ცნობილი ამბავია.

შემთხვევითა უმრავლესობაში თუ ამგვარ ცვლილებათა მოტივი პოლიტიკური კონიუქტურა იყო, ამას გარდა, ცნობილია მაგალითებიც, როცა არჩევანს იგი ლექსის კომპოზიციის, პოეტური იმიჯის, რიტმიკის, რითმის და აშ.გამოსაკვეთად მიმართავდა, მაგალითად, როგორც სულში მუსიკის მსუბუქ ზვირთებით მიმავალი მოცარტი, პოეტი შეიძლება მორთული იყოს თეთრი და სრულიად

მის საპირისპიროდ, შავი ტანისამოსითაც, როგორც ხელნაწერებიდან ვგებულობთ;

„დროშები ჩქარა“, – „ვითარცა სახელ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ – ამ ბიბლიური 42(41)-ე ფსალმუნის დასაწყისის ამპლიფირებული ალუზიით გაჯერებული ეს ლექსი შეიძლება, ოქტომბრის რევოლუციასაც ეძღვნებოდეს, თებერვლისასაც და საერთოდ, ნებისმიერ რევოლუციას.

იგი ხელმოწერით – „გალაქტიონი“. პირველად გამოქვეყნდა ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე, გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ და თარიღად 1917 წლის 13 მარტი უზის.

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერს კი სავარაუდოდ, ოციანი წლები ეთითება.

არც ეს გვაძლევს რაიმე მყარი დასკვნის საფუძველს. ათიანი წლების ბოლო რომ ეთითებოდეს, მაშინაც კი გაჭირდებოდა თქმა, კერძოდ, რა იგულისხმება მასში, რადგან ეს ორი თარიღი – რუსეთის რევოლუციისა 1917 და საქართველოს დამოუკიდებლობის დასაწყისისა 1918 – ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან.



ოციან წლებში – დიდი ცვლილებები უკვე მომხდარია, წარსულშია.

ჩემთვის არაა ცნობილი, თუ რამ განაპირობა ერთი ხელნაწერის დართვა ორი სხვადასხვა სათაურის ლექსისათვის. გალაქტიონის საარქივო გამოცემაში მოხდა რაიმე გაურკვეველობა?

გალაქტიონის საიტს ხომ ბაზად სწორედ იხა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გამოცემული ეს საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეული უდევს.

ან ეს შემთხვევა გამოკვლეულია თუ არა; შესწავლილია თუ არა ტექსტოლოგიურად?

საინტერესო კი იქნებოდა.



ტყუილი თუ კონფაბულაცია




ყოველთვის, ერთმნიშვნელოვნად, იტყუება თუ არა ადამიანი, მაგალითად, პოეტი, როცა საკუთარ წარსულს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს, ნეპირად თუ წერლობით?

ცალკეულ, მაგ. ტოტალიტარისტულ პირობებში – ეს თვითგადარჩენის მოტივითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ შემთხვევები, რომელიც ამ ფარგლებში ვერ თავსდება?

ყოველთვის სანდოა თუ არა ავტორისეული ნათქვამი, როგორც წყარო?

შეიძლება თუ არა მასზე, როგორც უტყუარ, დოკუმენტურ მონაცემზე დაყრდნობა, სხვათა მიერ სტენოგრაფიულ ოქმდაც რომ იყოს გაფორმებული, თუნდაც, ხელმოწერილ-ბეჭდვით დატყუებულიც კი?

(იხ. ბმული: <http://galaktion.ge/?page=Diaries&year=1947&p=1&id=6861>).



სხვათა მიერ, მოგონებების სახით გადმოცემული, მემორიალური მასალა რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკური, ობიექტურ-სუბიექტური წყაროა, მოტივთა, ხედვა-ინტერპრეტაციათა, მეხსიერებით ცდომილებათა და ა.შ. მთელ სიმრავლეს რომ შეიცავს და კვლევისას უტყუარ დოკუმენტად არ გამოდგება ან ყოველ შემთხვევაში, დიდი სიფრთხილთაა გამოსაყენებელი, – ეს ხომ ცნობილი ამბავია!

ამ პრობლემას არცთუ იშვიათად აწყდება ამა თუ იმ ავტორის ბიოგრაფიის რეპროდუცირებისას, მისი „ფაქტობრივი“ მონაცემების, როგორც შემოქმედების ამა თუ იმ ასპექტის ამხსნელ-გასაღებად გამოყენებისას ქართული ლიტმცოდნეობა.

კითხვაზე – მუდამ სანდოა თუ არა თვით ავტორისეული ნათქვამ-ნაწერიც კი, როგორც წყარო? თუნდაც გალაქტიონის მდიდარი არქივის მონაცემთა გათვალისწინებით, მე ვიტყვი, რომ – არა! და ფსიქოლოგია-ფსიქიატრიაში ამას თავისი ახსნა აქვს.

* * *

ზოგადად, საქართველო, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა, მათ რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საზოგადოებრივად, ალკოჰოლური ინტოქსიკაცია, ქრონიკული ფორმითაც კი – დაავადებად არ მიიჩნევა; თავისებური გამამართლებელიც კი არის ამა თუ იმ კანონდარღვევისა საზოგადოებაში. „მთვრალი კაცი – კაი კაცი“ – გაიგონებთ ხშირად.

რალა დროს ალკოჰოლის ამბები, ან თუნდაც ნიკოტინისა, ნარკოლოგიური პრობლემები უდგას ქვეყანას მთელი სიმწვავეით – მეტყვის ვინმე.

კი ბატონო, მსმენია!

მაგრამ მიუმატეთ ალკოჰოლიზმს ალცჰაიმერის, დემენციის ადრეული ფაზების გამოვლენათა შემთხვევებიც და თითქმის სრული პაკეტი გამოვა უამრავი კრიმინალის მოტივთა ასახსნელად.

თუმცა სად – კრიმინალი და სად – ლიტმ-ცოდნობა!

სულ სხვა – არა ჩვენი კომპეტენციის სფეროს მივადექით

ბრუნე უკან!

* * *

იტყუებიან თუ არა პირები, რომელნიც რეალურად არმომხდარ ამბავთა გადმოცემისას გულწრფელნი არიან?

საქმე ისაა, რომ, როგორც მეცნიერული გამოკვლევები გვარწმუნებს, ისინი კი არ იტყუებიან, საკუთარ წარმოსახვას რეალობისგან ვერ მიჯნავენ და მას უტყუარ რეალობად აღიქვამენ.

ისევე რეალურად განიცდიან მას, როგორც ნამდვილად მომხდარს და აქ გარეშესათვის კი არა, თვით კონკრეტული პირისთვისაც ძნელია, გამორკვევა და გამოიჯვნა გარემო საშიშროებისაგან თვითგადარჩენის მოტივით ნათქვამი სიცრუისა და წარმოსახვისა.

ეს მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ადრეულ ასაკში განცდილი, პოსტტრამატიული მიზეზითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. ეს ტრამა კი თავისი მხრით, ფსიქიკურიც შეიძლება იყოს და ფიზიკურიც.

* * *

თვით ყველაზე რეალისტურ მწერლობასაც კი საქმე წარმოსახვასთან და გარკვეული დონით, გამონაგონთან აქვს, ამას განაპირობებს თუნდაც ვერბალიზაციისა და ლიტერაციის ფენომენი, ენა.

მაგრამ ეს არის შემოქმედებითი, მხატვრული წარმოსახვა, გამონაგონი. შემოქმედებითი აბცესის მდგომარეობის მიუხედავადაც კი, სალი ფსიქიკის მქონე ავტორს შესწევს უნარი, გამოაღწიოს, ასე ვთქვათ, დროებითი, „ნებაყოფლობითი სიგიჟის მდგომარეობიდან“ და კვლავ გაწონასწორდეს. დარღვეული, უკვე დაავადებული ფსიქიკის პირობებში ეს შეუძლებელია და შეიძლება ვთქვათ, ამით განსხვავდება „შემოქმედებითი სიმამაგე, სიგიჟე“ ავადმყოფობისაგან.

ეს გარეგნულად ძალიან ჰგავს იმას, რასაც მეცნიერნი კონფაბულაციას უწოდებენ. თუმცა ძირეულად განსხვავდება მისგან. მაგრამ ეს უკვე ძალიან ღიდი თემაა და ერთ ფეისბუქურ პოსტში გაშუქება – წარმოუდგენელია.

უძვობესია, გავარკვიოთ, რა არის კონფაბულა-

ცია. გავეცნოთ ტერმინის მნიშვნელობას!

თარგმნისგან რომ თავი „გადავირჩინო“, სიმარტივისთვის ქართულ ინტერნეტწყაროს მოვიხიშობ.

იგი წარმოდგენას კი გვიქმნის, თუმცა ვერ ვიტყვოდი, რომ სავსებით ასახავს საგანს მაგრამ სალექსიკონო განმარტებას ეს ხომ არც მოეთხოვება. ჩვეულებრივ, მას თავისი „გაცნობითი ფუნქცია“ აქვს:

კონფაბულაცია – (confabulation) მეხსიერების დარღვევა, რომელიც აღინიშნება ნათელი ცნობიერების ფონზე და ხასიათდება ცრუ მოგონებებით წარსულ მოვლენებსა და საკუთარ გამოცდილებაზე. ცრუ მოგონებები, ჩვეულებრივ, ცუდად ორგანიზებულია და იმისათვის, რომ მათი პროვოცირება მოხდეს, აუცილებელია დამატებითი სტიმული; იშვიათად, შეიძლება იყოს მყარი და სპონტანურად აღმოცენდეს; ზოგჯერ აქვს გრანდიოზულობის ტენდენცია. ჩვეულებრივ, კონფაბულაცია აღინიშნება ორგანული ამნეზიური სინდრომების (მაგ., კორსაკოვის სინდრომი) დროს. მისი გამოჩენა და განვითარება შეიძლება იატროგენულ ბუნებას ატარებდეს. არ უნდა მოხდეს მისი აღრევა შიზოფრენიისათვის დამასხასიათებელ მეხსიერების ჰალუცინაციებთან ან pseudologia fantastica-სთან (Delbruck-ის სინდრომი)“.

<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>

დამატებით განვმარტავდი, რომ აქ ნახსენები „კორსაკოვის სინდრომი“, რომლის შესახებაც დაინტერესებულ პირს ინტერნეტშიც შეუძლია მოიძიოს კონკრეტული მასალები, სწორედ ალკოჰოლიზმს უკავშირდება.

აქ კი კვლავ ქართული ლექსიკონიდან ვდებ განმარტებას:

„კორსაკოვის ფსიქოზი – (Korsakov psychosis) სინდრომი ხასიათდება მეხსიერების მნიშვნელოვანი და მყარი დაქვეითებით. იგი აერთიანებს უახლეს მოვლენებზე მეხსიერების გამოხატულ დარღვევას, დროში ორიენტაციის დარღვევას და კონფაბულაციებს. სინდრომი აღენიშნებათ ალკოჰოლური დამოკიდებულების მქონე პირებს მწვავე ალკოჰოლური ფსიქოზის (განსაკუთრებით, delirium tremens-ის ანუ თეთრი ცხელების) გადატანის შემდეგ ან, უფრო იშვიათად, ვითარდება ალკოჰოლური დამოკიდებულების სინდრომის ფარგლებში. ჩვეულებრივ, თან ახლავს პერიფერიული ნევრიტები და შესაძლოა შერწყმული იყოს ვერნიკეს ენცეფალოპათიასთან. პირველად კორსაკოვმა აღწერა 1889 წელს“.

* * *

ვფიქრობ, ეს ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ტერმინი დაგვეხმარება არაერთი ლიტმცოდნეობითი პრობლემის არსში გასარკვევად.

მეტადრე, გალაკტიონის შემოქმედებისა და ბიოგრაფის არაერთი ბუნდოვანი მომენტის ასხსნაში. თუნდაც „მერის ციკლის“ ლექსებისა და ავტორისეული მოგონებების ასპექტთა გარკვევაში, მაგალითად, გასაგები გახდება, ტყუილი თქვა, თუ კონფაბულაციის წყალობით, მართლაც რეალობად განიცადა პარიზში 1935 წელს წარგზავნილმა ეს წარმოსახული შეხვედრა და, შესაბამისად, ყველად კიდევ, როგორც რეალობას.

პოეზია

მარი ანანა საღლობელაშვილი



ჭიამაია

ჭია, ჭიამაია,
 ხვალ როგორი დარია.
 გარეთ თებერვალია,
 მაინც არ მიხარია.
 იქნებ დარდის ბუგრების
 მექცეთ ლარვად, ჭუპრებად.
 მარტო, რად მეშუქრები
 ან შენ ვინ გეშუქრება?
 გაზაფხულს თუ მივატან,
 ამ ზამთრს თუ მოვიღვე,
 მაპოვნინე ჭია და
 მე დედას გაპოვნინებ!..

აბსურდული აქსიომა

მე არ შემიძლია
 ღამეს გათენება მოვთხოვო,
 თუმცა შემიძლია ჩამოვვდე აივანზე,
 თვალგახელილმა ვუცქირო ცას მანამ,
 სანამ არ გათენდებოდა
 და თუ მაინცდამაინც
 საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავ,
 თავი დავაჯერო,
 მე რომ ვარსკვლავები არ დამეთვალა,
 არც კი გათენდებოდა...
 მე არ შემიძლია
 შენ ერთგულება
 გაიძულო,
 თუმცა შემიძლია გავირინდო აივანზე,
 თვალდახუჭულმა ვუცქირო გზას მანამ,
 სანამ არ დაბრუნდები
 და თუ მაინცდამაინც
 საკუთარი თავის სიბრალული შემაწუნებს,
 თავი დავაჯერო,
 ღალატი რომ გდომოდა,
 არც კი დაბრუნდებოდი...
 მე არ შემიძლია
 სიცოცხლეს მარადიულობა გამოვთხოვო,
 თუმცა შემიძლია ბოლთას ვცემდე აივანზე,
 ვუთვალთვალო წლებს მანამ,
 სანამ არ დავნაოჭდები
 და თუ მაინცდამაინც
 საკუთარი თავის უძიურება შემაწუნებს,
 თავი დავაჯერო,
 მე რომ არ მდომოდა დაბერება,
 მარადიულად ვიცოცხლებდი...

* * *

გულო, როგორ გაცოცხლო,
 როგორ გადავაცოცო
 ეს დღეები, ფაფხურა...

მიწას როგორ მივება
 ნარცისებად, იებად,
 თუ არ გამოზაფხულდა...

არც მიწაა, არცა ცა...
 მე, ქურდმა და ბაცაცამ,
 ზამთარგანაკვირვები

სევდა როგორ დაგნაცრო...
 მწეო, როგორ დავცანცლო
 სხივები – ღიმილები...

ფერები პირადი შტრიხებით

ერთი კლასელი მყავდა,
 კვირის დღეების ამოცნობა
 მისი როლინგის ფერით შემქმნო:
 ორშაბათს ჭყინტი ყველისფერი როლინგი ეცვა,
 სამშაბათს – მწიფე პომიდვრისფერი,
 ოთხშაბათს – ბადრიჯნისფერი,
 ხუთშაბათს – ფორთოხლისფერი,
 პარასკევს – სალათისფერი.
 ჩემი პედანტი კლასელი
 მისდაუნებურად
 ჩემს წარმოსახვასაც ასაზრდოებდა.
 ფერებისა და დღეების მიხედვით ვოცნებობდი,
 სამსახურიდან შინ დაბრუნებული დედა
 რა გემრიელობებს დამახვედრებდა..
 არაფრით ჰგავდა
 ჩემი კლასელის როლინგის ფერი
 შინ დახვედრებული კერძის ფერს, –
 ის მუდამ ერთფეროვანი იყო
 და მწაკე გემო დაჰკრავდა,
 დედაჩემის ცრემლისფერი.
 ჩემი ტანსაცმელიც შავ-თეთრი იყო
 და სულ მიკვირდა,
 რატომ ვიყავი სანიმუშო ჩემი ჩაცმულობით.
 ფერადი ხომ მხოლოდ სიწმრები მეცვა.
 ერთხელფერა დღეს
 ახალი კაბით წავედი სკოლაში.
 მასში ყველა ის ფერი იყო
 თავმოყრილი,
 რომელსაც ჩემი კლასელი
 დღეების მიხედვით იზოგავდა.
 ჩემი ფერადკაბისფერი დღე
 თვალისდახამხამებაში განდა
 იმედგაცრუებისფერი.
 ჩემი ახალი, ფერადი კაბა
 უცებ განდა ჭრელა-ჭრულა და
 სკოლისთვის შეუსაბამო.
 ჩემი ყველაზე ფერადი კაბა
 დედამ იმ ნაჭრიდან შემიკერა,
 იატაკის ჩვრად სამსახურში რომ მიიტანა
 მისმა თანამშრომელმა.
 დავრწმუნდი,
 დედას რომ ის ჩვარი არ მოეპარა,
 იქნებოდა ყველა დღე ერთფერი
 და ვივლიდი შავ-თეთრი ტანსაცმლით,
 რომელსაც ტალეხად
 ჩემი ფერადი სიწმრები დაემჩნეოდა,
 ფერთომოქულებისათვის უხილავი...

კბილმოკვეთილთა საკითხავი

ბებერი მუხის ტანმსხვილ სხეულში
იმდენი ლურსმანი დავთვალე,
რამდენჯერაც ჩემი სევდანარევი გული,
ჯერ კიდევ დასაბადებელი, შეკოწიწებულა.
გალიფლიფებული დედაჩემი,
მეხუთედ გუნებანაქცევი,
ამჯერად ჩემზე,
თვალუფიშმატა, ცხარე დიდელას,
ხელებაკარწახეულს,
ქვა და ლურსმანჩაბლუჯუღს,
მავანზე გაწიწმატებულს,
ემუდარება, წყევლა არ ჩააჭედოს
ბებერი მუხის ტანმსხვილ სხეულში.
გუნებანაქცევ დედაჩემს და
ოდის კუწუბზე წამომჯდარ მზეს
ზუსტად ერთნაირად ეწვით სახე.
ბებერი მუხის ტანმსხვილ სხეულში
თავკომბალა წყევლა ლურსმნად ერჭობა.
დიდება კმაყოფილია,
დედა – ნაადრევად მუცელწამოტკივებული.

დედას თავიდან უვარდება
გვირილებიანი ყვავილწული.
დიდება უფალს უჯავრდება,
მეხუთე გოგონა დამიწუნა.
წყევლამოყვარული, თვალუფიშმატა
დიდება გამიმეტებს ჭირკოდილას.
მე კი ბევრ თებერვალს გავიმარტებ,
გამოვიზოგავ და ვიმყოფინებ.

ვერასდროს ნანახ შვილის სევდას,
ვითომ შვილმკვდარი დედაჩემი
გადაყვება და დაილევა.
და მე, ბევრგაზაფხულგამოვლილი,
და მე, ბევრზამთარნამცივნები,
უსახელო დედის საფლავმაძიებელი,
როცა ნასახლარ ეზოს სუნით ამოვიცნობ,
როცა მოლოდინადქცეულ ბებერ მუხას ჩავეხუტები,
ჩაჟანგებულ ლურსმნებს – ვადაგასულ წყველებს
თითო-თითოდ ამოვაცლი
და ბებერსევდიანები,
თითო-თითოდ განვიკურნებთ.

უ-შენობა

შეხე, მორყევი იატაკი
ხვალეს, ღრუბლებზე რომ მიშენებდი.
ახლა იმ სიზმარეთს მილატაკებ,
უხვად რომ მიმკობდი, მიმშვენებდი.
როცა მოვახიე ყვითელგულას
შენზე ორჭოფობით – სამოსელი,
„არა-კიმ“ ზღაპრულად გიერთგულა
და მეც სარეველა გამოვცელე.
ფრთები თეთრ ფარდაგად დაგიფინე,
შენ კი დამილაძე ნაფეხურით.
სიტყვა ჩიტებივით დაიფრინე,
გულზე დოლაბივით დამეხურე.
დღეს კი წვიმა არის ჩემი ჭერი,
ხსოვნა მცვივა დამჭკნარ ფოთოლივით
და მეც უშენობას შევიფერებ,
ღრუბლის ხუხულაში მოყოლილი...

* * *

ხეებსაც სცვივით დამჭკნარი დარდი,
მეუზოვნი ქუჩებს ვარცხნიან.
შენ კი უცვლელად დამყვები, დამდეგ
და გგრძნობ მარცხნიდან.

ფოთოლშემხმარი ხეები თვლემენ,
ერთმანეთს სცვლიან ეს ამინდებიც.
შენი პირველი დანახვის შემდეგ
ისე მჭირდები,

როგორც ნაზამთრალ მიწას იები, –
გამოზაფხულის პირველნიშანი.
მე როცა ძლიერ წამომტკივდები,
არაგიშავდეს...

ფუტკრის ლოცვა

„აგუნა, მაგუნა, ჯგერაგუნა დიდებულო“...

ჯგერაგუნას ფუტკარო,
შენს შვილს ლოცვად უთხარო: –
„ანანთვარას მალლობზე
დედები რომ სახლობენ,
სხვაში არ აგერიო,
თუნდაც თაფლი ერიოს,
ფიჭვისა და იელის,
თუნდაც დარჩე მშიერი“.
უთხარ, – „გზანი გუმისთის
მიყვარს შენი გულისთვის.
აკუნ-იფა ხათაყვამ
მხანა და დარდს გადაყვა.“

განა ვიყავ უგულო,
ჩემი მუხის ფულურო
ავავსე და მოვბურე
ჩემი იბლიშ თოფურით“.
ჯგერაგუნას ფუტკარო,
შენს შვილს ლოცვად უთხარო: –
„უფრო ცოტა ვიფიცხე,
უფრო მეტი ფიჭვის ხე
დავაპურე ფიჭვით;
გამიფანტე იჭვები,
ანანთვარას მალლობზე
დედები რომ სახლობენ,
სხვაში არ აგერიო,
თუნდაც თაფლი ერიოს,
ფიჭვისა და იელის,
თუნდაც დარჩე მშიერი“.
ჯგერა, დედა-ფუტკარო,
შენს შვილს ლოცვად უთხარო: –

„ციაცა და ჩანაცა
ზამთრის სუსხმა ჩანაცრა.
ბევრი ცრემლი მოხარმა
გულმა ჩემმა საკირემ.
შვილო, გალენ ორთაშას
როცა გავინაპირებ,
ანანთვარას მალლობზე,
ხეობაში გუმისთის,
განსოვდეს, რომ ვსახლობდი,
მხოლოდ შენი გულისთვის“.

მალხაზ საჯანია



კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ვაჟასეულად

პატრიოტი ვარ მამულის,
ქართველი მიყვარს რჩეულად,
რა ვქნა, კოსმოპოლიტიზმი
მესმის მე ვაჟასეულად.
ყველამ იხაროს მამულში,
რაც უწილხვედრა უფალმა,
სხვა ერის კეთილმყოფელი
მუდამ გველოდეს სტუმრადა.
ყველა ქვეყნის შვილს პატივს ცვემ
და-ძმად მივიღებ ყველასა,
ვინც არ გამინღერს მე მამულს
და არ წამართმევს ენასა.

დავით აღმაშენებელს

სწორება თქვენზე ბევრსა აქვს,
თუმც ვერ გწვდებიან ცოდვანი,
ცუღს აკეთებენ დღეს ბევრნი,
კარგს, სამწუხაროდ, ცოტანი.
გავერთიანდეთ საზღვრებში,
ხომ გავიხარებთ ამით,
ღმერთმა ქნას, თქვენმა ტოლსწორმა
ქვეყნისთვის შეგკერას, დავით.

ნეტავ, რა უნდა წვიმას...

ცა შეისუდრა შავად,
ქარი, აწვალებს ვარდს,
როგორც ღრუბელი წვიმას,
მე დავატარებ დარდს.
რაშზე შეგდება გიორგი,
ნალი ატეხავს გრგვინვას,
ქუჩაში მივალ კენტი
და ველოდები წვიმას.
ეჰ, რას მოიტანს იგი,
არმოსულსა და ახალს,
ქუჩაში წვეილი მიდის,
მე კი – კვლავ კენტი დავალ.
ვიღაცას ეძებს ქარი,
მე კი დავეძებ იმას...
ასე რომ მოიჩქარის,
ნეტავ, რა უნდა წვიმას.

ჩემთვის ძვირფასი ოთხი ქალაქი

სენაკში 7 წელი ვიყავი გამომძიებელი და 3 წელი პროკურორის მოადგილე, მარტვილში 5 და წყალტუბოში 10 წელი პროკურორი.

ბოლო 5-5 წელი ვიყავი ჯერ იმერეთის, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის მოადგილე. აქედან ვარ ორის – სენაკის და წყალტუბოს საპატიო მოქალაქე.

ჩემი სენაკი, მარტვილი,
წყალტუბო და ქუთაისი,
ჩემშია შეწყვილებული,
ვით აისი და დაისი.
ჩემი სენაკი, მარტვილი,
წყალტუბო და ქუთაისი,
მე იმათ უხილველობას,
ღმერთი ნურასდროს დამიშლის.
ჩემი სენაკი, მარტვილი,
წყალტუბო და ქუთაისი,
ყველა დღითიდღე მშვენდება,
ყვავილობს ვითარც მაისი.
სენაკში ქუჯის ქედს ვუხრი,
მუხლს ვუდრეკ მარტვილს, ჭყონდიდელს,
წყალტუბოს – მღვიმეს „პრომეთეს“,
ქუთაისს აღმაშენებელს.
ტენური არტერიაა,
სენაკისა და მარტვილის,
რიონი წყალტუბოს სტუმრობს,
შემდეგ ქუთაისს გაივლის.
ოთხივე ქალაქში თანაბრად,
ძმობის დროშები ფრიალებს,
და ჩემი გულიც ოთხივეს,
თანაბრად აერთიანებს.

სიმონ ჩიქოვანს

სიმონ ჩიქოვანის მეუღლემ, მარიკა ელიავამ, რადგან იცოდა, მთაწმინდაზე მეუღლის გვერდით ვერ დაკრძალავდნენ, ანდერძი დატოვა, მისი ფერფლი სიმონის საფლავზე მოეყარათ; რაც შეუსრულეს.

გარდა იმისა,
რომ ხარ პოეტი,
დიდი თავადი,
ნამდვილი დენდი,
ტრფობაც ისეთი
გარგუნა ბედმა,
როგორსაც, ნაღდად,
იმსახურებდი.
ზეცადაც ერთუროს
მხურვალედ ეტრფით,
სულს ამაღლებულს,
მიჯნური ჰქვია...
მკერდზე დაყრილი
მარიკას ფერფლი
დღემდე საფლავზე
ამოდის იად.

ვარდის ცრემლები

ცრემლები, ცრემლები, ცრემლები... საიდან მოდიან ამდენი. სიკვდილი თანდაყოლილი სნეულებაა, იგი მემკვიდრეობით გადმოგვცემს და არავინ იცის, როდის გაგვათავებს. რა კარგია, ვისაც ეღირსება დამშვიდებული სიკვდილი. მე არაფერი მინდა, თუ მოვკვდები, ნამდვილად ვიცოდე, ვუყვარვარ თუ არა ვინმეს და რისი გულისთვის ვკვდები. მარად შენი მადო (ბაია). 09.01.1987 წ. (ამონარიდი მადონას მიერ ჩემთან გამოგზავნილი ბარათებიდან).

უფალმა ქვეყნად
ცრემლით მოგიყვანა,
მხოლოდ სიყვარულით,
კარგო, გაინარე...
ტკივილნარევი
ცრემლით წაგიყვანა,
მანამდეც ცრემლად
ბევრჯერ დაიღვარე...
ამქვეყნად
ტანჯვის სამაგიეროდ
მე უფალს შევთხოვე
და ვევედრები,
რადგან სიყვარული გაზიარა...
სამოთხეს შეწყდეს
ვარდის ცრემლები.

შეწყვეტილი სიმღერა

ალექსანდრე საჯაიას


გამიგონია, რომ ჩემს სოფელში
წყარო დიოდა, თურმე, ანკარა,
ვიღაცას იგი ამოუქოლავს,
მისი დინება მერე დამშრალა.
ამოუხეთქავს წყალს თურმე სხვაგან,
ვით უკვდავება, ის არ შემწყდარა,
დღესაც ჩუხჩუხებს, ლიკლიკებს წყარო,
უფრო ცივი და უფრო ანკარა.
ასეთი არის ჩვენი ცხოვრება...
შენაც გამოჩნდი, ვით უკვდავება,
ბრმა სიკვდილმა კი ადრე მოგცეღა,
ხალას სიმღერის დაუმთავრებლად.
პოეზიის მზით იწვოდი, ძმაო,
და მით მორჩილი იყავი ბედის,
მაგრამ, ეჰ, შეწყდა სიმღერა შენი,
როგორც შეწყდება სიმღერა გედის.
მწამს, არ შემწყდარა ლექსთა ჩანჩქერი,
ვით არ ილღვა იმ წყაროს დენა,
აჰა, მოვდივარ შენი მოგვარე
და მე განვაგრძობ, შეწყვეტილ მღერას.
ამ ლექსს რომ ვწერდი, მზე იცინოდა,
არ მაშორებდა მზერას მაღლიდან,
მეკითხებოდა, ვინლა არისო,
რამ ჩაგაფიქრა? სიცოცხლე მაყრიდა...
მე მზეს ვუამბე შენი ბავშვობა,
მერე კი... წლები როგორ გავიდა,
მზეს შერცხვა, რად არ გამახსენდაო,
გაწითლებული... ნელა ჩავიდა.

ნუ მოსთხოვ, რასაც ვერ შეძლებს

სიყვარულს ნუ სთხოვ სიძულვილს
და ნურც სიძულვილს – სიყვარულს,
სინარულს ნუ სთხოვ დამწუნრდეს,
ნურც მწუნხარებას – სინარულს.
არა კაცს კაცობას ნუ სთხოვ,
არა მართალ კაცს – სიმართლეს,
დღეს ნულარ მოსთხოვ სიბნელეს
ან უკუნ ღამეს – სინათლეს.
მდინარეს ნუ სთხოვ შეჩერდეს,
მთას არ მოსთხოვო ბარობა,
ბულბულს მოსთხოვე, იმღეროს,
ყვავს არ მოსთხოვო გალობა.
მომღერალს ნუ სთხოვ ტირილს და
ნურც მგლოვიარეს – სიმღერებს,
ნურც არაგულწრფელს – სიწრფელს,
გულწრფელს მოსთხოვე სიწრფელე.
ღელეს აცალე დაწმენდა,
ძალით ნუ აამღვრევიანებ,
უნამუსო კაცს, უღლეურს,
დღეს ნულარ დაათვლევიანებ.
მღერა აცალე მომღერალს,
ლექსის თქმა – პოეტს, მგოსანს.
ლოცვა აცალე მეუფეს,
რადგან ის გულით გვლოცავს.
ემმა ჩვენს ცოდვებს კინძავს,
არად დაგიღვეს სხვის ჯავრს,
ღმერთი კი მისგან გვიცავს,
გვატარებინებს მის ჯვარს.
ნუ მოსთხოვ, რასაც ვერ შეძლებს,
მოსთხოვე, ვის რაც ძალუძს,
უნდა იფიქრო მერმისზე,
ვერ მოაბრუნებ წარსულს!..

სითეთრე

ბედს საკუთარს
ემღურებ ბევრნი,
ბედს საკუთარს
არ ემღურის ცოტა,
პირველთ უნდათ,
ჰქონდეთ კიდევ ბევრი,
მეორეთ კი –
კიდევ ჰქონდეთ ცოტა.
სულერთია,
იპოვნიან მაინც,
ყველას ბედი
სადღაც ელოდება,
დამრჩენია
რამდენიმე წელი,
ჩემი წილი მიწა
მე უკვე მელიდება.
როგორც ნუშებს,
შემეპარა თეთრი,
თეთრი უკვე
გამერია გულშიც,
გულში თეთრმა
დამაშინა მე და
ის კი...
ბელნიერი
იმით არის ნუში,
გათეთრება
არ აშინებთ ნუშებს.



ნინოლო



„მთვარეული ესკიზები“

ნინო ლორთქიფანიძის წიგნის –
„მთვარეული ესკიზების“
ჰერმენევტიკული ანალიზი

პირველი, რითიც აუცილებლად უნდა დავიწყო, არის ჩემი გაცემა და კმაყოფილება წიგნის ავტორის – ნინოლოს, ანუ ნინო ლორთქიფანიძის განსწავლულობაზე ფილოსოფიაში, თეოლოგიაში, კულტუროლოგიაში და მითოლოგიაში.

მე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სპეციალისტი განსწავლავართ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არცერთ თანამედროვე ქართველ პოეტთან (გიორგი ლეონიძის გარდა) არ შემხვედრია ასეთი დიდი ცოდნა ჩამოთვლილი სფეროებისა. ამას როცა ვამბობ, პირველ რიგში, ვგულისხმობ ავტორის შესავალ წერილს, პროზაულად დაწერილს – „მთვარე როგორც წერტილი“ (ჰერმენევტიკული ბიოგრაფია), ანუ ნ. ლორთქიფანიძის ავტობიოგრაფიას.

პოეტური კრებულის პროზაულ შესავალში მოთხრობილია ერთი კრეტელი გოგონას (როგორც აღვნიშნე, თვით ნინო ლორთქიფანიძის) შესახებ, რომელსაც ულამაზესი თვალები და კოლხური გამოქცევულება ჰქონდა. მას სახელად ილითია ერქვა. ილითია ძველი ბერძნული მითების ერთ-ერთი ქალღმერთია, მელოგინეთა და ჩვილი ბავშვების მფარველი ღმერთი. მისი მშობლები ზევსი და ჰერა იყვნენ. მას, როგორც ითქვა, ულამაზესი კოლხური თვალები ამშვენებდა. აშკარაა, რომ ილითია რომელიმე რეალური (კონკრეტული) პიროვნება არაა. მასში შერეულია რეალურიც და მითოსურიც.

ილითია საკმარისად უცნაური ადამიანია. მას განსაკუთრებით უყვარს მთვარე. მთვარე მისთვის სულია. „მთვარემ აავსო მზით ჩემი სული“ – ამბობს პოეტი, ან კიდევ: „მთვარის ბალი – ეს ჩემი სახლია“. აკი ამიტომაც წიგნსაც „მთვარის ესკიზები“ ჰქვია, წიგნის გარეყდაზეც მთვარეა გამოსახული.

ილითია დაბადებიდან მთვარეს უღიმოდა და ეალერსებოდა. იმთავითვე, ზეცასთან ჰქონდა მედიტაციური კავშირი. არავინ იცოდა, რა ენაზე ელაპარაკებოდა ილითია მთვარეს, მზეს და ვარსკვლავებს. კუნძულ კრეტაზე დაბადებული ილითია კარგად იცნობდა პიკასოს (ქრონოლოგია, ცხადია, დარღვეულია).

ილითიამ სიყვარული იცოდა და ირგვლივ მხლოდ სიყვარულს ეძებდა. განსაკუთრებით უყვარდა ჩვილები და ფეხმძიმე ქალები. მას ასევე უყვარდა ლიტერატურა. შეიძლება ითქვას, რომ პოეზიით და მუსიკით იკვებებოდა.

ილითია სიყვარულს ალევგორიულად ბუნებაში

ხედავდა. მისთვის ყველაფერი განსულიერებული იყო. მან იცოდა, რომ დედამიწა მოაზროვნე გონი იყო. ყველაფერი აზროვნებს, ყველაფერს სული აქვს, ანუ ყველაფერი ცოცხალია. აზროვნებენ ქვეები, ხეები, წყლები, ფრინველები, ცხოველები, მცენარეები, მწერები და, საერთოდაც, ყველაფერი მთელ დედამიწაზე.

ილითია, მართალია, კუნძულ კრეტაზე დაიბადა, მაგრამ მას ულამაზესი თვალები და კოლხური მზერა ამშვენებდა. აშკარაა, რომ ილითია, ანუ ნინოლო, იგივე პოეტია, ოღონდ ნახევრად მისტიკური, ნახევრად ადამიანური. მასში რეალური და მითოსური ერთად არის შერწყმული-შენივთებული. ულამაზესი კოლხური თვალები მის ქართულ წარმომავლობაზე მიანიშნებს, მიანიშნებს იმაზე, რომ იგი ვაჟა-ფშაველას „გორისა“, მისი შთამომავალია, ამიტომაც სულაც არ გიკვირს, რომ ისიც ვაჟა-ფშაველასავით აცოცხლებს ბუნებას,

ყველაფერი განსულიერებულია, ყველაფერი ცოცხლობს და ხარობს, ვაჟა-ფშაველამდე დიდი ხნით ადრე ამბობდა უბრალო ქართველი გლეხი: „ხემ გაიხარა“, „მზე იცინის“ ან „ზღვა დელავს“, „ბალახი გახმა“, „ყვავილმა მოიწყინა“, „სიო ველთა ზღაპარს მეუბნება“ და მრავალი სხვა.

ილითია ზოგჯერ სხვა პლანეტიდან ჩამოფრენილად აცხადებს თავს. ამით იგი ჰგავს ანტუან დე სენტ ევზიუპერის პატარა უფლისწულს (წიგნის ავტორი თავადვე ახსენებს მას). ილითია იმასაც ამბობს, რომ „რაკი მე ვარ სულიწმინდაში, სული არისო ჩემში“. მაგრამ რეალური ადამიანი მარტო სული არაა. აქ სული სხეულთან ერთადაა, ოღონდ სულისა და სხეულის ერთიანობაში სულია მთავარი. ასე ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ამბობდნენ და მათ ჰილოძოისტებს ეძახდნენ. გავიხსენოთ: იმ დილით, როცა სოკრატეს საწამლავი უნდა დაეღია, ჩვეულებრივად მშვიდად იყო და ასევე მშვიდად ელაპარაკებოდა თავის მოწაფეებს. ერთ-ერთმა რომ ვეღარ მოითმინა და ჰკითხა საყვარელ მასწავლებელს, რატომ არის ასე მშვიდად, ნუთუ სიკვდილის არ გეშინიაო, სოკრატემ მას შეახსენა, რომ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა სულის განსვლა, განთავისუფლება სხეულისაგან და აქ სამიში არაფერია, პირიქით. ამიტომ ფილოსოფოსს კი არ უნდა ეშინოდეს სიკვდილის, არამედ უნდა ესწრაფოდეს მას. ჩვენი პოეტი ქალბატონიც ასევე ფიქრობს. ამ საქმეში იგი სოკრატე-პლატონის მიმდევარია. შესაბამისად, „მას ცა იზიდავს“, „არა აქვს სურვილი ჰმონებდეს სხეულს“. „მე არ ვარ მიწა“, – ისმის პოეტის პროტესტი.

ამ უცნაურ არსებაში ყველაფერი უცნაურია. უცნაურია მისი პოეზიის თემატიკა, პრობლემატიკა. განსხვავებულია მისი ხედვა, მისი მსოფლმხედველობა. ამიტომაც, თუ სხვა პოეტებთან თითქმის ერთნაირი თემატიკაა, აქ მდგომარეობა სხვაგვარია. თუ სხვა პოეტები უძღვრიან სიყვარულს, მშვილობას, მეგობრობას, ბუნებას, სამშობლოს, მთებსა და ველებს, ჩვენი პოეტი ცდილობს უპასუხოს კითხვებს: რა არის მთვარე? რა არის სული? ვინ არის ღმერთი? რა არის ლექსი? რას ნიშნავს – იყო პოეტი? „ვინა ვარ მე?“ ვინ არის ქართველი? რატომ არის ქართული დამწერლობა მსოფლიოში გამორჩეული? რა ენაზე, რომელი ანბანით წერდა იესო? რომელი სიტყვები და სიმღერებია შექმნილი ღმერთის ჩარევით და მრავალი სხვა.

პოეზია, რომელსაც ნინო ლორთქიფანიძე ქმნის

ინტელექტუალური პოეზიაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი პოეზია ყველასთვის გასაგები და მის-
ალები ვერ იქნება. მას მომზადებული მკითხველი
სჭირდება. ასეთი პოეზია, ცხადია, ქართველებსაც
აქვთ, მაგრამ მაგრძობლად ცოტა (ასეთად მე პი-
რადლად ნიკოლოზ ბარათაშვილის, ნატო ონიანისა
და ჯანსუღ კორძაიას პოეზია მიმაჩნია) და ის
მასიურ მკითხველს არ გულისხმობს. ეს იცის
ნინო ლორთქიფანიძემ, მაგრამ შეგნებულად მიდის
ამ გზით. ეს მისი არჩევანია. არავის აქვს უფლება,
სხვაგვარად წერა და აზროვნება მოითხოვოს მის-
გან. ბოლოს და ბოლოს, ინტელექტუალებსაც ხომ
სჭირდებათ თავიანთი სულიერი საზრდო.

რაკი ამაზე შევთანხმდით, მივყვით ავტორის
აზრთა მსვლელობას. პირველ რიგში – რა არის
მთვარე? – „მთვარე სულია“, „უსასრულობას
მთვარიდან ვერწყმი“, „მთვარის ბადეში წვეთივით
ვცხვორებ“, „მთვარის ბაღი – ეს ჩემი სახლია“,
„მთვარე შემოდის იდუმალ სახლში“, „მთვარემ
აავსო მზით ჩემი სული“, „ქვითინი მესმის შემ-
ლილი მთვარის“, „მთვარეს ვთხოვ, დამიფაროს“
და ბევრი სხვა.

შემდეგი: რა არის ლექსი? – ლექსი ქალბატონი
ნინოსთვის ყველაფერია – „მე ლექსით ვსუნთქავ“,
„ლექსით ვთენდება“, „მთელი არსებით ლექსად
ვინთები“, „ლექსს ვხედავ ირგვლივ“, „ყოველი არსი
ლექსით ითქმება“, „ლექსის ტარივი არის იესო“,
„ლექსია ქრისტე“.

რაც შეეხება პოეზიას, „პოეზია მიდის ღმერ-
თამდე“.

„იყო პოეტი, არის მისია,
ღმერთი და ლექსი მარადისა“;
„პოეზია ცაზე დიდია, როცა პოეტი არის
„მინდია“;

„ლექსი მაცოცხლებს, პოეზიამ თუ არ დამტოვა“;
„ღვთისმშობლის კალთა ლექსია თვითონ“;
„ლექსს იქით არავინ არის“;
„უპოეზიოდ სულში იწვიმებს“.

მივმართავ მკითხველს: კარგი ლექსი როგორ არ
წავიკითხავს?! შენ ხომ რუსთაველის და გალაკ-
ტიონის ერის შვილი ხარ, მაგრამ ლექსის ამგვარი
ნოტა სხვაგან შეგხვედრია?

შემდეგი თემა: ვინ ვარ მე? ლაპარაკია, ცხადია,
თავად პოეტზე:

„მე ჩამოვვარდი ამ პლანეტაზე“;
„მე ვარ ხმა, სიტყვა, ზეცამ წარმოშვა“;
„მწამს, რასაც ვფიქრობ“;
„მე არ ვარ მიწა“;
„ცხოვრება მიწაზე არ მსურს“;
„მიწიდან გასვლა მე მიხარია“;
„ჰო, გავცდი მიწას და ცა მიზიდავს“;
„ვიწამე მთვარე, მზე და შორი ცა“;
„მიწიერი ვარ, მაგრამ დროებით“;
„ჩვენ უნდა ვიშვათ ისევ თავიდან,
ლაჟვარდოვანი თეთრ ვარსკლავიდან“.

აქ, ცხადია, იმაზე ლაპარაკია, რომ სხეულით
დამძიმებულ სულის მრავალი დაბრკოლება ხვდება
იგივე სხეულისაგან. პირველ რიგში, ლაპარაკია ბი-
ოლოგიურ, ვიტალურ, სასიცოცხლო მოთხოვნილე-
ბებზე, რისგანაც სული სხეულისაგან დაცილების
შემდეგ ახერხებს განთავისუფლებას. როგორც
ზემოთ ვთქვი, აქ ჩვენი პოეტი სოკრატე-პლატონის
მიმდევარია.

შემდეგი თემა: ვინ არის ღმერთი? ღმერთი ის
არის, ვისაც ჩვენ უნდა მივბამოთ რწმენით, ჩვენი

ცხოვრების წესით – „სამარიტელს მივბამოთ რწ-
მენით“. ღმერთისგან უნდა ვისწავლოთ სიყვარული,
რადგან ღმერთი თავად სიყვარულია – „არ შეუქმნია
ღმერთს, ვიცი, ცული“. სად უნდა ვეძებოთ იგი?
მხოლოდ ჩვენს სულში – „უნილაგია სიცხადე
ღმერთის“. რაც შეეხება ქრისტეს ჯვარცმას, ეს
პოეტისათვის იგივეა, რაც ხნეობის ჯვარცმა, მისი
უგულებელყოფა კი – უხნეობის, უსინდისობის
აღვირახსნილობის გავრცელება.

ღმერთთან დაკავშირებით კიდევ ერთ უცნაურ
ამბავს აბობს ნინო ლორთქიფანიძე: „იესო წერდა
ასომთავრულით“ და „ასომთავრული ღვთით პირვე-
ლია“. ეს აზრი, ვფიქრობ, მარტო პოეტის ინტუიციის
ნაყოფი არაა. ქართული დამწერლობა, ქართული
ანბანი რომ უძველესი და უკარგესია, ამას დღეს
მთელი მსოფლიო აღიარებს.

რაკი ქართული დამწერლობის გამორჩეულობა
ყოველ ქართველს სიამაყის გრძნობით ალავსებს
(უნდა ალავსებდეს), მოკლე შევჩერდები ამ თემაზე:
ქართული მწიგნობრობა იწყება მეფე ფარნავაზიდან,
ანუ იგი დაკავშირებულია ქართული დამწერლობის
შექმნასთან და ქართველი ერის დამოკიდებულებას-
თან – ქართულ ენასთან, რომელზედაც იოანე-ზოსიმე
თავის „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაში“
ამბობს, რომ ქართული ენა არის ლაზარეს ენა,
რომლითაც მეორედ მოსვლის ჟამს უფალმა უნდა
ისაუბროს, „დამარხულ არს ენად ქართული დღემდე
მეორედ მოსვლისა საწამებლად, რადსა ყოველსა
ენასა ღმერთმა ამხილოს ამის ენითა“. ქართულ
ენას „ღმერთების ენას“ ეძახიან ჩვენი პოეტები.

ქალბატონ ნინოს ინტუიცია იმასაც კარნახობს,
რომ არის ქართულ მეტყველებაში რამდენიმე სი-
ტყვა, რომლებიც თავად ღმერთის შექმნილია. ეს-
ენია: „მრავალჟამიერი“, „სვეტი ცხოველი“, ხოლო
სიმღერებიდან – „წინწყარო“ და „იავნანა“.

ქვემოთ ჩამოვთვლი ზოგიერთ იმ უპირატესობას,
რაც ქართულ ენას გააჩნია სხვა ენებთან შედარ-
ებით: პირველ რიგში, ქართველებს, დიანაც, ემაყვებათ
ის, რომ მსოფლიოს 7 ათასამდე ენიდან მხოლოდ
16-ს აქვს საკუთარი დამწერლობა (აქედან სამი
ქართველებისა), ქართული ანბანი ერთ-ერთი ულა-
მახესია მსოფლიოში, რომ ყოველი ქართული ასო-
ბგერის ნიშანს თავისი შესატყვისი რიცხვი აქვს...

უძლიერესი სტიმული ქართული ენის ღმერ-
თების ენად მიჩნევას მისცა 2016 წელს, ნოემბერში
ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში ჩატარებულმა
იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის მთავ-
რობათამშორისი კომიტეტის მე-11 სესიის სხდომაზე
საქართველოს მიერ წარდგენილი ნომინაციის
„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი
კულტურა“ ერთხმად გამარჯვებამ და იუნესკოს
კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემ-
კვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანამ.
ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული
კულტურის ისტორიაში. გავითვალისწინოთ ისიც,
რომ თავად ეთიოპელებს, ე.ი. თავად მასპინძელ
ქვეყანას, საკმარისად ყარგი დამწერლობა აქვს.

სარეცენზიო წიგნში ყველა ლექსი ორი ქარ-
თული ანბანით არის დაბეჭდილი – მხედრულითა
და ასომთავრულით. ესეც ხომ ახალია, ორიგინ-
ალური. ჩვენ ხომ მხოლოდ მხედრულით ვწერთ.
საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხომ
ასომთავრული არ იცის, რაც მის თანდათანობით
დაკარგვას იწვევს.

უალრესად მნიშვნელოვანია ნინო ლორთქი-

ფანიძის სარეცენზიო წიგნის შექმნებით და აღმზრდელიობითი მნიშვნელობა. მე უბრალოდ ჩამოვთვლი იმ ფილოსოფოსებს, მეცნიერებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, რომლების ნახსენებია წიგნში. ესენია: ფილოსოფოსები: თალესი, პერაკლიტე, ემპედოკლე, რენე დეკარტი, პეგელი; დიდი მწერლები: გოეთე, დანტე, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, მარგარიტ მიტჩელი, ნაბოკოვი; დიდი კომპოზიტორები: შოპენი, მოცარტი, ვერდი. საგანგებო ლექსი ეძღვნება გამორჩეულ ქართველ ფერმწერს ილია პატაძეს. ეს ჩამონათვალი არა მარტო პოეტის მაღალ ინტელექტზე მიუთითებს, არამედ მკითხველის ცოდნის ამაღლებასაც უწყობს ხელს.

პოეტი ასევე ბევრს მსჯელობს თვითშექმნების საკითხზეც. როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, ახალშობილი ბავშვი ჯერ კიდევ არაა ადამიანი. ის ადამიანობის კანდიდატია მხოლოდ. კანდიდატობიდან რომ ჯერ ადამიანად, მერე კი პიროვნებად იქცეს, საჭიროა სწავლა, ცოდნის დაგროვება, შექმნება და თვითშექმნება.

არის ერთი თემა, რომელიც ძალიან ახლობელია ქალბატონი ნინოსთვის. ეს რუსთაველის თემაა. ოღონდ ამ თემაზე იგი, როგორც გონებაამაზველი მეცნიერი, ისე მსჯელობს, ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილის ახლებურად, ორიგინალურად და საინტერესოდ გაგებას. რუსთაველსავე ეძღვნება მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი – „მე რუსთველთან“.

როგორც რეცენზიის წამკითხველი მკითხველი ხელაგს, ქალბატონი ნინო მის ლექსებში ძირითადად მსჯელობს ზოგადფილოსოფიურ პრობლემებზე, რომელთაც ფილოსოფოსები ზედროულ და ზევრცეულ პრობლემებს ეძახიან, თუმცა ნინოლოს, როგორც „გარემოების საყვირს“, შეუმჩნეველი არ რჩება ის ნაკლოვანებები, რაც ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ წინსვლასა და წარმატებას უშლის ხელს.

მხოლოდ ორი ამონარიდის მოტანით დაკმაყოფილდები:

„მაცდუნებლები მრავლად არიან, დღეს ხომ ნიღბების კარნავალი“.

ცხადია, აქ ნიღბები მხატვრული სახეა – ფარისევლობის, თვალმაქცობის, სიყალბის, უზნეობის.

და მეორე:

„მთლად დედამიწა ტყუილში ინთქმება“.

იმ მრავალ შეგონებათა შორის, რომელსაც ქალბატონი ნინო გვთავაზობს, ჩემი აზრით, სამი უმთავრესია:

ნუ გვავიწყდება, რომ „ჩვენთან არს ღმერთი“, „მიწიერები ვართ, მაგრამ დროებით“.

„უნდა გვახსოვდეს სიკვდილი ყველას“.

ასეთია ამ უნიჭიერესი, მაგრამ საოცარი ქალბატონის წინამდებარე ლექსების კრებული. იგი დახუნძილილია სიბრძნით, შეგონებებით, სიკეთით, ადამიანებზე ზრუნვით, ღმერთის სიყვარულით, მომავლის იმედით, ბოროტზე კეთილის გამარჯვების რწმენით.

რეკავზ ბალანჩივაძე, პროფესორ-ემერიტუსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

პროზა

თეა ხაბუღიანი



დაიბადა ლენტეხის რაიონში. მრავალშვილიანი ოჯახის მერვე შვილია. ამბობს, რომ მისი პიროვნების ფორმირებაზე ყველაზე დიდი გავლენა სწორედ ამ ფაქტმა მოახდინა. სკოლა ლენტეხშივე დაასრულა, რის შედეგად თბილისში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

„ისევე, როგორც ოთხმოცდაათიან წლებში განათლება მიღებული ადამიანების უმეტესობაა, ჩემი პროფესია და სამუშაო გამოცდილებაც განსხვავდება.“

სწავლის შემდეგ, ემიგრაციაში წასვლამდე, ბუღალტრის პოზიციაზე ვმუშაობდი ერთ-ერთ ნავთობკომპანიაში, იქამდე, სანამ ემიგრაციაში ესპანეთში არ მომიწია წასვლა. ბოლო 8 წელია, თითქმის უწყვეტ რეჟიმში ვარ მოწყვეტილი სამშობლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსებს ყოველთვის ვწერდი, მათ შორის, სვანურ ენაზეც, ოჯახის წევრების გარდა, არასოდეს მქონია გამბედაობა, ვინმეს წაეკითხა. პროზაში ჩემი პირველი მცდელობა პანდემიის დროს მოხდა. მსოფლიოს რადიკალურმა ცვლამ და ყველა წესის გადაზრებამ ჩემშიც ფორმირება გამოიწვია. ასე შეიქმნა „ძმა“ და „ჩანოცილი სულელები“, რაც, ვფიქრობ, ისევე ბავშვობის გამოძახილი – დასაწყისებთან დაბრუნებაა“.

მუხბე – ძმა

დაფუძნებულია ნამდვილ ამბავზე

ორი მდინარის შესაყართან, მაღლობზე, არის გაშენებული ეს პატარა სოფელი, როგორც კი გაწვიმდება, ზოლებად დაფენება ნისლი მთელ ხეობას, თითქოს ორი ვივანტი გველი გაწოლილა მთელს ხეობაში და ჩახუტებას ცდილობენო, ქვემოთ, დედამიწაზე, შავი ცხენის წყალი და ზემოდან თეთრად გაწოლილი თეთრი ნისლი. ზოზინით ემზადება სვანეთი ცუდი ამინდებისთვის, ნელ-ნელა იქუფრება ცა, თითქოს მომწყდარი ზვავიარო, მთებზე ეშვება უზარმაზარი ღრუბლის ნაგლეჯები. მრისხანეა ამ დროს ბუნება სვანეთში, ამიტომაც აისახა სვანი ხალხის ხასიათზე ასე ბუნების კანონზომიერება.

იმ დღესაც ცუდი ამინდი იყო საყდარში. ეს გაუთავებელი ნისლი, ისედაც ტკივილისგან დამძიმებულ გულს უფრო და უფრო ამძიმებს. ჭრიანით მიიხურა კარები, ეს კარებიც გამოსაცვ-

ლელია, მაგრამ, აბა, როდის გამოცვლიდა ამდენი გაუთავებელი ავადმყოფობის დროს. როგორ უნაროდა სახლში მისვლა, მისი ბრიალა თვალის შემონათება. მოხვედი? — აგერ უკვე მეცნრე თვე გადის, მას კი ისევ ისე ჩაესმის ძიის ხმა. ამ ბოლოს მანც უფრო მოეძალა სევდა, უფრო მეტად განიცდის ტკივილს, ეს ფეხიც საშინლად აწუხებს, *მიშვევი მამი* — ჩემი მამა, — ესმის პატარას წკრი-ალა ხმა, რომელიც კარების ჭრიალმა გამოაღვიდა. უცებ ავიწყდება ტკივილი, *ო, ისევე ნაცად მი* — *ო, შენ შემოგველე მე, — მისკენ წამოსულ პატარა გოგონას ისუტებს, ხელში აჰყავს.

ცხრა თვე გავიდა, რაც ნატა მათგან წავიდა, კიდევ ვერ იჯერებს, ხელში შეატოვა ორი პატარა — გიორგი და თაია. გიორგი ექვსისაა, თაია ოთხის. ახლაც თვალწინ უდგას, როგორ ისუტებდა სიკვდილის წინ პატარების ხელებს, როგორ ებლაუჭებოდა სიცოცხლეს ამ პატარა ხელების მეშვეობით. ნაცარი გადაქექა, გულდაგულ ჩამალული ნაკვერჩხალი გამოაჩინა, თან ისე იქცეოდა, ვითომ ვერ ამჩნევდა, როგორ სუნთქვამეკრული აკვირდებოდა თაია, გააღვივებდა თუ ვერა ნაკვერჩხლიდან ცეცხლს. გაახსენდა, როგორ გულმოდგინებით შეულოცა წუხელ ნაკვერჩხალს...

„ელოდე, მელოდე, მთვარის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე, თავი შეინახე მე მელოდე“...

ამ ლოცვას ხომ ყველა დედა ასწავლის სვანეთში თავის პატარას... თაიაც დიდი გულმოდგინებით ასრულებდა დედის დანატოვარი ლოცვის შესრულებას, თითქოს პატარას გული ამით ცდილობდა დედის არ დავიწყებას. როცა ალი დაინახა, სიხარულისგან ტაში შემოკრა. ბედნიერმა გახედა კმაყოფილ გოგონას, კარდალა ჩამოჰვიდა ნაჭაზე, თან ჩუმი ხმით ბუტბუტებდა, ახლავე *მამა ოქროს* — მამის ოქრო, თან რძეს ასხამდა, — მოგშივდა, შვილო? — ჰკითხა პატარას, რომელიც მოუთმენლად დაჰყურებდა რძით სავსე ქებას. გიორგის ისევ ეძინა, თაია კი გაბმით ჟღერტულვდა — *ქაპერნი ლჯე, ქაპერნი ლჯე* — რძე გადმოვა, რძე გადმოვა. „წადი, გიორგი გააღვიძე“, — უთხრა თაიას. თვითონ წამოიმართა, ხელში კარდალა ეჭირა, ამ დროს იგრძნო გაუსადლისი ტკივილი, მოწყვეტილი დაეცა, მუხლზე იტაცა ხელი და საშინელი ხმით აყვირა. ბავშვებმა გაიგონეს თუ არა, შემინებულები გამოიქცნენ, ტკივილი აუტანელი იყო. „წადი, ესტატეს დაუძახე“, — გასძახა შემინებულ გიორგის, — უთხარი, მამა ძალიან ცუდად არის-თქო“. „რა მოხდა ასეთი, რა მოხდა ასე უცებ? კი მტეხდა ეს ფეხი რამდენი ხანია, მაგრამ რა მოხდა“? — ამ კითხვის იქით ვერაფერს ფიქრობდა. თაია გაბმით ტიროდა. *ისევე ნაცად მამა* — „შენ შემოგველოს მამა, ნუ გეშინია“, — როგორც შეეძლო, ისე ანუგეშებდა. როგორც იქნა, გაისმა კარის ჭრიალი, სულს ძლივს ითქვამდა ესტატე, უკან დესპინე მოჰყვებოდა, ასე არასდროს განარებია მეზობლების დანახვა. წამოყენებას შეეცადა ესტატე, თან დესპინეს ეუბნებოდა, მეორე მხრიდან ამოუღებო. იქვე საწოლზე წამოაწვინეს. მთელ ხეობაში ერთი ექიმი. ჯაბა გაგზავნეს გვეი ექიმის მოაყვანად. ცხენით იმაზე სწრაფად ვერავინ ივლის, მალევე მოვლენ, მერამდენელ უმეორებდა სემნარს, სხვა მეტი ნუგეში არაფერი შეეძლო ამ ტკივილისგან გატანჯული კაცისთვის.

ბავშვები დესპინემ გადაიყვანა თავისთან სახლში, ვინმე უხდა გაუშვით მის ძმებთან ღურაშში, უცებ

გამოაცხადა ესტატემ, თანდათან მოდიოდნენ დანარჩენი მეზობლები, ნახევარ საათში ორივე ძმა მოვიდა, წინ ალექსი შემოვარდა, უკან გაბრიელი მოჰყვებოდა. *მეი გვეყარ მუხბემიშ*? — „რა დაგვემართა, ძმაო“? — სულს ძლივს ითქვამდა ალექსი. ძმა არ ჰყავდა სემნარს, ეს ორი ბიძაშვილი იყო მისი ძმები და მისი ოჯახი, ასე ყოფილა ოდითგანვე სვანეთში, თემს და საბიძაშვილოს ოჯახთან აიგივებდნენ ოდითგანვე. ორი საათის შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა გვეი ექიმიც, საერთო სალაში უთხრა ყველას, ჩანთა ძირს დადო და ხელების გადაბანა მოითხოვა. ტაბაგი მოიტანეს, თავისი ჩანთა შემოდო და ხელსაწყოები ამოალავა. შარვლის ტოტი აწუხის ალექსიმ და გაბრიელმა. გულდასმით აკვირდებოდა ექიმი, ცოტა ხნის შემდეგ თავი გააქნია: *სი ხოლა, სი ხოლა* — „შე ცულო, მე ცულო, ფენს სიშავე დაუწყია, აქამდე სად იყავი“? — ისევ აკვირდებოდა ფენს, ფენის თითები სათითაოდ უმოწმებდა. შემდეგ ჩანთიდან რალაც შეხვეული ამოიღო, გასწნა და ჰკიქით წყალი მოითხოვა. „ეს გამაყურებელია, მე თვითონ ვამზადებ, მთებიდან ჩამომავს ბალახი, ახლა ეგ მოასვენებს, შემდეგისთვის დაგიტოვებ“. წყალში გახსნა და მიაწოდა, შემდეგ გარეთ გაიხმო იქ მყოფი კაცები, შემოფოთებულმა აუხსნა, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობა ჰქონდა სემნარს. „რა უშველის, გვეი? რა შეიძლება გაუკეთო? მითხარი, თუ სადმე რამე საშველია“, — შეძრული ხმით უთხრა ალექსიმ. „არ ვიცი, ჩემო ალექსი, აქ ახლომანლო არავინ მეგულებს, რომ გახკურნოს, შარშან რატიანები იყვნენ გადმოსულები ზემო სვანეთიდან, მაშინ მიყვებოდა ერთ-ერთი მათგანი, ვილაც ქურდიანი მოურჩენია ყაბარდოდან გადმოსულ ექიმს, მაგრამ მანდ ვინ გადავა, ძნელი ამბავია ეგ. მეტი არც არავისზე გამიგია ასეთი ამბავი, ვწუხვარ ამ ობლების ბედზე კიდევ ასეთი ამბავი, როგორ შეიძლებოდა“, — რალაც-ნაირი მიმქრალი ხმით დაასრულა გვემი. ყველანი დაღუძნენ, საშინელი ამბავი იყო ეს ყველასთვის, ჯერ ნატა ვერ მოენელებინა სოფელს და ახალა ეს მუხანათი ავადმყოფობა.

საწოლში გაეღვიდა სემნარს, ყველაფერი გაახსენდა, ისე ძალიან არ სტკიოდა, მაგრამ ყრუ ტკივილი აწუხებდა ისევ. ნეტა შეიძლება გული ფეხში გადავიდეს? — გაიფიქრა შეწუხებულმა, თითქოს ფენის ადგილას გული ფეთქავდა, ხმაურიანი ხმა ესმოდა სისხლის მოძრაობისა მარღვებში. არავინ არ იყო სახლში, ბავშვები ალბათ ისევ დესპინესთან არიან, — გაიფიქრა და ისევ ძილმა წაართვა თავი.

გაბრიელის სახლში შეკრებილიყო მთელი სანათესავო, ყველა დადარდიანებული იყო სემნარის გამო. „ცუდი ამბავი არ გვტოვებს“, — დაიწყო ატომ, — უხუცესი განლდათ და სემნარს ბიძად ერგებოდა, — როგორც მითხარით, ექიმმა სასტიკად აუკრძალა სიარული, ვილაცამ უნდა მიხელოს ახლა ავადმყოფს და ბავშვებსაც. ძნელია, ყველას თავისი ოჯახი აქვს, მაგრამ ახლა ძმის დატოვება არ შეიძლება ამ გაჭირვებაში“.

ყველა ღუმდა. პირველი გაბრიელმა დაარღვია ღუმილი: „ყველამ იცით, რამდენი შვილი მყავს, თავი ძლივს გამაქვს, ძლივს ვარჩენ ბავშვებს, ძალიანაც რომ მიხლოდეს, ვერ შევძლებ, ვერ ვიზამ, ავადმყოფის და ბავშვების მოვლას, არავინ გამაწბილებს, იმედია“, — თქვა და დარცხვენილმა დასწია თავი. ყველამ ალექსისკენ მიაპყრო მზერა. „მეც მყავს შვილები, — დაიწყო ალექსიმ, — მაგრამ ჩვენზე ახლობელი არავინ ჰყავს სემნარს, ჩვენი ვალდებულება და მოვალეობაა ახლა მისი მიხედვა, ჩემ შვილებს

დავაკლებ და მის შვილებს მივცემ, დაველაპარაკები თეკლეს, ვიცი, ყველაფერს გააკეთებს სემნარისთვის, ორივე მივხედავთ და მოუვლით. იქნებ გამოვანძროთ დღეს, იქნებ შეიწყალოს უფალმა, ჩემთან გადმოვიყვან, აქ უნდა იცხოვრონ, იქამდე ვერ გავწვდებით, რაც გვექნება, ერთად გვექნება. რალაცნაირი ცრემლნარევი სიჩუქე ჩამოვარდა *ო, ლიმარ ხაიშხა ალეს, იმვალ სი ხასყი* -ო, კაცობა ჰქვია იმას, რასაც შენ აკეთებ“, - თქვა ატომ და ცრემლით აევის თვალები. *ღერბეთუ ლაჯ შედახ* - ღმერთი შეგეწიოთ, - თქვა და წამოდგა, მაგრამ მასპინძელს სუფრა ჰქონდა გაშლილი და ყველამ იქითკენ გადაინაცვლა.

გვიან წამოვიდნენ გაბრიელისგან სახლიკაცები, დარდიანი მიუყვებოდა სოფლის შუკას ალექსი. სახლში მისულს ბავშვები უკვე საწოლში დაძინებულნი დახვდნენ. თეკლეს ძიესუფთავებინა სახლი დაწოლის წინ. „როგორ გამიმართლა ასეთი თეკლე რომ მყავს გვერდით“, - გაიფიქრა და მისკენ წამოსული მაგრად ჩაიკრა გულში. „რა ქენით, ალექსი?“ - მკლავებში განაბულმა დაუსვა კითხვა ქმარს. „წამოდი, - ხელი მოჰკიდა და პატარა კვილოდზე დასვა თეკლე, მერე თვითონ დაუჯდა წინ, - თეკლე ჩემო, მაპატიე, რომ შენ დაუკითხავად გავაკეთე ეს, მაგრამ ვიცი, შენც ასე მოიქცეოდი. გაბრიელმა უარი თქვა სემნარის და ბავშვების მოვლაზე, არც გაემტყუნება, თან ჩვენი იმედიც ჰქონდა ალბათ. ჩვენ უნდა წამოვიყვანოთ ავადმყოფი და ბავშვები, დარწმუნებული ვარ, სემნარიც ასე მოიქცეოდა, რაც გვექნება ყველასთვის უნდა გვექონდეს, სემნარის ყანებსაც დავაძუშავებთ, მანამდე იქნებ მოიკეთოს, იქნებ ღმერთმა გადმოხედოს“. ორივე ხელით მუხლებს დაეყრდნო და ისე წამოდგა თეკლე, ავადმყოფი ახლა და დავიძინოთ, ღმერთი მოგვიმართავს ხელს, სხვანაირად მაინც ვერ მოვიქცეოდი“. წამოდგარმა ალექსიმ კიდევ ერთხელ ჩაიხუტა თეკლე, მერე მხარზე ხელი გადახვია და ისე წავიდნენ საწოლისკენ.

აგერ უკვე ერთი კვირაა მათთან გადმოიყვანეს სემნარი და ბავშვები, ყველაზე ნათელ და თბილ ადგილას დაუდგეს საწოლი. ხან წამოაჯენდნენ, ხან იწვა ხოლმე, არ ლაპარაკობდა, ეტყობა, განიცდიდა სახლიდან წამოსვლას, ავშვები კი ძალიან ბედნიერად გრძობდნენ თავს, ამდენი ბავშვი ერთად თამაშითა და სიმღერით ერთობოდა. სემნარი ცდილობდა ბავშვებთან არაფერი შეემჩნია, მაგრამ მისი დარდი ღლითიღლე შესამჩნევი ხდებოდა.

იმ ღამით შუალამისას გაეღვიდა თეკლეს, საწოლს რომ დახედა, ალექსი იქ არ იყო, წამოდგა გარეთ გავიდა, დაინახა იქვე ეზოში იჯდა. ალექსიმაც შეამჩნია კარებში მღვარი თეკლე, გასძახა, შედი, ახლავე მოვალო, ამის მერე კიდევ შეაგვიანდა შესვლა. „სად იყავი? რატომ ვერ იძინებ?“ - ჰკითხა ჩურჩულით თეკლემ, ყველა ერთ სართულზე იძინებდა, არ უნდოდა სხვების გაღვიძება. ცალკე ადგილი იყო გამოყოფილი საწოლებისთვის. მარჯვენა მხარეს ბუხრის და სამზარეულოსთვის გამოყოფილი ადგილი იყო. სემნარის საწოლი განცალკევებით იდგა ფანჯარასთან, მზის სხივები და ჰაერი რომ ჰქონოდა ყოველთვის. „დაიძინე ამაღამ, ხვალ დაველაპარაკებო, ახლა გვიანია, შენი მხარდაჭერა დამჭირდება“, - ჩურჩულით უთხრა და საბანი გაუსწორა.

მეორე დღეს თეკლეს ეგონა, ალექსი დილიდანვე დაელაპარაკებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ასაუზმა ავადმყოფი და ბავშვები, თვითონაც ჭამეს

თითო ჯამი მაწონი, *დაბთე* - „ყანაში მივდივარ, შენ უკან გამომყევი და იქ ვილაპარაკოთ“, - უთხრა თეკლეს. თვითონ ნაჯახს მოჰკიდა ხელი და ჭიშკრისკენ წავიდა. თეკლე რომ მივიდა, ლამის ბოლომდე დაეთიბა ყანის გარშემო ბალახი, შემოდგომა იდგა და ყანებს ამხადებდნენ მოსავლის ასაღებად, *ხოჩამდ ლეჯმშია* - „კარგად გიმუშავია“, - უთხრა თეკლემ, ანიშნა, მოვალ, მანდ დამელოდო. თეკლემ ჩამოვდა, ამასობაში მოახლოებულმა ალექსიმ იქვე მოიკალათა, ცოტა ხნის მერე დაიწყო: „ბევრი ვიფიქრე, თეკლე, ვერ ვუყურებ ამ კაცის საცოდაობას, რალაც უნდა მოვიფიქრო, გადავწვიტე, წავიდე. *სავიართე ი ქაშვართე* - ბალყარელები ან ყაბარელები, ზუსტად მეც არ ვიცი, გადავალ ზემო სვანეთში, მერე იქ გავიკითხავ იმ ექიმის ამბავს“.

თეკლეს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა, როგორც იქნა, ხმა ამოიღვა: „შენ იცი, ყველაფერში მხარს გიჭერ, მაგრამ ახლა *ლოფხ სვლოგვეგან* - შემოდგომა დაგვიდგა, როგორ უნდა დამტოვო, ან მოსავალს როგორ ავიღებ მე მარტო, ავადმყოფს ცალკე მოვლა უნდა, ბავშვებიც მისახედა, ან გზა, ამხელა რთული გზა, სულ კლდეებზე უნდა იარო. არ გეწყინოს ალექსი, ვერ გაგიშვებ, ამაზე ვერ დავეთანხმები“, - შეუვალი ხმით უთხრა გაბრაზებულმა თეკლემ. „ეს ყველაფერი ვიფიქრე, ჩემო, დამეები არ მძინებია ფიქრში. მთელ სოფელს ვთხოვ, ვიცი, ყველა დაგეხმარება, აგერ გაბრიელი იქნება ყველაფრის მიმხედავი, ახლა თუ არ წავალ, თეკლე, მერე თოვლი ჩაკეტავს გზებს და ავადმყოფობა კიდევ არ იცდის, ღლითი დღე მძიმდება, შენც ხომ უყურებ. შენც ხომ ასე მოიქცეოდი შენი ძმისთვის, მითხარი, ხომ არაფერს დაზოგავდი მისთვის? გთხოვ, გამიგე, მთელი ცხოვრება ვერ მოვისვენებ, რომ ბოლომდე ვერ გავაკეთე, შემეძლო და ვერ გავაკეთე ჩემი გასაკეთებელი“, - ცრემლებით ჰქონდა სავსე თვალები. არავის შეეძლო ამ თვალების დანახვაზე გულისტკივილი არ ეგრძობო, მითუმეტეს თეკლეს, რომელიც ასე კარგად იცნობდა ალექსის. კარგა ხანს დუმდა, გულით ეთანხმებოდა, მაგრამ კონებით ზუსტად იცოდა, როგორ გაუჭირდებოდათ მასაც და ალექსისაც, ისიც იცოდა, სხვა გზა რომ არ ჰქონდა. „კარგი“, - ამოთქვა, როგორც იქნა, მაგრამ მართლა მემინია ამ გზის გამო, ვიცი, ვერ გადავთქმევინებ. ღმერთი შეგეწიოს და ძმობის მაღლმა მშვიდობით დაგაბრუნოს სახლში“, - ველარ მოითმინა ალექსიმ, სულ დაუკოცნა სახე, რომელზედაც ცრემლები სდიოდა. „სემნარს მე დაველაპარაკები, მისი დათანხმება გამიჭირდება, მაგრამ მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება“, - თქვა და ყანის გასასვლელისკენ გაემართა.

სალამოს სემნარი ვახშმის მერე *ნესკალამესკმოყ* - შუა ცეცხლთან წამოეჯინათ, ბავშვები გვერდით თამაშობდნენ, ამიტომ უფროსებს შეეძლოთ, მშვიდად ესაუბრა. „რალაც უნდა გითხრა, - დაიწყო ალექსიმ, - ოღონდ დამპირდი, რომ ბოლომდე მომიმენ. *სავიართე ლიზი* - ბალყარეთში წასვლა გადავწვიტე. განსოვს? გეგემ რომ გვითხრა, ვილაც ექიმია თურმე იქ, მაგის წამლებს გამოუჯანმრთელებია თურმე ვილაც ქურდიანი. ვერ ზემო სვანეთში გადავალ, ვიპოვი იმ განკურნებულ კაცს, ზუსტ მისამართს გამოვართმევ, მერე ბერძენი *გუმგვე ლანხუბიშ* - ჩვენ მოძვე ჯამდელიანებთან მოვალ, ვიცი, ახმათი არ დამზარდება, გზაც იქიდანაა, ბერძენს უღელტეხილით გადავალთ და წამალს წამოვიღებთ. ძალიან გთხოვ, ახლა არ დამიწყო

ჭკუის დარიგება, გადაწყვეტილი მაქვს და იცი შენ, ვერაფერი შემაჩერებს. ზუსტად ხვდებოდა ალექსი, თუ რა ხდებოდა ახლა სემნარის გულში. *მიღვიძრე დაგრა ჯაქუ სი, ერქანდურ ოდღო ალე ლეგვი დღე აძღვარი* – ჩემი სიკვდილი გინდა შენ, მანამდე სანამეს ავადმყოფობა მომკლავს, თითქოს დაპატარავდა. ვერ გავიძვებ, ცუდი გზებია, ჩვენთან არასდროს ყოფილა იქით, გთხოვ, დაივიწყე ეს ამბავი. რალაცნაირი მავდრებელი თვალები ძიპყრო. „მითხარი, რამდენი წელია ვნადირობ და როგორ დავდივარ კლდეებზე, შენ ხომ მაინც იცი, რომ კარგად გამომდის ეს საქმე. მთელ ქვეყანაზე ერთნაირი კლდეები და მთებია, არაფერი გამიჭირდება, მთავარია, ზამთარს მოვასწრო გადასვლა და დაბრუნება. იცი შენ, ყველა აღჭურვილობა მაქვს, აქ კიდევ თქვენ სოფელი არაფერს გაგიჭირვებთ. მითხარი, რატომ არ უნდა ვცადო, დაიფიცე, რომ შენ ჩემს ადგილას ასე არ მოიქცევი, მე ეს გადავწყვიტე და ვერაფერი შემაჩერებს“, – ისეთი შეუვალი ხმით თქვა, მიხვდა, სემნარი ვერაფერს გახდებოდა, ძალიან უნდოდა თავი შეეკავებინა, მაგრამ ერთბაშად მოაწვა ცრემლიც და სიამაყის განცდაც, ყელში ბურთივით რალაც მოეხვინა, მხრები აუცანცანდა და პატარა ბავშვივით ატირდა. არ მიაქცია ალექსიმ მის ტირილს ყურადღება, „სამ დღეში წავალ, არ უნდა ახლა ამას ბევრი ნერვიულობა“, – თქვა და ვითომც არაფერი, ბავშვებისკენ წავიდა. „რას თამაშობთ?“ – ჰკითხა მათ.

მეორე დღეს დილიდანვე გადავიდა გაბრიელთან, მთელი საათი ლაპარაკობდნენ, დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, გაღმა სოფელში სემნარის ყანებიც მისახელი იყო, საღამოს ყველას ჩამოვლას და თხოვნას აპირებდა, რომ გვერდში დასდგომოდნენ გაბრიელს. „სამი ოჯახი გყავს ახლა მისახელი, აბა, შენ იცი“, – წამოვლისას ისევ გაუმეორა ალექსიმ. *ჟესლე* – დაიცადე, ცოტა ფული მაქვს გადახანხული, იმას მაინც მოგცემ“, – უთხრა გაბრიელმა, – რა იცი, რისთვის დავჭირდება“. „არ მინდა, შარშან ხარი რომ გავყიდე, ის ფული ხელუხლებელი მაქვს, შენი ფული აქ გამოიყენე, აქ ბევრი გყავს მისახელი“, – წამოღვა, მხარზე ხელი დაკრა და ღიმილით დაემშვიდობა. „ყველაფერი კარგად დაგხვდება, ოღონდ შენ იარე მშვიდობით“, – გასძახა გაბრიელმა.

ამ სამ დღეში თითქმის ყველა აღჭურვილობა შეაგროვა, პირველი სახრუნავი ფენსაცემელი იყო, ფენით უნდა ევლო ამდენი კილომეტრი, უღელტეხილები უნდა გადაეღახა. ერთი წყვილი რაც ეცვა, ეს იქნებოდა, ორი წყვილი სულ ახალთახალი ფენსაცემელი გადმოიღო, თავისი ხელით ჰქონდა შეკრული, ტყავიც თავისი დამუშავებული იყო, ჩასაფხვი ბალახიც საუკეთესო ჰქონდა შერჩეული, *მაკაი თივთიკმალ წერაქვ ლი* – „როგორი ბამბასავით ბალახია“, – კმაყოფილმა აათამაშა ხელში, ოთხი წყვილი წინდა გაამზადა, *წერაყინ, თაკარ, წი პარ* – წერაყინი, თოკები, კლდეზე და მთაზე გამოსაყენებელი რკინის კბილანები, რომლებიც ტყავის ფენსაცემელს უმაგრდებოდა ქვევიდან და თასმებით იკვრებოდა. კმაყოფილმა შეათვალიერა, მთავარია, ამ სამიშ გზებზე ფენის აღჭურვილობა მქონდეს საიმედო. აბგაც დიდი იყო, საგზალსაც ჩაატევედა და ერთ ხელ გამოსაცვლელ ტანსაცემელსაც. ფული მთლიანი ხარის საფასური ჰქონდა, წამლისთვის კი ეყოფოდა, ალბათ ძვირი ეღირებოდა. ესეც რომ არ იყოს, სემნარმა თავისი დანაზოგი მისცა. არ აპირებდა გამორთმევას, მაგრამ უარს ვერ ეტყოდა,

ვერ ატკენდა გულს, „არა უშავს, დავუბრუნებ“, – გაიფიქრა, როცა ართმევდა. საგზალი ბევრი არ დასჭირდებოდა, საღამოს უკვე იქით იქნებოდა, ზემო სვანეთში, იქ უკვე ნათესავები არ გაუჭირვებდნენ. ლატფარით აპირებდა გადასვლას. უფრო მოკლე გზა ეგ იყო. ფენით უნდა ევლო სულ, ყველაფერს მორჩა. ხვალ გამთენიისას გავალ სახლიდან, ამაღამ დავემშვიდობოთ ერთმანეთს, არ მინდა ხვალ ისე ადრე გაგაღვიძოთ, – ღიმილიანი სახით გადახედა ყველას, მერე ბავშვებთან მივიდა, მათთან თამაშით გული რომ ეჯერებინა. მთელი დამე ესუტებოდა თეკლე, მთელი დამე გაბმით ჩურჩულებდა ერთსა და იმავე სიტყვას: *ისგვი ნაცად მი* – „შენი სანაცვლო ვიყო მე“. კაცი, რომელიც სანადიროდ და კლდეებთან შესარკინებლად ემზადებოდა, წინა დამით ქალს არ გეკარებოდა, ასეთი დაუსწრელი კანონი არსებობდა, მონადირეთა სვანეთში. მთელი დამე, მოალერსე თეკლეს ჩურჩულით ესუბრებოდა: კარგი, ქალო, ნულარ დამარღვევივებ, მთელი ცხოვრება გაუტენელ წესს, ნულარ დამანჩრობ, მოფერებით და ცრემლებითო.

უკვე კარგა ხნის გათენებული იყო, დასახლებულ პუნქტს რომ გასცდა და ფერდობს შეუღდა. თყის საფარს რომ მოათავებდა, მერე აღმართ-აღმართ მოუწევდა სიარული. იქ უკვე წყალი აღარ შეხვდებოდა არსად. ტყის საფარს როგორც კი მორჩებოდა, იქვე მოედინებოდა ცივი ნაკადული, აქ უნდა გაეკეთებინა წყლის მარაგი, მერე უკვე კალამდე ვერ იპოვიდა დასალევე წყალს. ამასობაში მოშივდა კიდევ. აბგა მოიხსნა, უცებ არ მივიდა წყალთან, საგზალი ამოალავა, მოშივებულმა გემრიელად მოგლიჯა შემწვარ ქათამს ბარკალი, მთლიან ყველს დანით მოაჭრა მოზრდილი ნაჭერი და ჭამას შეუღდა. როცა დახაყრდა, ცივი წყალი მოუხდა, იქვე ჩაიჩოქა და ინსტინქტურად დაიწყო ბუტბუტი...

ეს წყალი წმინდანია, წმინდა მარიამის წყალია, თუ ეს წყალი მაწყინარია, ღმერთი მჯობნის მჯობნია ჩემთვის მარგებელია...

პირჯვარი გადასახა და პეშვით აღებულ წყალს დაეწაფა, მთელი გზა სიმსუბუქეს და ენერგიას გრძობდა, „ასე მსუბუქად არასოდეს მივლია მთებზე“, – გაიფიქრა და იქვე მიხვდა ამ სიმსუბუქის მიზეზს, იმედი, იმედი აძლევდა ამხელა ძალას, იმედი იმისა, რომ იქ, სადღაც, ყაბარღოში ეგულებოდა წამალი, რომელიც მის ძმას გადაარჩენდა. წამოღვა, ისევ ხალისით შეუღდა უამრავი უღამაზესი ყვავილით მოფენილ მთის კალთებს.

საღამოს ჟამი იდგა, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხული დაწყებული იყო, სვანეთში საღამოობით ისევ ციოდა, ეზოებში ისევ შემორჩენილი იყო თოვლი, იქ, საღაც მზე ვერ აღწევდა. სახურავებიდან გადმოთოვლილი თითქმის ყინულად ქცეული თოვლის ლოდები ისევ არ ეპუებოდნენ მზის სხივებს.

ძლივს გაიღია ჭინჭყლი მარტი. არაფერი შეცვლილა ალექსის ეზოში, ისევ ძველებურად ემზადებოდა ეზოში ყველა ხე ასაყვავებლად. სახლის კარების გაღების ხმამ დაარღვია საღამოს სიჩუმე, თეკლე გამოვიდა მაღალი ტანის რხევით, მთელი შემოდგომა და ზამთარი გაიღია, ალექსი კი არ გამოჩენილა, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, მთელი სოფელი შფოთავდა მასთან ერთად. უკვე შეიძლებოდა უღელტეხილზე გადასვლა, ბიჭები წასვლას გეგმავდნენ. ამბავი მაინც გაიფიქრო, ცუდად მოხვდა მამინ მაკრინეს ნათქვამი, ალბათ ცუდს

ფიქრობდა ხალხი, თვითონ კი დარწმუნებული იყო, ალექსის არაფერი სჭირდა, აბა, რატომ ერთხელაც არ დაესიზმრა მისი დედაძილი და მამაძილი. ყოველთვის, როცა მათ ნახავდა სიზმრად, რაღაც განსაცდელი ელოდა ოჯახს, ახლა კი, ავერ ამდენი თვე გავიდა, ერთხელაც არ დასიზმრებია ისინი. თოვლმა მოუსწრო. დარწმუნებული ვარ, ჯიუტად უმეორებდა სემნარს, რომელიც ფენის ტკივილისგან და ალექსიზე დარდისგან სულ დაპატარავებულიყო. საჭმელსაც ვერ ჭამდა. ასეთი გამხდარი როგორ დანვლები, რომ მოვა რა უთხრა კარგად ვერ წამოუარათო? — ყოველ ჭამაზე ამას ეუბნებოდა თეკლე. ატოც ამბობდა, აღრე დადგა შარშან ზამთარი და ვფიქრობ იქით მხარეს ჩაიკეტაო, იცოდა ალექსის მუხლის ამბავი, კლდეზე არ დამარცხდებოდა, ამას ვერ დავიჯერებო. მიუხედავად ამისა, ბიჭების გავზავნაზე ეგეც დათანხმდა.

იმ ღამეს ჩვეულებრივად საწოლთან მიუტანეს საჭმელი სემნარს, ცალკე მისთვის და ცალკე ბავშვებისთვის გაემალა სუფრა სავანში მოდ *მერხელი* — ჭინჭრის წვნიანი ჰქონდა გაკეთებული, პირველად გააკეთა წელს და ბავშვები მოუთმენლად ელოდებოდნენ. ჭამას შეუდგნენ. „ნელა ჭამეთ, არსად გაგეცევათ თეფშები“, — მერამდენად ეუბნებოდა ბავშვებს, თან სემნარს გადახედავდა, ასე კარგად რამდენი ხანია არ უჭამია, ალბათ მასაც მოენატრა მეხელი. უცებ ძაღლებმა ატეხეს ყეფა, თავიდან გაშმაგებული ყეფდნენ, მერე უცებ წაკვეთეს დაიწყეს. „ალბათ ფავითია“, — მეზობლის ბავშვზე თქვა თეკლემ. ის იყო წამოღვა, რომ კარებიც შემოაღო ვიღაცამ და დაიძახა: *ღემ ამოვლდაა?* — არ მელოდით? — *ღებეთ სი ღამემდ* — ღმერთო, შენ მიშველე, — წამოიკვილა თეკლემ, ვერაფერ დაასწრო იღოს მამასთან მისვლა, პირველი ჩამოეკიდა კისერზე. მერე დანარჩენი ბავშვები შემოეხვივნენ ალექსის. არავის გაუგია სოფელში იმ ღამით, თუ რამხელა სიხარული სუფევდა ალექსის ოჯახში.

ღამის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ალექსისთან, აყლონიებდნენ, როგორ იმოგზაურა, წამალი კი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველას იბედი ჩაეხახა, იქნებ ფეხზე დამდგარიყო სემნარი, ფიქრებში წასულ ალექსის ზოგჯერ პასუხი აგვიანდებოდა. ძალიან გამხდარი დახვდა სემნარი, „ნუთუ დავაგვიანე? — მერამდენად ეკითხებოდა საკუთარ თავს, მაგრამ რა ექნა, ვერ გადმოსწრო ზამთარს. *მეგვარ ხალხ ლიხ* — როგორი ხალხია? ღამის ყველამ სათითაოდ ჰკითხა. — „კარგი ძალიან, ყველამ ძმად მიმიღო, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენს პატივისცემას, რაც მთავარია, *გვივმ ასყლან* — გულით აკეთებდნენ ყველაფერს. ბევრი იმუსაიფეს, შეეჭყო სემნარს, რომ დაიღალა, თან წამლების მიღებაც უნდა დაეწყეთ, ბოლიში მოუხადა ხალხს ალექსიმ, „კიდევ ვილაპარაკებთ, ახლა ჯობია დავასვენოთ ავადმყოფი“, — ყველა წამოღვა, ჭიშკრამდე გააცილა სტუმრები. მობრუნებულს სემნარი ნახევრად წამომჯდარი დაახვედრა თეკლემ. „როგორ დაგვალე“, — ნაღვლიანად გაუღიმა სემნარმა, — მაპატიე, ძმაო, ამდენი დარდი და დაღლა, ალბათ რამდენს ხერვიულობდი იქ გამოკეტლი, — *სიუ მაყანი ხოჩამდ* — „შენ მეყოლე კარგად და ეგ რამდენიმე თვე რაში ჩასათვლილია, ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც ექიმმა დამარია“, — აიღო წამლებით სავსე აბჯი, პირველად გადასახა ჯერ აბჯას, მერე სემნარს საწოლში, *მაშელე ჯარ მუხბე* — „საკურნებლად გექნას, ძმაო“, — თქვა და წამალი მიაწოდა.

თვე თვეს მისდევდა, შედეგი კი არა და არ

ჩანდა. იმ დღეს თეკლე გააფრთხილა დიდიდანვე, სემნარის დაბანას ვაპირებ, ჭურჭელი მომიტანეო, — სთხოვა, — ბევრი წყალი დამჭირდება, ყველაფერზე მე ვიზრუნებ, ოღონდ ჭურჭელს ნუღარ მაძებნიებო. ყველაფერი გაამზადა, თეკლე და ბავშვები ყანაში წავიდნენ, უფრო მშვიდად რომ მიეხედა ავადმყოფისთვის. ყველა მოძრაობაზე კენესოდა, ტანსაცმელი რომ გახადა, გულმა რეჩხი უყო. ფენი შესივებოდა და თითქოს სილურჯე დაკრავდა. არაფერი შეიმინა, რაც შეიძლებოდა ფრთხილად ამოძრავებდა საპნიან ნაჭერს კანზე. დიდხანს მოუნდა, სანამ შეამშრალებდა და სუფთა ტანსაცმელს ჩააცმევდა, როცა ლოვინში ჩააწვინა, თითქმის მაშინვე ჩაეძინა.

ღლითი დღე მძიმდებოდა სემნარის მღვთმარეობა, თვალსა და ხელშუა გაილია კაცი. — „ალექსი, დიდი დღე აღარ დამრჩენია, სიმართლე გითხრა, ბავშვები შენს ხელში საიმედოდ მეუღლება, ვიცი, არავის დააჩაგვრინებ, კარგ ადამიანებად გაზრდი, ჩემზე კარგადაც კი“, — გახუმრება სცადა, — სიმართლე გითხრა, მიხარია კიდევ ნატანსთან წასვლა, თან დავიდალე, თქვენც დაგვალეთ, ასე რომ, მადლიანი მივლივარ, შენი ძმობის მადლით სავსე. ეტა, მე შეგძლებდი იმას, რაც შენ ჩემთვის შეძელი? ბევრჯერ ვფიქრობ ამაზე, მაგრამ ისე მიყვარხარ, ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი. მე აღარ ვიქნები, მაგრამ ეს ჩვენი სიყვარულის და ძმობის ამბავი, ყოველთვის დარჩება საუკეთესო ამბად, იმიტომ რომ ჩვენს შემდეგ თაობებშიც გაგრძელდება ეს თავგანწირვა, უბრალოდ სხვა ოჯახებში, სხვა ადამიანებში, იმიტომ რომ სიყვარული არ კვდება. ისევ გაწირავენ ადამიანები ერთმანეთისთვის თავს, ისე, როგორც შენ ჩემთვის. მე, მე ყოველთვის გიმფარველებ იქიდან. სხვას არაფერს გეტყვი, იმიტომ რომ შენ ის გააკეთე, რასაც მე შენ ადგილას გავაკეთებდი. ბედნიერი კაცი ხარ, ასეთი თეკლე რომ გყავს. დამილოცინარ, ძმაო“. თითქოს გრძნობდა... იმ ღამითვე დამძიმდა, საშინელი ტკივილები ტანჯავდა, მაინც ითმენდა.

მთელი ღამე წვიმდა, საშინელი ჭექა-ქუხილი ანგრევდა გარეთ ყველაფერს... „თითქოს ბუნებაც გამშაგებული ტირის სემნარის საცოდაობას, თითქოს ბუნებაც ხვდება ჩემი გულის გაუსაძლის ტკივილს“, — ფიქრობდა სემნარის საწოლთან წამომჯდარი ალექსი.

მთელი ღამე არ გაჩუმებულა ჩოლშურა, საშინელი გრუნუნით ეხეთქებოდა ქვები ერთმანეთს ძლინარეში, წაიღებს გზებს, დაიქცავეა ქვეყანა, ამაშიც არ ჰქონია ილბალი, ჩაკეტავს სოფელს, რამდენი ნათესავი დაგვაკლდება. ოჰ, ეს ჩემი გული, ისიც ასე ტირის, ამ ამინდებივით. ამინდი შეიცვლება, გამოიდარებს, სემნარი კი აღარ იქნება.

გამთენიისას გარდაიცვალა, უხმაუროდ, ჩუმად ჩააყვდა ხელებში. ხუთშაბათს დაასაფლავეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ წვიმდა.

სოფლის თავზე აღმართულ მაღლობზე დგას წმინდა გიორგის ტაძარი, იქვე, ტაძრის ეზოში, დასაფლავეს სემნარი. ყველა გაუშვა სახლში ალექსიმ. საფლავთან დარჩნენ თვითონ და პატარა გიორგი. ისევ ნისლი იწვა ცხენისწყლის ხეობის გაყოლებაზე. „ნუ გეშინია, გიორგი“, — მხარზე ხელი დაადო ალექსიმ. „არ მეშინია ბუბა, შენთან არ მეშინია“, — ქვემოდან ამოხედა ბავშვმა. ხვალ გამოიდარებს, გიორგი. ხვალ აუცილებლად გამოიდარებს.....

ბესო ბობიაშვილი



ბილიკი, სადაც ბავშვობას უნდა გაეკლო

მას უყვარდა შემოდგომის ფერადოვანი ფოთლების მრიალ-მრიალით ცვენა, მათზე მზერის შეჩერება და საკუთარი ფიქრების ოხვრა. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ქარის მაჯები და ქუხილის ნიშნები უყვარს, როცა ისინი მავ ღრუბლებზე ჩნდებიან და სხეულში გაყინულ ქუჩებს ტოვებენ. უყვარს უპატივებელი წვიმის წამოსვლა და წვეთების სახლის საჭედურებთან შეხეთქება. ამ დროს ერთადერთი ფიქრი მოსდის, რომ წვიმისას წარსულის ცოდვები ცივი წვეთებით ირეცხება... და ეს ყველაფერი მის ნახატებშია ასახული, რომელმაც საპეციალისტების აღფთოვანება გამოიწვია. მას არ უყვარდა თავის შემოქმედებაზე საუბარი და მით უფრო, გამოფენები, რამაც განაპირობა მრავალ მიწვევაზე უარის თქმა. ფიქრში ნშირად იმეორებდა პაბლო პიკასოს სიტყვებს, რომლებიც გათავისებული ჰქონდა: „მე ვხატავ საგნებს ისე, როგორც მათზე ვფიქრობ და არა ისე, როგორც მე მათ ვხედავ“.

ძალიან უყვარდა შემოდგომა თავის ქალაქში და ამიტომ აქ ყოველთვის შემოდგომაზე ჩამოდიოდა. გრძელ, შავ ლაბადაში და ასევე მავ შლაპაში, უფრო ელეგანტურად გამოიყურებოდა მაღალი, თმა-წვერ შევერცხლილი, სიმპათიური მამაკაცი. ახლაც, ერეკლეს ხეივანს დინჯად და სევდანარევი ღიმილით მიუყვებოდა. შემხვედრნი თავაზიანად ესალმებოდნენ და გულში უამრავ გაჩენილ კითხვასთან ერთად, ინტერესით თვალს აყოლებდნენ. აინტერესებდათ ყველაფერი და ყველაფერიდან ცოტაც ვერ გაეგოთ, რაც მათ ინტერესს უფრო ზრდიდა.

ერეკლეს ციხის ქოხგურებს უყურებდა, ძახილი რომ შემოესმა: – ბატონო ვახტანგ! ბატონო ვახტანგ! – თავისი მეგობრის შვილი, ალექსანდრე, ხელგაშლილი, გაბრწყინებული სახით მისკენ მოემართებოდა.

ბატონ ვახტანგს, ერეკლეს ხეივანში ერთი მყუდრო ადგილი უყვარდა, საიდანაც მთელი ალაზნის ჭალები და კაკასიონის ქედი კარგად მოჩანდა. ახლაც იქ, ხის სკამზე ჩამოსხდნენ და დიდხანს უნახავი მეგობრის ოჯახი მოიკითხა.

ალექსანდრე საინტერესო მსმენელი და კარგი მოსაუბრეც იყო. ჰარმონიული საუბარი მათვე ანიჭებდათ სიამოვნებას. ბედნიერი უსმენდა მამის განუყრელ მეგობარს.

– თუ ჩაულრმაველები შენს სამყაროს და მის თითოეულ მომენტს შეიგრძნობ, მიხვდები, რომ მას სულ სხვა ელფერი და სუნი აქვს. მიხვდები,

შენ ირგვლივ ზოგჯერ როგორი სუსხია, მზე კი უბრალოდ ანათებს, ჯერ მხოლოდ უბრალოდ ანათებს. შეიგრძენი სუნი, შეუშვი ფილტვებში და გაიანჯრე, რომ სამყარო მომენტებია. ადამიანი მომენტებისთვისაა შექმნილი, რომელიც ცხოვრების ნაწილი ხდება. საბოლოოდ, ხელთ მხოლოდ მომენტები და მოგონებები გრჩება. რაც უფრო მეტს მოაგროვებს შენი სული, მით მეტად იქნება მშვიდად. თუ შეითხავ, მახსოვს თუ არა მისი სუნი, მისი არომატი, გეტყვი, რომ კი და თანაც, როგორ! შეუძლებელია დაივიწყო მოგონება იმაზე, ვისაც ჩასწვდი და ჩაგწვდა, გაიარა შენში და დატოვა რალაც, რაც ჯერ ვერ ამოვიცნია. ვერ ვხვდები, ადამიანები რატომ ებლაუჭებიან იმას, რაც ისედაც განწირულია. იმედი? სულისკვეთება თუ რწმენა იმის, რისთვისაც იბრძვი?

– და კაცობრიობის გზის მიმართულება, საით მიდის?

– ვფიქრობ, ჯერ კიდევ ამოუცნობია კაცობრიობის გზის მიმართულება. გზაჯვარედინებს შორის გამავალი წამი გაიძულებს გაჩერებას და გაანალიზებას. ანალიზში არ უნდა შეცდე, რომ გზა სწორად გააგრძელო.

მათ წინ ხელჯოხიანი, წელში მოხრილი მოხუცი შეჩერდა, მოჭუტული თვალებით ბატონ ვახტანგს მიანერდა, ის იყო თუ არა. ბატონ ვახტანგს ღიმილი მოერია, ფეხზე წამოდგა.

– კი, მე ვარ მია ლავრენტი, მიხარია, რომ მიცანი. – და გადაეხვია.

მოხუცი ცრემლებს იწმენდა თვალებიდან: – რამდენმა წელმა ჩაიარა, რაც არ მინახინარ, შვილო. აქეთ ჩამოხვედი? სულ ჩამოხვედი? სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, ხესავით ჩვენც იქ გვაქვს ფესვები გადგმული. ეტყობა, შენს მამულებში, შენც იმ ფესვების ძანილმა ჩამოგიყვანა. შენი მშობლები რატომ არ გიყურებენ ახლა?! ჩვენი მეგობრებიდან, ერთი ძელა დავგორავ ამ ცოდვიან მიწაზე და ისე ვარ, რომ არ ვიცი, აქ ვარ თუ, უკვე საიქითო გზას ვადგავარ. ერთი ეგ ვიცი, ცას ვერ შევაბერდები და...

ბატონმა ვახტანგმა მოხუცს დამშვიდობებისას ხელი გამოსდო და საუბარ-საუბრით, ბაღის გასასვლელამდე გააცილა.

უკან მობრუნებული სევდიანი იყო. ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან და ვიდაცას სთხოვა, მოხუცის მისამართზე მისულიყო და თანხა დაეტოვებინა. თანხა სოლიდური იყო. მოხუცს არ უნდა სცოდნოდა, ვისგან იგზავნებოდა.

ალექსანდრეს ყელში რალაც მოაწვა. აი, ისეთი, ბავშვობაში რომ იცოდა ტირილისას.

ბატონმა ვახტანგმა გადახედა მეგობრის შვილს და უთხრა:

– ალექსანდრე, ზოგჯერ რომ გვკონია, ვიცით ყველაფერი, ისეთი აუცილებელი და სავალდებულოს გაკეთება გამოგვრჩება, რომელსაც მერე თავს ვერ ვაპატიებთ. შენ რას იტყვი?

– კი, ზოგჯერ მიფიქრია, ბატონო ალექსანდრე. ვიცით კი ადამიანებმა, რა უნდა გააკეთოთ, თუ საერთოდ წარმოუდგენელია ჩვენთვის მოახლოებული გადაწყვეტილებები ან ნაბიჯები?

ბატონი ვახტანგი სივრცეს გაჭყურებდა და ისე საუბრობდა, თითქოს იქ, ხეცის კაბადონზე დაწერილს კითხულობსო:

– ჯერაც მზეს და მთვარეს შორის ჩრდილებს ვიჭერ და მშვიდად ვუყურებ ცხოვრების კადრებს, რომელიც გვკონია, მალე დამთავრდება. ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ის სამყარო, რაც მის გონება-

შია და არა ის, სადაც არსებობს. გადაჭარბებული დროთა აპათია და შეუცნობადი აზრები, გრძობები, ერთი მხრივ, ატყვევებს ადამიანს, აძლევს დროთა გააზრების მკვლელობას; მეორე მხრივ, ანახევებს რეალობას და წარმოუდგენელ შინაარსს აგრძობობინებს, მაგრამ აქაც ჩნდება „მაგრამ“, ყველა ვერ აღიქვამს ამ შინაარსს. ეს კი უკვე ადამიანის უმოძრაობაა. მივედით უმოძრაობამდე, ანუ...ის მომენტი, რაც უკვე გითხარი. უმოძრაობა განაპირობებს აუცილებელის და სავალდებულოს გამორჩენას.

— იქნებ, ადამიანები ჯერ კიდევ, გაურკვეველ აზრთა ცვალებადობის, გრძობათა დელევის და გადაწყვეტილებათა არჩევის შორის ვართ? — კითხვიანი თვალები შეანათა ალექსანდრემ.

— ალექსანდრე, ერთ დღესაც მიხვდები, რომ შენი სხეული შეივარდნობს სიმშვიდის ნოტებს და ნანატრ წამებს. დროთა დინების ჭიდილთან დაგეტყობა განცდის ან სიმოკლე, ან სიხშირე და შენ გვერდით მყოფ ანარეკლს შეხედავ. იმდენად მოგინდება ადამიანის გვერდით ყოფნა, რომ უტაქტო პოლემიკაშიც კი ჩაებმები, რომელიც არაფერს მოგცემს და ეს წინასწარ გეცოდინება. თუშეცა საპირისპიროც შეგეძლება. ამას ისევ ის, განცდის სიმოკლე ან სიხშირე განაპირობებს.

— ბატონო ვახტანგ, ზოგჯერ არის ისეთი ჯანსაღი ფიქრი, რომელიც ხანდახან კი არა, გამუდმებით არ მასვენებს. გონებაში აღწევს და სიმართლეს მეუბნება, რომელიც საშინლად მწარეა. არ მომეძვება, წამის მუასელობა ცდილობს, ისევ შემახსენოს თავი და ამავე დროს, მითხრას, რომ მე, მწარე სიმართლესთან ერთად, მარტო არ ვარ და ისიც ჩემ გვერდითაა. როდესაც ამ მხარდაჭერას ვგრძობ, მის ნათქვამ მწარე სიმართლეს უკვე სხვა თვალთ ვუყურებ და ძალა შემწევს, ყველა დეტალს თუ მოვლენას ჩავუღრმავდე. მე ვფიქრობ, ამას უკვე გადარჩენა ჰქვია.

— შენ ძალიან კარგად ჩამოაყალიბე ის, რაც ხშირად ადამიანებმა არ იციან. თუ მოკეთე ხარ და სიმართლის თქმა შენი ადამიანური მოვალეობაა, მის გვერდითაც უნდა დარჩე, რომ შენივე ნათქვამი ირწმუნოს. მარტოსული ადამიანი ვერასოდეს იქნება ვერც გულწრფელი, ვერც მართალი და ვერც უსამართლო.

ბატონი ვახტანგი ჩვეულ მდუმარებას მიეცა და მოშრიალე ჭადრის ხეებს ახედა. პაუზის მერე, მისი ჰარმონია ისევ ალექსანდრემ დაარღვია.

— იცით, მიყვარს მამასთან საუბარი და სულ ვეუბნებოდი, როდესაც უამრავ ემოციას, თუ უთქმელ ტკივილს დაატარებ, მარტობა კიდევ უფრო მეტად გიქცევს მარწუხებში და თავდაკარგულს ემსგავსები, ან უკვე ხარ. გგონია, კარებთან დახანარ და რამდენჯერაც ქარი დაუბერავს, გალების იმედით, კარს გამუდმებით შესცქერი. კარი მართლაც იღება და შენ გული გიჩქარდება. ელოდები ვილაცას ან რალაცას, მაგრამ ამჯერადაც არავინ და არაფერია. ხელს ჰკიდებ ყველა ნივთს, რომელთანაც ერთხელ მაინც გქონია ლამაზი მოგონება თუ ბედნიერი წუთები, მაგრამ ეს წამიერია. ყველაფრით დაღლილი, ისევ მარტო დარჩენილი, საათობით ესაუბრები საკუთარ თავს და უსვამ ერთადერთ კითხვას. — კიდევ როდემდე?!

ბატონი ვახტანგი ალექსანდრეს საუბარმა ჩააფიქრა და ალბათ, პირველად, დაკვირვებით ჩახედა ბიჭს თვალებში, სადაც თურმე სევდის მატანე იწერებოდა და დაფიქრდა, — ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, იმიტომ, რომ ადამიანმა არ იცი,

სად რაა გაუვალი და უმზეო. ალექსანდრე კი აგრძელებდა საუბარს:

— კითხვაზე პასუხი, სრული სიჩუმის მერეც კი არ გეძმის. იღობები, გეშინია, რომ უცაბედად ძირს დაეცე, მაგრამ შენ ჯერ კიდევ გაქვს ძალა, გაუძლო მარტობის მწარე ტკივილებს. ყოველ დამით იხსნი სახიდან ნილბს, რომელსაც მთელი დღე დაატარებ, იხსნი და სარკის წინ დებ, რომ მეორე დღით ისევ გაიკეთო.

ბატონ ვახტანგს სურვილი გაუჩნდა, ალექსანდრესთვის აეხსნა, რომ ეს არ იყო კატასტროფა, რადგან მარტო მას არ აქვს ეს განცდები. სხვებსაც ჰქონიათ და ალბათ ექნებათ კიდევ... ესეც ცხოვრების ნაწილია.

— ალექსანდრე, შვილო! (თავისმა ნათქვამმა „შვილო“-მ თავადვე გააკვირვა, რადგან ეს სიტყვა, ვაჟიშვილის დაკარგვის მერე, თითქმის არასდროს წარმოუთქვამს), რომ დამიჯერო, მეც მქონია ასეთი განცდა, შენს საუბარს მე გავაგრძელებ. გაინტერესებს, დაემთხვევა თუ არა ჩვენი განცდები?! — იყურები სარკეში და უყურებ რეალურ სახეს, რომელიც საოცრად დაღლილი, „მშვიდია“. თვალები ამაზე ყოველთვის საუბრობენ, რადგან ბევრი რამ ნახეს და გადაიტანეს. შენ კი უყურებ სარკეს და ერთი სული გაქვს, გაეცალო, რადგან სწორედ ამ სახის დანახვის გეშინია. ნეტავ კი, როგორ უნდა გაუძლო იმ მარტობას, რომლის ბოლოს არც კი მოჩანს გადარჩენა. ან კი, ასეთი მარტობის მერე ღირს გადარჩენა? რადგან თუკი გადარჩი, აღარ იქნები ისეთი, როგორც მარტობამდე იყავი და შენც გაშინებს, ის ადამიანი გახდე, ვინც მარტობის მერე იქნები. წვები და სიგარეტს ეწევი, ან სვამ იქამდე, სანამ შენს ტკივილთან ერთად არ დაიძინებ და მერე, როდესაც თვალებს ხუჭავ, შენი ტკივილი არსად მიდის. უბრალოდ, ძალიან ჩვეულებრივად გიცდის მზის ამოსვლამდე, რომ შემდეგ ისევ შეგახსენოს თავი. არაფერია იმაზე მწარე, გულით გინდოდეს რალაც და იცოდე, რომ არ უწერია მას ასრულება. ტრაგედიაა, მარტო დარჩენილს, ხმის გამცემიც არ გყავს, რომ გიყვიროს მთელი ძალით და გადაგარჩინოს, მაგრამ ასეა... ვერავინ იგებს. მარტო ხარ და თანაც ისეთი მარტო, რომ შენი სუნთქვაც არ გჯერა. ელოდები, ისევ ისე ელოდები, როგორც აქამდე... საკითხავია რას?!... ალბათ, იმ ადამიანს, ვინც სიმარტოვემდე იყავი.

ალექსანდრეს თვალებში ჩანდა, თურმე ამ ორ, სხვადასხვა ასაკის და ცხოვრების ადამიანს, რამდენი რამ აერთიანებდათ.

ბატონმა ვახტანგმა, სამი თითის მოძრაობით, დინჯად შეისწორა შლაპა და ალექსანდრეს მხარზე ხელის დადებით გააგრძელა საუბარი.

— ცოტა უცნაური ხასიათი მქონდა. უმეტესწილად, ვიღიმოდი, მაგრამ გამუდმებით სევდიანი ვიყავი. თუ მოვლუნდებოდი, დარდსაც შემატყობდნენ. ადამიანებთან საათობით შემქმლო უამრავ, ზოგად თემაზე საუბარი. ყველა შემთხვევაში მესმოდა მათი და შესაბამისად ვიქცეოდი. ცოტა სხვა გაგების განხლდით, ზნეობაც ვიცოდი, ადათიც და წესიც. ცუდს ვგმობდი ჩემსასაც და სხვისასაც. კარგს — ყველას ვუქებდი. სხვისი სიხარული ჩემიც იყო და დარდში კი, ჩემი ქმედებებით თუ სიტყვით ვანუგეშებდი, მაგრამ რაა სიტყვები ტკივილის დროს? მარტობის ფაშს მყოფ კაცს არ თანაუგრძობო, თუ არ იცი, რომელია მის ტკივილზე მეტი სიტყვა.

რაც წრფელი და შეუბღალავი რჩება, ის ბავშვობიდანაა.

ერეკლეს ხეივანში საღამოც შემოპარულიყო და სივრცით უფრო მეტად ეტყობოდა გარემოს. ბატონი ვახტანგი და ალექსანდრე, საკუთარი ბავშვობის ფიქრების აყროლინი, მღუმარად ისხდნენ. ალექსანდრეს ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა.

– ბატონო ვახტანგ! მამას ყოველთვის დიდი გულისყურით ვუსმენ, როდესაც თავის ბავშვობას იხსენებს. თქვენი თაობის ბავშვობა თითქოს უფრო ბუნებაში არსებული სინათლე იყო, მიუხედავად იმისა, დღეს ყველაფერია შექმნილი ბავშვთა განვითარებისთვის თუ გართობისთვის, რაღაც მინც არაა... ალბათ ნატურალიზმი...

– ჩემი ბავშვობა გაინტერესებს?!

– რა თქმა უნდა! თუ არ შეწუხდებით...

– მახსოვს, ბებიამ ახლობელთან სტუმრად წამიყვანა, სადაც ჩემი ასაკის შვილი, გურამიკო ჰყავდათ. ოთახებში სათამაშოების სიმრავლე მალევე მომხვალა თვალში და ბავშვური ინტერესით, ცალი თვალი მათკენ გამიბრბოდა. ეს ის პერიოდი იყო, ძვირფასი და განსხვავებული სათამაშოები იშვიათად თუ გამოჩნდებოდა საბავშვო მაღაზიებში. მალე გურამიკოს მამა მოვიდა და დიდ სათამაშო მანქანასთან ერთად პატარა საოცარი მანქანები და სხვა სათამაშოებიც მოუტანა. ოპ, ნეტავ გენახა ჩემი ანთებული თვალები, როგორ მიხაროდა. გურამიკო უინტერესოდ, თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით შეუდგა ახალი სათამაშოებით თამაშს. ხელით შეხებას ვერ ვბედავდი, ვიდრე მეც არ მიწილადეს ერთი სათამაშო. იცი?... იცი?... ხელში მეჭირა სათამაშო და ვერ ვბედავდი მეთამაშა, მხოლოდ ვათვალიერებდი და ვეფერებოდი. მაღაზიის ვიტრინებშიც ვერ ვნახავდი ასეთებს. ნელ-ნელა დავძლიე სიმორცხვე და უკვე სხვანაირად ვიცილობდი, სხვანაირად ბედნიერი ვიყავი, სხვა სითამაშე დამეუფლა. მეგონა, ყველაზე მაგარი ბიჭი ვიყავი. ამ წუთების განცდას დღემდე ვგრძნობ და ყოველ განსხვავებაზე ის ჟრუანტელი მივლის, მაშინ რომ დადიარა. მას შემდეგ, ბავშვობის წლებში, ბევრი სიხარული ყოფილა, ასეთიც და ისეთიც, მაგრამ ის... ის... ბავშვის პირველი უმანკო ცრემლივით მახსოვს.

– ბატონო ვახტანგ, ზოგჯერ ბავშვის ოცნებებიც ხომ სრულდება?!

– ეს რომ ასე არ იყოს, ოცნებაც უინტერესო იქნებოდა, როგორც ბევრი სხვა რამ. სახლში მისული დავნადვლიანდი. ვფიქრობდი, ხელში კიდევ ცოტახანს მჭეროდა ის სათამაშო და მეთამაშა, მიხაროდა, მე არ მქონდა ის, რაც მას ჰქონდა.

– რატომ გიხაროდათ, რომ თქვენ არ გქონდათ?!

– გაცხებით ჰკითხა ალექსანდრემ.

– მე ოცნების და მონატრების ბედნიერი განცდა უკვე ვიცოდი, რომლის მსგავსს რეალობაში ვერ ნახავ. მას ერთხელ ნაცამი ხუგბარის განსხვავებისას ჩაყვარებული ნერწყვის გემო აქვს. გურამიკომ კი... არც ოცნება იცოდა და არც მონატრება. იცი რატომ? იქამდე მისასვლელი გზა, რომელზეც მის ბავშვობას უნდა გაეგლო, არ გააჩნდა, მას ოცნება დაუკარგეს.

– რა კარგად ამბობთ: – გზა, რომელზეც მის ბავშვობას უნდა გაეგლო.

– იმის მერე, რასაც ვეხებოდი, ყოველთვის ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, იქნებ მეტად ვეღარ შეგვხო, იქნებ ვერასდროს გახდეს ჩემი. ესაა ბავშვობა, სუფთა, წკარიალა და მზიანი.

– ბატონო ვახტანგ, მამას ხშირად უთქვამს, რომ თქვენს ოჯახზე, სადაც გაიზარდეთ, ქალაქში ყველა სიყვარულით საუბრობს. მამა თქვენი ოჯახით ახლაც ამყობს.

– ოჯახი! ტრადიციული ოჯახი ყველაზე მთავარია ადამიანის სწორად ჩამოყალიბებისთვის. ოჯახიდან იძენ ღირებულებებს, ღირსებას, რწმენას სიკეთის და სიყვარულის, რასაც მოყვანის პატივისცემა ახლავს. ყველა ტრადიციული ხორმა და წესი უნდა დამეცვა; საუბრის მშვენიერი მანერა, მოზომილი, გააზრებული პასუხებით; ნაკლებად თავის წარმოჩენა, სადაც ჩემი საზოგადოება არ იყო... ყველას არ აქვს ასეთი ოჯახის ბედნიერება. გამიმართლა და მე დიდი კულტურის და ზნეობის ოჯახი მყავდა.

– ოჯახის წინაშე თქვენ როგორ გამოხატავდით იმ მაღლიერებას, რაზეც ახლა საუბრობთ.

ბიჭს ირიბად ახედა და გაავრძელა:

– იცი, სალიარებელი უნდა ვალიარო. დიდად ვერ გამოვხატავდი ჩემი ოჯახის მიმართ გრძნობებს და ეს მაღარდებდა. ვითხარი, სულ სხვა გრძნობის და აზრის კაცი გახლდით. საითობით ჩავიკეტებოდი ოთახში და ჩემს ოჯახზე ვფიქრობდი, მათ ქმედებებზე, საუბარზე. ბედნიერი ვიყავი მათით, ვამაყობდი, მაგრამ მათთან ამის გამოხატვა არ შემეძლო. მერე და მერე, ეს ჩემს ნახატებზე აისახა, გაზაფხულზე ხის ტოტებზე ამომსკდარი კვირტებივით. ასე, უთქმელი გრძნობებიდან, ტილოზე დაბადებულ ფერებში.

– ბატონო ვახტანგ, ასეთ მგრძნობიარე ადამიანს, რატომ გიჭირდათ, თქვენს ოჯახთან მათით განცდილი ბედნიერება გამოგეხატათ?

– ამას ჩემს ხასიათს ვაბრალებდი, ანდა იმას, რომ მეტად გახსნილი არ ვახლდით, მაგრამ ყველა როდი ვართ ანგელოზები.

– იცით, მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვსაუბრობთ დათმობაზე, მიტევენაზე, ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე. ეს საკითხი დღეს სხვადასხვა განზომილებაში მიდის.

– სიმართლე ვითხრა, მეგობრებთან თუ უცხო მოსაუბრეთა შორის, რთული პოლემიკის დროს, დავიწყებდი სიტუაციის განმუხტვას, რადგან ვიცოდი, რას რა მოჰყვებოდა. მათი ღებრესიის თუ მოწყენილობის გამო, ვცდილობდი ამემალეობინა მათთვის საკუთარი თვითშეფასება, ამით მათ ვარწმუნებდი საკუთარ შესაძლებლობებში და თუ ამას ვაღწევდი, პირველ რიგში, ეს საკუთარი თავის თვითშეფასება იყო.

– ჩვენს თაობაში ეს ცოტა სხვაგვარადაა. – სინანულით ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

– ვიცი მე, ეგ რამაც მოიტანა. რწმენა, დაჯერება არ გაქვთ. ეს კი იმას მიგვანიშნებს, არ გჯერა სიტყვის, ნდობის, სიყვარულის და ყოველივე ამის გარეშე კი... ირგვლივ სიცივე ისადგურებს. სადაც სიცივეა, გესაჭიროება გათბობა. აქაც ერთი პრობლემა – ერთად კი არა, გათითობულნი ცდილობთ ამ სიცივეს თავი დააღწიოთ. სულხან-საბას იგავ-არაკი ხომ გახსოვს, „ძალა ერთობაშია“. ჰო, დაუჯერებლობა კიდევ საიდან გაჩნდა, ეს კიდევ შორს წაგვიყვანს. ყველაფერთან ერთად, ადამიანმა არსებობისთვის მიზანი დაკარგა...

სჯობს, ადამიანმა გაივიწყებული გრძნობები და მომენტები მიატოვო კარების ზღურბლზე და რეალური სამყარო, ფიქრებში შექმნილ სამყაროსთან, ერთ მთლიანობად გააწონასწორო. დახშული გონების გამო, გარშემო არსებულ ხმებთან შერწყმით, ის რაც გასააზრებელია, არ გვსურს გააზრება და საკუთარ თავთან დამალვა, ეს სირაქლემას პოზიციაა.

რთულია, იცოთ სხვანი და ამით წაიღოთ ყველაფერი.

მე მაშინაც ცოტას ვსაუბრობდი, როდესაც

უამრავი სათქმელის მიზეზად ბევრს ვხედავდი. მე სულ სხვა აღქმის კაცი ვაჩვენებდი. მეგობრებთან, როდესაც ქართულ სუფრას შემოუსხდებოდნენ, უფრო მეტად იმიტომ მიყვარდა ჯდომა, რომ მათი ბანხოსში ამოსული საუბრისთვის მომესმინა. მათ არ იცოდნენ, რა საყვარლები და საინტერესონი იყვნენ. ალბათ, ყველაზე ალალ სიტყვას ნასვამი კაცი ამბობს. მე ისინი ამ დროს უფრო მიყვარდნენ, რადგან მათ მიერ ნათქვამი ბავშვებზე გულწრფელი სიტყვები ავსებდა ოთახის სივრცეს და ისინიც უფრო ლაღები იყვნენ. მე კი ჭიქიდან სასმელს ვწრუპავდი და არ ვერეოდი მათ გრძელ პოლემიკაში. საჭიროებისამებრ, ვამბობდი ერთ, ან ორ სიტყვას და სიყვარულით ბედნიერი ვიყავი ასეთების გვერდით. არაფერს მოვითხოვდი მეუძღვებელს, გარდა მეგობრობის და ნდობის.

ცხოვრებისეულ ოქროს სიტყვებს ვაგანდობ, — არც ფული, არც საქმე, არც დაპირება არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ადამიანისგან ადამიანთან გამოხატული პატივისცემა. ზოგისთვის პატივისცემა სიცოცხლეზე მნიშვნელოვანია. ცხოვრებასთან ბრძოლაში ყველა როდია თავგადაკლული მეომარი.

საქმეში, უცხო ადამიანთან, არასოდეს შემირცხვენია თავი. ძმაკაცებთან კი, ზოგჯერ თუ არ გამომივიდოდა, როგორც საჭირო იყო, ბოდიშსაც ვინდიდი, ასე იყო წესი. „დაიძახსოვრე, როგორც გინდა, რომ მოგექცნენ, შენც ისევე უნდა მოექცე მათ“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალი არავის დასდო.

— იცით, ერთი რამ ვერ გავიგე...

— გისმენ!

— თუ შეგეძლოთ, რომ უცხო ადამიანთან არაფერი შეგძლოდათ, ზოგჯერ მეგობრებთან რატომ ხდებოდა საწინააღმდეგო?

— დიან, სწორი კითხვაა.

ეს ცოტა ფსიქოლოგიური მომენტია. ღირსეული ადამიანი უცხოსთან, ყველა საკითხში, მთელი პასუხისმგებლობით წარდგება. აი, მეგობრებთან კი... ეს შენი სახლივითაა. კარს, როცა გინდა, მაშინ შეხსნი და შეაბიჯებ. ის შენია. ფსიქიკა აქ ცოტას იხვეწებს, რადგან მეგობარია და მისი ხარ, შენივე გაუთვალისწინებელი წამებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, მეგობრობას არ გაუფრთხილდე. მეგობრობა სიმართლეა, იმედია და გატანა, უამისოდ ზამთარგამოვლილ მერცხლის ბუდესავით ჩამოიშლება.

შემოდგომის გრილმა საღამომ მწუხრის ჰანგებიც იცის, რომელმაც სულ ადვილად შეაღწია ბატონი ვანტანგის სულში.

დამშვიდობებისას, ალექსანდრეს თავის მეგობართან მოკითხვის სალაში გაატანა და მალე შეხვედრა ალუთქვა.

ბატონი ვანტანგი მიუყვებოდა ყორჩიბაშვილის ქუჩას და ყორჩიბაშვილის ვაჟებზე, ზაალზე და ვახუშტიზე ფიქრობდა, რომლებმაც თელავში ღვთაების ეკლესია ააშენეს. მიუყვებოდა ქუჩას და გონებაში იხსენებდა ქალაქის ისტორიას, რასაც ვახუშტი ბაგრატიონი თელავის შესახებ წერდა, „გულგულას ქუეით თურდოს ხევის სამხრით, არს თელავი“. ისტორიას, წლები და მერე საუკუნეები ამძიმებს თავისი ცხოვრებით, ცხოვრებას — თავისი დრამატიზმი და ტრაგიზმი ახლავს, მათ კი თავისი დადებითი და უარყოფითი გმირები ჰყავთ. თელავში, კვირიკე მესამის დროს, იყო კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამეფო ცენტრი, რომელიც მეცამეტე საუკუნეში უკვე სამეფო ქალაქი გახდა; მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში, იმამყულიხანმა, ლეკთა შემოტევების გამო, კახეთის

დედაქალაქი ყარაღაჯიდან თელავში გადმოიტანა... იყო თეიმურაზ მეორე, ერეკლე მეორე და ძველი გალავანი, კაკლის ხეივანი, ბატონის ციხე... და აჰა, დღევანდლამდე მოვიდა.

„მიღის თელავის ისტორია ძლიერი მხრებით და საუკუნეებს მიიმძვარებს მამინ, როცა მისი სიდიადის აღსაწერად შეიძლება სიტყვა ვერ აღმოჩინო“. — ფიქრობს ბატონი ვანტანგი და სადაც, შორიდან მოტანილ, მოსტაკოვიჩის მე-7 სიმფონიის ენერგიულ ჰანგებს სმენით იჭერს.

მუსიკა ხომ მსმენელებს შესაძლებლობას გვაძლევს შევალწითოთ, როგორც მის სამყაროში, ასევე საკუთარში და ჩავუღრმავდეთ მათ.

ბატონი ვანტანგი ყორჩიბაშვილის ქუჩიდან უკან რაღაცამ გამოაბრუნა. ერეკლეს ხეივანში დაღამებანთან შეხვედრა მოისურვა და მისკენ მიმავალ ბილიკს მორიდ გაუყვა გაურკვეველი მეგრძებებით.

შემოდგომის სუსხიანი აისი. ყაღორზე მცხოვრებ, ქურთ მეზოვე სირანას ძვალ-რბილში ატანს. თავის გრძელტარიათ ცოცხს ჯანიანად უსვამს ძირს მიმობნულ, ფერად-ფერად ფოთლებში არეულ ნაგავს და აჩემებულ სიმღერას ღლინებს. ხედავს, ნამიან სკამზე სიმპათიური აღნაგობის მამაკაცი ზის, შავი შლაპით და შავი ლაბადით. სირანა, გაოცებული, საკუთარ თავს ეკითხება, — დილადრიან რამ გამოიყვანა გარეთ, ვინაა ნეტავი? თან შორიანლოს შეპარვით უყურებს. ეს, მგონი, ის უნდა იყოს, მაიცა, რას ეძახიან? ძალიან მაგარია, რომ ამბობენ, ყველაფერიანო, მხატვარიცო და რა ვიცი კიდევ, ვერ დავიძახსოვრე. ალბათ ფიქრებშია წასული. ინტელიგენტებს როგორ უყვართ, ფიქრის დროს შლაპის მუბზე ჩამოფხატება, ეტყობა, ასე უფრო კარგებს ფიქრობენ. ეჰ, სირანაჯან, სირანაჯან, შენ არც ძლიაპა გაქ და აღარც ფიქრები. — შეახსენა თავის თავს. ჭადრის ხეების ქვეშ დაკვინილ ფოთლებს აგროვებდა და ცალი თვალი, სკამზე მჯდომ მამაკაცისკენ გაუბრუნდა. — ისე, რა უცხაურია, ფიქრისა მაგას არაფერი არ ეტყობა, ეტყობა ღრმათა ძინავს. ჰო, გრეე იცის სუფთა ჰაერმა.

ეს ღამე ძალიან ჰგავდა ეპილოგის ბოლოს დასმულ წერტილს.

სულით დიდი ადამიანების ხვედრია, მშობლიური მიწა-წყლის დამახილზე მისვლა და იქ გარდაცვალება. ბატონი ვანტანგი ერეკლე მეფის ეზო-კარის ძანილმა, სკოლის ბოლო წარვივით, გამოაბრუნა ყორჩიბაშვილის ქუჩიდან უცხაური შეგრძნებით და განგებამ თავისი ბოლო სიტყვაც შეაგება მხატვარს. ერეკლე მეფის კარ-მიდამო იყო ის ადგილი, სადაც თავად დიდი მეფე აღესრულა და ახლა, ბატონმა ვანტანგმაც ამ დალოცვილ სამფლობელოში მიაბარა უფალს სული.

იყო შემოდგომის ფერად ფოთლებიანი ცივი ღამე, მეფის სული და ადამიანის გარდაცვალება.

შავ ფარდებიან, ნახევრად დახურული ოთახის სიღრმეში მდგარ მაგიდასთან, შავ სამოსში გამოწყობილი რამდენიმე ადამიანი იჯდა და ერთი მათგანი, ბატონ ვანტანგის მიერ დატოვებულ, ერთ წინადადებას ახდერძს კითხულობდა:

„ჩემ მიერ შესრულებული ყველა ნახატი გადაეცეს ჩემს ქალაქს, სადაც დავიბადე და სადაც გარდავიცვლები“.

„სადაც გარდავიცვლები“...

„სადაც გარდავიცვლები“...

„სადაც გარდავიცვლები“...

ეს ორი წინასწარმეტყველური სიტყვა ოთახს ექოღ უვლიდა...

თამარ ხოზრმეანიძე



ჩემი მარიტა

მთა, ყოველთვის, წელიწადის ოთხივე დროს ლამაზი და დიადია. ზამთარში თეთრი ქათქათა, სპეტაკი თოვლის საბანი ახურავს, განსაკუთრებულ სითბოს და სიცივეს ერთდროულად გვაგრძობინებს...

შემოდგომა-გაზაფხულზე უცებ ხეობებიდან აიყრებიან ლევა, კუპრივით შავი, პირმოქუფული ღრუბლები, იფიქრებ, დედამიწას წარღვნა ეშუქრებაო; ფიქრს სამანი არ დადებია და ხედავ, სადაც მზე არეულ-დარეულ ღრუბლებს გასლენს, გაფანტავს და გამობრწყინდება თავისი სიდიდით, ამის ხილვა, ერთობ ამაღელვებელია...

ზაფხული მთაში სულ სხვაა, სითბო და სიყვარული იღვრება ყველა სულდგმულში. მთებზე თითქოს მწვანე ატლასი გაუშლიათო, მინდორ-ველი ისე ხასხასებს. აგერ ცხვრის ფარა შეფენილა მთის ფერდობზე, შორიდან გეგონება, გვირილებით მოჩითული ფერდობიაო, მიუახლოვდები, გაიხარებ მშრომელი კაცი მხარ-თეძოზე წამოწოლილი, ერთგული ყურმას იმედით, რომ ცხვარს უღალატო პატრონი ჰყავს...

სადაცაა მზის გულზე უნდა ჩაეძინოს, მ აგრამ ფრთხილობს, ვაი და რამე საშიშროება დაემუქროს, ამდენი ჯაფით შეგროვილი ცხვრის ფარას, ქურდი, ნადირი – არცერთი არაა გამორიცხული.

ზაფხულის ლამაზი, მზიანი დილა გათენდა, გუშინდელი გადაუღებელი წვიმის და ქარიშხლის მერე, ვინ წარმოიდგენდა დღევანდელ მზიან დღეს.

გიორგი პაპა და თედო ეზოში შემას ჩენავდნენ, თედო, პაპა გიორგის შეშის დალაგებაში ეხმარებოდა, მოსწონდა ლამაზ მწკრივებად ჩალაგებული დაჩენილი შეშა.

- პაპი, ლამაზად დავალაგე?
- პაპა გენაცვალოს, თითქოს თარაზოთი გაგიწყვი, ისე ლამაზად დავილაგებია.
- მაღლობა, პაპა, მიხარია, რომ მოგეწონა.
- ჩემი იმედი და მომავალი ხარ, პაპა გენაცვალოს!
- შეშის დალაგებას რომ მოვრჩებით, მთებში

გავისეირნოთ, მზიანი დღეა, გუშინდელი ნაწვიმარია, ასეთ დროს მთაში ბევრი სოკო იცის...

პაპა გიორგი თედოს ძველ ამბებს უყვებოდა, ის დიდი აღმართი შეუსვენებლივ აიარეს, დაღლილობა არცერთს არ უგრძენია. თედო გულისყურით უსმენდა პაპის არაკებს, ეამაყებოდა სახელოვანი პაპის გვერდით სიარული. ოცნებებში ხედავდა პაპის ახალგაზრდობას და სიყმაწვილეს, ყველა არაკი ერთიმეორეზე საინტერესო იყო თედოსთვის.

მთის სუფთა ჰაერი, ხასხასა მდელი, განსაკუთრებულ მხნეობას სძენდა პაპა გიორგის. დავაჟკაცებულ თედოს რომ უყურებდა, უხაროდა, თავისი ახალგაზრდობა, გარდასული სიყრმე ავონდებოდა. უხაროდა თედოს ყმაწვილკაცობა... ჩემი ვაჟკაცი, იმედი, მომავალი, გვარის საიმელო გამგრძელებელი იტყოდა ხოლმე...

პაპა გიორგი და თედო საუბრობდნენ კაცურ თემებზე...

– თედო! უნივერსიტეტში რა ხდება? ვიცი რომ წარჩინებული სტუდენტი ხარ, მაგრამ პირადში როგორ ხარ? ახლანდელი გოგოების შესახებ ბევრი წამიკითხავს და გამივია. დაფიქრდი, შვილო, არ იჩქარო. ოჯახის შექმნას აჩქარება არ უყვარს, „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი“... ყველზე უფრო ამ გადაწყვეტილების დროს უნდა გაითვალისწინო, ისე უნდა გადადგა ნაბიჯი, რომ არასდროს ინანო. ამ საუბარში იყენებ ბაბუა და შვილიშვილი, რომ ლამაზ მინდორზე მომთაბარე ბავშვების ყვილ-ხივილი შემოესმათ. წამოდი, თვალს წყალი დავალევინოთ, როგორ ანცობენ, გარემოს ბედნიერი სიცილით აყრუებენ...

ბაბუა და შვილიშვილი მიუახლოვდნენ მხიარულ ბავშვებს, რომლებიც წყლიან გუბურაში ბურთს თამაშობდნენ...

ყველა დაინტერესდა, უცხო მგზავრებით მხოლოდ ერთი მინდორ-მინდორ ბურთს ფეხშიშველი დააგორებდა, საკმარის მოხდენილად და ძლიერადაც, არც უცხო მგზავრები შენიშნა, თავის სტიქიაში იყო გართული... განსხვავებული გარეგნობის, ცოტა ახტაჯანა, მაგრამ ღვთიური სილამაზე იკვეთებოდა, მის ველურ გამოხედვაში, ეტყობოდა ბევრი ერბინა ლოყები შეფაკლებოდა, თმა ჩამოშლოდა...

თედომ როგორც კი თვალი შეავლო, გაიფიქრა, ნამდვილი „მარიტააო“, თედოს უნდოდა, ეს გოგო გაეცნო, მაგრამ მარიტა ბურთს დაჰყვებოდა, მინდორ-მინდორ გარბოდა...

ის ღამე თედომ თეთრად გაათენა, ვერა და ვერ დაიძინა, თვალდიდან არ შორდებოდა მარიტას გაწეწილი თმა, თმებში მოკიაფე ორი შავი მარგალიტი, რალაცნაირი გამოხედვა, თითქოს თავის თავში დარწმუნებული ბურთს გამოცდილი ფეხბურთელივით თამაშობდა.

მარიტაში იყო რაღაც ქალური, ღვთიური და ძლიერი მეტროპოლი სული, რომელმაც თედოს სიმშვიდე დაუკარგა, სულით ხორცამდე შეძრა და ააფორიაქა. მერე თედომ ბაბუს გარეშეც რამდენჯერმე და-

ლაშქრა ის მთა, მაგრამ მარიტა მაისის თოვლივით გაქრა, ვერა და ველარ მიაგნო თედომ მარიტას გზა-კვალს, დაეკარგა მთის ნისლებმა შთანთქა, თუ მიწამ ჩაყლაპა... ბავშვები ძველებურად თამაშობდნენ, მაგრამ საოცნებო „მარიტა“ დაეკარგა...

ეს ის პერიოდი, როცა თენგიზ აბულაძის „ნატურის ხე“ ეკრანებზე ახალგაშობილი იყო. საქართველოში ყველა ვაჟი მარიტაზე იყო შეყვარებული, ან საოცნებო ქალი მარიტასნაირი წარმოედგინა..

ასეთ გრძნობათა ლაბირინთში გაიხლართა ჩვენი თედო და აღარ იცოდა სად ეძებნა მარიტა, ხილული და ზმანებაში ჩაკარგული...

ძღვლვარე, თავგადასავლებით სავსე ზაფხული მიიღია...

თედო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ფანჯარასთან იდგა და ეზოს გადმოყურებდა. ფიქრობდა დღევანდელ ლექციებზე, თავს ძალას ატანდა, ხელოვნების ლექტორის საუბარს იგონებდა. ყოველთვის დიდი გულისყურით უსმენდა რამიშვილის ლექციებს. დღევანდელი ლექციის არაფერი ახსოვს, არადა ნატურის ხის ირგვლივ საუბრობდა.

თედოს თავში მთიელი მარიტა ამოტივტივდა და მოსვენება დაკარგა, ან საიდან მოვიდა, სად დაიკარგა, რომ ვერანაირ კვალს მიაგნო, ან რატომ ვერ ივიწყებს... რამდენი ტანადი, ლამაზი გოგოა თედოს გარემოცვაში, ვერავის იკარებს თითქოს დაობლებული სული... ყველგან და ყველაფერში მარიტას ეძებს, მარიტა კი მინდორ-მინდორ გარბოდა, დაეკარგა... ვერ დაივიწყა, ველური გამოხედვით, თმებჩამოშლილი, ლოყებშეფაკლებული, ლამაზი გულში ჩამწვდომი კისკით, ჩაიარა გვერდით და მთის ნისლებში გაუჩინარდა, რომლის ნამდვილი სახელი და გვარიც არ იცის...

თედოს ოცნებად გადაიქცა, არც ის იცის, სად ეძებოს, არადა ვერც თავიდან, ვერც გულიდან და მით უფრო სიზმრებიდან ვერ მოიშორა...

გავიდა წლები, თედო ოჯახს მოეკიდა, ანგელოზი შვილები და შვილიშვილები ჰყავს, საზოგადოებაში შემდგარი და რეალიზებულია, სოციუმი პატივს მიაგებს, მაგრამ გულს რაღაც აკლია, სულს რაღაც სხვა სწყურია და ხშირად ბორგავს, ქვეცნობიერი თითქოს რაღაცას მაღავს, ან ვერც მაღავს, სიზმრებში პაპა გიორგი და მარიტა ერთდროულად ეზმანება...

ვერა და ვერ ამოიგდო თავიდან, ის ველური „მარიტა“ და ზოგჯერ მოწყენის მიზეზიც ხდება, ამ დროს თედო ფიცხი და უშუალოდ ჰგონიათ, არადა, ამ დროს გულში უფაქიზესი სიმები ირხევა, უსმენს, გულის სიმების წკარუნს, რომელსაც არაამქვეყნიური მუსიკა შეაქვს თედოს გულსა და გონებაში, უნდა გაირინდოს. სიჩუმი და თავისი შინაგანი მუსიკით დატკბეს...

მანც რა არის ადამის მოდგმა?

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შორიდან შეავლო თვალი „მის მარიტას“, არც უსაუბრია, არც გვერდივერდ მსხდარან, არც ის იცის, რა მოსწონს, რა აინტერესებს? როგორია ველური მარიტას შინაგანი სამყარო, იქნებ სულაც არ არის საინტერესო და სულმზიანი, როგორიც თედოს წარმოსახვაშია, მაგრამ მანც ანდამატივით იზიდავს და ოცნებობს ორმოცი წელია...

ვერ დაივიწყა, არ წაიშალა თედოს მეხსიერებაში; თმებჩამოშლილი, ლოყებშეფაკლებული, ველური მარიტას სახე-ზმანება...

უფალო! ან საიდან მოვიდა, ან სად გაქრა ჩემი უსახელო ლამაზმანი, რომელიც ნამდვილი „მარიტა“ იყო...

რატომ? რისთვის ვისჯები?!...

პატარა ქალაქში დიდი ამბავი იყო, ცნობილი პიროვნების პატივსაცემი ტურნირი იმართებოდა.

თედოც მიიწვიეს, როგორც საპატიო სტუმარი...

ბევრი ნაცნობ-მეგობარი ნახა, კოვიდპანდემიის შემდეგ ძლივს ადამიანთა კრებულს დაესწრო, ენატრებოდა, მეგობრები, საზოგადოება, ყველაფერმა დადებითად იმოქმედა, ამაღლებული განწყობა დაეუფლა...

ფიქრობდა, ამდენი მეგობრის ნახვამ დადებითად განმაწყო, მაგრამ დავიჯერო ასე ყველას მონატრებით ავივსე?

არა რაღაც სხვა მეძარბება, სხვა განზომილებაში მგონია თავი... ასე ლაღი და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ...

ღონისძიების ორგანიზატორმა ყურადღება მოითხოვა. დაიწყო ტურნირში მონაწილეთა დაჯილდოება; მარი ზედგინიძემ საპრიზო ადგილი აიღო, თედომ გარკვევით გაიგონა „მარი ზედგინიძე“... ეს ზომ ის მარიტაა, თედოს იდუმალი და საოცნებო მარიტა, რომელიც ამდენი წელი გულიდან და გონებიდან ვერ წაშალა, ვერც კვალს მიაგნო...

მიუახლოვდა, უნდა გამარჯვება მიულოცოს, ყველა ულოცავს, მაგრამ ვერ გაბედა; თითქოს დაძუნჯდა, გაქვავდა, მოულოდნელობამ მეტყველების უნარი დააკარგვინა, უბრალოდ კარგად დააკვირდა, დარწმუნდა, რომ ეს ისაა... ვისზეც ოთხი ათეული წელი ოცნებობდა, სიზმარი ცხადად ჰქონდა გადაქცეული...

მარიტას ღაწვები მართლა ბროწეულის ყვავილივით შეფაკლოდა... გაწეწილი თმა და შავი მარგალიტივით თვალები ისე აღარ უბრწყინავდა, როგორც მაშინ, მთაში, მაგრამ მასში რაღაც ისეთი იყო, რომელსაც ადვილად ვერ დაივიწყებდი...

უფალო! დაილოცოს შენი განგება, ამდენი წლის ძებნისა და ოცნების შემდეგ... „მარიტა“?!

თარგმანი

ჟურნალ „ახელის“ მკითხველებს ვთავაზობთ თურქი კლასიკოსების ნაწარმოებებს, რომლებიც თარგმნეს ნანა კაჭარავამ და მისმა სტუდენტებმა.

სურათზე ასოც. პროფ. ნანა კაჭარავა თსუ თურქოლოგიის მიმართულების სტუდენტებთან ერთად. მარჯვნიდან მარცხნივ, სხედას: ლიზი კორინთელი, ნანა კაჭარავა, თაკო ტვილიძანი. დეანან: ლუიზა ბეგლაროვა, თამარ კეკელიძე.



ომერ სეიფედინი



გამოსასყიდი

ომერ სეიფედინი (1884-1920) – მწერალი, პოეტი, ჯარისკაცი და მასწავლებელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის თურქული ლიტერატურისა და ზოგადად თურქული ენის განვითარების საქმეში. ხანგრძლივად მოგზაურობდა ანატოლიაში და კვირაში სულ მცირე ერთ მოთხრობას წერდა. გარდაიცვალა 35 წლის ასაკში, დაკრძალულია სტამბოლში.

ლუქანში, სადაც სინათლე მხოლოდ ვიწრო კარიდან აღწევდა, დღედაღამე მარტოდ, მუხლ-ჩაუხრელად მუშაობდა ქოჯა ალი. იგი გალიაში გამომწყვდეულ, მოთვინიერებულ ლომს ჰკავდა. ძალალი, დიდხელება, დაკუნთული, ფართო მხარბეჭიანი ფალავანი გახლდათ! უკვე ათი წელია, რაც ამ ჩაბნელებულ სოროში რკინისაგან გამოჭედილი ხმლებით მთელ ანატოლიაში, რუმელიასა და მოსახლვრე რაიონებში სახელი გაითქვა. მეტიც,

სტამბოლში იენიჩრებიც¹ კი სოლების, დიდი ზომის დანებისა და იატაკანების შექმნისას ეძებდნენ დამლას, რომელზეც აღნიშნული იყო: „დამზადებულია ოსტატი ალის მიერ“. ქოჯა ალი ფოლადის წითობის ოსტატი გახლდათ. მხოლოდ გრძელი ხმლები კი არა, მისი გაკეთებული მოკლე დანებიც კი ორპირიანი იყო და არ ტყვებოდა. ფოლადის წითობის ხელოვნება იყო ის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა. შევირდი არ ჰყავდა, ბევრსაც არ საუბრობდა, ღუქნიდანაც გარეთ არ გამოდიოდა... შეუსვენებლად შრომობდა. უცოლო გახლდათ, არც ნაცნობ-ნათესავი ჰყავდა. ამ მხარეში უცხო იყო. ხმლის, რკინის, ფოლადისა და ცეცხლის გარდა სიტყვა არ იცოდა. არც ვაჭრობდა, რამდენსაც მუშტარი მისცემდა, იმდენს ჯერდებოდა. მხოლოდ ომის დროს აქრობდა ქურას, ღუქნის კარს კეტავდა, გადაიკარგებოდა და ბრძოლის დასრულების შემდეგ გამოჩნდებოდა. ქალაქში მის შესახებ ბევრ ამბავს ჰყვებოდნენ. ზოგი ამბობდა, რომ „ჯალათს გამოქცეული ბატონი იყო“, ზოგი კი მას უწოდებდა ყარისს, რომელმაც „ამქვეყნიური სამყარო მიატოვა შეყვარებულის უდროოდ გარდაცვალების გამო“. მისი საუცხოო თვალების ამაყ გამოხედვაში, დახვეწილ ქცევაში, მედიდურ სიმშვიდეში, უნაკლო, გამართულ მეტყველებაში იგრძნობოდა, რომ ის უბრალო, მდაბიო კაცი არ იყო. მაგრამ ვინ იყო? სადაური? საიდან მოსულიყო? ეს არაფერი იცოდა. იგი ხალხს უყვარდა. ქალაქში ასეთი სახელგანთქმული ოსტატის ყოლა ყველას გამორჩეულად სიამაყეს ჰგვრიდა.

- ჩვენი ალი...
- ჩვენი დიდი ოსტატი...
- ქვეყანაზე ტოლი არ ჰყავს!
- ზულფი კარის ხმლის საიდუმლო მხოლოდ მან იცისო! – ამბობდნენ.

ქოჯა ალის არავისგან უსწავლია სქელი და ხისტი რკინის სიმინდის ფოთოლივით დათხელების, ქალღღივით დარბილების ხელოვნება, ამას თვითონ მიაგნო. ჯერ კიდევ 12 წლისა იყო, როცა მამამისი, მკაცრი ბატონთბატონი მოკლეს და დაობლდა. ბიძამისი ძალიან მდიდარი, დიდებული ვეზირი გახლდათ. ალი მან თავისთან წაიყვანა, უნდოდა, მისთვის განათლება მიეცა და სამეფო კარზე აეზარდა. იქნებ მაღალი თანამდებობაც დაეკავებინა. მაგრამ იმის განცდა, რომ შესაძლოა ვიღაცის მოწყალების ამარა დარჩენილიყო, ალის ტკივილს აყენებდა. „ვერავის გულის მოგებას ვერ შევცდები, ვერავის ვემსახურებიო“, – ამბობდა. ერთ ღამეს ბიძამისის სასახლიდან გაიპარა. როგორც უსახელო მოხეტიალემ მთები, ტყე-ღრე და მდინარეები გადაიარა. მოიარა ისეთი ქვეყნები, რომელთა სახელებიც კი არ გაეგო. ბოლოს და ბოლოს, ერზრუმში ერთ მოხუც მჭედელს მიეკედლა. 30 წლამდე ანატოლიაში უნახავი ქალაქი არ დარჩენია, ქედი არავის წინაშე მოუხრია, არავის ვალი ჰქონია. რასაც მოულობდა მხოლოდ საკუთარი ოფლით, ქვას წყალს ადენდა. ბევრი იშრომა, მშვენიერი, არნახული საქმეები აკეთა, მცირედი ნაშოვნითაც დაკმაყოფილდა. როგორც ყველა გამოძვინებელი, რომელსაც გული წმინდა ცეცხლით ანთებია, ისიც მუშაობდა არა ფულისთვის, არამედ ხელოვნებისა და მისგან მინიჭებული სიამოვნებისათვის. ფოლა-

1. რეგულარული ქვეითი ჯარი ოსმალების იმპერიაში.

დის წრთობაზე შეყვარებული იყო.

როცა ბრძოლებში მოხალისედ მიდიოდა, იენიჩრებში, სიფაჰიებსა² და სეკბანთა³ შორის ოსტატი ალის ნახელავის ქება-დიდებას რომ ისმენდა, ენით აუწერელ სიამოვნებას გრძობდა. თუ სიკვდილამდე ასე შეუჩერებლად იმუშავებდა, კიდევ რამდენი ათასი გმირისათვის დაამზადებდა მუნარადის მკვეთ გრძელ დანებსა და უძლეველ ხმლებს, ფარებს რომ ნაკუწ-ნაკუწ აქუცმაცებდა. ამაზე რომ ფიქრობდა, ტკბილად ეღიმიებოდა, გული უფრთხილვდა, სულში გრძემლზე ერთი მოქნევით ასწლეთილი მილიონობით ნაპერწკალი უღვიოდა.

- კაკ-კუქ!
- კაკ-კუქ!
- კაკ-კუქ...

აი, დღესაც დილის ნამაზის⁴ შემდეგ ათი საათი შეუჩერებლად იმუშავა. გამოჭედილი გრძელი მოღუნული ხმალი გრძემლის გვერდზე, წყლით სავსე კასრში ამოავლო. ქურაში ცეცხლს გახედა, ნელ-ნელა ქრებოდა, ჩაქუჩი დადო და ოფლი მოიწმინდა, კარისკენ შებრუნდა. მოპირდაპირე მესჯითში⁵ სალამოს ლოცვას სევდიანად კითხულობდნენ. სახურავზე, კვამლსადენის თავზე, ბუდეში ყარყატები გაუთავებლად ფრთხილებდნენ. სამხრის აბდესთი⁶ მოახლოებულიყო. მხოლოდ ხელები დაიბანა, გაიმშრალა, სახელოები ჩამოიწია, ქურთუკი მხარზე მოიგდო და გარეთ გავიდა. კარი კარგად გამოსურა, რადგანაც ჩაკეტვის საჭიროებას ვერ ხედავდა. გრძელი მოედანი გადაჭრა და პირდაპირ პატარა მჩეთისკენ გაემართა.

ქალაქის განაპირას მდგარ ამ მოკრძალებულ მესჯითში ძირითადად გაჭირვებული ხალხი დადიოდა. მისი მინარეთი პატარა ფანჯარა იყო. მუეძინი თავს ამ ფანჯარაში გამოყოფდა და ეზანს კითხულობდა. როდესაც ქოჯა ალი მესჯითში შევიდა, დაინახა, რომ ჩვეულებრივზე მეტად ხალხმრავლობა იყო. მაშინროცა ყოველთვის სამკანდელს ანთებდნენ, ამ სალამოს ყველა კანდელი ენთო ისე, როგორც რამაზანის დღესასწაულის დროს. მლოცველთა რიგები ჯერ არ ჩამწკრივებულიყო. კართან ჩაიჩოქა, გვერდით დაბალ ხმაზე მოსაუბრეებს უხალისოდ მიუგდო ყური. გაიგო, რომ კონიდან ორი უცხო დერვიში ჩამოსულიყო და მწუხრის ლოცვამდე მესხევეს წაიკითხავდნენ.

სამხრის ლოცვის შემდეგ მრევლის ნაწილი მესჯითიდან გამოვიდა. ქოჯა ალი ადგილიდან არ განძრეულა. ისედაც ცოტა თავი სტკიოდა. „მესხევეს მოვუსმენ, იქნებ გამიაროსო“, - გაიფიქრა. ორი ყარები დერვიშის სულის ამათრთოლებელი ჰანგებით მოიხიბლა. ყველა შეყვარებულივით მის გულშიაც უსაზღვრო გზნებას, მღელვარებასა და საოცარ აღმაფრენას დაესაფრებინა. სულ მცირე მიზეზის გამოც კი მძაფრი გამძაგება ეუფლებოდა. არამქვეყნიურმა ჰანგებმა ენისა, რომლის მნიშვნელობაც კი არ ესმოდა, მისი მშვიდი სისხლი წყლის ქვეშ დამალული ღრმა მორევით ააჩქეფა. სხეული უძიზეზო კანკალს აეჭანა, თითქოს ყელში

2. ცხენოსანთა არმია
3. Sekbân-ı Cedîd – სულთან მაჰმუდ II-ის მიერ შექმნილი არმია.
4. დილის ლოცვა
5. პატარა მჩეთი
6. მუსლიმებში რიტუალური განბანვა ლოცვის წინ.

ბურთი გასჩხეროდა. მწუხრის ლოცვაც რომ დამთავრდა, მესჯითიდან გამოსული პირდაპირ დუქანში ვერ დაბრუნდა, გაიარ-გამოიარა, არ ეძინებოდა. ზაფხულის თბილი, ვარსკვლავებიანი სალამო იდგა. ირმის ნახტომი ოქროსფერი მტკრის უსასრულო ღრუბელივით ცის ერთი კამარიდან მეორისკენ გადაჭიმულიყო. იარა, იარა, ბოლოს გაჩერდა ხის ხილთან, საიდანაც ქალაქიდან ფერმებისკენ მიმავალი გზა გადიოდა. ხის ხიდის კიდეს დაეყრდნო. ფართო წყლის ფსკერზე არეკლილი ვარსკვლავები ისე ბრწყინავდნენ, როგორც სინათლეზე კენჭები. მდინარის ნაპირას სიბნელეში, ტირიფების ხეივანში ბუბულები გალობდნენ. ფიქრებმა გაიტაცა, დიდხანს გაუხიბრებლად იდგა. ისევ სულში ეღვრებოდა მოსმენილი ჰანგების ჰარმონია და გულს ეფონებოდა ზუსტად ისევე, როგორც მესჯითში ყოფნისას. მოულოდნელად უკნიდან ყვირილის ხმა მოესმა:

- ეს ვინ არის?
- ...

ტკბილ ოცნებებში ჩაფლული გამოერკვა. შემობრუნდა, ხიდის მეორე მხრიდან ორი-სამი ლანდი წინ მოიწვედა. დაუფიქრებლად, უნებურად უპასუხა:

- უცხო არავინაა!
- ვინ ხარ?
- ალი...
- რომელი ალი?
- ...

ჩრდილები ნელ-ნელა მოუახლოვდნენ და ერთ ნაბიჯზე ტანსაცმლით იცნეს:

- ქოჯა ალი... ქოჯა ალი, კაცო...
- ...
- შენ ხარ, ოსტატო, ალი?
- მე ვარ!
- ამ დროს აქ რას აკეთებ?
- არაფერს.
- როგორ თუ არაფერს? წყალში ჩაქუჩი ხომ არ ჩაგვარდნია...
- !

ესენი ქალაქის მოურავის კაცები იყვნენ, ციხისმცველები, წესრიგისა და უშიშროების დამცველნი. ქოჯა ალიმ არ იცოდა რა ეპასუხა. ეს თავამკვეთი კაცები, რომლებიც დამდამობით ოპიუმით გაბრუებული დათარემობდნენ, წესიერი ხალხის თვალში ქურდებსა და მოძალადეებზე უფრო სამიშები იყვნენ. გარეთ დარჩენილს ვისაც მოიხელთებდნენ, ყველას სიკვდილის პირამდე სცემდნენ, მაგრამ ქოჯა ალის ცუდად არ მოქცევიან.

- ციხის მცველმა უთხრა:
- ოსტატო ალი, შენ რა, გაგიჟდი?
- არაა...

- ამ შუალამისას კი არა, მწუხრის ლოცვის შემდეგ, მითუმეტეს ქალაქის განაპირას, არ იცი, რომ ჩვენი ბატონი არავის აძლევს ქუჩაში ხეტიალის უფლებას?

- ვიცი.
- მერე? აქ რას ეძებ?
- არაფერს...
- როგორ თუ არაფერს?
- ...

ქოჯა ალიმ ისევ ვერ უპასუხა. ციხის მცველებმა იცოდნენ, რომ ის ღირსეული, ნამუსიანი კაცი იყო, ამიტომ არ დასაჯეს, მაგრამ გააფრთხილეს:

- მიდი, სახლში წადი, ნულარ დაბოდილობ...

ქოჯა ალი სწრაფად გაბრუნდა უკან. სულში ისევ ეღვრებოდა ის ძელოდია, რომელიც მესჯითში მოისმინა. ბუღბუღები მჭახე მჭახედ გალობდნენ, შორეული ფერებიდან ძაღლების ყეფის ხმა ისმოდა, გზად არავინ შეხვედრია. როცა ღუქნის წინ მივიდა, გაჩერდა. საკვამურზე ყარყატს არ ეძინა, სუდარამოსხმული მოჩვენებასავით ფეხზე იდგა. კარი ღია დახვდა. გაახსენდა, რომ გასვლისას მჭიდროდ გამოხურა.

– უცნაურია, ალბათ ქარი გააღებდაო, – გაიფიქრა.

ღუქანში გრდემლისა და უროს გარდა ღირებული არაფერი ჰქონდა. ესენიც მოპარვად არ ღირდა, იმდენად გამოუსადეგარი იყო, რომ ქურდს მისთვის შეწუხებაც არ უღირდა.

შევიდა, კარი შიგნიდან გადარაზა. არ სიამოვნებდა, ციხის მცველებს რომ გადაეყარა. ქალაქში ცხოვრებაც ერთგვარი ტყვეობა იყო. თუმცა მთაში, სოფელში ხელოვანი კაცი ვერ იარსებებდა. უცებ იგრძნო, რომ ძალიან დალილიყო. კანდელის ანთება დაეხარა. ღუმელის მარცხენა მხარეს კედელში დატანებულ განჯინაზე ხელების ფათურით ოთახიდან გავიდა და დათვის ტყავგადაფარებულ საწოლზე გაიმსლართა.

.....

უცბად წამოხტა, გამოეღვიძა, კარზე აბრახუნებდნენ, ნამძინარეკმა წამოიფვირა:

- ვინ არის?
- ჩქარა, კარი გააღე!..

.....

უკვე გათენებულიყო. კარის ჭრილიდან სინათლის სხივები ანათებდა. ის ასე გვიან არასდროს დგებოდა, მზის ამოსვლამდე იღვიძებდა. წამოდგა, წალოს გადაახტა. ფეხსაცმელი ვერ იპოვა და ოთახიდან ფეხშიშველი გავიდა. სწრაფად ურდული გადასწია და უცბად გაღებულ კარიდან ღუქანში სინათლემ შემოანათა. სინათლეში კი გრძელულვაშებიანი, ჩაღმიანი ციხისთავი იდგა. მის უკან თექისქუდიანი, წელზე წყვილ-წყვილი ხანჯლით ციხისთავის ახალგაზრდა ქვეშევრდომები გაჭიმულიყვნენ. ქოჯა ალი მათ გაკვირვებული სახით, რა მოხდა, რა ამბავიაო, შეატყქერდა. ციხისთავმა უთხრა:

- ოსტატო ალი, შენი ღუქანი უნდა გავჩხრიკოთ... გაკვირვებულმა ქოჯა ალიმ ჰკითხა:
- რატომ?
- ამ ღამეს ბუდაკ ბეის ფერმა გაუქურდავთ.
- მერე მე რა?..
- აი, ამიტომ შენს ღუქანს გავჩხრიკავთ.
- მე რა შუაში ვარ ქურდობასთან?
- ქურდებს მოპარული ბატკანი ხიდის ქვეშ დაუკლავთ. ტყავის ქისებიდან, რომლიდანაც ფული ამოიღეს, ერთი იქვე დარჩენიათ.
- მერე მე რა?

– რა და, ერთი ტყავის ქისა ამ დღით შენი ღუქნის წინ ვიპოვეთ. კიდევ... ამ კარის ზღურბლს შეხედე, სისხლის ლაქები ამჩნევია!

ქოჯა ალიმ ანთებული თვალები კარის ზღურბლს მიაპყრო. მართლაც, სისხლის დიდი ლაქა ეცხო. სანამ ის ამ წითელ ლაქას გამტყერებული დასცქეროდა, დაფანჩულულვაშებიანმა ციხისთავმა ჰკითხა:

– თანაც წუხელ ღამით ხიდის თავზე გნახე. იქ რას აკეთებდი, რას ებებდი?

– ...

ქოჯა ალიმ ისევ ვერაფერი უპასუხა. დაბნეულმა წინ გაიხედა.

– გაჩხრიკეთ... – თქვა მან და უკან დაიხია. ციხისთავი და მისი ქვეშევრდომები ღუქანში შევიდნენ. უცბად ციხისთავმა, რომელმაც ქურას გვერდით ჩაუარა, დაიფვირა:

– აი, აი, ნახეთ!..

– ...

ქოჯა ალიმ უნებურად გაიხედა იქით, საითაც ციხისთავი იშვერდა ხელს. ახალგაზრდაც ტყავი დაინახა. გაუკვირდა. ციხის მცველები ტყავს ეცნენ, გაშალეს, ჯერ კიდევ სველი იყო. ზოგი ბატონს და ზოგი დამნაშავეს მიაჩერდა. გაბრაზებულმა ციხისთავმა ჰკითხა:

- მოპარული ფული სად დამალე?
- მე ფული არ მომიპარავს.
- ხუ უარყოფ, ხომ ხედავ, ცხვრის ტყავი შენს ღუქანში ვიპოვეთ.
- ეს ტყავი აქ მე არ დამიღია.
- მაშ, ვინ დაღო?
- არ ვიცი.

.....

ქოჯა ალის ისედაც არ უყვარდა ლაპარაკი. მოურავის წინაშე რომ წარდგა, იქაც ვერ ახსნა, თუ რას აკეთებდა გვიან ღამით ხიდზე. ციხის მცველთა მიერ ნაპოვნი ყველა მტკიცებულება მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ფერმიდან მოპარული იყო ფული, რომელიც ბუდაკ ბეიმ ახალგაყიდულ ხუთას ცხვარში აიღო. ორ ძლიერ ქურდს დარაჯი მწყემსი მჭიდროდ გაუკოჭავთ, შემდეგ სულის ამოხდამდე უცემიათ. უფრო მეტიც, წამებაში ერთი ხელიც მოუტეხავთ. მეორე დღეს, მოსამართლის წინაშე ამ მწყემსმა თქვა, რომ ქურდებიდან ერთ-ერთი ქოჯა ალის ჰკავდა. ოსტატის დადანიშნულებისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ გვიან ღამით დაბრუნდა, ტყავი მის ღუქანში აღმოჩნდა, ფულის ქისა კი – ღუქნის წინ იპოვეს. რამდენიც არ უნდა უარეყო, ქურდობის გამართლება შეუძლებელი გახდა. ისედაც ხელისუფლებისთვისაც უცნობი რჩებოდა, თუ ვინ იყო და საიდან მოსულიყო იგი. მარცხენა მკლავის მოჭრის განაჩენი გამოუტანეს. როცა ქოჯა ალიმ ეს განაჩენი მოისმინა, ცხოვრების მანძილზე პირველად გაფითრდა, ტუჩები მოიკვნითა. სხვა გზა არ ჰქონდა, ბედს უნდა დამორჩილებოდა! ტორტმანით წამოდგა და მოსამართლეს შეუვალი ხმით მიმართა:

- ჩემს მკლავს შეეშვით, თავი მომჭერთ!
- ეს მის ცხოვრებაში პირველი თხოვნა იყო. მაგრამ მოხუცი მოსამართლე ძალიან სამართლიანი კაცი გამოდგა:
- არა, შვილო, შენ კაცი არ მოგიკლავს. მწყემსი რომ მოგეკლა, ამ შემთხვევაში მოგაკვეთავდი თავს. სასჯელი დანაშაულის შესაბამისია/ფარდია. შენ მხოლოდ იქურდე, ამიტომ მკლავს მოგჭრიან. სამართალი ასე მოითხოვს. შარიათის სამართლის მიხედვით, სამართლიანად მოჭრილი ადგილი არ გეტკინება...

– ...

ქოჯა ალისთვის მკლავი თავზე უფრო ღირებული იყო. ამ ორი ხელის წყალობით ჭედდა

ათასობით გმირისათვის ბუმბულივით მსუბუქ, მაგრამ უძლეველ ხმლებს, რომლებიც ორად აპობდა რკინის ჩაფხუტებს, ჭრიდა ფოლადის ფარებს, გლეჯდა მძიმე ჯაჭვის პერანგებს. ამ ყველაფერს კი აკეთებდა იაფად, შეიძლება ითქვას, მუქთადაც.

ქოჯა ალი ეინიჩრების ბატონის კარზე, ცინისთავის ოთახის ქვეშ გამოკეტეს. განაჩენის აღსრულების დღეს აქ ელოდა. ხმას არ იღებდა, ფიქრობდა იმ დღეზე, როცა ცალხელა დარჩებოდა და გრდემლს ჩაქუჩს ვეღარ დასცხებდა. განიცდიდა, ისეთ დღეში იყო, როგორც მორწმუნე, რომელსაც სათაყვანებელი წაართვეს. მკლავის გამოსასყიდის გადასახდელად ორი ყურუმიც კი არ გააჩნდა, რადგან დღემდე ფულისთვის არასდროს უშუშავია.

მთელი ქალაქის მოსახლეობას მკლავის მოჭრისთვის ძალიან ებრალებოდა ალი – გამოცდილი ოსტატი. ასეთი წარმოსადგევი, კეთილშობილი, მშრომელი, ღონიერი ვაჟკაცის სიკვდილამდე ხეობად დარჩენა ყველაზე უგრძობი, ცივ ადამიანებსაც კი ვერ წარმოედგინათ.

იგი ყველას უყვარდა. სიფაჰიები შეთანხმდნენ, გადაერჩინათ ოსტატი, რომელიც მათ იარაღს ძალიან იაფად უჭედავდა. ქალაქის ყველაზე მდიდარ ჰაჯი მეჰმედი მიმართეს. ეს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ ქარუნივით მდიდარი იყო, სამინელი ძუნწი გახლდათ. დღემდე ქალაქის ბაზრის პატარა დუქანში ყასბად მუშაობდა. დაფიქრდა, აწონ-დაწონა, თავი გადაიქნია, თავპატუი გაიდო, ცხვირ-პირი ჩამოუშვა, მაგრამ სიფაჰიებთან საქმის მშვიდობიანად მოგვარება იყო საჭირო:

- რასან თქვენ გინდათ, მე გადავიხდი მკლავის გამოსასყიდს, მაგრამ ერთი პირობით...
- რა პირობით? - ჰკითხეს სიფაჰიებმა.
- წადით და უთხარით, ჩემს სიკვდილამდე მუქთად უნდა მემსახუროს და შევირდობაზეც დამთანხმდეს...

- კარგი, კარგი...

სიფაჰიები ბატონის კარზე მიცვივდნენ და ყასაბი ჰაჯის წინადადება ქოჯა ალის მოახსენეს. ოსტატმა ჯერ შორს დაიჭირა, თქვა, რომ ყასაბის არაფერი გაეგებოდა, დათანხმება არ სურდა. სიფაჰიებმა დაუთხინეს:

- შე კაცო, განა ყასაბობა საქმეა? ამდენი ომი გინახავს, ხმალი ვიქნევია, ნუთუ დაბმულ ცხვარს ვერ წამოაქცევ და ვერ დაკლავ?

ქოჯა ალისთვის ამ წარმავალ წუთისოფელში ვინმესთან მონად დადგომა, ვინმესთან ვალში ყოფნა ყველაზე მძიმე ტანჯვა იყო.

ჯერ კიდევ ყმაწვილობისას ვეზირ ბიძას გამოექცა, მშობლიური კერა მიატოვა და უცხოეთში გადაიხვეწა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს მოწყალეების ამარა არ დარჩენილიყო. ახლა კი, დახეთ, ბედის დაცინვას, ქოჯა ალი ვის ემონებოდა..

სიფაჰიები ეუბნებოდნენ:

- ჰაჯი უკვე 70 წელს გადაცილებულია... განა რამდენ ხანს იცოცხლებს... მოკვდება და ისევ თავისუფალი იქნები, ისევ გამოგვიჭედავ ხმლებს! აბა ჰე, ნუღარ ფიქრობ, ოსტატო!

ჰაჯი ყასაბმა მოსამართლეს ქოჯა ალის მკლავის გამოსასყიდი ჩაუთვალა და ოსტატი თან იახლა. დუქანში მოიყვანა. ეს კაცი ძალიან ჭირვეული, ახირებული, ანჩხლი და უჟმური მოხუცი გამოდგა. გაუჩერებლად ბურღუნებდა,

იმადლებოდა. დღემდე თავისი წუწურაქობის გამო არც მოსამსახურე ჰყოლია არც შეგირდი. როგორც კი ალი ხელში ჩაიგდო, მაშინვე დუქანის კუთხეში ტახტი დადგა, იქვე ლეიბი გაიშალა, ზედ დაბრძანდა და განკარგულებების გაცემა დაიწყო. ყველაფერს ქოჯა ალის აკეთებინებდა, ყველაფერს... დილის ნამაზამდე 5 საათით ადრე აგზავნიდა ფერმაში, რომელიც ქალაქიდან ორი საათის სავალზე მდებარეობდა. იმ დღისათვის გასაყიდ ცხვრებს მოაყვანიებდა, დააკვლევინებდა, დააჭრევინებდა და გააყიდინებდა... საღამოს ლოცვამდე გაუჩერებლად ბრძანებებს იძლეოდა. საწყალ ალის მხოლოდ ბულგურის წვნიანს აჭმევდა, ზოგჯერ თავის ნარჩენებს ძაღლივით მიუგდებდა. ღამდამობით დუქანს თავიდან ბოლომდე არეცხინებდა. ისე, რომ დაწოლის საშუალებასაც არ აძლევდა, მეორე დილისთვის ცხვრების მოსაყვანად ისევ ფერმაში აგზავნიდა. ტყიდან შეშაც კი ქოჯა ალის მოჰქონდა. შეშას მას აჩენინებდა, წყალს მას აზიდინებდა. ყველა საქმეს, განურჩევლად ყველაფერს მას ავალებდა. ის კი არა, სახლის ეზოს ფეხსალავის ჭაც კი ოსტატს გააწმენდინა.

ქოჯა ალი წყალწყალა ბულგურის წვნიანსა და ამდენ წვალებას კიდევ წლების განმავლობაში გაუძლებდა. მაგრამ ჰაჯი ყასაბი წარამარა:

- კაცო, ალი, შენი მკლავის გამოსასყიდი მე გადავიხადე. თორემ ახლა ცალხელა იქნებოდი!.. თავის გაკეთებულ სიკეთეს დღეში ასჯერ აყვედრიდა.

ერთი დღე ითმინა, ორი დღე, სამი დღე კბილს კბილი დააჭირა ქოჯა ალიმ. გაუჩერებლად იძუშავა, ღამე არ დაიძინა, დღე ირბინა, იმრომა, თავის ბატონის წინაშე მორჩილად იდგა და მაინც:

- შენი მკლავის გამოსასყიდი მე გადავიხადე.
- ...
- ახლა ცალხელა იქნებოდი, ჰა...
- ...
- ჩემი წყალობით გაქვს ხელი.

ჰაჯი ყასაბი ამ სიტყვებს წარამარა იმეორებდა, თითქოს ქება ყოფილიყო. ყოველი ბრძანების შესრულების შემდეგ ჭაღარაწვერიან, მახინჯ, გამხდარ სახეს შეჭმუნნიდა და ცისფერი მოწყურული თვალებით ქოჯა ალის თავიდან ფეხებამდე ცხრილავდა. მომენტს ხელიდან არ უშვებდა, ყოველ ჯერზე ეუბნებოდა: „კარგად დაიმანსოვრე, შენ ჩემი ტყვე ხარ!“ გადახდილ გამოსასყიდს ახსენებდა და თავს ამადლიდა. ქოჯა ალი ჩუმად იყო, გული ეფლითებოდა, გრძობდა, ცეცხლი ედებოდა, მოკუმული ყბის ღრაჭუნის და საფეთქლების ცემა ესმოდა. ღამეები არ ეძინა, დღისით მუშაობდა, ფერმაში დადიოდა. სასაკლაოზე ცხვრებს რომ ატყავებდა და მუშტარს ხორცს უჭრიდა, გამუდმებით ფიქრობდა: „რა ვქნა, რა ვიღონო“?.. მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა, გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. მაშინ როცა უნდოდა, რომ ქვეყანაზე არავის წინაშე ვალში არ დარჩენილიყო, სიამაყით, ღირსებით ეცხოვრა, ეს რა ხიფათს გადაეყარა?!

გაქცევითაც ვერ გაიქცეოდა, რადგან სინდისი ამის ნებას არ აძლევდა.

აი, მაშინ კი მართლაც გამართლდებოდა, რომ თითქოს იქურდა.

მაგრამ ვერც გამუდმებულ დამცირებასა და დამადლებას ვეღარ უძლებდა... ეს მისთვის სიკვდილზე უფრო მძიმე, სიკვდილზე უფრო მწარე, სიკვდილზე

უფრო ძნელი იყო...

.....
ზუსტად ერთი კვირა გასულიყო მას შემდეგ, რაც ჰაჯი ყასბის მონად იქცა. პარასკევი დღე იდგა... ისევ აღრიანად წავიდა ფერმაში, ცხვრები მოიყვანა, სასაკლავოზე გაატყავა, ღუქანში საკიდზე ჩამოკიდა. დახლის მარცხნივ დიდ, შავ, გაზეთილ ქვაზე წაღღს ლესავდა. „რა ვქნა, რა ვქნა“? ფიქრობდა და ტუჩებს იკვნეტდა. ჯერ მისი ბატონი არ მოსულიყო. წაღღები რომ დაამთავრა, ქოჯა ალიმ დანების ლესვას მიჰყო ხელი: „რა ვქნა, რა ვიღონო“? ამ ფიქრში ისე გაერთო, რომ ყასბის მოსვლა ვერც გაიგო. უცებ მახინჯის მოგუდულმა ხმამ შეაქროთო:

– რას შვრები, კაცო?

შებრუნდა, მისი ბატონი კუთხეში მოკალათებულყო და ჩიბუნს აბოლებდა.

– დანებს ვლესავ, – უპასუხა ქოჯა ალიმ.

– ჰაიტ, შე ხარმაცო, ხანტო, უსაქმურო... დილის მერე რა გააკეთე?

– ...

ქოჯა ალიმ არ უპასუხა. ქუთუთობდამჭკნარ, წვრილ, ვერაგ, გველის თვალებში მიაშტერდა. მოხუცი ამ მკაცრ გამოხედვას არ ელოდა, გაბრაზდა და ჰკითხა:

– რას აკეთებ?

– ...

ქოჯა ალიმ ხმა არ გასცა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ლამის ხუთი წლის სამსახური გაუწია ამ კაცს. გაუჩერებლად, შეუსვენებლად შრომობდა, ეს უქმური და უხიაგი ბებერი ოსტატს მაინც „ხარმაცსა და ხანტს“ ეძახდა, არ სწყინდებოდა მისი აზრად აგდება და დამცირება. ახლა კი გამანადგურებელი მზერით ალის თავიდან ფეხებამდე ზომავდა. ოსტატს ისევ გული მოუკვდა, მკერდზე ცეცხლი მოედო, ყბები გადაეკეტა, საფეთქლები უსკდებოდა. უეცრად ეს თრთოლვა შეუჩერდა. ქოჯა ალიმ თვალები გაახილა. ერთი კვირა ამ წამებას როგორ გაუძლო? თვითონაც გაუკვირდა. ჰაჯი ყასბამა ჩიბუნნი გვერდზე გადადო. თითქოს მოსამსახურის მკაცრ მზერას თავი დააღწიაო, დაიბუზღუნა:

– მგონი გავიწყდება, შენი მკლავის გამოსასყიდი მე გადავიხადე. მე რომ არ ვყოფილიყავი, ახლა ცალხელა იქნებოდი...

ქოჯა ალიმ ისევ არ უპასუხა. მწარედ ჩაიღიმა, გაწითლდა, შემდეგ უცბად გაფითრდა. სწრაფად მობრუნდა, გაღესილი წაღღებიდან ყველაზე დიდს სტაცა ხელი, აკაპიწებული მკლავი შემადღებულ ადგილას, ხორცის დასაჭრელ კუნძზე ჩამოღო და ზევით აღმართული მძიმე წაღღი უცბად დაუშვა... მოჭრილ მკლავს ხელი სტაცა, დაიჭირა და მოიქნია ყასბი ჰაჯისკენ, რომელსაც ამ საშინელების შემხედვარეს თვალები გადმოვარდნაზე ჰქონდა.

– აჰა, შენ, აიღე ის, რაშიც გამოსასყიდი გაქვს გადახდილი!

შემდეგ ტანსაცმლის უხელოდ დარჩენილი მკლავი მჭიდროდ გაკვანდა და ღუქნიდან გავიდა.

ქალაქში ვერავინ გაიგო, ამჯერად სად წავიდა იგი... ისევე, როგორც თავის დროზე არავინ იცოდა, თუ საიდან იყო მოსული...

თურქულიდან თარგმნის:

ნანა კატარავამ და ლიზი კორინთელმა

რეჟიმ კალით კარაი



მეწაღე

რეჟიქ ჰალით კარაი (1888-1965) – რესპუბლიკის პერიოდის თურქი მწერალი. სწავლობდა სტამბოლის უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე. გარკვეული პერიოდი მუშაობდა ოსმალეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროში. 1908 წელს მან დატოვა ეს თანამდებობა და აქტიურად ჩაერთო საგამომცემლობო საქმიანობაში. პოლიტიკური შეხედულებების გამო ორჯერ გადაასახლეს. მის შემოქმედებას ატყვია უცხოეთში ყოფნის კვალი.

როდესაც გემმა ნავსაყუდელი დატოვა და მარმარილოს ზღვისკენ გაცურა, მეზავრების გამცილებლებმა ისეთი შვება იგრძნეს, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოეხსნათ.

– საბრალო ბავშვი არაბეთში უკეთ იქნება, – თქვეს მოჩვენებითი სიხარულით, რითაც თითქოს ყველა დააჯერეს, რომ საქმე კეთილად მოაგვარეს, მაგრამ სანღში მაინც გულდამძიმებულები დაბრუნდნენ.

მამით ობოლი პატარა ჰასანი, დედის გარდაცვალების შემდეგ, შორეული ნათესავებისა და ახლობელ-მეზობლების ჩარევა-დახმარებით, პალესტინის ერთ შორეულ დაბაში, მამიდასთან გავზავნეს.

ჰასანი გემზე ძალიან გაერთო. ღრიალით მომუშავე ამწეების, წარწერებიანი სამაშველო რგოლების, გასაშრობად გაფენილი, სარეცხივით დაკიდებული ნავების, გემზე ცვლის შეცვლისას ხარების რეკვის ცქერამ ძალიან გაამხიარულა. ხუთი წლისა იყო. თავისი ბავშვური, ტკბილი, საყვარელი და ენაჩლიფინა საუბრით გემბანზე გამოფენილ მეზავრებს თავიფრიად შეაყვარა.

მაგრამ, საბოლოოდ, აქეთ-იქით ცურვისა და სადგურებზე მეზავრების დარიგების შემდეგ გემი ცხელ ქვეყნებს მიუახლოვდა და ბავშვსაც უხალისობა დაეჭყო. გემზე დარჩენილები მისთვის უცნობ ენაზე საუბრობდნენ და მას როგორც სტამბოლში, აღარ ეძახოდნენ:

– Hasan gel! Hasan git!¹ – მისმა სახელმა თითქოს ფორმა იცვალა და ჰასენად იქცა.

– Taal hunya Hassen² – თუ ეტყოდნენ, ბავშვიც მათკენ მიდიოდა.

– Ruhya Hassen³ – ეტყოდნენ და ისიც იქაურობას ეცლებოდა.

გემიდან ჰაიფაში ჩამოსვეს დამატარებელში ჩასვეს. მისი მშობლიური ენა უკვე აღარსად ისმოდა

1. თურქ. ჰასან, მოდი! ჰასან, წადი!

2. არაბ. მოდი აქ, ჰასენ.

3. არაბ. წადი აქედან, ჰასენ.

და ჰასანიც კუთხეში მიიყუთა. ვინმეს რამეც რომ ეკითხა, ხმას არ იღებდა. ლოყები ასწითლებოდა და გულზე ლოდევით სამძიმე აწვა. ფორთოხლის ბალები ახსენდებოდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყელში მძიმე ბურთი გასჩხეროდა და ლუკმასაც ვერ ყლაპავდა.

მატარებელმა უკან მოიტოვა მშვენიერი ხეხილის ბალები, ერთდროულად თან რომ ჰყვავდა და თან ხილით იყო დახუნძლული. ზეთისხილის კორომებიც გამეჩხერდა. მატარებელი ახლა ხრიოკ, ციცაბო მთებს შორის მიქროდა. ფრიალო მთის კალთებზე კუნაპეტვივით შავი თხები ბალახს ძოვდნენ. მათი შავი ბეწვი მცხუნვარე მზის სხივებქვეშ, ახლად შეღებილი ავტომობილის საღებავივით, სარკისებრად ლაპლაპებდა.

როცა ესეც გაიარეს, მიაღწიეს თვალწევდენელ დაბლობს. აღარაფერი ჩანდა, აღარც ხეები, აღარც მდინარე, აღარც სახლები! მხოლოდ ხანდახან თუ დაინახავდნენ უზარმაზარ ცხოველებს. ეს მაღალი, კუხიანი პირუტყვები მატარებლისკენ არც კი იყურებოდნენ; პირთან თეთრდუქომდგარნი ხანტად იცოხნებოდნენ. ისინი ერთმანეთის მიყოლებით, აულეღვებლად, აუჩქარებლად ისე მიდიოდნენ, რომ არც კვალს ტოვებდნენ და არც გზას ამტვერებდნენ.

ჰასანმა ითმინა, ითმინა, თუმცა ცნობისმოყვარეობას ვეღარ გაუძლო და გვერდით მყოფ ჯარისკაცს ცხოველზე მიუთითა. მან გაიცინა და უთხრა: – Gemel! Gemel!⁴

ჰასანი სადგურზე ჩამოსვეს. შავჩადრიანმა ქალმაშავი შეჭმუნული წარბებითა და დიდი შავი ხალით, კისერზე, მუბლზე, მკლავებსა და ყურებზე აუარება ოქრო რომ ჰქონდა ასნმული, იგი მკერდზე მიხუტა. ამ ქალს დედამისისაგან განსხვავებული, ზედმეტად რბილი, უცნაური სუნით გაჟღერებული, შიგნითშეგარდნილი და უსიცოცხლო მკერდი ჰქონდა...

– Yahabibi! Yaayni!⁵ – გულში იკრავდა და ეფერებოდა.

მაძიდამისის თანხლები ქალებიც გადაეხვივნენ მას, აკოცეს, ბევრი ილაპარაკეს, ერთად იცინეს. ჰასანისდასახვედრად უამრავი ბავშვი მოსულიყო. ბიჭებს, პერანგისა და ქურთუკის ნაცვლად, კაბებზე მოსაცმელები ეცვათ და ხუჭუჭა თავებზე არახჩინები ეხურათ... ჰასანი კი უხალისოდ, სულმეხუთული იდგა. იდგა და ღუძდა.

აი ასე, კვირების განმავლობაში ხმას არ იღებდა. თავის ბავშვურ გონებაში ჩამოყალიბებული სიჯიუტის გამო იმ მცირე არაბულითაც არ ლაპარაკობდა, რომელიც ხელწელა უკვე ესმოდა. თავს ზღვაში ჩავარდნილი სუნთქვაშეკრული ადამიანივით გრძნობდა, დასაწრჩობად რომაა განწირული და უფრო დიდი საფრთხის ძოლოდინში კვლავ ღუძდა. სულ ღუძდა.

ახლა უკვე მასაც ფართო სარტყელიანი ხალათი ეცვა მოსაცმელით, თავზე კი არახჩინი ეხურა და კულულები მუბლზე ჩამოვარდნოდა. მიეჩვია თონის ტყავივით მაგარ, გაბრტყელებულ მურასა ლავამებსა და ძირს გაშლილ სუფრას. მიირთმევადა ხელით, აღარც კოვზს ხმარობდა და აღარც ჩანგალს.

ერთ დღესაც, მამიდამისმა ქუჩაში ყვირილით მიმავალ მეწაღეს დაუძახა. სახლის შიდა ეზოში შემოვიდა მამაკაცი დაკონკილი სამოსითა და ზურგზე მოკიდებული გახიერი ტომრით. მას ხელში ერთი ციცქნა სკამი და გრძელირკინა ეჭირა, ტო-

4. არაბ. – აქლემი! აქლემი!

5. არაბ. ჩემო საყვარელო, ჩემო თვალისჩინო!

მარაში კი მუყაოს მსგავსი შეკვრა ელო.

ერთ ხანს ისაუბრეს, ძორიგდნენ. შემდეგ კი კაცს დახეული, ძირგავარდნილი, დასაკერებელი ფეხსაცმელების მთელი რიგი ჩაუშვკრივეს წინ.

მეწაღე პატარა სკამზე დაჯდა. ცნობისმოყვარე ჰასანი კი წინ დაუდგა. იგი ამ ოთხი კედლით გარშემორტყმულ, დაბალ, ერთსართულიან მიწურ სახლში ძალიან მოწყენილი იყო... უცნობის საქმიანობას გაკვირვებული და გამხიარულებული აკვირდებოდა. უყურებდა, თუ როგორ ჩასო უცნობმა რკინა მიწაში, როგორ ჭრიდა იგი სქელ ტყავს უტარო, ორპირიანი დანით. უყურებდა, როგორ იწყობდა იგი პირში ლურსმნებს და როგორ იღებდა მათ საითათოდ და ფეხსაცმლის ძირს სწრაფად აჭედებდა. უყურებდა, თუ როგორ აწყობდა დასალბობად ტყავის ნაჭრებს ამღვრეულ წყალში, როგორ აწობდა თითს წებოს ჭუჭყყიან ჯამში და ფეხსაცმელების ძირს უსვამდა. ბავშვი ამ ყველაფერს უყურებდა და ღუძდა.

ერთხანს ჰასანს გადაავიწყდა, თუ სად და ვისთან იყო და ფიქრებში გართულმა უცნობს მშობლიურ ენაზე ჰკითხა:

– ლურსმნები პირში არ გერჭობა?

მეწაღემ მუშაობას თავი ახება და გაკვირვებულმა დიდხანს უყურა ჰასანს სახეში.

– ვაჰ, კაცო, თურქი ბავშვი ხარ?

– სტამბოლიდან ჩამოვედი.

– მეც მაგ მხრიდან ვარ... იზმითიდან!

მეწაღეს თმა და წვერი აჩეჩილი ჰქონდა; მკერდი მოშიშვლებული და შარვალი მუხლებთან დაკმსილი. კბილები აკლდა, სახე გაფითრებოდა და გაჰყვითლებოდა, თვალების თეთრი გარსიც კი ყვითელი ჰქონდა. მას შემდეგ რაც გაიგო, რომ მან თურქული იცოდა და ორივენი ერთი მხრიდან იყვნენ, ჰასანი არა მხოლოდ მის საქმიანობას, არამედ უკვე მის სახესაც ყურადღებით აკვირდებოდა. კაცს მკერდზეც ისეთივე მეჩხერი და ჭალარა თმა ჰქონდა, როგორიც თავსა და წვერზე. უპბილობის გამო ჰასანს ჩლიფინა ხმით ჰკითხა:

– ამ ჯოჯოხეთში როგორ მოხვდი?

ჰასანმა იძღენი აუხსნა, რამდენიც თავად ესმოდა. მერე ალუწერა, თუ როგორი იყო მათი სახლი კალინჯაში; მოუყვა, როგორ თევზაობდა მეზობლის ბიჭ მაჰმუდთან ერთად; როგორ წავიდა დედამისი ექიმთან და როგორ გაჩერდა ერთ დღეს მათი სახლის წინ თეთრად შეღებილი სასწრაფოს მანქანა, რომელშიც საწოლები ელაგა. მერე ერთ ხანს გაჩუქდა და მეწაღეს მიუბრუნდა:

– აქ რატომ ხარ?

მან თავი და ხელი გააქნია, იმის ნიშნად, რომ გრძელი ამბავია... და ჩაიბურტყუნა:

– დანაშაული ჩავიდინე და გამოვიქეცი.

მთავარი მოსაუბრე ჰასანი იყო. ჰასანი, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში ღუძდა... იგი საუბრობდა დაუსრულებლად, მეუსვენებლოვ, ამოსუნთქვის გარეშე... ლოყები და ტუჩები სიხარულისგან შევარდისფერებოდა და სუფთა, ბროლივით წკრიალა ხმით განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ყვებოდა ყველაფერს, რაც კი თავში გაუელვებდა.

მეწაღე კი თან მუშაობდა და თან ხანდახან წამოიძახებდა: – „ჰა“? „რა“? „მართლა“? – რათა ერეგებინა ბავშვისთვის, რომ უსმენდა. უსმენდა სიამოვნებით, თუმცა გულდაწყვეტილი. თითქოს უსმენდა მშობლიური ქვეყნის სიმღერას, ქარს, ნაკადულის რაკრაკს; იმ ქვეყნისას, რომელიც მისთვის უკვე მიუწვდომელი იყო. უსმენდა და

ფიქრობდა თავის წარსულზე, დაკარგულ კერაზე და გული ეწურებოდა.

მეწაღეც დილობდა, ნელა ემუშავა. საქმეს განგებ აჭიანურებდა, რათა რაც შეიძლება მეტი მოესმინა. მაგრამ, საბოლოოდ, ყველა ფენსაცემელი შეაკეთა. საქმე დასრულებული იყო. რკინა მიწიდან ამოაძრო, ტყავი გადაახვია, ლურსმნების ყუთი დახურა, წებოს ჯამი შეინახა. ამ ყველაფერს იგი ნელა, აუჩქარებლად აკეთებდა.

ჰასანმა გულისფრიალით ჰკითხა:

– მიდინარ?

– ჰო, მივიდივარ. მოვრჩი საქმეს. – უპასუხა მეწაღემ და დაინახა, რომ პატარა ატირდა; მისი თანამემამულე ციცქნა ბიჭი ტიროდა... აკანკალებული უხმოდ ტიროდა. ლოყებზე დაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, ზუსტად იმ წვიმის წვეთებივით, ვაგონის სუფთა ფანჯარაზე სწრაფად რომ ეწვეთებიან და ერთმანეთს ერთვიან... ბავშვს მკერდი უთრთოდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

– არ იტირო, კაცო! არ იტირო, ვაჟკაცი არა ხარ!

მეწაღემ სხვა სიტყვები ვერ იპოვა. ამის გაგონებაზე ბავშვმა ტირილს უმატა. ტიროდა გულამოსკვნილი, რადგან იცოდა, სხვა თურქულად მოსაუბრეს ვეღარ ნახავდა.

– არ იტირო, გეუბნები! არ იტირო! – ამას რომ ამბობდა, ხვდებოდა, როგორ უთბებოდა და უღლებებოდა გამაგრებული და გაციებული გული.

მეწაღემ სცადა ნაბიჯი გადაედგა, ბავშვს წინ დასდგომოდა, მაგრამ ვერ შეძლო, თავს ვერ მოერია. იგრძნო, როგორ აევსო თვალები, როგორ ჩამოუვარდა ცრემლები წვერზე და არაბეთის სიცხისგან დამწვარ, გახურებულ მკერდზე გრილი ნაკადულივით დაეღვენთა.

თურქულიდან თარგმნეს: ნანა კაჭარავამ და თამარ კეკელიძემ

რეშათ ნური გუნთექინი



სასიყვარულო წერილები

რეშათ ნური გუნთექინი (1889-1956) – მწერალი, ნოველისტი და დრამატურგი, თურქული ლიტერატურის კლასიკოსი. დაიბადა სტამბოლში და 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ლონდონში. ქართველი მკითხველი მას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან იცნობს მისი პოპულარული რომანით „ნარჩიტა“.

ერთ საღამოს, სკოლიდან დაბრუნებულ რასიმს, მის სახელზე მოსული წერილი დახვდა. კონვერტში ყვავილებიან ქაღალდზე, ახალი ანბანით ეს სტრიქონები ეწერა:

„ბატონო რასიმ!

მე ის ახალგაზრდა გოგო ვარ, რომელსაც შორიდან უყვარხართ. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ლამაზი ვარ. ამ ქვეყნად ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, რომ თქვენ შეგიყვარდეთ და თქვენი მეუღლე გავხდე. მაგრამ რადგანაც ჯერ ძალიან პატარები ვართ, ვფიქრობ, რამდენიმე წელი მოგვიწევს მოცდა. ახლა კი ჯერჯერობით თავს არ ვაგაცნობთ. თქვენი წერილები დააზღვიეთ და „.....“ ამ მისამართზე გამომიგზავნეთ. მე მყავს ძალიან მკაცრი მამა ბატონი, რომელიც ძალიან ცოტა ხნით მაძლევს

გარეთ გასვლის უფლებას. თუმცა, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს სახელდახელოდ შევძლოთ შეხვედრა. ვინაიდან მე უკვე საკუთარ თავს თქვენს შეყვარებულად და დანიშნულად ვთვლი, არ მიძაჩნია, რომ ჩვენი შეხვედრა სამარცხვინო იყოს. სახლში მარტო ყოფნით გული მიწვრილდება. თქვენი წერილები ჩემთვის დიდი ნუგეში იქნება“.

როგორც ყველა თექვსმეტი წლის სკოლის მოსწავლისათვის, რასიმისათვისაც არაფერი იყო უფრო მნიშვნელოვანი ცხოვრებაში, ვიდრე სიყვარული. როგორც კი ეს წერილი წაიკითხა, გულზე ცეცხლი მოედო. მას სიგიჟემდე შეუყვარდა ეს გოგო, რომელსაც არც კი იცნობდა. იმ ღამეს კინოში წასვლას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. ადრიაანდ თავის ოთახში შეიკეტა და გრძელი წერილი მისწერა გოგონას, რომელიც მას სიყვარულს ეფიციებოდა. როდესაც წერილი საფოსტო ყუთში ჩააგდო, უცებ ისეთი სიამაყე იგრძნო, თითქოს ათი წლით გაზრდილიყო.

ეს ახალგაზრდა გოგონა, რომელიც იწერებოდა, რომ ბედია ერქვა, სისტემატურად პასუხობდა რასიმის წერილებს და თუ რასიმი ერთი-ორი დღით დაუგვიანებდა პასუხის გაცემას, ქვეყანა იქცეოდა.

„განა სწორია ამდენი ალოღინოთ საწყალი გოგო, რომელსაც თქვენ გაგიჟებით უყვარხართ და თქვენი წერილების გარდა სხვა ნუგეში არ გააჩნია? თან ძალიან მოკლე წერილებს მწერთ. და კიდევ ერთი თხოვნა მექნება: არ შეგიძლიათ წერილები ცოტა გარკვევით წეროთ?“

ახალგაზრდა მოსწავლე საღამოს ადრიაანდ თავის ოთახში იკეტებოდა, შეყვარებულისათვის თავის მოსაწონებლად წერდა გრძელ წერილებს ჯერ შავად, წიგნებიდან ციტატებსაც იშველიებდა ხოლმე და ბოლოს ათეთრებდა.

ბედია ამავე დროს ცნობისმოყვარე გოგო გამოდგა. ხანდახან ასეთ შეკითხვებსაც უსვამდა:

„როცა დაგქორწინდებით, თაფლობის თვის გასატარებლად იტალიაში წავიდეთ თუ შევედით?“

მანტიერებს როგორია ეს ორი ქვეყანა? იქ ხალხი როგორ ცხოვრობს, რას საქმიანობენ? იქ მოსახვედრად რომელი ზღვები და ქვეყნები უნდა გავიაროთ?“ ან „აბდულჰაკ კამით ბეის „ემბერი“ წაკითხული გაქვს? ყველაზე მეტად რა მოგეწონა, დამიწერე და მეც წავიკითხავ“... სკოლის მოსწავლე გეოგრაფიისა და ლიტერატურის წიგნებში იქექებოდა, რათა დანიშნულის წინაშე თავი არ შეერცხვინა და მისთვის საჭირო ცნობების შესაგროვებლად მთელი დღეების განმავლობაში მონღომებიტ მეცადინებოდა.

ბედა ერთ-ერთ წერილში მასზე ასე განაწყენდა: „თქვენთან აუცილებლად შეხვედრა გადაწყვიტე. გუშინ სკოლიდან მობრუნებულს ვხად გელოდით. მაგრამ დავკვიწყებიათ, რომ ახალგაზრდა შეყვარებული გოგონა გყავთ და ძალიან ცუდად ჩავიცვამთ. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ტალახით გაქონდათ მოსვრილი. ალბათ პატარა ბავშვივით ამხანაგებთან წაკინკლავდით. ამის დანახვაზე ვერ მოგიახლოვდით, რადგანაც, ვიფიქრე, რომ დაირცხვენდით“.

რასიმს საშინლად შერცხვა და შეწუხდა. იმ დღის მერე ჩაცმა-დახურვას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ერთხელ ბედიამ უკმაყოფილებაც გამოხატა, იმის მაგივრად სკოლიდან გამოსვლის შემდეგ რასიმში პირდაპირ სახლში წასულიყო, დაღამებამდე გარეთ უხეტიალია. მაშინ, როდესაც თვითონ სახლში იჯდა და მის გამო ცრემლებს ღვრიდა, ნუთუ ის შუალამდე სხვა გოგონებს დასდევდა?

რასიმმა ფიცით დაუმტკიცა, რომ ამქვეყნად ბედიას გარდა სხვა გოგოს ვერასოდეს შეიყვარებდა. ბიჭი უკვე ვეღარ ბედავდა ქუჩაში სეირნობასა და ცალი თვალითაც კი შემთხვევით გოგოებისაკენ გახედვას.

ერთ საღამოს რასიმის დედა, ქალბატონი ნედიმე, ქმარს, ბატონ აჰმედს დამწუხრებული სახით დახვდა, ტირილნარევი ხმით უთხრა:

— ოჰ, ბატონო, არ მკითხო, რა გეჭირს. ჩვენს ვაჟს გადაეკიდა გოგონა, სახელად ბედა. დღეს რასიმის ოთახს რომ ვალაგებდი, წერილებს წავაწყდი. შვილი ხელიდან გვეცლება... რაღაც გამოსავალი იპოვე...

აჰმედ ბეის საერთოდ არ დაეტყო ცნობისმოყვარეობა, პირიქით, სიამოვნებით ანითხითდა. შემდეგ ხმას დაუწია და ცოლს უთხრა:

— ნუ გეშინია, ნედიმე, ჩვენს ვაჟს სასიყვარულო წერილებს მე ვწერ! ბიჭის სიზარმაცეს საზღვარი აღარ ჰქონდა. მიუხედავად მთელი ჩვენი მონღომებისა, ვერც მე და ვერც სკოლის მასწავლებლებმა წესიერი წერაც კი ვერ ვასწავლეთ. ბევრი ფიქრის შემდეგ, საბოლოოდ, ეს გამოსავალი ვიპოვე... დარწმუნებული ვარ, რომ გოგონასათვის მიწერილი წერილების წყალობით რასიმში აუცილებლად კარგად დაეუფლება ახალ დამწერლობას და შემდეგ კლასშიც გადავა. თუ სიმართლე განიტერებს, მეც ის ძველი დამწერლობა ერთ დროს შენთვის წერილების წერით ვისწავლე!

თურქულიდან თარგმნის:
ნანა კაჭარავამ და თაკო ტვილიდანმა

მანტაუი

ზამთრის ერთ სუსხიან დღეს ბოლუდან ადაფაზარში მივდიოდი. ჰენდეკს რომ მივუახლოვდით, მძლოლმა უცებ გააჩერა მანქანა და თქვა:

— დავილუპეთ.
მძლოლისა და მეზავრის ფიქრები მუდამ ერთმანეთს ემთხვევა. როდესაც მანქანა მკვეთრ მოსახვევში უხვევს, ან გზა ხევის პირას გადის და მერე მთის ფერდობს მიუყვება, ან როცა მანქანა რაკრავა დღეებზე გადადის, მეზავრი ყოველთვის აფორიაქებულია და: „აჰ, შვილო, ნოლა... ფრთხილად“.

— გზაში ამ ტიპის მსუბუქ რჩევებს ისვრის, სულ რომ არაფერი, თავისთვის ბუტბუტებს: „ეჰ, კაცო... ეს ღელე ჭაობსა ჰგავს“... და მისთ.

მძლოლი უმეტეს შემთხვევაში ამგვარ შეძახილებს უპასუხოდ ტოვებს, არც იმჩნევს, მაგრამ მის უძიძრო პროფილსა და გამუდმებით პირდაპირ მზირალ თვალებში თქვენ დაიჭერთ ღიმილს, რომელიც მეზავრების ბავშვურობით არის გამოწვეული...

მართლაც, გზის დაბრკოლება იმდენად აღვილად გადაილახება, რომ ცოტა ხნის შემდეგ მძლოლს — გაამართლებთ და თქვენი აღელვებისა მეგრცხვებთ კიდევ:

ზოგჯერ კი პირიქითაც ხდება: ამწვანებულ მდელოებს შორის გადაჭიმულ სწორ და მზით განათებულ სახმელეთო გზაზე მიმაგალი მანქანების მიერ დატოვებული უზარმაზარი ტალახის გოროხის წინ გაჩერდება მძლოლი და მეზავრების პატივისცემით ოღნავ შერბილებული სიტყვებით ივინება კიდევ:

გამოუცდელ მეზავრში ეს უსარგებლო რეაქცია გაოცებას ან გაბრაზებას იწვევს.

მეც ასე ვფიქრობდი თავიდან. მაგრამ მას შემდეგ, რაც არაერთხელ გავიჭედე ყალბ „ჭაობში“, და რაც მწვანე ბალახისა და სრულიად ახალი ხილების მშენიერება ვინილე, მძლოლის მომხრე გაგხვდი. ამიტომ, იმ დღეს, როდესაც ბოლუდან ადაფაზარში ვბრუნდებოდი და მომესმა, როგორ თქვა მძლოლმა „დავილუპეთ“, უცებ გული გადამიქანდა. უნებურად დახვრეულ საათს, შემდეგ კი ავხვრე მზეს, რომელიც ისეღაც ნისლიან ამინდში ჩასვლას იწყებდა.

* * *

წინ მდებარე ხიდი პატარა სათამაშოსა ჰგავდა, რომელსაც თუ მოინდომებდნენ, ჩვენი ჩემპიონები ერთი ნახტომით გადაახტებოდნენ. არ მესმოდა, რა იყო ჩვენი შიშის მიზეზი. ვიკითხე:

- რატომ გავჩერდით?
- სად წავიდეთ? ხიდს არემონტებენ.
- გზიდან გადავიდეთ და მიხვრით გადავიაროთ.
- გადავივლით, მაგრამ შეშინია, რომ ჩავევლობით. მიხვრით მართლაც თოვლისა და ტალახის თხელი ფენა იღო, მაგრამ ეს სულაც არ იყო გასაზვიადებელი.

— არა, შემოგვევლე, ნუ დაკარგავ რწმენას. ზღვა გადავლახეთ და ჩვენი „მხეცივით“ მანქანით ნაკაღულში ხომ არ ჩავიდირებთ, — ვიხუმრე მე.

რა თქმა უნდა, ორი წუთის მერე მძლოლის ნათქვამი გამართლდა და ტალახში რამდენიმე გაფართხალების შემდეგ ჩვენი „მხეცივით“ მანქანა საპირზე გადმოვღებულ ვეშაპის ლემივით გაიყინა.


* * *

შორს კლდეზე, ლურჯგანთრტოტებიან შარვლიანი თეთრწვერა გლეხი იჯდა და გვაკვირდებოდა. მძლოლმა გასძანა:

— ჰე, ჰე, მამა... კამეჩები მოიყვანე და მოდი...

ერთი წიკი

ტრისტან გეგენავა



ტრისტან გეგენავა - 89 წლის ფილოლოგია. დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლექსებს წერს მოსწავლეობის ასაკიდან, რომლებიც ქვეყნებოდა როგორც სარაიონო, ისე რესპუბლიკურ პრესაში. 35 წელიწადი პატიოსნად ემსახურა სტუდენტთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მუშაობდა თბილისის სტუდენტთა სამმართველოს უფროს აღმზრდელად. ნატრობს, მოესწროს საქართველოს გამთლიანებას და აყვავებას...

იონაე მამუკა ცუხიშვილი

* * *

ქვეყნად იმისთვის დავიბადენით, არვის ვეცმით და არც ვიბატონოთ, მთელი სამყაროს ვიყით დამტევი და ცა გვიყვარდეს უკაბადონო...

ქვეყნად იმისთვის დავიბადენით, ყველგან სიკეთის კვალი დაველოვით,
- ვინანიებდეთ ცოდვებს ჩადენილს,
- გულთი გვიყვარდეს, ვინაც მარტოობს...

ქვეყნად იმისთვის დავიბადენით, წამლად დაველოთ ყველა იარას.
- ჩვენი სიცოცხლის თითო ფანტელი ფიცით ავსებდეს მოძმის ფილას.

ქვეყნად იმისთვის დავიბადენით, რომ არასოდეს დავაგვიანოთ, ვერ დაიბრუნებ დღეებს გადენილს, დროს გაუფრთხილდი, ადამიანო!

ქვეყნად იმისთვის დავიბადენით, კაცი გვერქვას და შუქად ვიყოთ, რომ ბევრი გვყავდეს ცრემლის დამდენი, რომ სიყვარულმა აგვაბრიალოს.

ქვეყნად იმისთვის დავიბადენით, ავაყვავოთ და ავამზიანოთ, რომ სული გვქონდეს მარად ნათელი, სხვათა სინათლედ და საზიაროდ.

გლეხმა არც უპასუხა და არც ადგილიდან განძრეულა...

- ჰე, ხომ ვითხარი, მამა... ხელში ჩაგვივარდით... რამდენსაც იტყვი, იმდენს გადავიხდით.

მონუცი, ისე რომ სიტყვა არ დასცდენია, წამოდგა. ნელ-ნელა, მძიმე ნაბიჯებით მთის უკანა კალთისაკენ დაუყვა გზას.

- სად მიდის?

- კამეჩების მოსაყვანად...

- თვალსაწიერზე სოფელიც კი არ ჩანს...

- კამეჩები გორაკის უკან ჰყავს დამალული...

ახლა გამოიყვანს...

მართლაც, ისევე როგორც თეატრში, მსახიობებს კულისებიდან რომ გამოაქვთ სხვადასხვა აქსესუარი, მონუციც რამდენიმე წუთში გამოჩნდა უღელ კამეჩებთან ერთად.

მძლოლმა ასე ამიხსნა:

- აჰ, შენ არ იცი, ნამდვილი ქალამნიანი ვაჭრები არიან ეგენი... მშვენივრად მოესწინებათ, მანქანები გზის რომელ მონაკვეთზე ეწეობა ტალახში. კამეჩებიერთ ადგილას ჰყავთ დამალული და შორიდან გვითვალთვალევენ, როგორ ვებძებთ მანქანი. ახლა უკვე მათ სინდისზეა დამოკიდებული, თუ რამდენს მოგვთხოვენ.

გლეხს სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა. მაგრამ არც მოგვესალმა და არც შემოგვხედა. წარბები შეჭმუნა და იმისათვის, რომ თავი უფრო მკაცრადამიანად მოეჩვენებინა, კამეჩებს შეუძანა.

ვიყნოსე, რომ მანტაჟი მზადდებოდა და ვაჭრობაც არ აგვეცდებოდა. შეძენიდა. თუ ხუთ-ექვს ლირას დასჯერდება, მაშინ გვეშველებოდა. მიხდოდა და მის გათვებას გვერჩია, გაგვეჭირვა და გადაგვეხადა, რასაც მოგვთხოვდა.

მძლოლი: - აბა ჰე, მამა, ნუ გვინავს... მოაბი ეგ ჯაჭვები მანქანას, თავზე გვაღამდება.

გლეხს ბაგეებზე ვერავი დიდილი გამოესახა. მასაც ეს არ უნდოდა! იმის შიშით, რომ მძლოლის უხეში მიმართვა გადასახადს გაზრდიდა, მეც ჩავერთე საუბარში:

- აბა ჰე, მამიკო... ცოტა იჩქარე...

მან იგრძნო, რომ მძლოლთან შეთანხმებას ჩემთან შეთანხმება ერჩინა. გულმოსულმა ცხვიპირი მთლად ჩამოუშვა და მიტანა:

- მომხედ, ბატონო, შენ გეუბნები. მანქანას კი ამოვიყვანთ, მაგრამ მერე ნუ ვინუბებთ... მე ამ კაცს არ ვიცნობ... ფულს შენ გამოგართმევ.

მე იმ ძელაზე მეტად დავითაფლე ენა, ცნობილ იგავ-არაკში პირში ყველგანრილ ყვავს რომ ელასპარაკება, და ტკბილად გუპასუხე:

- საჩხუბარი არაფერია, მამა... შევთანხმდებით.

ვაჭრობის დამთავრებამდე საქმის დაწყება არ უნდოდა. ბუტბუტებდა, გონებაში გადაწყვეტილი თანხის თქმას ვერ ბედავდა.

- კარგი, მამა... გვითხარი, რამდენი გინდა...

- ღვთის წყალობით, მანქანას ნამდვილად გამოვიყვანთ, მაგრამ ოცდახუთ ყურუშს გამოგართმევთ.

თავი ვერ შევიკავე და სიცილი წამსკდა. გაბრაზებული სახით შემომხედა და ცდილობდა, ამ მანტაჟში თავისი სისუსტე არ გამოემჟღავნებინა. შემომიტილა:

- რა არის სასაცილო?... საღამომდე ამ სიცივეში ყოფნით დედა მეტირა... თუ გავწყობთ, კი ბატონო...

ეს დალოცვილი ანატოლიაა, ბატონო ჩემო... ტყუილად ნუ ირჯები... უხეობა რომც ჩაიფიქრო, მაინც ვერ მოახერხებ მის შესრულებას.

თურქულიდან თარგმნეს: ნანა კაჭარავამ და ლეიზა ბეგლაროვამ

პროზა

სანდრო ჟელიმი



კარზე კაკუნის ხმა გაისმა

კარზე კაკუნის ხმა გაისმა. აჩქარებული ნაბიჯებით მოსიარულე ნუცა ღოღობერიძე წუთიერად ოთახის ცენტრში გაშეშდა. მის სახეზე მღელვარება იკითხებოდა. თითქოს ირგვლივ ვერაფერს ამჩნევსო, მაგრამ კედელზე ჩამოკიდებული გუგულიანი საათის ხმაზე გამოფხიზლდა და ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა კარს.

ღრმად ჩაისუნთქა, სახიდან მღელვარება მოიშორა და ურდული ნელა გამოსწია.

– ნუცა, როგორ ხარ? – მშვიდი ხმით ჰკითხა კარებში მდგომმა გერონტი ქიქოძემ.

ნუცამ მძიმედ ამოისუნთქა.

– მობრძანდი, კარგად ვარ. აქ რამ მოგიყვანა? – გაოცებული ხმით იკითხა ნუცამ.

– გავიგე, დღეს შეიძლება წაგიყვანონ. ამიტომ ვიფიქრე, მივაკითხავ და მოვინახულებ-მეთქი. რამეში ხომ არ გინდა ჩემი დახმარება?

– დიდი მადლობა, რომ მობრძანდი. ნამდვილად არ გელოდი. იყოს, არ მჭირდება დახმარება. დაბრძანდი, – ნუცამ გერონტის საათის ქვეშ მდგარი სკამისკენ მიუთითა.

გერონტი ჩამოჯდა.

– უნდა დაგვეჯერებინა ლევანისთვის და გეთქვა, რომ დაშორდით. ახლა ხომ ამ მდგომარეობაში არ იქნებოდით?!

– ეგ როგორ მეკადრა?! – აენტო ბრანძორეული ნუცა, – ეგ ხომ ღალატის ტოლფასია?! მე ჩემს ქმარს არასდროს ვუღალატებ!

– კი, ბატონო, მაგრამ შენს შვილზე – ლანაზე უნდა გეფიქრა. ახლა იგი მარტო, მშობლების გარეშე გაიზრდება. მას ძალიან გაუჭირდება უდელმამოდ ყოფნა.

ყვითელი ნათურა ბჟუტავდა. ნუცა გაუჩერებლად სცემდა ბოლთას და თან თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

– არ მეთანხმები? – განაგრძო გერონტიმ, – არ გახსოვს, როგორი რეაქცია ჰქონდა, მამამისის ამბავი რომ გაიგო? და ახლა შენც თუ წახვალ, წარმოგიდგენია, რა დაემართება.

– ვიცი, – შეჩერდა ნუცა, – მაგრამ ასე იყო საჭირო როგორც ჩემთვის, ისე ჩემი შვილის დასაცავად. და საერთოდ, აღარ მინდა ამ თემაზე საუბარი.

– როგორ თუ არ გინდა? – ჰკითხა გაოგნებულმა გერონტიმ და ჩიბუხი გააბოლა. – შენ

გადასახლება გერმანიაში მოგზაურობა ხომ არ გგონია? უცნობ ადგილას უცნობი დროით გადასახლებენ. ეს ცინება, ცინე!

– ვიცი და მე ეს გააზრებული მაქვს. სულ რომ დრო უკან დაბრუნდეს, არაფერს შევცვლიდი! – ქვასავით მყარად უპასუხა ნუცამ.

მეტი რა ელონა გერონტის, აღარ იცოდა. ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

საათი შეუწყვეტლად წიკწიკებდა, რაც უფრო მეტად ამძაფრებდა თითოეულ წუთს. გუგულის ხმამ დაარღვია სამარისებური სიჩუმე. ამ ხმაზე ნუცამ ჯერ საათს, შემდეგ კი კარებს გახედა.

მიხვდა გერონტი, რომ რამე უნდა ელონა სიტუაციის გასაწესებლად, ამიტომ წარსულის გასწეება გადაწყვიტა.

– ნუცა, გახსოვს ჩვენი შეხვედრის პირველი დღე? – მოგონილი, თუმცა ნაძალადევი მხიარულებით იკითხა მან.

– არც ისე კარგად, – უპასუხა ნუცამ და სკამზე ჩამოჯდა.

– აი, მე კი კარგად მახსოვს. მახსოვს შენი თვალები, მათში მღელვარება იკითხებოდა. დაბნეული, მაგრამ ამავდროულად თავშეკავებული იყავი. მახსოვს ის თვალები, რომლებსაც ყველანაირი იმედი გადაწურული ჰქონდა, მაგრამ მაინც სიმამაცით და იმედიანად იყურებოდა. მე დავინახე შენი სიმამაცე, ერთგულება და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შენთვის სამსახურის შემოთავაზება. ვიცოდი, რომ შენი ნდობა შეიძლებოდა.

ნუცას სახე ეცვალე, თითქოს ოდნავ დამშვიდდა, მღელვარება მოეშვა.

– მახსოვს შენი პირველი თარგმნილი წიგნი. როგორი ბედნიერი შემოხვედი მაშინ ჩემს კაბინეტში, როგორი სათნო ღმილი გქონდა, თვალები კი გიბრწყინავდა. მომაწოდე გვირილის გულივით ყვითელ კონვერტში ჩადებული შარლ პეროს ზღაპრების წიგნი. გამოგართვი და ფაქიზად გავხსენი, კონვერტი გვერდით გადავდე და კითხვას შევუდექი. შენ გულმოდგინებით მისმენდი და გაინტერესებდა, რას გეტყვოდი.

ისხდნენ ასე ნახევრად ჩაბნელებულ, თუთუნის კვამლით გაჯერებულ ოთახში და ჰყვებოდნენ წარსულის ამბებს, სანამ გუგულმა ისევ არ დაარღვია მათი ხანმოკლე იდილია.

დამშვიდებული ნუცა სკამიდან წამოხტა და კარებს გახედა. გერონტიც ოდნავ შეიმშუშნა, მაგრამ მალევე დამშვიდდა.

ნუცა ისევ ღელავდა. ფიქრობდა თავის შვილზე, ქმარზე და მშობლებზე. ნერვიულობდა, რომ მათ დიდხანს ვეღარ ნახავდა.

გერონტი ჩუმად იჯდა ყვითელი ნათების ქვეშ და ჩიბუხს აბოლებდა.

ნუცა ისევ წინ და უკან დადიოდა. ხანდახან გაჩერდებოდა, რაღაცაზე ჩაფიქრდებოდა, მაგრამ მერე ისევ გააგრძელებდა წრეზე სიარულს.

– ჩამოჯექი, დაიძლიე ამდენი სიარულით, – უიმედოდ სთხოვა გერონტიმ.

ნუცა ჩამოჯდა. გარეთ ბნელოდა, ფოთლები შრი-ალებდა, ქარი ქროდა. ისხდნენ ნუცა და გერონტი 1937 წლის სუსხიან ღამით სიჩუმით გაჟღერებულ ოთახში.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა...

ნიწო ჭქლიქქ



გომარეთული
(გომარული)
ჩანახატებიდან

მწყემსი ქალი მარიშკა

(ნამდვილი ამბავი)

ჩვენთან, ჩემსა და თქვენს სამშობლოში რომ მოდიოდა, არ უტირია.

ისე დატოვა საკუთარი სხეულის ნაწილი საკუთარი სულის ნაწილთან, არ უფიქრია, მათ შორის ოდესმე ფერფლისფერი სამყარო თუ ჩადგებოდა. ჯერ არდაბადებული იმედებით მოემგზავრებოდა.

საკუთარი სახლის არარსებული ხის ჭიშკარი რომ გამოიხურა, მაშინ მოიხედა მხოლოდ, ხის სახლის მოქარგული ფანჯრებიდან დედა ი-მზირ-ებოდა მის მიღმა მიმავალი მზერით, გზას გააჟურება. მარიშკასთვის არ შეუხედავს. თვალს არ სწყვეტდა ქვევით, ქალაქისკენ ჩამავალ ოღროჩოლორ გზას..

თითქოს ქვებს თვლიდა, იმ ქვებს, საუკუნეებად რომ იქცეოდნენ ლოდინში.

შვილი გზის გასაყარზე იდგა.

მარცხნივ უკრაინის თვალწევდენელი სტეპები იწყებოდა, უკვე მზით გადახრუკული ბალახისფერი. დედამ საკუთარი დედის მზერას თვალი რომ მოსწყვიტა, შვილმა მარჯვნივ გადადგა ნაბიჯი. მოკლე შარვალი ეცვა და დიდი ფეხსაცმელი...

გრძელი ხელები ჰქონდა. ფართო ხელისგულები.

რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მატულობდა მის ხელისგულებზე დამსკლარი კოყრები. ზოგჯერ სისხლიც სდიოდა, ნაკეცებში ჩამვდარ ჭუჭყს ჩამობანდა ხოლმე. არ მოსწონდა ბიჭს წითელი ხელისგულები, გაიქცეოდა და თივის ზვინს ჩამოუსვამდა ხელს. ალაგ-ალაგ დამსკლარი კოყრებში ხმელი ბალახის ჩხვლეტას გრძნობდა... პირველად მაშინ ისწავლა ტკივილის მოთმენა.

ვერ იტანდა სისხლიან ხელისგულებს. ეს მაშინ იყო.

ახლა გზისგასაყარის მარჯვნივ იდგა. გზისგასაყარის გზის დასაწყისში. ქალაქისკენ რომ მიდიოდა, იმ გზის.

ამ გზაზე დედა უნდა წასულიყო. არ იცოდა, რა ეთქვა ქალისთვის, რომლის ნერვულ უჯრედებსაც დაატარებდა საკუთარ სხეულში.

არ იცოდა, როგორ დამშვიდობებოდა ქალს, ამ გზას რომ ჩაივლიდნენ, საუკუნეებად ქცეულ ქვიბიან გზას...

ოციოდე წუთი იარეს ფეხით, ოციოდე წუთი და ოციოდე არარსებული საუკუნე. ბოლოს ქვიანი

გზა დასრულდა... შემდეგ ქალაქის გზა იწყებოდა... ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

მარიშკა მკაფიოდ გრძნობდა, როგორ ფეთქავდა მისი შვილის გული შუასაყარში. ტკივილი აძლიერებდა გულისცემას და გზას დაეძებდა ბიჭის ნათელი თვალებისკენ ცრემლად რომ ქცეულიყო. მაგრამ ბიჭს თვალები ისე დაეხუჭა თითქოს ქუთუთოები დაეკემათ მისთვის.

მარიშკას მუდამ დამსკლარი ტუჩები ჰქონდა ქარისა და მზისგან.

ახლაც მწველი სხივები დასთამაშებდნენ მტკივან ტუჩებზე. თვალები არც მაშინ გაუხელია ბიჭს, დედის შეხება რომ იგრძნო...

თითქოს მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა სამუდამოდ გონებაში. საკუთარ თავს აიმედებდა ქვეცნობიერად, რომ მოენატრებოდა, თვალს დახუჭავდა და მის სახეს დაინახავდა.

„დაკემშილი“ თვალები დაუკოცნა მარიშკამ.

დახუჭულ თვალებს მიღმა მზერა დაიმახსოვრა და ჰორიზონტს მიღმა მიმავალ გზას გაუყვა..

ხელბარგი არ ჰქონდა, მხოლოდ საკუთარი შვილის სევდა აეკიდებინა ზურგზე.

უკრაინის სტეპებს ემშვიდობებოდა დაკემსილთვალებიანი ბიჭის დედა – მარიშკა..

.....

ულამაზესი სოფელია ჩვენი გომარეთ-სოფელი, ხალხი კეთილშობილი, სიკეთით სავსე, მზის სოფელია ჩვენი სოფელი... ფერმა, სადაც მარიშკას უნდა ეშუშავა, პატარა, მორაკრაკე მდინარის პირას იყო გაშენებული.

მრომას შეჩვეულ მარიშკას მუშაობა არ გასჭირვებია. სისხამ დილაზე დგებოდა. როცა მზის პირველი სხივი გამოჩნდებოდა, სამყაროს აღმოსავლეთით, მოჭიკჭიკე ჩიტებთან ერთად ეგებებოდა ალიონს...

ამ წუთებში, სადაც მდინარის ქვებს უკან, მიყრდნობდა ხოლმე მისი ტკივილი...

მთელი სხეულით გრძნობდა, შორს, უკრაინის სტეპებში. მისი დაკემსილთვალებიანი ბიჭიც ასევე შეჰყურებდა მზეს..

გული გულს გრძნობდა... განსაკუთრებით მაშინ, ერთი სისხლი თუ მოედინებოდა ორივე გულში. დრო-და-დრო დედა საკუთარ გულს ხელისგულზე დაიდებდა და დიდხანს და დაჟინებით ათვალიერებდა... ეს გული სისხლის გუბედ რომ იქცა, მაშინ მიხვდნენ მოჭიკჭიკე ჩიტები შვილის გულს რომ ათვალიერებდა მარიშკა სინამდვილეში.

ძალიან უყვარდა თავისი ნაირფერი ძროხები, რიყრაყზე ბლავილით რომ აღვიძებდნენ არემარეს. თითქოს სიცოცხლე ახალ ძალას იძენდა ყოველ ახალ დღეს. მოვლა-პატრონობას არ აკლებდა მარიშკა ძროხებს, რომლებიც მაღლიერების ნიშნად სავსე ჯიქნებით ბრუნდებოდნენ საძოვრებიდან...

ხელის შეხებით გრძნობდა მარიშკა, თანდათან როგორ ა-მდინარ-და რბე სადინარებში.

ერთ დღეს, მაშინ, როდესაც მარიშკას მზის საკუთარი სხივი ჩამოტყდა აღმოსავლეთის მზეს, ფერმა დაიხურა.

....დაკემსილთვალებიანი ბიჭს ცრემლი ჩაუდგა

ჩაშავებულ უბებში. დედის წასვლის შემდეგ სტეპებს რამდენჯერმე ეცვალათ ფერი.

.....

გაოგნებული იდგა ჰორიზონტამდე მიმავალ გზაზე, ვერ გადაეწყვიტა, შინ, უკრაინაში დაბრუნებულიყო ხელმოცარული თუ კვლავ ებრძოლა ჯერ არდაბადებული იმედის დაბადებისთვის...

თავადაც დაეხუჭა თვალები. საკუთარ თავს უძხვრდა ფერფლისფერი სამყაროდან, საკუთარ დაწვევტილ ნერვებს და გულს უკან დამალულ სევდას. შვილი ენატრებოდა ძალიან. მხოლოდ გულით არა, ნერვებით.

ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა, შემოდგომამდე თითქოს.

კეთილ ხალხს რა გამოლევს ჩვენს გომარეთ-სოფელში... ერთ-ერთ მაღლიან ოჯახს შეუფარებია, თბილი კერა შეუთავაზებიათ და საჭმელ-სასმელიც უხვად მიუწოდებიათ მისთვის.

მარიშკა მწველავად მუშაობდა... ქათქათა თბილი რმით რომ აავსებდა სათლებს და საქონელს დაბინავებდა, ოთახში შეიპარებოდა და დიდხანს იდგა სარკესთან.

არავინ იცოდა, რას ფიქრობდა ამ დროს.

საკუთარ თვალებს აკვირდებოდა დიდხანს, საკუთარ თვალებში დაეძებდა შვილის სილუეტს, ასე ძალიან რომ ენატრებოდა.

შინაგანი ტკივილის მიუხედავად, ბოლო დროს მარიშკა ძალიან დამშვენებულა, სხეულის ფორმები შევსებოდა და თვალებში უცნაური იმედი ჩასახლებოდა.

ახალგაზრდა მწყემსი სტუმრობდა ოჯახს, ბოლო დროს ხშირად.

მარიშკას გულს, შვილს რომ ეკუთვნოდა, პატარა ნატენი ჩამოსტენია ახალგაზრდა მწყემსისთვის.

.....

გამთენიისას გაუდგნენ გზას. მდუმარედ მიყვებოდნენ ცხვრის ფარას... გომარეთის ქვიან ფერდობზე რომ შეფენილიყო, უკვე. ალაგ-ალაგ ბატკნების გაუბედავი ბლავილი ისმოდა ნაცრისფერ სივრცეში.

მესამე დღე იყო იმედის გაჩენიდან. მესამე დღე იყო, შვილს რომ ვერ უკავშირდებოდა. მესამე დღე იყო... გული სისხლად რომ იწვეთებოდა

.....

ომი რომ დაიწყო, კახეთის გზას ადგნენ. კამკაშა მზე ანათებდა, ქათქათა ხუჭუჭა ბატკნები მზის სხივებთან თამაშით ირთობდნენ თავს.

მარიშკა იქვე, ხის ძირში ჩამომჯდარიყო და თვალდახუჭული ისრუტავდა მზის სითბოს. ხეს ხმელი ტოტები და მიწაში ღრმად გადგმული ფესვები ჰქონდა. ჯერ ცოცხალი.

ამბავი კეთილმა მწყემსმა მოუტანა. პირველად მაშინ ატირდა გული. შუასაყარში კედლებს ეხეთქებოდა გალიის ჩიტივით.

ტკივილამდე უნდოდა შვილის ნახვა. საკუთარ ხელს უკბინა ჩუმად. თითქოს ტკივილი შეუმსუბუქდა. ტკივილმა ტკივილი ჩაახშო.

დანიშნულების ადგილს რომ მიაღწიეს, მზე ფერდობებს უკან ჩამალულიყო უკვე. ჰაერივით ისრუტავდა მარიშკა ომის ამბებს, მუდამ ეკითხე-

ბოდა კეთილ მწყემსს. მოვლას არ აკლებდა მწყემსი, მაგრამ ილეოდა მარიშკა.

შვილი ენატრებოდა,

შვილის ხმა ჩაესმოდა,

შვილს ეძახდა.

ომში წასულ დაკემსილთვალებიან ბიჭს.

.....

გამთენიისას ჩამოვარდნილა ჭურვი. ერთ მთლიანობად ქცეულა სტეპი და სოფელი.

ფართოდ გახელილი უძრავი თვალებით იმზირებოდა... ოდესღაც დაკემსილთვალებიანი ბიჭი.

ბავშვობაში მარიშკას ჰკავდა... დედასავით ნათელი თვალები და გრძელი ხელები ჰქონია თურმე.

.....

დიდხანს მდგარა კართან კეთილი მწყემსი, იქამდე, სანამ მარიშკას თავად არ გამოუხედავს დაგვიანებით შემფოთებულს... კითხვა უსწავლია უცხო ქვეყანაში, ფიქრების კითხვა, ადამიანების დატანჯულ სახეებზე.

შვილის სიკვდილი რომ ამოუკითხავს, საკუთარი ხელით ამოუგლეჯია საკუთარი გული.

კახეთში დაუკრძალავთ.

მაღლიანი კაცი ყოფილა მწყემსი.

.....

მარიშკას საფლავზე, ხშირად შეამჩნევთ ერთ ცალ მოფარფატე პეპელას... ადამიანის სულს რომ ჰკავს ძალიან.

გომარულა

ხეს რომ ცული მოუქნია, აორტა გაუსკდა, რომ დაარტყა, გულიდან სისხლი წამოუვიდა.

.....

ბაღში იდგა. უნაყოფო. აუკუნებში ჩაზრდილი ფესვებით და...

მუდამ თავდახრილი გრძელი ტოტებით...

ადრიან გაზაფხულზე იყვილა სისხლმა, დიდედს დარგული ხეები უხმობდნენ თითქოს... თამარის გომარეთიდან.

.....

პატარა ტოტით დაბრუნებულა, სულ ორი ტოტით. ერთი და ორი მათგან ერთ-ერთი, მზისა და დედამიწისთვის შეუწირია უფლის იმედით.

მეორე, უნაყოფო ხისთვის შეუზრდია. უჯრედი უჯრედს, გული გულს, მზის სხივი მზის სხივს.

.....

ჩემი საკუთარი მზის, სხივებს ჩაულწევიათ ჩვილ სხეულში, ჩემი გენი ჩაუთესიათ სიცოცხლის გასაგრძელებლად.

საკუთარი ნა-დედა-რი სანიშნეებით გამომიკვებია საუკუნეებში ჩამავალ გზაზე...

.....

ახლაც დგას ბაღში. ჩემი გომარულა.

ორი ტოტი აქვს. ორს კიდევ ორი.

.....

ხეს რომ ცული მოუქნია, აორტა გაუსკდა, რომ დაარტყა, გულიდან სისხლი წამოუვიდა.

დიდება

ზუსტად ერთი წელი გავიდა იმ დღიდან როდესაც დიდება გარდაიცვალა... და ზუსტად ერთი წელი იმ დღიდან, როდესაც ჩემი გიორგის წამით გაჩერებულმა გულმა კვლავ ფეთქვა დაიწყო... რათა განგებასთან ბრძოლით დაღლილი, პატარა სხეულისთვის სისხლი მიეწოდებინა სიცოცხლის გასაგრძელებლად...

თითქოს დაემთხვა! სინამდვილეში კი... ჩემი დიდება. მუდამ დაკოჟრილი, მიწიანი თბილი ხელები ჰქონდა. მე ძალიან უყვარდი. „ჩემი მორბედიო“ – ასე მეძახდა ბავშვობაში. როგორც ამბობენ, „დიდება“ მე შემიძრქმევია...

ჯერ „დიდი დედაო“, „დედაო“... მერე, როგორც ჩანს, ჩემს საყვარელ დედას ვერ შეველიე და შუალედურ „დიდება“-ზე შევჩერებულვარ. მას შემდეგ მთელ გომარეთ-სოფელსა და ნათესავებში ასე იცნობდნენ „დიდება“! თუმცა კი თამარი ერქვა. განსაკუთრებულად გვიყვარდა ერთმანეთი.

უკვე ლოგინად ჩავარდნილს, ჩემი შვილის ავადმყოფობის ამბავი რომ გაუგია, უფლისთვის შეუვედრებია ჩემი გიორგი, ოღონდ ჩემი ნინიკოს ბავშვი გადარჩეს და ჩემი სიცოცხლის სანაცვლო ყოფილიყოსო მისი სიცოცხლე!..

იმ დამეს დიდება მიიცვალა. გამთენიისას ჩემმა გულმა ჩემი შვილის გული და თბილი სხეული შეიგრძნო... და გათენდა კიდეც. დარჩა უკიდევანო ბედნიერება ჩემი გიორგის გამო და უსაზღვრო ტკივილი ჩემი დიდედას გამო...

ერთი პატარა მონაკვეთი გამახსენდა ჩემი ბენიერი ბავშვობიდან. ტყეში, მაყვალზე გაპარული დიდე-დას ფეხსაცმელ-გულში-ჩაკრული, სახლის კიბეზე ვიჯექი დიდხანს და ვტიროდი, ჩემს დიდედას ველარ ვნახავ-მეთქი... უკვე მაშინ მიგრძნია ქვეცნობიერად ახლანდელი ტკივილი..

ვიცოდი, მაშინაც ვიცოდი, რომ ახლა ვერ დავიტირებდი...

ჩემს შვილს ვთხოვ... უკვე ვთხოვე გონებაში (ვიცი, რომ გაიგო)... მისმა შვილებმაც „დიდება“ დამიძახონ... ასე გრძელდება სიცოცხლე..

საფლავიც ქვაზეც „დიდება“ ამოტვიფრა ოჯახის წევრმა ჩემი თხოვნით...

დიდება, შენს სულს ვგრძნობ!



თამარ შაიშმელაშვილი



პოეტი, ბავშვობის ახდენილი ოცნებით და ლიტერატურული სალონი „ხატაური“ ყვარელში

ყვარელში დაამთავრა სკოლა, რომლის გვერდითაც ილია ჭავჭავაძის მშობლიური ეზო და სახლი მდებარეობდა. ყვარლის ბუნებასა და ილიას ეზოს უმძვენიერეს გარემოში დაიწერა პირველი ლექსი. მას შემდეგ კალამი არ დაუღვია...

სამი პოეტური კრებულის ავტორია: „ბროწეულის გოგონა“, „ისევ ისა ვარ“, „მე დავბრუნდები“... მისი დიდი ძალისხმევით დაარსდა ყვარელში ლიტერატურული სალონი „ხატაური“. ამბობს, რომ „ხატაურის“ მიზანია – შინაურულ, თბილ, სიყვარულით სავსე სალონურ გარემოში ყვარელებმა უფრო ახლოს გაიცნონ საქართველო და გამოჩენილი ადამიანები: პოეტები, პედაგოგები, მწერლები, კომპოზიტორები და საერთოდ ხელოვანი ადამიანები. – პოეტ ნუნუ ლალიძის პერსონა.

– დავიბადე ახმეტის რაიონის ულამაზეს სოფელ ფშაველში, სადაც მამა – ავთანდილ ლალიძე განაწილებით მუშაობდა სოფლის კინოში კინომექანიკოსად და ჩვენც კინოს მენობაში ვცხოვრობდით. მშობლების მონაყოლიდან ვიცი, რომ ადგილობრივი ბავშვები ძალიან მანებივრდებდნენ და ფშაურ შაირებს მასწავლიდნენ, რომლებსაც მე თურმე „შაირებს“ ვეძახდი. დამაყენებდნენ მაგიდაზე და შაირებში ვეჯიბებოდი მათ, ანუ ვეძაირებოდი. შემდეგ ისევ ყვარელში გადმოვსულვართ.

– წივრდით ბავშვობიდან და სკოლაშიც... ლექსები ილიას მუხეუმთან ახლოს იწერებოდა...

– ყვარლის მეორე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და ჰოი, საოცრებავ! ჩემი სკოლის გვერდით ულამაზესი ეზო საქართველოს უვეირგვინო მეფის, მწერლის პოეტისა და ამჟამად წმინდა ილია მართლის სახელით შერაცხილი ილია ჭავჭავაძის მშობლიური ეზო და სახლი აღმოჩნდა.

ჩემი კლასის ფანჯრები ილიას ეზოს გადაჰყურებდა, ხოლო ის ულამაზესი კაკლის ხე, რომელიც ილიას მოგონებებშიც აქვს ნახსენები, ბავშვებს გულს გვიხარებდა. სწორედ იმ უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ ვამბობდით ლექსებს, ვმართავდით წარმოდგენებს ილიას შემოქმედებიდან.

კაკლის ქვეშ მასწავლებლები გვასწავლიდნენ ილიას ბუნებას, ხასიათს, გლეხებთან ურთიერთობას. ვეცნობოდით უკეთილშობილეს მამიდა მაკრინეს,

სოფლის მღვდელს, რომელიც ილიას და სოფლის ბავშვებს წერა-კითხვას (ანბანს), სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოს ისტორიას ასწავლიდა.

ამდენმა ლექსმა, ყვარლის ბუნებამ და ილიას ეზოს უმშვენიერესმა გარემომ კალამი ამბლებინა. პირველი ლექსი მე-4 კლასში თინათინ ლალიძეს მიუძღვნა. ლექსებს სხვადასხვა საბავშვო გამომცემლობაში ვაგზავნიდი, ზოგი იბეჭდებოდა, ზოგი – არა. სრულიად შემთხვევით შემომრჩა და სათუთად ვინახავ ყურნალ „დილის“ რედაქციის წერილს, რომელსაც ხელს აწერს პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რომლითაც დღემდე ვამაყობ.

სკოლის პერიოდში ვწერდი აგრეთვე ჩანახატებს, მოთხრობებს. მასხოვს, რომანიც დავწერე, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა.

– რატომ გადაწყვიტე ფილოლოგია?

– ჩემი ოცნება ყურნალის სტობა იყო, მაგრამ მე-9-10 კლასებში ქართულ ლიტერატურას მასწავლიდა საუკეთესო ქალბატონი საბედა ბეროშვილი, ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორის ილო ბეროშვილის და. ამავდროულად, მუსიკაც ძალიან მიყვარდა, რომელსაც სამუსიკო სკოლაში მაღალ კლასებში კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ქალბატონი იზა იძერლიშვილი მასწავლიდა.

ამ ყველაფერმა განაპირობა, რომ ჩავაბარე მამინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამ ფაკულტეტის და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო მთელი საქართველოსთვის უსაყვარლესი კომპოზიტორი რეზო ლალიძე, რომელიც პირველად მაშინ გავიცანი და რითაც მე დღესაც ვამაყობ. სიცოცხლის ბოლომდე ვიამაყებ, რომ მან მომისმინა, როგორ დაუკარი ფორტეპიანოზე 4 ნაწარმოები.

აქვე მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი საოცრება; ამ ფაკულტეტზე სხვა საგნებთან ერთად გუნდს მასწავლიდა, პირველ ხმას მამლერებდა საქართველოს აღიარებული ლოტბარი თემურ ქევიციანი.

გაგიკვირდებთ ალბათ: ქართულ ენას (გრამატიკას) მასწავლიდა სკოლის გრამატიკის შემდგენელი ლეო კვაჭაძე. ლიტერატურას – ბატონი დიმიტრი ბენაშვილი, სკოლის მშობლიური ლიტსახელმძღვანელოს შემდგენელი. ორივეს ძალიან ვუყვარდი და ჩემი „წინამოს“ გამო ქორწორას მეძახდნენ. ასეთი ბუმბერაზი ადამიანები მასწავლიდნენ სკოლაშიც და ინსტიტუტშიც.

– ყვარლის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორად მუშაობდით...

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ყვარლის იმდროინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორად დავიწყე მუშაობა. 10-12 წელი ვმუშაობდი. უამრავი მოსწავლე აღვზარდე, დავაკვალიანე და მომავლის გზა დავულოცე. ეს სამსახური მთელი ჩემი ცხოვრება იყო ჩემი შვილების შემდეგ.

– ლექსების უმრავლესობა სიყვარულზეა...

– ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში შოთა რუსთაველმა სიყვარულს მიუძღვნა გენიალური პოემა. მე, რა თქმა უნდა, არავის ვუტოლდები და არც არავის ვეჯობები, მაგრამ თუ ღმერთი სიყვარულია, ჩვენც ხომ ღმერთის შვილები ვართ, ანუ ჩვენი გულები სიყვარულითაა სავსე და ეს სიყვარული უნდა გამოვხატოთ, ავაყვავილოთ და ყველას გაუწვიაროთ ისე, რომ ყველას შეეხოს, შეაზანზაროს და სადღაც გულის კუბჭულში მიძალული უზარმაზარი გრძნობა გააღვივოს, რომ ბოროტება გავდევნოთ, არ ინოცებოდნენ ბავშვები...

სიყვარულის უშრეტი წყარო მორაკრაკებს, მოეღინება, როგორც სიცოცხლის ელექსირი, სიცოცხლის გამახანგრძლივებელი... რამეთუ დიდმა გალაკტიონმა ბრძანა: „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“!

– ერთი ლექსი...

მე დავბრუნდები

მე დავბრუნდები, როცა არ მელი, იის პატარა ლურჯი ყვავილი. ვერ შემაშინებს ქარიშხლის კენესა, ვერ შემაშინებს თოვლის ფანტელი. მე დავბრუნდები, როცა არ მელი, მოვალ ცის ნამად შზის სხივთა ფერში, გამორჩეული და მოკამკამე... და... მენს სხეულზე ცრემლად დავდნები. მოვალ ვარსკვლავად სინათლის მფენი, გულს გაგინათებ, როცა არ მელი... მთვარე მუქს როცა ამოანათებს, სხივად ვიქცევი და მოგეხვევი. მე დავბრუნდები, როცა არ მელი... ცისარტყელების ფერებად გშენი... ია-იებსაც დაგიფხვ ფერხითი, ციციანათელად გულს დაგებნევი.

– ოჯახი...

– 19 წლის ასაკში სიყვარულით ვავთხოვდი და ჩემი ბედნიერება, სიამაყე, ამქვეყნად მოსვლის გამართლება ორი ვაჟიშვილია, რომლებიც ლალიძეების გვარს ამართლებენ და აგრძელებენ: გოგა (გიორგი) ლალიძე; დათო (დავით) ლალიძე. ჯერჯერობით 2 ულამაზესი შვილიშვილი მყავს – ანანო და სოფია ლალიძეები, ნუხუ ბებოს სინარულები და სიცოცხლეები.

– ყვარელში დააარსეთ ლიტერატურული სალონი „ნატაური“...

– დასაწყისი ნებისმიერი საქმის მნიშვნელოვანი ნაწილიაო – ჯერ კიდევ დიდ ფილოსოფოსს პლატონს უთქვამს. და მეც დავიწყე, თუმცა უნდა გამოვიტყდეთ, რომ ბავშვობის ოცნება ავიხდინე, ვიცი, რომ ოცნება მშვენიერია, მაგრამ ოცნება თავისთავად არ ხდება. ამიტომ საჭიროა: მონდობება, შრომა, მოთმინება და რწმენა.

ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების გაცნობისას გავიგე სალონური ცხოვრების შესახებ, რამაც აღმაფრთოვანა და ჩემს გულში ღრმად გაიდგა ფესვები. ცხოვრების მანძილზე ხელსაყრელ სიტუაციას ველოდებოდი, რომ მეც დამეფუძნებინა ლიტერატურული სალონი. მართალია, ბანოვანები ფუმფუმა კაბებით ვერ იფრიალებდნენ, მაგრამ ლიტსალონში მოსული სტუმრები დატკებოდნენ თანამედროვე პოეზიით, პროზით...

ჩემი სურვილი წლების მანძილზე ისეთი ძლიერი იყო, რომ წარმოსახულ სალონს ლექსიც კი მიუძღვნე.

– გაგვაცანით ეს ლექსი...

ღარეჯანის სასახლე (წარმოსახვა)

შრიალ-შრიალებდა ფოთლები ვერხვების, ფრიალ-ფრიალებდა ფარჩების ფერები. კაბები კაბები. ზვიადი მუხდირიანი, ზვიადი და რეჯანის სწვეოდნენ ოფიცრები. ცა კამკამებდა ვარსკვლავთ სიმრავლით.

თავს იწონებდა მთვარე სისავსით.
ლამაზ რიკულებს სურო ჩაკვროდა,
ღია აივანს ღვინი ამკობდა.
და ფრიალებდა ფერი ფარჩების,
მოწინფერებად იწვოდა ზეცა.
ციდან ათოვდათ თეთრი ვარდები.
მარგალიტების მძივები ფრენდა.
დაფრიალებდნენ ბახოვანები,
ფერად-ფერადი ფარჩის კაბებით.
მაღალ დარბაზებს ეშნი ამკობდა,
ლამაზ რიკულებს სურო ჩაკვროდათ!

ფირქი დაცურდა მრგვალ აივანზე
და ჩაიძირა ფიქრში სასახლე.

რა თქმა უნდა, ჩემს ოცნებას წლები დასჭირდა,
რეალობად რომ ქცეულიყო, მაგრამ მაინც შევძელი
და იურიდიულად დავაფუძნე ლიტერატურული სა-
ლონი, რომელსაც „ნატაური“ დავარქვი. სახელის
შერჩევამ კი თვით გენიალური შოთა დამეხმარა.
ეს სიტყვა „მოქარგულს“, „მონატულს“ „სიტყვაქა-
რგულს“ ნიშნავს. ალბათ დამეთანხმებით, რომ
დალოცვილი ქართული სიტყვა მართლაც ასეთია,
ხოლო სიტყვებისაგან აკინძული მძივად – პროზა
თუ პოეზია იქარგება, იხატება და ადამიანის სულს,
გულს სანთელივით ანთებს...

ჭეშმარიტად ღირებული ისაა, რასაც სხვებისთ-
ვის ვაკეთებთ, ვზრუნავთ და მხარში ვუდგავართ
შეძლებისდაგვარად. ეს არის ცხოვრების კრედი და
ამოსავალი წერტილი, და ეს არის სიყვარულის
საიდუმლოც.

- **საყვარელი ყვავილი...**
- იასამანი ბავშვობიდან მიყვარს...

- **სამომავლოდ...**
- ჩემი საინტერესო დღეებია მაშინ, როდესაც
ლიტერატურულ სალონ „ნატაურის“ მომავალს
ვკვებავ, ვემზადები მორიგი სალამოსთვის, ვამზა-
დებ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დარბაზს
ლონისძიებისთვის და ვეგებებით მოწვეულ სტუმ-
რებს.

„ნატაური“ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად
ვკვებავთ, ჩვენს ძვირფას ყვარლებს უფრო
ახლოს გავაცნოთ საქართველო და გამოჩენილი
ადამიანები: პოეტები, პედაგოგები, მწერლები, კომ-
პოზიტორები და საერთოდ ხელოვანი ადამიანები
შინაურულ თბილ, სიყვარულით სავსე სალონურ
გარემოში.

ჩემი უდიდესი ნატვრაა – ჩემი საქართველოს,
ქართველების და ჩემი შვილების ნათელი მომავალი;
მშვიდობიანი და ბარაქიანი საქართველო.

მილოცვა

გულითადად ვულოცავთ ჰოიატ ქა-
ლბატონს – ნუნუ ლალიძას 70 წლის
იუბილეს!

დღეგრძელობას, ჯანმრთელობას
და შამოქმადებით წარმატებას ვუ-
სურვებთ ცხოვრების ღამეზ გზაზე!

ლიცინი ცურულ აუზისა „ახულის“ რედაქცია

ნუნუ ლალიძე

ვნების ხუთშაბათი

ვნების ხუთშაბათია...
ლოცვადა დგას ხალხი.
ნათლისმცემლის ტაძარში
გალობს მრევლი ყვარლის.
ამბიონზე მოძღვარი
უგლობებს უფალს,
გარინდულა მრევლი და
ლოცვად ცად ასულა.
ყურძნის წვეწმინდა უფალი
ამოავლებს ხმადს,
აზიარებთ მოციქულთ
ხუთშაბათის დილას,
დასაბამი დაედო
იმ დროს, იმ წამს, იმ ჟამს,
შავი ყურძნის ნაჟური
უფლის სისხლად იქცა.
მას შემდეგ ზიარება
ქრისტეს რწმენას ნიშნავს,
სასოებით მივირთმევთ
ქრისტეს ხორცს და სისხლსა.
ნათლისმცემლის ტაძარი
ავსებულა რწმენით,
ზიარების მადლია
გადმოსული მრევლში.
ვნების ხუთშაბათია,
ლოცვადა დგას ხალხი,
ნათლისმცემლის ტაძარში
გალობს მრევლი ყვარლის.

„მოულოდნელი სინარული“

ღვთისმშობლის ხატს

სურნელებით აფეთქდება ჟასმინი,
კაბის კალთას თეთრად მოიქარგავს.
ქალწულივით გულუბრყვილო აპრილი
ღვთისმშობლის ხატს შემოავლებს მაქმანს.
საგალობელს ფიანდაზად დაუფენს,
თეთრ ყვავილევს მკერდზე მიუფანტავს,
მოგვანიჭებს მოულოდნელ სინარულს...
მომლოდინეთ ტაძრის ნათელ კართან.
სურნელებით აფეთდება ჟასმინი,
კაბის კალთას თეთრად მოიქარგავს.
ქალწულივით გულუბრყვილო ჟასმინი
ღვთისმშობლის ხატს შემოავლებს მაქმანს...

ალავერდობის დილა

ცაზე ციმციმებს ვარსკვლავი ატასფერი,
ჩაკედულ-ჩაწნული სხივები მრავალფერი...
მძვებით მოქარგულა მთვარე დანაფერდი,
და ავერ აისიც... ბრწყინავს ალავერდი!

პოეზია

თორნიკე ღვინიაშვილი



* * *

ჩამონგრეული მესერი იდგა
– წელში მოხრილი მოხუცის ზურგი,
მარჯვნივ შენ ხედავ გომურებს, თივას,
მარცხნივ – დაღწილ ფიჭულებს ურმის.
ერთ დროს ამ სახლში შედიხარ, როგორც
პატრონი, იცი – არ გიწევს ქუდის
მოხდა და შენში ძველი მე მობს
– აქ დარჩენა რომ ყველაფრად უღირს.
ჩვეულებაა – შესვლისას Bonjour,
აქ ხომ ოდესღაც სწავლობდი ფრანგულს
და ცხადად ხედავ, რომ მტვერით მორთულ
ოთახებს შენი აქ ყოფნა არ სურთ.

კონტრასტი

შენ იბადები, რათა იცოცხლო და არა მოკვდე!
სწორედ ამიტომ, მოკვდავნი ვერასოდეს
შეგასწავლიან სიკვდილის შიშსა და რაობას.
შენა ხარ კონცეფცია, რომელსაც
ვერ ჩასწვდა ვერც პლატონი და ვერც პეგელი.
და შენ კითხულობ წიგნის საწერად,
მაგრამ პლაგიატორები ვერასოდეს
შეგასწავლიან წერის სტილს.
შენ ხატავ ჰორიზონტებს და პეიზაჟებს,
მაგრამ არ იცი – მზისა და ზღვების
ჩუმი ამბორი სისხამ დილაზე,
გარიჟრაჟისას.
შეუსვენებლივ მუშაობა შენთვის არაფერია,
მაგრამ არ იცი:
პროცესი სჯობს თუ მისი შედეგი.
სწორედ ამიტომ არ დავიჯერებ,
როდესაც იტყვი – რომ შენ იცხოვრე,
და ვერცერთ კითხვას ვერ
გასცემ პასუხს,
რადგან – შენ დაიბადე, რათა იცოცხლო!

* * *

ის რომ მოკვდება, ნუ მიუტანთ თეთრ ქრიზანთემებს,
ნურც გაიგიჟებთ თავს მირთმევით ფერად ზამბახის,
მისი სული ხომ გადაუფრენს ხევესურეთს, თემებს
და ჩაეშვება ცივ კუბოში ოდნავ რახრახით.

ხომ გაიხსენებს შატილსა და ბარისახოს,
ანდა მამულეთს – ოჩამჩირეს და წალენჯიხას,
მკვდარმაც რომ შეძლოს და ის მიზანი დაისახოს
– იქნებ და მტრისთვის თვის მიწები რომ
წაეგლიჯა.

სწორედ ამიტომ, ნუ მიუტანთ ყვავილს მშვენიერს,
რომ შეძლოს ფიქრი ჩვენ რაშიაც დავიმარხებით,
და წაიდებენ იმ ყვავილსაც ისევე მზაკვრები;
კიდევ ვინ იცის – ანდა ვილას მოატყუებენ,
ის ყვავილები ხომ ივლიან ხელიდან ხელში,
ანდა მხოლოდ საფლავის ქვებზე.
მხოლოდ მოაცდენთ, მხოლოდ მოაცდენთ.
.....

ის რომ მოკვდება, ნუ მიუტანთ თეთრ ქრიზანთემებს,
ნურც გაიგიჟებთ თავს მირთმევით ფერად ზამბახის
და ნუ დაუწყებთ ნურც საუბარს, გაცვეთილ თემებს,
ბელეროფონის ხმა გარდაცვლილთ სულ სხვას
ჩასძახის.

ყოველწუთს უფრო ოცდება კაცი:
თქვენ ისევე დგახართ, ისევე მოელით ქცევას
ექსცესურს,
დე, მიუშვით! დე, შემოეხვეს საფლავს მისას სუჭუჭა
კლემსი,
ან მკვდარსაც ვკითხოთ, იქნებ, ესე სურს:
„ჩვენ კი ვართ ღირსნი თუნდ ფუჭი კდემის?“

როგორ არ მიყვარს დგომა როლში ვითომ მისნების,
მაგრამ ვინ იტყვის? – რად მეორდება ნათქვამ
სიტყვები:
„ნუ დაესწრებით, მეგობრებო, ამ დღესასწაულს“.

მსხვერპლი

და ჩვენ ვისხედით.
მხოლოდ მე ვლაპარაკობდი.
და შენ მითხარი მერე ანაზღად:
გთხოვ, დამპატიყო ფინჯან ყავაზე,
მე კი უარი გითხარი,
რათა
ამ ლექსის დაწერა შემძლებოდა.

Via credentis

არ გინდა შენი თავის დამცირება,
ლოგვა და კათოლიკური პურიტანიზმი,
– შენ ხარ, ვისაც რწმენა აღირსეს და
დააბრალებს მერე ანტაგონიზმი.

დადი ხარ ბერი აბატივით,
ანდა ჰგავხარ უფრო მამა პადრეს,
ამბიონზე კიბეს აღარ ითვლი,
რადგან თვითონ ხარ შენი თავის არიადნე.

თვალში შესცივინებ ყველა გამვლელს,
ხურდას კი არ ითხოვ – თითო მოწიწებას,
განსენდება: მოხუც ქალს რომ ასე ჩაუარე,
ხურდის მაგიერ რომ ათი მცნება მოგაწოდა.

შენი რწმენა ხდება უფრო მითოსური,
სტილი ცხოვრებისა ემსგავსება აცტეკურს,
ანლა ამბობენ, რომ შენ ხარ ეროსული,
რომ მორწმუნე დადიოდი აქ ერთ დროს.

* * *

მძიმე წუხილი შენ მხრებით დაგაქვს
და შეხსნილი გაქვს ნახევრად პალტო,
და ძილბურანში გახვეულ ქალაქს
გსურს, რომ ფიქრები შემოასაღლო.

პოეზიაში შენს კვალს ტოვებდე
და წლების შემდეგ ვინმემ არ დაგემოს,
შეგადარებდნენ ოლონდ ლორენს სტერნს
და ბენგალიელ დიდ პოეტ თავორს.

არ გქონდეს განცდა, ანუ ფიასკო,
რომ ველარ შექმნი ვერაფერს ახალს,
პორტსიგარაში ლექსებს მიაწყო,
როგორც მხატვარი ვერშექმნილ ნახატს.

იხსენებ ფრანგებს, ბალზაკს და ფლობერს,
პალტოს ჯიბიდან იღებ ორ ასანთს,
რითმების სტილით წაჰგავხარ ბოდლერს,
პროზაულ სტილით – თითქოს მოპასანს.



ღედის ღეე



შეხვედრა მწერლებთან

**დედობა უფლის საჩუქარია, სიყვარულია და
ღეთის მადლია, ეს გრძობა სულის აღმაფრენაა,
გამლილი ფრთებით მადლა ფრენაა...**

ღიას, გაზაფხული შემოიჭრა სულში, მეც ხომ
ღელა ვარ და გადავწყვიტე, ერთი მშვენიერი ღღე
მეჩუქებინა დედიკოებისთვის.

„ღედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“
– გიორგი ლეონიძის სიტყვებით გაიხსნა საღამო
ლიტერატურის მუზეუმში. თბილისის №88 საჯარო
სკოლის II (ა) კლასის მოსწავლეები შეხვდნენ
საოცარ ქალბატონებს, საბავშვო მწერალს, ნათია
აბულაძეს და ასოციაცია „მცოდნეღის“ დამფუძნებ-
ღელს, დირექტორს და არაერთი წიგნის ავტორს
– ლიანა ბედინაძეს.

ბედნიერებაა, როცა 21-ე საუკუნის ბავშვს აქვს
შესაძლებლობა, ცოცხლად შეხვდეს მწერალს, ჩაეს-
უტოს და გული გაუთბოს. ბავშვებმა მიულოცეს
„ღედის ღღე“ საყვარელ დედიკოებს, წაიკითხეს
ღექსები, უმღერეს საყვარელ ქალბატონებს!

მაია ქარსაულიძე

ი ღ ი ლ ე



ვულოცავთ!

80 წლის საიუბილეო თარიღს ვულოცავთ
ჩვენი ჟურნალის მეგობარს, დამსახურებულ და
ღვაწლმოსილ პიროვნებას, მწერალს, პუბლიცისტს,
ჟურნალისტს, მრავალი პრემიის, წოდებისა და
ჯიღღოს მფლობელს, თბიღისის საპატოო მოქა-
ღაქეს – დემიკო ლოღაძეს, რომელიც თითქმის
ექვსი ათეული წელია ემსახურება ქვეყნის წინს-
ვღასა და განვითარებას.

იგი ჩვენი ქვეყნის ჭვეშმარიტი მემატრიანეა, რო-
მელიც კაღმითა თუ ფოტოაპარატით ხელში, ქმნის
საქართველოს ისტორიას და უნიკალურ განძს
უტოვებს მომავალ თაობებს.

ვუსურვებთ ძვირფას მეგობარს ჯანმრთეღობას,
ხანგრძლივ სიცოცხღესა და ნაყოფიერ შემოქ-
მეღებით საქმიანობას.

ჟურნალ „ახეღის“ შემოქმეღებითი
გაერთიანება

დალი მაზმიშვილი



ქეთევან დედოფალს

წვიმს, წვიმის თმები კი
 მინდვრებზე იშლება,
 წვიმისფერ ამინდში
 მეც დარდებს ვბარდები,
 შორეულ მიწაზე
 ცრემლი კი არ შრება,
 რა ტკივილს ატარებს
 შირაზის ვარდები?!
 გვირგვინის ხელყოფა
 ეწადა შაჰ-აბასს,
 წუთია, წამია
 სიცოცხლე რჩეული,
 ის დღე კი, ამ დღემდე
 არც ერთ დღეს არა ჰგავს,
 დარჩა სამსხვერპლოზე
 ბრწყინვა ძოწეულის.
 ეწადა, ვერ შესწვდა
 საღვთოს და საეროს,
 იძლია აბას და
 ოცნება დანაცრდა,
 სიცოცხლე რწმენას და
 სამშობლოს წაელო,
 ესმოდა სამყაროს, -
 არამცადა.... არამცადა....
 ღვთისმშობლის კალთაზე
 ესვენა სიწმინდე,
 ისე, ვით იესოს
 ნატანჯი სხეული,
 ჰოი, დედოფალო!
 ისევ სწევ ცის კიდეს,
 ისევ გვასულდგმულებს
 მადლი შენეული.

* * *

მთები დაუთოვლია,
 ცაც ქათქათებს თეთრად,
 მონატრების თოლიამ
 მომიყვანა შენთან!
 ჩანს ფიფქებად დაქროდა
 სიყვარულის დარდი,
 გული ხელით უჭირავს
 ცასაც, მიტომ ბარდნის!

ნიკალა

სიცოცხლე ხსოვნის სასწორზე დადო
 და ხეტილის ხიბლი იკმარა,
 თბილისი ახლაც მხატვარზე დარდობს,
 სად დაეკარგა მაინც ნიკალა?!
 მოჩანს მეთევზე სარკეში მთვარის
 და ნათლფერდება სული ანკარა,
 ღამეა მთვრალი,
 ზეცაა მთვრალი
 და მთვრალი ფუნჯით
 ხატავს ნიკალა!
 არის წუთები, ცა რომ სულს ბარდნის,
 უკვდავებისთვის, ხან ესეც კმარა,
 იყო ტრფიალი მილიონ ვარდის...
 როგორ გამაღლებს
 ის დღე ნიკალა!
 ქეიფი, ლხინი, მტკვარზე, მეტეხთან,
 ტრფობა ტკივილად რომ შეგეყარა,
 მიწამ საფლავიც ვერ გაიმეტა
 და წაგიყვანა ღმერთმა, ნიკალა!
 აბრლი ფერებს რომ მოთოვს ახალს,
 ზეცა ღვთაებრივს მოუსვამს ყალამს,
 კვლავ იბადება ისევ ხელახლა,
 ყველა ჩვენგანში
 ჩვენი ნიკალა!

ვიხსენებ

ვიხსენებ მზისფერ გზის დასაწყისს,
 ქროდნენ ქარები...
 იყო იების ციდან თოვა,
 ვარსკვლავთა ცვენა,
 გზა-გზა ხელიხელჩაჭიდულნიც
 დარდს ვიქარვებდით,
 დიდ სიყვარულს ხომ აღმაფრენა დაჰყვება მცველად!
 როგორც ღამის მხრებს ჩამოკაწრავს ნამცივნი წვიმა,
 ისე ჩნდებოდა უცაბედი შიში თვსლებში,
 რუს ქარიშხალსაც ჩვენ ცალ-ცალკე ვებრძოდით
 ხშირად,
 ვერ ედრებოდა ჩვენს გულს
 ზეცაც სიმჭვირვალეში.
 როს უნაპირო შემოდგომის
 აიჭრა აფრა,
 განმარტობა სულის სულთან
 როცა ხვედრია,
 შენ მაშინ გაჰყევ მოდარაჯე ქარიშხლის ფაფარს,
 ნუთუ იმიტომ, ღამეები
 თეთრად მეთია....
 ნუთუ იმიტომ,
 ოცნებების ნამსხვრევს ვეფერო,
 ჩარჩოში ჩასმულ მონატრებას სათქმელი ვანდო,
 მაგრამ სიცოცხლეც წუთისოფლობს, განა
 ერთფერობს,
 მადლობა უფალს,
 ჩემდა ბელად რომ შემხვდი, კარგო!

მოწყენილან ბილიკები

მოწყენილან ბილიკები
 მთებს მკლავებად შემოწნული,
 შორით ჩანან ნისლის ტბები,
 ტბებსაც დარდით უცემთ გული.
 ყვავილები, ყვავილები...
 იქაც ნაირ-ნაირია,
 ყველა ერთად დაკარგული,
 უსამშობლო ყვავილია.
 სიმარტოვეს შერჩა ღელე,
 მზემ სხივიც ვერ დააწია,
 ფოთლებს იქ რა აამღერებთ,
 აღარც წვიმა იწყებს წკრიალს.
 ხან იმედიც მოაქვს მერცხალს,
 იქნებ გულიც ისევ გულობს,
 იქნებ ჩემი მზე და ზეცა
 სიყვარულმა დაძიბრუნოს.

ღვთის კაცი

ოთარ ჩხეიძეს!

პატარა ლამაზ ქალაქში,
 ციხე რომ მოჩანს ღიობად,
 ყველამ ვიცოდით, იქ, მაშინ,
 ღვთის კაცი რომ დადიოდა!
 სულის სიმს ავიჟღერებდა,
 ანთებდა, აბრიალებდა,
 წყაროდ იდენდა მერე და
 სიცოცხლეს შეგაყვარებდა.
 ფრთებს უსწორებდა მართვეებს,
 ფრენას არც თვითონ ზარობდა,
 ქართლის ღონიერ მიწაზე
 იდგა, მუხის ხედ ზარობდა!
 თესდა, მკიდა და თან იმ დროს,
 გვეგონა იყო ადვილი,
 რამდენის გულში დაიღოა
 ჩემსავით, წმინდა ადგილი!
 ისე გულდაგულ იქმოდა,
 სიტყვის ტინებთან დაობდა,
 გულის ცეცხლს ვინ ჩავვიქრობდა?!
 მოძღვარს უსმენდა თაობა!
 ან ვინ ჩაყრიდა საძირკველს,
 ტკივილიც რომ არ ეწვინა,
 სავალ ბილიკზე, ტაძრისკენ,
 ფრთებიც კი შემოლეწვია!
 საქვეყნო საქმეს ვინ მოშლის,
 იბრძოდა, არას ჩიოდა,
 ყველამ იცოდა, იქ, გორში,
 ღვთის კაცი რომ დადიოდა!
 იის და ვარდის შლილობა,
 სხვა კარგი, რა შევეუთვალო,
 მისი მამულიშვილობა,
 ნათლით აავსე, უფალო!

დელოფალ შუშანიკს

ოქროსფერ თაველს
 ნარგიზები ეფინა კვართად,
 იყო გალობა ანგელოზთა,
 მწიფდა მოცხარი...
 უთეთრეს შროშნებს
 დაეფარა დელოფლის კალთა,
 ციდან ისმოდა უფლის ლოცვა,
 ცვიოდა ცვარი.
 მტრედების გუნდი მიუძღვოდა სახილველს იმ დღით,
 ცურტავის გუმბათს, ქერუბიმთა ამკობდა ფრთანი,
 პირჯვარს სახავდა იაკობი
 ბრძნული სიმშვიდით,
 მიწიდან ზეცას ბრუნდებოდა
 ღვთიური სძალი.
 დღესაც გვაფხიზლებს წყარო რწმენის,
 კვლავ თვალანკარა,
 ასხივებს ბნელსაც,
 დიდ განსაცდელს იმედით ვხვდებით,
 ქრისტესმიერი სიყვარულის ვართ ანაბარა,
 მიგაცვილებდნენ, დელოფალო
 გუნდი მტრედების!
 ოქროსფერ თაველს
 ნარგიზები ეფინა კვართად,
 ჯვრის სიყვარული, სიცოცხლეზე ყოფილა მეტი,
 უთეთრეს შროშნებს
 დაეფარა დელოფლის კალთა,
 ღვთისმშობლისფერი,
 ოქტომბრის თვის, იდგა ჩვიდმეტი.

წვიმა და მტრედი

წვიმა, წვიმა სახურავზე
 ფენშიშველი ცეკვაავდა,
 თან მღეროდა ქარის ხმაზე,
 ციდან ზარიც რეკავდა!
 როგორც სულის საკურნელი,
 უფლის ლოცვა რომ გვინდა,
 მოწყენილი, წვიმისფერი,
 ციდან მტრედი მოფრინდა!
 აივნიდან დაფიქრებით
 დაჰყურებდა დარაბებს,
 მიკითხავდა, ახლა ვხვდები,
 შენი სულის ბარათებს!
 ჩაიბუდა საგულეში,
 ღამით აღარ მაძინებს,
 ალბათ მიტომ, იმიერში
 დრო ამოკლებს მანძილებს!
 წვიმს და იმ მტრედს ველოდები,
 ან როდემდე ვატარო,
 მონატრების ბარათები,
 მანდ რომ გამოვატანო!

ლელია ბელმანია



* * *

მიყვარს თბილისის სუნთქვა ძლიერი და მის ძარღვებში სისხლის ხმაური, მე მასში მიყვარს ქართული სიბრძნე, თმენის უნარი, ღვთის სიყვარული.

მიყვარს სიმშვიდე გასაოცარი, სიკეთის უხვი გადმოდინება, მაისში ატმის კვირტთა სურნელი, მტკვრის ღიღინი და მდორე დინება.

შავ-თეთრ არაგვის ქოშინი მიყვარს, გახვევებული რომ მისდევს ნაპირს, მე თბილისური მარტის თვეც მიყვარს, მოკრძალებით რომ გზას უთმობს აპრილს.

მიყვარს თბილისის სველი ქუჩები და სუსხიანი თეთრი ზამთარი, მე ლექსიც მიყვარს, თბილისურ ღამეს ნაღდ თბილისელზე გულით ნათქვამი.

მიყვარს მთაწმინდის სასაფლაოზე ბრძენთა სულების სიმთა წკარუნი, მთვარე რომ ღამით უძღერს ბელადებს, საოცარია და სასწაული.

* * *

მთვარე უშიშრად მიაპობს ღრუბლებს, ღამე იწვება ვით კელაპტარი, ნიაღვარივით მოვარდნილ მუზას ფურცელზე აღნობს პოეტი ქალი.

უძილო სიო დაცურავს თმებში, სარკმელზე ცქმუტავს ნიავი დილის, მტკვარი ზმორებით მირეკავს ტალღებს, მიბუბუნებს და აღვიძებს თბილისს.

მტკვრის პირას წნორი ჩურჩულებს ჩუმად, ტირიფის ტოტზე ირწევს ჩიტი, ცა აფახულებს წამწამებს მორცხვად, დილა თენდება საოცრად მშვიდი.

ქარი მთაწმინდას თვალებს უკოცნის, ისმის საამო ჰანგები ხეთა, ლოცვებს კითხულობს სვეტიცხოველი და სახთლებს ანთებს ძირძველი მცხეთა.

ბედნიერია, ყველა ის, ვინც კი თუნდ, ერთხელ მაინც სწვევია თბილისს, ვისაც უგრძობია ქართული სული და საოცრება უხილავს დილის.

კალამო ჩემო!!!

წერე და წერე, კალამო ჩემო, ვიცი, რომ ლექსის წერა გწყურია, სტრიქონებს ძორის ამომიქარგე ჩემი ბედკრული დიოსკურია.

მიეფერე და მიესათუთე, ფრთები შეასხი და ააფრინე, მკლავზე ფაქიზად გადაიწვინე, ზედ ჩემი სული გადააფინე.

წერე, იჩქარე, არ მომიდუნდე, რომ აღარ დაგვრჩეს უთქმელი რამე, სანამ ჯერ კიდევ მზე ზენიტზეა, სანამ დამდგარა მუღმივი ღამე.

* * *

მე ის მაწუხებს, როგორი დილა გაგვითენდება, მზე ამოვა თუ, შავი ნისლები დაბურავს ზეცას, მთვარე იისფერ სხივებს გაშლის თუ, სისხლად იწვიმებს, სიცოცხლე ცაში ინავარდებს თუ, ფრთებს შეიკვეცავს. როგორი ფერის კაბას ჩაიცვამს ზვალ განთიადი, ზღვა იბობოქრებს თუ დამშვიდდება, იქნება წყნარი, მე მეშინია, ზვალინდელი დღის არ გათენების, მიწა ჩაგველაპავს, თუ ძილ-ბურანში წაგვლეკავს წყალი. მე მეშინია, ვერ აჭიკჭიკდნენ დილას ჩიტები, თავს ჩამოგვექცეს ძირგამოთხრილი ბებერი მთები, ადრე მიყვარდა შორს ყურება და სადღაც შორს ხედვა, დღეს კი რატომღაც მხოლოდ ერთი დღით, ერთი დღით ვტკბები.

სიყვითობა ექო...

ნინო სპანდერაშვილი



თამარ გაბროშვილი და ნინო სპანდერაშვილი

სიტყვებით გაკვალული ჭეშმარიტების გზა

სათნო, მშვიდლიმილიანი ქალბატონი თამარ გაბროშვილი – პოეტი, მეზღაპრე, პროზაიკოსი, მხატვარი და ქიმიკოსია. მას ბავშვობიდან გამოჰყვება ბოროტების მოთვინიერებისა და მისი სიკეთედ გადაქცევის, ადამიანების სიყვარულის ნიჭი. თამარმა ცხოვრების დაუწერელი წიგნის შეცნობა თავის მშობლიურ კუთხეში, გორის რაიონის სოფელ ფხვენისში დაიწყო.

სწორედ ღვთაებრივი სიყვარულით გასხივონებული ბედნიერი ბავშვობიდან იღებს თამარი იმ რესურსს, რაც შემდგომ ასაზრდოებს მას მთელი ცხოვრება. იგი კარგად აცნობიერებს, რომ კეთილი ადამიანი ღვთისშვილია და ცოცხალი ბუნება ადამიანს მუდმივად, უსიტყვოდ ესაუბრება. მისი აზრით, ადამიანს უფალი შეიძლება ესაუბრობდეს ადამიანის, ცხოველის, მცენარის, ქვის ენით. ვინც იცის ბუნების შეცნობა, ის შეიძლება ღვთიურსაც და ადამიანურსაც.

ხელოვნების სიყვარულმა, რომელიც თამარს მუდამ თან სდევს, ათქმევინა: „მე ის ქალი ვარ, // ვის ხელშიაც ყვავის კალამი“. სომეხი მკითხველიც დარწმუნდა ამ სიტყვების ნამდვილობაში, რადგან გაიცნო სომხურად თარგმნილი მისი წიგნი „ქრითა“ და ორენოვანი კრებული „ექო“.

თამარ გაბროშვილის წიგნები მისი სიყვარულის გამოძახილია, რომელიც ექოსავით ხმაინობს და მეორდება – როგორც ქართველი, ასევე სომეხი მკითხველის გულში.

თამარი თავს უნაზეს ყვავილს – „ქრითას“ უწოდებს, რომელიც ფესვების გადგმას ქვაში ამჯობინებს. მას განსაკუთრებული ფერი და საამო სურნელი აქვს. თამარი ამ ყვავილის მეშვეობით ცდილობს, ფსკერამდე ჩაწვდეს ადამიანის ფიქრებს, სიღრმისეულად შეიძნოს და ცხოვრების სწორი მიმართულება დაანახოს. შემოქმედი ქალი

თავის ვალად მიიჩნევს, ლამპრით ხელში წარუძღვეს ადამიანებს უფლისკენ სავალ გზაზე, აჩვენოს გზა სათნოებისა და შენდობისაკენ.

თამარის შემოქმედება არაერთი ხელოვნების შთაგონების წყაროდ ქცეულა. სომეხი პოეტი და მწერალი ჰარუთიუნ ჰოვნათანი პოეტ ქალს სპეტაკი სამოსელით წარმოიდგენს, რადგან სპეტაკი სამოსელი ადამიანის შინაგანი და გარეგნული, სულისა და სხეულის სისუფთავისა და სიწმინდის სიმბოლოა. მან ღვთის სიტყვით განათებული წიგნი უძღვნა თამარის სულის ნაღვავს, რადგან თვლის, რომ თამარ გაბროშვილი განვლილი ცხოვრებით, სათნო საქციელითა და ღვთისმოსავი მწერლობით, ადამიანს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, თავისი მარტივი და მარადიული სიტყვებით ადამიანთა გულებში აზროვნების მარცვალს თესავს. თამარი ხომ მარტოსულ ადამიანს პირდაპირ და ირიბად ეუბნება: „შენ არ ხარ მარტო, არ ხარ მიტოვებული. შენ ღმერთს უყვარხარ“.

ადამიანის სიყვარულია თამარის მოწოდება და იგი სხეულს სათნელს ამსგავსებს, სულს კი ცეცხლს, რომელიც სხეულს ისე წვავს, როგორც სათნელს მისი ფითილი.

ჰოვნათანის თვალით დანახული თამარ გაბროშვილი ცდილობს, ადამიანებს შვიდი სულიერი და სიმბოლოური კარი დაანახოს და გაულოს. შვიდივე კარი ადამიანის ხსენისა და სიცოცხლის გამოღვიძების კარია, მისი დაბადებიდან გზის დასასრულამდე. საყურადღებოა, რომ თამარი ბედნიერებას ხალხის სამსახურში ხედავს, რომელსაც ვარსკვლავის გამოსხივებასა და სინათლით სულთა სიბნელის გაფანტვას უწოდებს. ქართველი მწერალი უფროთხილდება მშობლიურ ენას, იმ სიმდიდრის წყაროს, რომელიც დიდებულმა წინაპრებმა დაუტოვეს. იგი ქართულად აზროვნებითა და წერით ხდის უხილავს ხილულს, ზეციური ჩამოჰყავს დედამიწაზე. თავად სამყაროც ხომ სიტყვით შეიქმნა. ჰარუთიუნ ჰოვნათანი თამარის პოეზიას ზეციდან ჩამოსულ სიტყვების თაიგულს უწოდებს.

უუსურვოთ თამარ გაბროშვილს, რომ მისი სიტყვები მუდამ იმ ანკარა მთის წყაროს მსგავსად მიედინებოდეს, რომელიც ირგვლივ ყველას და ყველაფერს არწყულებს.



თამარ გაბროშვილი

მამარ ომბიისტი გაბროშვილი

05/08/1989 წ. 23.09.1989 წ.
 ქობულაძის რაიონის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვთისმშობლის სახლში დაიბადა.
 13 თაობის ინტელექტუალური ოჯახიდან, ადგილობრივი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტია.
 სწავლის გარდა, მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში: „ზღაპრების მსახიობი“, „სიყვარული და სიბნელება“, „სიყვარული და სიბნელება“, „სიყვარული და სიბნელება“ (2004), „მე და მე“ (2012), „ღვთისმშობელი“ (2012), „ღვთისმშობელი“ (2012), „ღვთისმშობელი“ (2012).
 იცის ქართული, ინგლისური, რუსული ენები.
 მისი პირველი რომანი „ქრითა“ გამოცემულია 2012 წელს.

მ. გაბროშვილი ქალბატონი თამარის მხატვრობის და მისი პოეზიის შესახებ მისი წიგნი „ქრითა“ და „ექო“.



მამარ გაბროშვილი


საფიქრობი...

ლალი ურდულაშვილი



გაზაფხულის ფერადებით

რიტა წაქაძის სულის ნაჭდევი



რიტა წაქაძის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის საბიბლიოთეკო სივრცეში. ამ სფეროს წარმომადგენლები იცნობენ მას, როგორც თავისი საქმის პროფესიონალს, დიდ გულშემატკივარს, დაუზარელ და მუდამ სასიკეთოდ მოფუსფუსე მუშაკს.

დღეს კი ქალბატონი რიტა თავისი მინიატურების კრებულით „სულის ნაჭდევი“, დახვეწილ, გემოვნებიან პროზაიკოსად გვევლინება.

რიტა წაქაძის მწერლურ ოსტატობასა და ნიჭიერებაზე მრავალმხრივ მეტყველებს მისი ულამაზესი სულის ანაბეჭდები. ისინი უსათაურო, ერთიანი, ცოცხალი მეხსიერების ჯაჭვს ქმნიან... თითოეული ნოველა ამბის დასრულებულ სურათს წარმოსახავს... სიტყვის პალიტრა მრავალფეროვანია, თუმცა გრძობათა ნაკადი არსად ეღვარება თვალმისაცემად... თითოეულ მოგონებას განსაკუთრებული სევდანარევი ხიბლი დაჰკრავს, ხსოვნის ზედაპირზე ლივლივებს, მსუბუქად, ნაზად, ჰაეროვნად, მაგრამ სიღრმისეულად. თითოეულ ეპიზოდში ჩანს მწერლისა და პიროვნების იდენტურობა, თანხვედრა.. აქ ყალბი, მოგონილი და მხატვრულად შეფერილი არაფერია.

გასაოცარია უნარი ავტორისა, სრულიად ჩვეულებრივი სასაუბრო ლექსიკით, მთელი სიმძაფრითა და შთამბეჭდაობით დახატოს ის მუდმივი შიში, სტრესი და ხშირად ტრაგედიაც, რაც ტყიბულის მკვიდრთა დღემდე თანამდევია, როგორც ბედისწერის უცილობელი დამლა. პირველივე წინადადებით ავტორი აღძრავს მკითხველში ტრაგიკული მოულოდნელობის ეფექტს: „არასოდეს ეძინა ტყიბულს, მით უფრო, ღრმა და ტკბილი ძილით... კაცი რომ მალაროში შევიდოდა, ოჯახს მშვიდად რალა დააძინებდა“?!

სატვირთო მატარებლის შემოკივლებას ზაფრა და კანკალი შემოჰქონდა ქალაქის მცხოვრებთა გულში: „ფხიზლად მძინარე კი არა, მკვდარი გაიღვიძებდა. მოზიდავდა მასალებს მალაროების გასამაგრებლად, წაზიდავდა მალაროელების სიცოცხლის ფასად მოპოვებულ ქვანახშირს“. ძნელია, უფრო მეტი ემოციით აღწერო მუდმივი შიშითა და დაძაბულობით აღსავსე დღეების რეალობა.

ავტორი მინიატურებად აკინძულ ძვირფას და სასიამოვნო ამბებს სულმოუთქმელად, უბრალოდ გვიყვება. ამ უბრალოებაშია დიდი სიწრფელე, უშუალოება, სიმართლე, სითბო და სიყვარული. იხსენებს ლალი ბავშვობის ნათელ დღეებს, მშობლიური სოფლის ეტიუდებს გაუხუნარი ფერადი ძაფებით ქსოვს და ეს ხსოვნა ბრჭყვიალა ნამსხვრევების მთლიან მოზაიკად თანაარსებობს მასში.

„ღია“, – ეს ის სიტყვაა, რომელიც უთბილეს და სანეტარო მოგონებებს უცოცხლებს ავტორს. ეს სიტყვა მთელი სამყაროს სიყვარულის საპირწონედ ქცეულა მისთვის. მოქნილ და და მშობლიური ენისთვის ბუნებრივი სიტყვათქმნადობის მაგალითებსაც ვხვდებით. „მიუხედავად უფროსების პროტესტისა, ისევ მდინარისაკენ მივბაწრებოდი“, – წერს ავტორი. წარუხოცელია ხსოვნაში შემორჩენილი წინაპრის დიდი სახლის „თითოეული ბოძი, ბირკვილი, თალი და ჩუქურთმა“. არა თვალისმომჭრელი ხატოვანი მეტყველებით, ავტორი ერთი ამოსუნთქვით გითრევს თავისი სულიერების სივრცეებში და ქმნის საკუთარ პირად-ინდივიდუალურ ხატს.


ბიძამ თოფით მოკლა ღუნღულაბეწვიანი, ლამაზთვალეობა სინდიოფალა, რომელმაც ქათმები გაუწყვიტა ოჯახს. ბავშვის ხსოვნაში დაღეჭილი თოფის გრიალი დიდობაშიც იმავე შემზარაობით ჩაესმის ავტორს. „იმ წუთას მეზიზღებოდნენ ჩვენი ქათმები, მძულდა ბებიჩემიც, ბიძაჩემიც, სოფელიც და მთელი ქვეყანა“. ეს იმ შინაგანი ამბოხის ხმაა, რომელიც ყოველთვის გუგუნებს ავტორის სულსა და გონებაში ძალადობის, სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ.

მინიატურათა კრებული ნათელი მაგალითია იმისა, რომ ადამიანის არსებობა მხოლოდ აწმყოთი არ შემოიფარგლება. წარსული ძალუმად ფეთქავს ჩვენში და სული ირეკლავს ყველაზე უფრო ცხოველმყოფელ სასიცოცხლო ცნობიერ თუ ქვეცნობიერ ნაკადებს.

ვფიქრობთ, რიტა წაქაძის სადებიუტო „სულის ნაჭდევი“ თამამად უხსნის კარს მას, როგორც საინტერესო ავტორს, ჩვენს მწერლობაში. მისი ნაღვაწი უთუოდ პოვებს „მზრდელს“.

პატარაინისთვის...

თამარ მახარაშვილი



მწვანე რაინდები

ერთ პატარა კალიაზე მოვითხრობთ. ხტუნია დიდ მინდორზე ცხოვრობდა, საოცარი ისაა, რომ აქ ამ მინდორზე ლურჯმა ყვავილებმა ასე ერთბაშად მოიყარა თავი, ირგვლივ სიმშვიდე და სინაზე ბატონობდა, ყოველი დღე ერთმანეთს ჰკავდა. ხტუნია ყოველ დღით ადრე იღვიძებდა, სურდა, რომ ყველაზე ყოჩაღი ყოფილიყო, მაგრამ ფუტკარს ვერ აჯობა. ხტუნია თავისთვის უაზროდ ხტუნაობდა, შემთხვევით ფუტკარს დაეჯახა. ფუტკარი ძალიან გაბრაზდა. გაბრაზებული ფუტკარი წინ და უკან დაფრინავდა, ხტუნიას კბენას აპირებდა, როდესაც ცისფერი ფერია საიდანღაც გამოჩნდა.

– ნიგელა, გთხოვ, ეგ არ გააკეთო...
– რატომაც არა, ყოველთვის მებრაზებს, ახლაც გაბრაზებული ვარ.

– ვიცი, მაგრამ შენ ხომ ჭკვიანი ხარ და ჭკვიანები ასე არ იქცევიან, გთხოვ, სიბრაზე დაივიწყე, ეს ერთხელაც აპატიე და მერე თუ კიდევ გაგაბრაზებს, მაშინ უკბინე...

– მართლა? შენ ასე ფიქრობ?
– კი, ერთხელ კიდევ აპატიე, ჩემი ხათრით – იმედი მაქვს, აღარსად გადამეყრება, – ჩუმად ჩაილაპარაკა ფერია.

ხტუნია მხოლოდ ერთი იყო და განუმეორებელი, საინტერესო ის არის, რომ სამეფოში ხტუნიას გარდა სხვა კალია არ ყოფილა. არსებობდა კალიების სამეფო, რომლის მეფე ტარასი გახლდათ, მკაცრი და დაუნდობელი, ამიტომ ცისფერი სამეფოს დედოფალი შიშმა შეიპყრო.

– კალიების მეფის შემოსევას არ დავუშვებ, ისინი ყველაფერს გაანადგურებენ, – ცისფერი სამეფო აღარ იარსებებს. ცისფერი სამეფოს სასახლე ყვავილებით იყო მორთული, უამრავი ლურჯი ყვავილით, ღილია საოცრად გამოიყურებოდა, ამაყად იდგა.

– შემომხედეთ, რა ლამაზი ვარ, სამეფოს მე ვალამაზებ... – ნეივის იპოემაც იყო, სასახლე ნეომარიკის დიდი ბრტყელი ყვავილებით და ღეროებით აუშენებიათ, დედოფლის სავარძელი აგაპტიუსით გაუკეთებიათ, სასახლის შესასვლელთან ლურჯი ვარდები იპრანჭებოდნენ, კვერთხი ლურჯი ვარდის იყო, მზის სხივები, როდესაც დანამულ ვარდებს შეეხებოდა, ოქროსფერები ხდებოდნენ და საოცარი ბზინვარებით გამოირჩეოდნენ. ორქიდეა მათი დედოფალი იყო და ცისფერი სამეფოს საიდუმლოება დედოფალმა იცოდა.

ლურჯ სასახლეს საიდუმლო ოთახი ჰქონდა,

ოთახიდან გასასვლელი ჩანჩქერთან მიდიოდა, ჩანჩქერში ოქროს თევზები ბინადრობდნენ, ლურჯი ოქროს თევზები, ჩანჩქერის უკან პატარა ტბა იძლეოდა წყალმცენარეებით, წყალმცენარე ფერიების მტვერს მალავდა, მტვერის მოპარვის შემთხვევაში სამეფო გაქრებოდა და აღარ იარსებებდა. მეფე ტრასიმ, კალიების მეფემ, დიდი ხანია ცისფერ სამეფოს თვალი დადგა, შეიტყო, რომ სამეფოში მხოლოდ ერთი კალია ცხოვრობდა, ხტუნიას გამოყენება გადაწყვიტა. კალიების მეფის შიკრიკს ერმი ერქვა, ტრასიმ ამბის გასარკვევად ერმი გაავაზვნა, ერმი და ხტუნია საოცრად ჰკავდნენ ერთმანეთს. ერმი ცისფერ სამეფოს მიუახლოვდა, ირგვლივ თვალი შეავლო, ხტუნიას გამოჩენას დაელოდა, დიდხანს ლოდინს არ დასჭირვებია. აი, ხტუნიაც გამოჩნდა. ერმი შორიდან უყურებდა, ხტუნიას მიუახლოვდა.

– ხტუნია, მოდი აქ.
– შენ რა, მიცნობ?
– შენ ძალიან მაგარი ხარ, ხტუნვა კარგად გამოგდის...

– მართლა? ჩემ შესახებ რა იცი?

– შენ ყველაზე მაგარი ხარ, ვინც კი შემხვედრია, ვისაც კი ვიცნობ.

– გმადლობ, მაგრამ მე არ ვიცი, ვინ ხარ.

– მე ერმი ვარ, ერთი წუთით შეგვიღია მოხვიდე? გინდა შევეჯიბროთ? ვინც უფრო მაღლა ახტება, გამარჯვებულიც ის არის.

– ეს კარგია, მაგრამ ვის უნდა შევეჯიბრო? – შეეკითხა ხტუნია.

– რა თქმა უნდა, მე, აქ მხოლოდ ჩვენ ვართ, მე და შენ.

– გამოდის, რომ მე და შენ ერთმანეთს ვეჯიბრებით.

– ჰო ასეა, მართალი ხარ, გინდა შევეჯიბროთ? მომიახლოვდი.

– კარგი, მაგარია, – დაეთანხმა ხტუნია.

საწყალი ხტუნია ადვილად შეცდა, გააკოჭეს და მეფე ტარასის მიჰკვარეს. ტარასიმ ხტუნია საპყრობილეში ჩასვა, ერმი მის ნაცვლად ცისფერ სამეფოში შევიდა, შემოგარენი დაათვალიერა, გაცივებული უმზერდა ამ საოცარ სილამაზეს.

– რა ლამაზ სამეფოში უცხოვრია ამ ბრიყვს, მე კი ყოველთვის ვილაცას ვემსახურები, უკან აღარ დავბრუნდები, აქ ძალიან მომწონს... – საკუთარ თავთან საუბრობდა, როდესაც ნიგელა გამოჩნდა.

– ხტუნია, მომშორდი, გზიდან ჩამომეცალე, მაშინ რომ არ გიკბინე, ახლა გიკბენ.

– შენ ვინ ხარ? – შეეკითხა ერმი.

– სულ გამოშტერდი? ველარ მცნობ? – პირველად ხომ არ მხედავ, ჩვენ ყოველთვის ვჩხუბობთ, როცა გზაზე მელიობები.

ერმი ფუტკარს გაცივებული უყურებდა.

– მოიცა, ერთი წუთი, შენ ხტუნია არ ხარ, ხტუნია სად არის? რა უქენი? ჩქარა მითხარი, თორემ ფუტკარები გიკბენენ, ხმა ამოიღე.

– რა უნდა გითხრა, ხტუნია ვარ...

– კარგი, ერთ შეკითხვას დაგისვამ და მიპასუხე, მე რა მქვია?

– შენ გქვიაა, – აი, აქ შეყოყმანდა ერმი.

– ესე იგი, არ იცი, თორემ ჩემს სახელს ეგრევე მეტყობდი, გამოდის, რომ იტყუები, – ხტუნია, სად არის? ჩქარა მითხარი. რამდენიმე წუთში ფუტკარების მთელი არმია მოფრინდება.

ერმის სხვა გზა არ ჰქონდა, სიმართლე უნდა ეთქვა, ყველაფერი უამბო.

– ესე იგი, კალიების მეფემ ხტუნია საპყრობ-

ილეში ჩასვა?

– კი, მე არ მინდოდა, მაგრამ მაიძულა, კალიების მეფე მომკლავდა.

– ჩქარა მითხარი, საპყრობილე სად არის?

– არ ვიცი, სიმათლეს გეუბნები, გთხოვ, არ მიკბინო, ყველაფერს გამოვასწორებ.

– კარგი, ასე იყოს, თუ მომატყუე, ვერ გაღამირჩები...

ერმი ფეხაკრებით საპყრობილესკენ გაეშურა, მიუახლოვდა, მთვარის შუქი აქა-იქ ანათებდა, ირგვლივ სიბნელე იყო.

– ხტუნია, სად ხარ? – დაბალი ხმით დაუძახა.

– აქ ვარ, ერმი, აქეთ – კარის მოპირდაპირე საკანში იყო.

– ხტუნია, ვერ გხედავ, საშინელი სიბნელეა.

– ერმი, აქეთ წამოდი... ერმი ხმას მიჰყვა, ხტუნიას საკანთან აღმოჩნდა.

– ხტუნია, შეგიძლია მაპატიო, მე ერმი ვარ, კალიების მეფის შიკრიკი, მოგატყუე.

– ვიცი, მაგრამ ჩემგან რა გინდა?

– არაფერი, მეგობარო, არაფერი დაგიშავებია, კალიების მეფემ მაიძულა, მე ის მოკლავდა.

– გაპატიებ, თუ აქედან გამოსვლაში დამეხმარები, კალიების მეფეს რა განზრახვა აქვს?

– ცისფერი სამეფოს ხელში ჩაგდება უნდა.

– ამას როგორ მოახერხებს? სამეფოს ჭკვიანი დედოფალი ჰყავს.

– მე დამავალა, რომ შენი ადგილი დამეკავებინა და მისი ინფორმატორი ვყოფილიყავი. შემდეგ ფუტკართან წაჩხუბების ამბავი მოუყვა.

– გამოდის, რომ ნიგელას არ ვძულვარ.

– არა, მეგობარო, ეგ სიძულვილი არ არის.

– კარგი, აქედან გამოსვლაში დამეხმარე, ცოტა დრო გვაქვს.

ერმი გასაღების მოსაძებნად წავიდა, რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა, ხტუნია გაათავისუფლა.

– ასე უცბად როგორ დაბრუნდი? გასაღები მოიპარე?

– შენ მაგაზე არ იფიქრო, მოპარვის ოსტატი ვარ.

– მოპარვის ოსტატი? ანუ ქურდი?

– ჰო, შეიძლება ასეც ითქვას, ახლა წადი, ცისფერი სამეფო დაიცავი, კალიების მეფე ბრძოლისთვის ემზადება.

– კარგი, წავალ, დიდი მადლობა, მეგობარო.

– შენც მეგობარი მიწოდე?

– ჰო, მერე რა, შენ გამაფრთხილე, გადამარჩინე, მეგობრები ასე იქცევიან, არ გინდა, ჩემთან ერთად წამოხვიდე? აქ რომ დარჩე, კალიების მეფე ნამდვილად მოგკლავს.

– მართლა? კარგი, წამოვალ, მგონი, მართალი ხარ...

ცისფერი სამეფოს დედოფალმა ორქიდეამ დაცვა გააძლიერა. კალიების მეფე უძლური აღმოჩნდა ცისფერი სამეფოს წინაშე. ერმი და ხტუნია მეგობრები არინ, მედგრად იცავენ ულამაზეს სამეფოს, ახლა ორი კალია ცხოვრობს ცისფერ სამეფოში. დედიფალმა ორქიდეამ ერმი და ხტუნია რაინდებად შერაცხა, მათ, რაინდად წოდებულთ, ყველა პატივის სცემს, ღირსეული ტიტული ერგოთ. კალიების მეფე დაეძუქრა, – თქვენი განადგურების გზას ვიპოვი, ცისფერი სამეფო ჩემი გახდება... მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ცისფერი სამეფო ისევ ისეთი ლამაზია, მზე აფრქვევს საოცარ სითბოს, ახლა ყოველგვარი მიშის გარეშე, მათ ხომ ორი რაინდი ჰყავთ.

ღალი სიმლოცხვა - 60

ოთარ ვალიანი



დედისადმი

მე დედა იას მაგონებს, გაზაფხულის მოსვლას რომ ამცნობს ქვეყნიერებას, მიწის ბელტებიდან რომ ამოიზრდება პირველი ღვივი, – აი, ეს არის დედა ჩემთვის! რამხელა ბედნიერებაა დედობა, მარტო დედისთვის კი არა, შვილისთვისაც, თანაც ასეთი დედა რომ გყავს! ლალი აბშილავა – მსახიობი, პოეტი, ჟურნალისტი, მხატვარი... მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული. წელს 60 წელი შეუსრულდა, კაცმა რომ თქვას, ნახევარზე მეტი გავლილიაო, მაგრამ არასოდეს ბერდებიან დედები! დედას ასაკი არ აქვს! ჯერ კიდევ ბევრია გზა-სავალი.

დედამ, რომელმაც თავისი სამსახიობო კარიერა მე და ჩემს ძმას შემოგვწირა, ჩვენს აღზრდას და ოჯახზე ზრუნვას...

ხშირად ვფიქრობ ამაზე, სადღაც სიბრაზეც მიჭამს გულს, ის, რისი კეთებაც ყოველთვის უყვარდა, მე და ჩემმა ძმამ წავართვით, ასე გამოვიდა... განა შეიძლება ამას აცნობიერებდე და არ აფასებდე?

ხანდახან იტყვის ხოლმე, ოთო, სცენის მტვერი მენატრებაო... მაგრამ თან იმას ვფიქრობ და გულს ვიმშვიდებ, არ არსებობს ყოფილი მსახიობი, სცენით თუ მოიწამლე, ბოლომდე მოწამლული დარჩები!

ერთ ჩემს ძველ მისდამი დაწერილ ლექსში ვუწერ: „და შენს თხელ მხრებზე ჩამოხრჩობილ, იმ ჩემს ბავშვობას, ვეტყვი, მშვიდობით, ნახვადის მიწვივ“...

ასე ხდება ხოლმე და დამეთანხმება ალბათ უმრავლესობა, რომ კაცებს დედები განსაკუთრებით გვიყვარს, მე ჩემი შეგნებული ბავშვობა დედის კალთას გამოკერებულმა გავატარე, არ შემეძლო სხვანაირად! ეს სტრიქონიც ამის გამოძახილია.

სულ ახლახან მწერალთა სახლში გაიმართა მისი ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მოწვეულნი იყვნენ: მხატვრები, მწერლები, ხელოვანი ადამიანები, ეს გამოფენა იმით იყო გამორჩეული და აღსანიშნავი, რომ მსგავსი ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებს ანალოგი არ აქვს, აქ მასალაც და იდეაც სრულიად ავტორის კუთვნილებაა, სიხლეა ხელოვნებაში.

ვისარგებლებ ამ ძალიან კარგი შემთხვევით და მივეულოცავ 60 წლის იუბილეს! დიდხანს მყავდე, დედაჩემო, ჩემო სალოცავო ტაძარო!

მინისცოკრები

ლანა ბიბილურიძე



ერთ დღეს ჩემში ღმერთი დავამსხვრეი.
მწკრივში განლაგებული სვეტები დავშალე
ნელ-ნელა.

ისე ჰქონდათ მიწაში გადგმული ფესვები, ძლივს
გადავაყირავე.

აღარ მასხოვს, როდის ავაგე სვეტები, ხანდახან
ვფქირობ, ჩემში იქნებ ვინმეს ხელით აიგო. ასე, მაგ-
ალითად: ქოთანში რომ დარგეს ყვავილები, ჩემშიც
ასე ჩარგეს თითოეული ბოძი და დაიწყო აყვავება.

ვერ გეტყვი, როდის ვიგრძენი სიმძიმე, თითქოს
ლოდებოდ მაწვებოდა, ველარ ვუძლებდი.

მჯეროდა, ის სვეტები იყო უფალი.

ველარ ვუძლებდი სიმძიმეს და ლოცვას ვიწყებდი,
ბოლოს ლოცვის ძალაც მეცლებოდა, ზეცაში ვუწ-
ურებდი ჩიტებს.

ვფიქრობდი, მტრედებისთვისაც თუ ჩააშენებდნენ
სვეტებს, იფრენდნენ კი?

იქნებ ადამიანიც ფრენისთვის გაჩნდა?!

ჩვენ კი ვიმძიმებთ ცხოვრებას?!

საათს ვუყურებდი და ვფიქრობდი: რა იქნებოდა
საათი ისრების გარეშე?!

იქნებ ამძიმებდა კიდევ ისრები, მაგრამ საათი
ისრების გარეშე?!

ადამიანი სვეტების გარეშე?

რა მოხდებოდა, თუ გაჩერდებოდა ისრები და
დაინგრეოდა სვეტებიც?!

ჰო, დიდი, დიდი, დაირღვეოდა სისწორე

რა მეტისმეტია სისწორე ქაოსურ სამყაროში.

საათს ისრები მოვხსენი და აღარ მიჩვენებდა
დროს, აღარ იყო სასარგებლო საზოგადოებისათ-
ვის, ის აღარ თავსდებოდა წესებში, მერე საკუთარ
თავსაც მოვხსენი სვეტები.

ჰო, იმ დღეს ჩემში ღმერთი დავამსხვრეი

ღიახ, დავამსხვრეი და მაშინ დავკარგე წონას-
წორობა.



სამყაროს ისე უნდა უყურო, როგორც ამაღლო
მოდილიანი უყურებდა ბოთლს მიღმა თავის
დასახატ ქმნილებებს, ამიტომ იყო მისი ნახატები
არაპროპორციული, ბოთლის მინიდან დანახული
სხვანაირია ყოველივე ჩვენც უნდა შევძლოთ
შევხედოთ, იმ მინიდან ადამიანებს, რომლებიც შეცვ-
ლიან და გაასხვანაირებენ ყოველივეს, მერე უფრო
მარტივად აპატიებ, მარტივად შეიყვარებ, მარტივად
გაუგებ, მარტივად დახატავ ადამიანებს.

მე ადამიანებს ცის გადმოსახედიდან უყურებ,
წარმოვიდგენ ხოლმე, ციდან რა პატარა ჩანს ადა-
მიანი და როგორი პატარაა.

გაჩნია, შენ საიდან უყურებ ადამიანს, გაჩნია..

წვიმიან ამინდში იმ სარკმლის დაორთქლილ
მინაზე ვფიქრობ, პატიმრის ფანჯრებში რომ არის,
ცრემლით დასველებულ იატაკზე და ჭერში მო-
გროვილ ლოცვის თითოეულ სიტყვაზე.

ჰო, წვიმიან ამინდში სასაფლაოსკენ მიმავალ
ატალახებულ გზებზეც მეფიქრება და ადამიანის
ატალახებულ ბედზე... საავადმყოფოს კედლებში
დაგროვილ სევდაზე და ომში ტყვიისფერ ამინ-
დზე...

ჩამოვჯდები ხოლმე ვერცხლისფერ მოჩუქურთ-
მებულ მაგიდასთან და გავყურებ ფანჯრებიდან ცის
ცარგვალს, იმ მზეზე ვფიქრობ, რომ ჩაესვენა და
წვიმის წვეთები გამოუშვა...

იმ დღეებზეც ვფიქრობ, აწ გადატანილ აწმყოს
და მომავალს შორის გაჩხერილ დღეებზე... დღეე-
ბზე, ნაცხოვრებ დღეებზე და სასწაულებით სავსე
დღეებზე, ხან მზიან და ხან ქარიან დღეებზე...



თუ ოდესმე აღმოჩენილხარ გვირილების მდე-
ლოზე, იცოდეთ, უფლის ვოლგოთაზე ყოფილხართ.
ამქვეყნიური სამოთხეა ქრიზანთემისფერი მარგალი-
ტივით ბრწყინვალე და მარმარილოსავით ნაზი.

თუ საღამოს ქარიც გელამუნებათ, გიშრისფერ
თიბებს გიწეწავთ, გვირილებში წნავთ, ოჰ დიდე-
ბულია წყარო, უკვდავების წყარო, რომელიც
მოჩხრიალებს, ილტვის, დანამოს ყვავილები, სურს
გადაარჩინოს, აცოცხლოს, გაასულიეროს მთები
თოვლისფერი, ცის კიდებზე მირაჟი ზეცამ თითქოს
თავი დახარა, დაიმალა, შერცხვა გვირილების და-
ნახვისას, მიიმალა და ფაფუკი ღრუბლების ქულა
გამოგზავნა...

ირმის ჭაობისფერი შველი გაწოლილა და
ნებივრობს...

ცისარტყელამ გააფერადა სევდისფერი სამყარო,
პეპლების ფრენამ გააცოცხლა, იადონის ჟღერ-
ტულმა უფრო მყოფადი გახადა გარემო.

თითქოს სულიერია მდელი, გვირილების
მდელი...

ო, როგორ ადამიანივით კვდება და იბადება!!!
გვირილა ლამაზი სიცოცხლის და სიკვდილის
სიმბოლო.

სანამ ცოცხლობთ, ერთხელ მაინც დასხედით
გვირილებით მობიბინე მდელიოზე, ერთხელ მაინც
იყნოსეთ მისი საოცარი სურნელი, ერთხელ მაინც
მოწყვიტეთ და ჩაიფიქრეთ...

პოეზია

ხათუნა შავგულიძე



როცა დედა ბერდება...

გუცქერ და გული ათასჯერ კვდება,
 არ მსურს ეს ფიქრი და მაინც მოდის –
 ფოთლები უკვე დასცვივდა კედარს
 და დრო კედარსაც წააქცევს, როდის?..
 შუალამეა და დედის სუნთქვას
 ოთახში მშვიდად დაარწევს ბინდი,
 არსთა გამრიგეს ხომ ასე უთქვამს,
 რომ წრფელი ლოცვა უფალთან მიდის?..
 მე დანაკარგის სიმწარე ვიცი
 და გადავლახე დარდის მორევი...
 დღესაც წარსულის ტკივილით ვიწვი
 და ახალ ტკივილს ვერ მოვერევი...
 ღამეა, დედის სუნთქვა მამშვიდებს,
 გაიღვიძებს და ჩემს სახელს იტყვის
 და განა, ბევრი რამ გვინდა შეიღებს? –
 არ მოგკვდეთ მშობლის სიკვდილის ტყვიით!
 ტყვიის ნაჭლევი ვერც შეედრება
 მშობლის არყოფნის ღია ჭრილობას,
 როცა ხედავ, რომ დედა ბერდება,
 გრძნობ ამ ტკივილის გარდუვალობას...
 შეჩერდი, წამო და თანამიგრძნე,
 დროვ, დასთმე შენი მედიდურება!
 დროებით გვერდზე გადადე სიბრძნე
 და იგრძენ კაცთა უბედურება –
 დაკარგვის ელდა და სიმარტოვე,
 ცარიელ კედლებს როცა ეხლები...
 ვერარა სიბრძნე ვერ ამარტივებს
 ფაქტს, რომ თბილ ხელებს ვერ შეეხები...
 დროვ, ერთხელ იქეც ადამიანად
 და ჩვენი ყოფა გაითავისე,
 მაგრამ თვით შენც კი დაგაგვიანდა
 ადამიანთა სევდის საწყისზე...

როგორ ვძლებდი?..

მიყვარს, როცა მზე თოვლს კოცნის და ფიფქებზე
 ანთებს კოცონს,
 ბებერ მთებზე ჩიჩილაკებს ჰგვანან ჭაღარა ნაძვები...
 ზამთრის ზღაპრებს, აბა მითხარ, ვინ არ ძალუძთ
 გააოცონ?
 ახლა ვფიქრობ, უამთოვლოდ როგორ ვძლებდი...
 როგორ ვძლებდი?..
 მე ვიცოდი, რომ სამშობლოს არომატი სულ სხვა იყო
 და ამ სურნელს, გრძნეულ მიწის, სხვა სიხარბით
 ვისუნთქავდი,
 მაგრამ ზამთრის ზღაპარს ძალუძს საიდუმლო შენც
 გაგიყოს,
 გაგრძნობინოს, უამზღაპროდ შენს თავს მართლაც
 აღარ ჰგავდი...
 შორს მიჰქრიან ეს ფიქრები და ფიფქები თრთიან,
 თრთიან...
 იფრქვევიან სიცელქით და უსასრულო სივრცეს
 რთავენ,
 ვუხმოვ, ვუხმოვ ძველ ოცნებას ქალწულისფერს და
 თეთრფრთიანს
 სანამ წლები სიბერისკენ მქროლ მარულას
 გამართავენ!
 ახლა, მხოლოდ ვიხიბლები მღუპარების გარინდებით,
 ყოველდღიურ ფათერაკებს გვერდის ავლით
 ვეკრძალები...
 გავცქერ ამ მთებს და ნაძვები – თმაჭაღარა
 რაინდები –
 ამბაფრებენ სულის ექოს: „უსამშობლოდ როგორ
 ძლებდი“?!

მე და მე

ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა ბავშვი
 და დაიბადა იქვე ოცნებაც...
 ახლა კი, ქალი, მოკბეჩილ ვაშლით,
 ბავშვს მორიდებით ეცნაურება –
 „მე ვარ შენ... ვიცი, ოცნებობ რაზეც,
 ჩემს მკერდში ეზარდე მაგ გულის განცდა...
 შემიხდე, ბავშვო... არ გამიბრაზდე –
 ჩემი გზა ზღაპრის ბილიკებს გასცდა...
 გვერდიგვერდ ვსხედვართ, მაგრამ ვერ მაძინევ,
 გაფრენილ მზერას არ ვედარდები...
 ფანჯრის რაფაზე ავორებ საშლელს,
 ნეტავ, წამშლიდე! მომცემდე საშველს
 და ჩვენც თავიდან დავიბადებით...
 თითქოს მიყურებ... მზერა გაქვს მშვიდი,
 დაეძებ შტრიხებს, როგორს მხატავდი?..
 შენ კვლავ ბავშვი ხარ, ოცნებით დიდით!
 მე – გავიზარდე... დავაბატარავდი...
 ქარებს მივდევი, ვებრძოდი ნამქერს,
 ვეტრფოდი ფასკუნჯს, ღრუბლებთან ასულს!
 ახლა, ორივე ფანჯრიდან გავცქერთ
 შენ – მომავალს და მე – უკვე წარსულს“...


ის „ერთი ლექსი“ არის – პოეტი

ყოველი ლექსი ერთი ცრემლია
და ფარულ ფიქრთა ფერისცვალება...
პოეტს თუ ცრემლი გამოეღია,
გარდუვალა გარდაცვალება...
ამ საიდუმლოს თვითონაც ვერ ხსნის –
ის ყველგან არის, ის თვითონ დროა...
თავს ახლად იშობს ის ყველა ლექსში
და ყველა ლექსი მისი პირმშოა!
წარსულის ლანდით, მომავლის ხილვით,
აწმყოზე დარდით არის სწეული...
მთვარეულივით სად აღარ ივლის
ყოვლისმომცველი განცდით ძლეული...
დადის... გულს ხელისგულით ატარებს –
გრძნობის საბაღოს, მბრძანებელს უყმოს –
მას სხვა სიმდიდრე არ დაანათლეს
და ამიტომაც, გულს ყველას უყოფს...
მზე – სიკეთეა! წვიმა – ცხონება!
ღამე – მთვრალია... მთვარით ვნებუდი...

დაუგეგმავი, მისი ცხოვრება,
მისანთა მითებს ადევნებული...
ხან, თვითონ მთაა!.. ხან, მთაზე ჯანდი...
ხან, სანთლის ალზე მფრენი ფარვანა...
მის სულს ო, ისე სწადია ჯანყი,
როგორც საბრძოლოდ გასულ ფალავანს!
შვიდ ბილიკს განვლის, შვიდ ხიდს გადავა,
შვიდ შრეს გადაკვეთს მისი ვედრება...
გამოიდარებს შვიდჯერ შვიდ ავღარს
და ცისარტყელის შვიდ ფერს შეწვდება!
რაღაა ქვეყნად ამაზე მეტი?.. –
წოდება მხოლოდ დროის მტკვერია...
და სიყვარულის აპლოდისმენტი
ყველა დროების განძზე მეტია!
ცხოვრებაც, მისი, გასალექსია,
ვით სიყვარულის, სევდის სონეტი...
და თუ პოეტი „ერთი ლექსია“,
ის ლექსი არის – თვითონ პოეტი!



შალვა მჭედლიშვილი



* * *

№-ს

დიდმა დრომ განვლო და მაინც ხშირად
მწარედ გულს მტკენს და ახლაც მაცებს
ქვის პაწაწინა მერცხალის ხილვა
ერთ მივიწყებულ სასაფლაოზე!
ჩემთვის უცნობი ქალის საფლავზე
ლოდს მოსდებოდა სურო და ხავსი
და მარმარილოს ფერმკრთალ შავ ქვაზე
სახე ეხატა მაგ სახის მსგავსი!
მაცხოვრებ, როდესაც პირველად შეგხვდი,
რა უცნაურად საზარლად შეგკრთი...
შავ ბედისწერის ნიშნად ჩავთვალე
ის შეხვედრაც კი ჩვენი პირველი,
სამარის სევდა ახლდა მაგ თვალებს
და სილიადე გასაკვირველი!

მამის საფლავთან

ვღგავარ მღუმარედ
მამის საფლავთან
იავარქმნილთან, დაუდაფნავთან,
მინდა უქრობელ მარად სანთლებად,
კვიპაროსები დაეურგა თავთან!
ვღგავარ მღუმარედ მამის საფლავთან,
ლანდივით მკრთალი და თავდახრილი.
და შორს... სულივით მიუსაფართა
შორს... კვირიონთა ისმის ძახილი...
რა ღუმილია...
რა სიცივეა...
ფრთოსნის ცრემლი თუ ნამი ღამეცა.
ნუთუ ტკივილზე უფრო მცირეა
ცრემლზეც მცირეა ეს ღელამიწა?!

სიმღერა სიღნაღზე

სანდრო მირიანაშვილს

ვარ ისევ შუქით სავსე სიღნაღი
და მისი ფრთები შუქად მეგულის,
თითქმის ყოველი ვნახე სიზმარში,
ცაში ვარ, თვითონ მზე მყავს მეგზური!
ნეტავ ეს გრძნობა რას დავადარო,
როცა გავცქერი იმ ცისფერ სივრცეს
ძალმიძს უხორცო ქმნილებად ვიქცე
და მიწის რაც მაქვს, ქარს გავატანო!

პროზა

სოფო ნემსაძე



მან მხოლოდ პლაცჟი დაცლოვ...

ბიოლოგიის მესამე კურსზე რომ ჟღალთმიანი გოგონა სწავლობს, მენ გინახავსო? როგორ თუ მინახავს? – ვიცნობ კიდეც, თანაც საკმაოდ ახლოსო. რომ იცოდე, ძალიან პოპულარულია, უნივერსიტეტის თითქმის ყველა ბიჭი მისი გულის მოგებას ცდილობსო! ჰოდა, ეგ გოგო ძალიან შემეყვარდაო, უთხრა ზურამ დასავით თანშეზრდილ, თავისი ცხოვრების ყველაზე სუფთა და უცოდველი პერიოდის გაუხუხებელ საჩუქარს – ელენეს! როდის მოასწარიო, გულწრფელად გაოცდა ლურჯთვალა მზის სხივი. მერე კი უსაზღვროდ თბილი, იშვიათი თანაგრძნობით ახელა თავისზე ბევრად მაღალ ბიჭს და დაცვარული ხმით ასძახა: მარისთვის მიგეგნია ჩემო „პატარაო“.

ძალიან კარგად იცნობდა ელენე მარტივით თავნება მეგობარს. იცნობდა და იცოდა, თუ რამეს ჩაიფიქრებდა, მიზანსაც აუცილებლად მიაღწევდა, თუნდაც ამისთვის თავად სამყაროსთან შეხლა დასჭირებებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზურა ყოველთვის იმგვარ ირეალობას აქცევდა ხოლმე რეალობად, რომელიც არავის აზარალებდა. მისთვის ყველა ადამიანი ფასეული იყო, თითოეულ კაცში რაღაც ღირსებას ყოველთვის ხედავდა და არასდროს აძლევდა თავს უფლებას, რომ საკუთარი იდეის ჩრდილს რომელიმე მათგანის პიროვნება ჩაენთქა. თავისი მიზნის გზაზე თუ ვინმე ზიანდებოდა ხოლმე, ეს ისევე თვითონ იყო და არაფრის დიდებთი სხვა.

ჰო... ასეთი იყო ზურა, დიდი გულისა და კიდევ უფრო დიდი სულის პატრონი. ჰოდა, ამჯერადაც დაესახა ამ დიდგულა ბიჭს მიზანი, ოღონდ არცთუ ისე იოლად მისაღწევი, არცთუ ისე თავისუფლად მფრინავი, თავისუფლად ამოსასუნთქი. საქმე ჟღალთმიანი ქარიშხლის დადევნებას ეხებოდა, იმ ქარიშხლისას, რომელიც ბიჭის გულში თავისდაუნებურად შეჭრილიყო და ვერც კი გაეცნობიერებინა, ამ გაუმიზნავი ქცევით, იქ არსებულ ყველა კედელს როგორ დამანგრეველ ბზარებს ავლებდა. რთული ჩანდა გზა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ გოგონასთან მისასვლელი ბილიკი საერთოდ არ არსებობდა ან თუ არსებობდა, იქ ზურას ნაბიჯების ადგილი არ მოიძებნებოდა. არ იცოდა ბიჭმა ამის შესახებ, ჯერ არ იცოდა. შინაგანად კი გრძნობდა, რომ ეს იმ ბრძოლებს არაფრით ემსგავსებოდა, რაც მანამდე გადაეტანა. წინ დიდი ომი ელოდა, სადაც შეიძლებოდა მხოლოდ სხეული გადარჩენილიყო,

უბრალოდ ცარიელი სხეული.

.....

არც კბიებზე შეხვედრიან ერთმანეთს. არც დერეფანში მეჯახებულან და არც ფურცლები დასცვენიათ მოულოდნელად. მათი მზერები მაშინ შეერთდნენ, ჟღალთმიანმა რომ ზურას ავტომობილის კარი გამოაღო და გვერდით მიუჯდა. როცა გოგონამ საჭისკენ გაიხედა და იქ უცხო ადამიანს მოჰკრა თვალი, გაოგნდა, მერე კი უცებ გონს მოვიდა, მიხვდა, რაც მოხდა, შემთხვევითობის გამო ბოლიში მოიხადა, ოღონაც, მკრთალად გაიღიმა და მამინვე დატოვა წამიერად დაკავებული ადგილი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამ მცირე დროში, მას ბიჭის გულში შეღწევა და გაბატონებაც კი მოეწყო. იმ დღის შემდეგ ზურა შეიცვალა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გადასახვადი გახდა. მეტად და მეტად გაკამკამდა, გაბრწყინდა, გაიზარდა, გაბევრდა და გამთლიანდა. მანამდე თუ დროის უმეტესს ნაწილს მეგობრებთან ყოფნას, სამსახურსა და ელენესთან ურთიერთობას უთმობდა, ახლა ყველა მათგანს „პარავდა“ გარკვეულ საათებს და ჟღალთმიანს „ჩუქნიდა“ დაუნახებლად. მერე კი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ადამიანებიც გარია, მოულოდნელად ატეხილ, ამ სასიამოვნო გაუგებრობაში და სხვადასხვაგვარი სიყვარულითა თუ თანადგომით გააქვითილი ყველა წამი, მთელი გულით მიუძღვნა საოცნებო ქალს.

.....

ზურას სამსახურის შენობა იმ უნივერსიტეტის მარჯვნივ იდგა, სადაც ნათია (ჟღალთმიანი) სწავლობდა. მარცხენა მხარეს კი ავტოსადგომი იყო. ამიტომ ბიჭს, ავტომობილის დაყენების შემდეგ, ყოველდღე უწევდა სასწავლებლის შესასვლელთან გაგლა. ჟღალთმიანთან შეხვედრის მერე კი დღეში რამდენჯერმეც. ხან რაღაც „ჩიხებოდა“ მანქანაში, ხან რაღაცის „ჩადება“ უნდოდა, ხან კიდევ უნივერსიტეტში „უჩნდებოდა“ მნიშვნელოვანი საქმეები და „იშლებული ხდებოდა“, მათ მოსაგვარებლად დრო სამსახურისთვის მიეპარა. ერთხელ მეგობრის ძმას, სხვა კურსის ბიჭებთან უსიამოვნება მოუვიდა და სიტუაციის გასარკვევად მას მოუხდა მისვლა, რადგან თავის მეგობარს „არ ეცალა“. უნივერსიტეტში მისული, სრულიად „შემთხვევით“ ნათიას აუდიტორიის კართან აღმოჩნდა და იმ დღის შემდეგ პირველად შედგა კიდევ მათი „მოულოდნელი პაემანი“. სულ ორ წუთიანი, მაგრამ ხომ შედგა? გოგონამ მამინვე იცნო უცნობი „მძლოლი“ და ისევე გაიღიმა, ამჯერად უფრო ღიად და საოცრად დამატყვევებლად. თუმცა რაღა დატყვევება უნდოდა, ისედაც სიყვარულის გისოსებში გახლართულ უგანაჩნო რომანტიკოსს? ოღონაც შეკრთა ზურა, მაგრამ არ დაბნეულა, ჟღალთმიანს თავისი სახელი აჩუქა და მისიც მიიღო დაუძალებლად. მერე კი წავიდა... უფრო სწორად კი გაფრინდა იმ საქმის „მოსაგვარებლად“.

მეორეჯერ იმიტომ შეაბიჯა უნივერსიტეტის შენობაში, რომ თავის მეზობელს, რომელიც ამავე სასწავლებლის სტუდენტი იყო და რომელიც დღეს დილით დაიმგზავრა, ავტომობილში საგამოცდო ტესტები დარჩა და „აუცილებლად“ უნდა მიეტანა. მამინაც „მოულოდნელად“ შეხვდა ნათიას (წინასწარი პატარა გამოძიების შედეგად, ზურა უკვე ფლობდა ინფორმაციას ჟღალთმიანის ყოველდღური გრაფიკების შესახებ, რომლებიც თითქმის ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ). ის დღეც ბიჭის უმისამართო ფრენით დასრულდა და კიდევ მრავალი დღეც, როცა სხვადასხვა საქმე ჩნდებოდა ზემოთ აღნიშნულ შენობაში ან მის შესასვლელთანაც, ზუსტად

იმ დროს, ჟღალთმიანს რომ ლექციები უმთავრდებოდა. მერე კი ზაფხულიც დადგა და ნათიაც გაქრა. ვიდრე ზურასთვის მისი ადგილსამყოფელი განდებოდა ცნობილი, რომელსაც რატომღაც ორი დღე დასჭირდა, ბიჭი თავისთავს აღარ გავდა. მეგობრები ძალიან შეშფოთდნენ მისი ამგვარი მიჯაჭვულობის გამო, განსაკუთრებით კი ელენე დარდობდა, ბავშვობის ელენე, ბავშვობის სუნთქვა, ბავშვობის სუნი, გემო და ფერი. წუნდა ელენე – ზურას ცოცხალი დღეების ის მარადიული პეპელა, ნაცრიფერი პერიოდების გამფანტავი ტკვარცალა ნივი და წყარო... ცივი არომატი, მაგრამ ამავე დროს არაამტკვენიურად თბილი შეხებით, ბიჭის ცხოვრებას რომ უანგარო იმედოდ ეპყურებოდა. სარკვე იყო ელენე. ზურას ყოველ ჩანაფიქრს, სურვილს, მიზანსა თუ ნაბიჯს უთქმელად, უნახავდაც ირეკლავდა და მზის გულს აფიცებდა მერე გასაძრობად. რომ გაღვივებულიყო, რომ ასრულებულიყო, რომ მიღწეულიყო, ნაკლები ეკლით, ნაკლები ტკივილითა და ნაკლები დაცემით რომ გაევიღო. მაგრამ ამჯერად გაუჭირდებოდა გოგონას მეგობრის ძველა, რადგან...

.....
 უყვარდა ელენეს ზურა, ზურას კი ელენე უყვარდა არამიწიერად. თავიანთი ბავშვობა უყვარდათ ერთმანეთში, თავიანთი გავლილი და გასავლელი გზები. მომავლის ის ბილიკი უყვარდათ, რომელსაც ერთად დაადგამდნენ ნაბიჯებს. ის ბილიკი, რომელიც ბედნიერებასთან ერთად სისხლისა და ოფლის სუნიტაც იქნებოდა გაჟღერითლი. ბილიკი, რომელიც რომანტიული წვიმებით ალმასდებოდა ანდაც გადაულეებელ თავსნიძებს შეეწირებოდა. იცოდნენ მეგობრებმა ამ გზის შესახებ, იცოდნენ და მაინც უყვარდათ, უყვარდათ, რადგან ისიც მათი იყო, მათი ცხოვრების გზა, მათი ბედისწერა – ერთად ასახდენი, ერთად გასავლელი, ერთად გასატკეპნი, გადასათელი. მზად იყვნენ, სიძამაცე და სიძლიერე არ აკლდათ, წამოდგომა და თანადგომა არ ეძლეოდათ და ამიტომაც არ ეშინოდათ. სწამდათ, ბოლოს მაინც გაიმარჯვებდნენ და მერე იალღლიც გამოჩნდებოდა, მწვანედ დაფიქქული, ცის ფეხქვეშ გაგებული, აპრილ ამოხეთქილი და მარადიულ გაზაფხულად აგალობებული.

.....
 ზურამ ზღვაზე მიაგნო ჟღალთმიანს, სადაც გოგონა შეყვარებულთან ერთად ისვენებდა, იმ კაცთან ერთად, რომელიც ზაფხულის ბოლოს ჯერ საქმრო, მერე კი მეუღლეც გახდებოდა.

ნათიას არსებობით მოჯადოებულ ბიჭს არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ ის მისი არასდროს იქნებოდა. ადრეც უთხრეს, გოგონა რომ თავისუფალი არ იყო, მაგრამ მანამ არ გაითავისა ეს ცნობა, სანამ თავად ჟღალთმიანის ტკბილი, ემოციური და მხურვალე ბგერები არ მისწვდა მის ყურთასმენას. ბგერები, რომელითაც ბიჭს თავისი მომავალი სიყვარული წარუდგინა გასაცნობად. ზურამ მხოლოდ მილოცვა მოახერხა. ეს იყო და ეს. მერე კი წავიდა. ნათიადან არა... მან მხოლოდ პლაჟი დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ იმედი თითქმის არ არსებობდა, ის მაინც იმ დღეებს ჩაებლაუჭა, რომელიც ქორწინებამდე იყო დარჩენილი. როგორც ყველა შეყვარებულ ადამიანს, მასაც სჯეროდა, რომ ღმერთი ამხელა სიყვარულს ასე უბრალოდ დასასრულებლად არ მოუვლენდა. გრძობით შეპყრობილ მოკვდავებს, გვინდა, რომ ვინც ჩვენ გვიყვარდება მათაც შეუყვარდეთ და ერთად ვიყნოთ მერე მთელი ცხოვრება. ეს ასე თუ არ ხდება

ვწუნუნებთ, ვსაყვედურობთ, ვკლოვობთ – რატომ? რა დავაშავე? უიღბლო ვარ... ხომ შეიძლება მეც მათსავით (ვინმე ბედნიერ წყვილს მოვიყვანო მაგალითად) გამიმართლოს ოდესმე? ვერხუბებით ძალას, რომელმაც ასე „გაგვიმეტა“ და იმაზე არასდროს ვფიქრობთ, რომ თუ იმგვარად არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, ეი ჩვენთვისვე ჯობნებულა ასე. არ ვფიქრობთ, რადგან იმ მომენტში მტანჯავი სიყვარულის მარწუნები გვიჭერს და გვალრჩობს, მერე კი როცა მისგან ვთავისუფლდებით, ვხვდებით, რომ ის, სხვა „ძალა“ ჩვენზე ძლიერი და გაბედული ყოფილა, თანაც გონიერი, რადგან მშთანთქმელ უფსკრულთან ძალიან ახლოს არ მიგვიშვა, მხოლოდ შორი-ახლო გვატრიალა, რომ მისი სიტკბო და სიმწარე ერთნაირად გვეგრძნო, რომ მერე სხვა დროს, სხვა სიტუაციაში, იმ ნამდვილი და მარადიული სიყვარულის წიაღში, წარსულის ეს იმედგაცრუება მაგალითად გამოგვეყენებინა და ნაკლები მეცდომებით დაგვეტვირთა მომავლის ზურჯინი.

.....
 ზურამ გეგმა დასახა. როგორც კი ნათია ქალაქში დაბრუნდებოდა, სიყვარულში გამოუტყდებოდა. იქნებ და, ისიც გრძობდა რამე მსგავს ბიჭის მიმართ, მაგრამ ახლა, მოჭარბებული ემოციების გამო, ამას ვერ ხვდებოდა. გადაწყვიტა და გაანდო კიდევ თავის გულისნადები ჟღალთმიანს, რითაც გოგონასთან დაკავშირებული ის მოჩვენებითი მეგობრობის ძაფიც გაწყვიტა. სექტემბერში კი საბოლოოდ დაკარგა თავისი სიცოცხლე. მაგრამ ოცნების დასრულება მაინც ვერ გაბედა, ვერ შეძლო, ვერ გაიმეტა. გადაძალა, სულის იმ ღრმა კუნთში მიძალა, რომლის შესახებ ელენემაც კი არ იცოდა. თავისთვის დაიტოვა, მხოლოდ თავისთვის. ღამით მაინც რომ მიახლოებოდა სასურველი ქალის აჩრდილს. ღამით, დაზუჯული თვალების მიღმა მაინც რომ ეცეკვა მასთან ტანგო. მერე კი წავიდა. ამჯერად მართლა წავიდა, საზღვრებს ძოვლო თავის ოცნებასთან ერთად. ყველა და ყველაფერი დატოვა. ბავშვობის გარდა... ის ელენეში ჰქონდა საიმიეროდ გადანახული. ახლო წარსული ეგლოვებოდა, აწმყო ეჯავრებოდა, მომავალი კი ეხარებოდა. ამ მდგომარეობაში იყო ზურა, როცა ჟღალთმიანის თვალებიდან ბედნიერების ოკეანე პირდაპირ თეთრ კაბაზე იღვენთებოდა, როცა საქორწინო თაიგულმა ცისარტყელას კვალი გაიყოლა პატარძლის თითებიდან და როცა ოთანში უკვდავ მელოდიად აცეკვლა ერთიანობა.

ამ მდგომარეობაში იყო ზურა, როცა სხვა ხალხს, სხვა ცას და სხვა მზეს შეერია... სხვა მზეებს, რომლებიც 10 წელი დააქროლებდნენ და უსასყიდლოდ ათობდნენ სევდაზე შეყვარებულ გადაძთიელს.

.....
 ქორწინებიდან ორ წელიწადში ნათიას გოგონა გაუჩნდა, თავისსავით ჟღალთმიანი და ქათქათა პრინცესა. მამას უსაზღვროდ უყვარდა პაწაწა არსება. ცოლი კი მთელი მისი არსებობა იყო. ეს ორი, სუსტი და კაფანდარა გოგო, იმხელა ძალას აძლევდა კაცს, რომ მთელი სამყაროს მხრებზე მოდებდა და მათ ფეხქვეშ გაგებდასაც კი შეძლებდა, მაგრამ არა... არ უნდოდა... არ უნდოდათ... უბრალოდ, არ სჭირდებოდათ. ისედაც არაფერი აკლდათ, ყველაფერი ზომიერების ფარგლებში ჰქონდათ, თუმცა... სიყვარული ფეთქავდა ზომაზე მეტი ამ ოჯახში, ჩქეფდა, ქუნდა და ჯებირებიდან იღვრებოდა. სწორედ ამიტომ ჰგავდა სამოთხეს მათი ცხოვრება, სინათლე კაშკაშებდა ყველგან, სადაც ეს საძი სხეული და საძი სუფთა სული

ჩაიქროლებდა. მერე კი მოულოდნელად დაბნელდა. გოგონები მარტო დარჩნენ. მათი მთლიანობა დაირღვა. რჩეული ქმარი და მამა, ჯერ თვითმფრინავის, მერე კი საკუთარი სულის ფრთებს მიენდო ცაში ასაფრებლად.

.....
ჟღალთმიანმა სიცოცხლე გააგრძელა... მეორე ჟღალთმიანისთვის!

ქმრის წილი გული, ქმარსვე გააყოლა! მკერდში მხოლოდ ბავშვისთვის დაიტოვა რაღაც მფეთქავი, რომელიც ნახევარიდა თუ დარჩენილიყო.

.....
სულ ხუთი წელი გაატარა ნათიამ ქმართან. ხუთი, ისეთი სავსე წელი, ბევრის ოცდაათწლიან ცხოვრებასაც რომ დაიტევდა.

.....
ზურას არასდროს მოუკითხავს თავისი სიყვარულის ამბავი. არასდროს არავისთვის უკითხავს, როგორი იყო ჟღალთმიანის ბედნიერი დღეები. არც ელენესთან წამოცდენია ოდესმე, ისევე რომ კვდებოდა, მაგრამ გოგოს რას გამოაპარებდა? იმ გოგოს, რომელიც ბიჭის სულს და გულს საკუთარივით ცნობდა და საკუთარივით ესათუთუებოდა? არ წამოცდენია და არც დაიკო ეუბნებოდა რამეს ამ საკითხზე...

ამბობენ, ვინც გიყვარს, ყველაზე მეტად მისი ბედნიერება გინდაო. — ეს მართალია, ნამდვილად ასეა, მაგრამ თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ საყვარელი ადამიანის კარგად ყოფნა მარტო მათთვის კი არა, ჩვენთვისაც გვინდა. მათი ბედნიერება იმიტომ გვინდა და იმიტომ გვახარებს, რომ ამით ჩვენც ვბედნიერდებით. მათი სიხარული ჩვენც გვაბედნიერებს! შეიძლება ასეთი შეგრძნებები ჰქონოდა ზურას იმ 10 წლის მანძილზე, რაც ნათიასგან შორს იმყოფებოდა. შეიძლება ეს წლები იმით იარსება, რომ თავისი სიყვარული უსაზღვროდ ბედნიერი ეგულებოდა, მაგრამ განა საკმარისი იქნებოდა ასეთი ფიქრი მისი ბედნიერებისთვისაც? ელენემ იცოდა, რომ არა... თავად ზურამაც იცოდა...

.....
ჟღალთმიანი მარტო შეუდგა თავისი სამი წლის გოგონას აღზრდას, მშვიდი და გონიერი ბავშვი იყო პატარა. ნაკლებად აწვალებდა დედას. ტკბებოდა ნათია პრინცესას ცქერით, მისი გაუთავებელი ტიკტიკით და დღეებიც შეუმჩნევლად გადიოდა. უცებ გაფრინდა კიდევ სამი წელი და უმცროსი ჟღალთმიანი სკოლაშიც შევიდა. ამის შემდეგ დროის უმეტესი ნაწილი სწავლას დაეთმო. ყველა დღე ერთმანეთის მსგავსი, მაგრამ საინტერესო იყო და ცხოვრებაც ასე თუ ისე ფერადებოდა, შვილის ნათრით.

მერე კი ზურა დაბრუნდა, ოცნებასთან ერთად... ყველასთვის მოულოდნელად!

.....
წესიერად სახლშიც არ იყო მისული, მეგობარმა რომ ბავშვის ნათლიად დაპატიჟა. ელენეს სთხოვა ჯვრის საყიდლად გაჰყოლოდა. გოგონა ისე იყო მონატრებული ძმის სურნელს, რომ ბედნიერებისგან რეტი ესხმოდა. ცეკვავდა, ხტოდა, კისკისებდა, მეგობარს დაუსრულებლად ეხვეოდა და კოცნიდა.

ბიჭიც ეფერებოდა, ხელში აჰყავდა თავისი ბავშვობა და ისე როგორც პატარაობისას, გაუჩერებლად აფრიალებდა.

ზურას, ნათიას ამბები აიტერესებდა, მის შესახებ რაიმეს გაგება და ნახვის სურვილი, ალბათ საქართველოში დაბრუნებამ თუ გაუძმაფრა. ასე ახლოს და მანც ასე შორს რომ ეგულებოდა, ეს ფაქტი

ყელში უჭერდა და სუნთქვას აწყვეტინებდა. იცოდა, რომ ოჯახს არ უნდა გაკარებოდა, მაგრამ ზემოთ ამოტივტივებული ოცნება მოსვენებას უკარგავდა. ბევრჯერ დააპირა, ელენესთვის ეკითხა, თუშცა მერე სიტყვას პირზე შეიმობრდა და საუბარს სხვა თემაზე გადაიტანდა.

საიუველირო მაღაზიაში მიმავლებს ის უნივერსიტეტი უნდა გაეგლოთ, სადაც წლების წინ ზურამ თავისი ოცნება აღმოაჩინა. გაიარეს და უცხოეთის 10 წელიც სადღაც გაქრა. და მან, უკან დაბრუნებულმა, ნათია დაინახა. კედელს მიყრდნობოდა, ოდნავ ფერმკრთალი, მეგობრის ლოდინით დაღლილი ჟღალთმიანი ასული.

უცებ გამოფხიზლდა. ელენე მიუხვდა წარსულის ზმანებას. მერე კი ჯვარი შეიძინეს.

.....
გასასვლელში პატარა გოგომ შემთხვევით ფეხი დაადგა ძალიან ძალაღ ბიდიას. თავისი მოუხერხებლობის გამო თმებისფრად შეეღება ლამაზი ლოყები და ბოლიშიც შეფაკლული ღიმილით მოინადა. ბავშვის დედაც შეწუხდა ამ უცაბელი შემთხვევის გამო და როცა მანაც აღმართა მხერა პატივების თხოვნით, ადგილზე გაიყინა.

.....
ისევე ისეთი იყო... ისეთივე უბრალო, ისეთივე უნაკლო, მშვენიერი, იმავე ფერის თმით და იმავე მზერით, ოღონდ ამჯერად სევდაჩაგუბებულით. უყურებდა კაცს და ვერ იჯერებდა, რომ მის წინ ახლა ის ადამიანი იდგა, რომელიც 10 წელი არ ენახა, რომელსაც ეს 10 წელი მხოლოდ თმაზე დასტყობოდა და ახლა იმ ქალის მზერას იპარავდა შიშვლად, რომლითაც ოდესღაც ძალუღლად კვებავდა მისსაკვე სულს. იდგნენ ასე უსიტყვოდ, უხმოდ, უბგერებოდ... ერთმანეთის გასშირებულ სუნთქვას უსძენდნენ და ტანსაცმლის შიგნით, ძლიერი ფეთქვით, ერთმანეთის არსებობას აღნიშნავდნენ.

.....
ჟღალთმიანს ქმარი ისე ძლიერად უყვარდა, რომ სულ ამბობდა, აი, აქ დარჩება სამუდამოდ და მკერდზე ხელს მიიჭერდა ხოლმე ჩვეულოდ, მაგრამ ზურას დაბრუნებამ რეალობა ამოუტრიალა მარტოსულ ქალს... მარტოხელა დედას. ქალსა და დედას... დედასა და ქალს!

.....
ელენემ მეგობარს ყველაფერი უამბო ნათიას ცხოვრების შესახებ. ყველა დეტალის შესახებ, რაც მან, რა თქმა უნდა, დანამდვილებით იცოდა. ისე უყვებოდა, რომ ბიჭს ტკივილისა და სიხარულის შეგრძნებები გაუერთიანდა.

მერე კი...

.....
მერე ზურამ ნათიას სთხოვა, უფლება მიეცა, უმცროსი ჟღალთმიანის მამა რომ გამხდარიყო. გოგონას უკვე შეყვარებოდა კეთილი, ყურადღებიანი ბიძია და ერთ დღესაც დედიკო არქუა მთელი გულით. შედგა ოჯახი, დაგვიანებული, მაგრამ მართალი, სუფთა, უანგარო. ბოლოს და ბოლოს იხეიმა წრფელ და შეურყვეველ გრძნობაზე დაშენებულმა ერთიანობამ.

ზურამ მიზანს მიაღწია. ოცნება აუხდა, რადგან ის თან წაიყვანა, ყველგან ატარა, ყველგან მასთან ერთად იარა, არსად დარჩენია, არც არსად დაუტოვებია. მან მხოლოდ პლაჟი დატოვა...

.....
და მანც... ვინ თქვა, სიყვარული ერთხელ მოდისო?
ვინ?..

ამირან ფაჩუაშვილი



ბზარი

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში თბილისში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ანუ კორპუსებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა გადაწყვიტეს საკუთარი საცხოვრებელი სივრცეების გაფართოება, მათ ეზოებში მდებარე სხვა დანიშნულების სივრცეების ხარჯზე და იმ სახლებს, რომლებშიც ცხოვრობდნენ, გაუგებარი ესთეტიკისა და საექვო სიძვარის კონსტრუქციები მიაღვეს, თუ მიაშენეს. ამ კონსტრუქციებს მიშენებები ეწოდათ და მათში, ძირითადად, ბინების საცხოვრებელი ოთახები, ანუ მთავარი ოთახები, ანუ დიდი ოთახები განთავსდა.

ზუკა, ისევე, როგორც მისი ეზოს მეგობრები, უბნელები და ქალაქელები, ერთ-ერთ ისეთ ბინაში ცხოვრობდა, რომლის ნაწილიც ასეთი მიშენებისგან შედგებოდა. ბინის მიშენებულ ნაწილში იდგა დიდი მაგიდა, რომელზეც ოჯახი სადილობდა, კედელზე ეკიდა ძირითადი ტელევიზორი, რომელსაც ოჯახი სადამობოთ უყურებდა და პიანინო, რომელზეც თავად ზუკა უკრავდა ხოლმე, როცა ან ძალიან ცუდ ან ძალიან კარგ ხასიათზე იყო.

ზუკა და თავი რომ დაქორწინდნენ, პირველი ღამე თავის მიერ მამამისისგან შემკვიდრებით მიღებულ და ახლად გარემონტებულ ერთოთახიან ბინაში გაატარეს, მეორე და მესამეც მთავრდეს, მერე საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ და უკან რომ დაბრუნდნენ ზუკას სურვილით მივიდნენ მის მიშენებიან ბინაში, რომელშიც ბიჭის მშობლები დახვდნენ. ის ღამე იქ გაათიეს, მომდევნო დღეებიც იქ გაატარეს. თავი ეუბნებოდა, წავიდეთ ჩემს ბინაში, მაგრამ არ უნდოდა ზუკას, სადაც გაიზარდა და მთელი ცხოვრება გაატარა, ისევე იქ ერჩინა ყოფნამეუღლესთან, დედასთან და მამასთან ერთად.

თავი კიდევ დიდხანს სთავაზობდა ზუკას ერთოთახიან ბინაში გადასვლას და წუწუნებდა ამ შეთავაზების მიუღებლობის გამო, თუმცა ბოლოს თავდაც მიხვდა, რომ გაცილებით უფრო დიდ ბინაში ყოფნა სჯობდა და ნელ-ნელა შეამცირა ცალკე ცხოვრებაზე საუბრები. მერე ვაჟიც შეეძინათ. უმცროსი ზუკას აღზრდაში ზუკას მშობლები აქტიურად ჩაერთნენ და თავი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი მეუღლე მართალი იყო.

უმცროსი ზუკა იზრდებოდა, მშობლების ყურადღება მის აღზრდაზე იყო სრულად კონცენტრირებული. ზუკა და თავი ყოველდღე ერთად იყვნენ, მაგრამ დღეები ისე გადიოდა, რომ შეიძლება

არაფერზე ესაუბრათ, შეიძლება თვალშიც კი არ შეეხვიათ ერთმანეთისთვის. თუ ლაპარაკობდნენ, ძირითადად კამათობდნენ და ზოგჯერ ჩხუბშიც გადაიზრდებოდა ხოლმე, ძირითადად, უმცროსი ზუკას აღზრდასთან დაკავშირებული განხილვები. ბზარი, რომელიც მამის გაჩნდა, როდესაც პირველად იჩხუბეს ერთოთახიან ბინაში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით, დღითიდღე იზრდებოდა და ღრმავდებოდა.

უმცროსი ზუკაც იზრდებოდა. ძალიან უყვარდა ზუკას, ან როგორ არ უნდა ყვარებოდა, მისი სისხლი და ხორცი იყო, ნანატრი ვაჟი, რომელსაც ზუკას თვალები, სახელი და გვარი ჰქონდა. უმცროს ზუკასაც უყვარდა მამა, დიდ ღროს ატარებდა მასთან, თამაშში უყვარდა და საუბარიც, ერთად უყურებდნენ ხოლმე რაღაცებს და უხაროდ.

როდესაც ბზარი ჩნდება, იმას ველარაფერი ავსებს, ამბობდა ზუკას დედა, მაგრამ მას არ უნდოდა ამის დაჯერება, მიანდა, რომ ურთიერთობაში პრობლემების წარმოქმნის მიუხედავად, შესაძლებელი იყო ყველაფრის გამოსწორება. ყველანაირად ცდილობდა, მეუღლისთვის ესაიძინებინა, მის სურვილებს ასრულებდა, ნივთებს ჩუქნიდა, სხვადასხვა ადგილას ეპატიუებოდა, უმცროსი ზუკას აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გარდა თითქმის ყველაფერს უთმობდა, ყველაფერს თავის ეკითხებოდა და თითქმის ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ქალს უნდოდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. თავი დღითიდღე ცივდებოდა, უხეშდებოდა, შორდებოდა, მიუკარებელი და შეუვალი ხდებოდა.

ერთ დღეს ზუკამ კედელზე ბზარი აღმოაჩინა, ბინის ძველი ნაწილის და მიშენების საზღვარზე გაჩენილიყო, თითქოს ის, რაც იმ ბნელ წლებში მიაშენეს, ახლა ძირითადი კონსტრუქციისგან მოშორებას ცდილობდა. გარედან შემოსული ხმა მოესმა, რაღაც ნიავისმაგვარი ზუსტად და ასე იპოვა. თავიდან შეეშინდა, იფიქრა, არ ჩამოგვენგრეს აქაურობა თავზე, ოჯახის წევრებს გაუზიარა თავისი წუხილი, მათ კი მიუგეს, დიდი ხანია ასეა და ნუ გეშინიაო. გამგეობაში მაინც დარეკა, ბზარია კედელზე და რა უნდა ვქნაო. იმათ ჰკითხეს, მიშენება ხომ არ არისო და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ურჩიეს, ეს თემა აღარ განეგრძო, რადგანაც მშენებლობა უკანონო იყო და მერიის შესაბამის სამსახურს შეეძლო შესაბამისი სანქციები გამოეყენებინა.

კიდევ ერთ დღეს ზუკამ აღმოაჩინა, რომ თავის საკუთარი ნივთები ჩაელაგებინა და უმცროს ზუკასთან ერთად წასულიყო, დაურეკა, ქალი დიდხანს არ იღებდა. ბოლოს მოკლე ტექსტური შეტყობინებით უპასუხა, ერთოთახიან ბინაში გადავდივართ მე და ზურიკო, დედაჩემიც ჩვენთან იცხოვრებს და აქ არასოდეს მოხვიდეთ. ზუკას გაახსენდა, როგორ მეთოდურად შეაძულა თავი სიდერმა, წარმოიდგინა რა სცენებს დაუდგამდა დედა-მევილი და არასოდეს მისულა, იმის მიუხედავად, რომ უმცროსი ზუკა ძალიან ენატრებოდა.

პიანინოზე დაკვრას მოუხშირა, ანტიდეპრესანტების სმა დაიწყო, მაგრამ საპირისპირო შედეგი მიიღო – დეპრესია უფრო გაუღმავდა და გაუმწვავდა. თავის მოფიქრებულ სევდიან მელიოდის უკრავდა, როდესაც მიშენება ჩამოინგრა და პიანინოსთან ერთად ჩაიყოლა. ბინაში მის გარდა არავინ იყო.

მუყაოს ყუთი

ერთ მშვენიერ დღეს საკმაოდ ასაკოვანმა ინჟინერმა ელექტროტექნიკის მაღაზიების ქსელისგან მოკაქციის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღო. იმავე დღეს თავის ერთადერთ და განუყოფრებელ მეუღლესთან ერთად სწორედ იმ ქსელის ახლომდებარე მაღაზიას ესტუმრა და საშუალო ზომის ახალი მაცივარიც შეიძინა. ძველი ნორმალურად მუშაობდა და მეუღლეთა ხანმოკლე თათბირის შედეგად მისი სოფელში წაღება გადაწყდა.

დაპირებისამებრ, ორ დღეში დაურეკეს და უთხრეს, რომ ნახევარ საათში მისამართზე იქნებოდნენ. ცოტათი დააგვიანეს, მაგრამ მივიდნენ და მეოთხე სართულზე აუტანეს მაცივარი, რომელიც ბრენდირებულ ყავისფერ ყუთში იდო. ჯერ ძველი მაცივარი გაწიეს, შემდეგ ახალი მაცივარი საბოლოო განთავსების ადგილის სიახლოვეს დადგეს, ყუთის დაუხიანებლად ამოიღეს, ქაფბლასტის ფირფიტები მოაშორეს და შტეფსელში შეაერთეს. ამუშავდა, შუქიც ინთებოდა კარის გაღებისას. მაცივარში არსებული ინსტრუქცია და მცირე დეტალები გარეთ გამოალაგეს და შენაძენი მიულოცეს ინჟინერს, რომელმაც ახალი მაცივრის მიმტანებს ყავა შესთავაზა. მივირთმევთო, მიიღო პასუხად, გაიფიქრა, „გეახლებით“ უნდა ეთქვათო, მეუღლეს ყავის მომზადება სთხოვა, თავად კი სტუმრებს გაუძღვა მაგიდისკენ.

ყავა რომ დალიეს და წავიდნენ, ინჟინერი სამზარეულოში შევიდა შენაძენისთვის კმაყოფილი მხერის შესავლებად და იქ აღმოაჩინა, რომ მუყაოს ყუთში მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი შემძვრალიყო და თამაშობდა. როდესაც მეუღლემ უთხრა, ეს ყუთი აქ ხომ არ იდება, გადავაგდოთო, უპასუხა, ჩვენს შვილიშვილს მოსწონს მასში თამაში და მოდი, სხვა ოთახში გავიტან, იქ რომ გაერთოსო. ბებია ენაცვალოსო, — გაიბადრა ინჟინერის მეუღლე და ძველი მაცივრიდან ახალში პროდუქტების გადასაწყობად გაემართა.

მაღევე ბავშვი მშობლებმა წაიყვანეს, მუყაოს ყუთი კი ოთახის ცენტრში დარჩა. საღამოს ინჟინერი ტელევიზორის საყურებლად დაჯდა და როდესაც მიხვდა, რომ ყუთი ეფარებოდა და საინფორმაციო გამოშვების ყურებაში უშლიდა ხელს, ადგილი შეუცვალა და იმავე ოთახის კუთხეში მიდგა. ცოტა ხანში იმავე ოთახში შესულმა მეუღლემ ჰკითხა, რად გინდა ეს ყუთიო, რაზეც ინჟინერმა მიუგო, რომ ბავშვს მოეწონა სათამაშოდ და შემდეგი ვიზიტისთვის უნახავდა.

მომდევნო დღეს ინჟინრის მეუღლემ სახლი დაალაგა და როდესაც მიხვდა, რომ ყუთი ხელს უშლიდა, აივანზე გაიტანა და იქ დატოვა. სამსახურიდან დაბრუნებულმა ინჟინერმა ოთახში შესვლისთანავე მოისაკლისა ყუთი, იკითხა, სად არისო და როცა გაიგო, სადაც იყო, ჯერ უკან შეტანა მოინდომა, მაგრამ შემდეგ მეუღლის ნებას დაჰყვა და ყუთი აივანზე დატოვა.

რამდენიმე დღეში შვილიშვილი კვლავ ესტუმრათ და მზრუნველმა ბაბუმ აივანზე დებისგან და გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოების გამო უკვე დამტკვერილი ყუთი ჯერ გაწმინდა, შემდეგ კი მძარტვა შვილიშვილს, რომელიც ამჯერად ერთხელ შეძვრა და შემდეგ ზედაც აღარ შეუხედავს, შესაბამისად, ყუთი მაღევე დაუბრუნდა აივანს.

მომდევნო დღეს ინჟინერს მეუღლემ შესჩივლა, რომ ყუთი აივანზეც უშლიდა ხელს. იყოს რა, რა იცი, რაში გამოგვადგებაო, — მიუგო კაცმა. მეუღლის შეკითხვას, თუ რისთვის უნდა დასჭირვებოდათ, მართალია ინჟინერმა რამდენიმე მაგალითით უპასუხა, მაგრამ ისინი ქალისთვის არ აღმოჩნდა საკმარისად დამაჯერებელი, რაც მის მიმიკაზეც თვალსაჩინოდ აღიბეჭდა.

იღო ყუთი აივანზე, რომელზეც ინჟინერი თითქმის საერთოდ არ გადიოდა. სამაგიეროდ, მის მეუღლეს უწევდა ხშირად იქ ყოფნა, ხან სარეცხის გასაფენ-ჩამოსახსნელად, ხან კარტოფილის შესატანად, ხან ქილების გასატანად და ის უაზროდ ეჩიხრებოდა ცხვირში. ხელს მიშლისო, რამდენჯერმე შესჩივლა ინჟინერს, რომელიც პასუხობდა, რომ შეიძლებოდა დასჭირვებოდათ და სთხოვდა, ცოტა ხნით კიდევ დაეტოვებინათ.

ერთ ღამეს, მაშინ, როცა ინჟინერს უკვე ეძინა, მისმა მეუღლემ ოდნავ მოძველებული მარწყვისგან მურაბა გააკეთა და ჩაასხა დიდ ქილაში, რომელიც აივანზე გაიტანა იქაურ კედლის კარადაში შესანახად. შუქი არ ანთო, ხელები ჰქონდა დაკავებული, იფიქრა, სიბნელეშიც გავიგნებ გზასო, მაგრამ მუყაოს ყუთს შეეჯახა, მურაბიანი ქილა ხელიდან გაუვარდა და გაუტყდა. ჯერ კიდევ ცხელი მურაბა იატაკზე დაიღვარა, ფეხებზეც შეესხა და დასწვა.

გამწარდა ქალი, ჯერ აბაზანაში შევარდა, ფეხებს ცივი წყალი მიუშვა, ცოტათი რომ დაუამდა, აბაზანიდან გავიდა და იტაკიდან შუშის ნატეხების ასაღებად დამურაბის ასაწმენდად გაემართა. ალაგებდა, ბუზღუნებდა, ილანძლებოდა და თან გონებაში გეგმას ამუშავებდა. დალაგებას რომ მორჩა შიგნით შევიდა და სხვადასხვა კარადის შიგნიდან, თუ ზემოდან სხვადასხვა ზომისა და ფორმის უამრავი მუყაოს ყუთი გამოიღო და ჩამოიღო, შემდეგ აივანზე გაიტანა და ყველაზე დიდ მუყაოს ყუთში ჩაალაგა.

დილით გაღვიძებულ ინჟინერს მეუღლე მოუყვა წინა ღამის ამბავს, დამწვარი ფეხებიც აჩვენა. ინჟინერმა შეიცხადა, ბოდიში მოუხადა, ჩემი ბრალია, რატომ არ გადავაგდე დროულად ის ყუთიო. ჩაენუტა მეუღლეს და დაჰპირდა, რომ სახლიდან გასვლისას მისი ფეხების დაწვის მიზეზსაც გაიყვლიტებდა, ასეც მოიქცა. ნავის არაჭკვიან ურნაში ჩაღვლებული მუყაოს ყუთი გაიხსნა და გამოჩნდა მასში ჩაწყობილი სხვა ყუთებიც, რომელთა გადაყრაც ენახებოდა და რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა ინჟინრისა და მისი მეუღლის ბინაში. კაცს გული დაწყდა, მაგრამ რაღას იზამდა, ამოიოხრა და სამსახურისკენ გზა განაგრძო, თან იმაზე ფიქრობდა, რამდენ რამეში შეეძლო გამოეყენებინა ის იმდენი მუყაოს ყუთი.

შოთაძე ჭელიძე

ლელია ქიტოშვილი-სახლთს უციშვილი



სარიით – ლიტერატურული
ოღისაა

არუნდატი როის რომანი „წვრილმანების ღმერთი“

*„მე კი არ ვთარგმნი, დაკარგულს ვეძებ მეორე
ენის ბნელ ტალახებში“... – ოთარ ჭილაძე.*

*„თარგმანის ენა უნდა შეესაბამებოდეს
სალიტერატურო ენის განვითარების იმ დონეს,
რომელსაც თარგმნის მომენტში მიაღწია
სალიტერატურო ენამ“... – ჯემალ ქარჩხაძე*

ახალი დამთავრებული მქონდა გელა ჩარკვიანის საინტერესო, გულახდილად მოთხრობილი, უამრავი მაგალითითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით შეჯერებული წიგნის – „ინგლისური – როგორ ვისწავლე და როგორ ვასწავლიდი“ – კითხვა, რომ ჩემმა დისშვილმა, ჩემთვის უცნობი ინდოელი მწერლის არუნდატი როის რომანის წაკითხვა შემომთავაზა... ეს თითქოს ბიძგიც იყო და „ილუმალი“ გაგრძელებაც ბატონ გელას ზემოთ ნახსენები წიგნისა, რომელშიც შეულამაზებლად, თხრობის უზნალო ოსტატობით გვიყვება – „იმ ბიჭის ამბავს, რომელმაც მიზნად დაისახა, სრულყოფილად შეესწავლა ინგლისური ენა ისე, რომ ამ ენაზე შეძლებოდა, შუშუმცდარად გამოეთქვა ყველაფერი, რასაც მშობლიურ ენაზე წერდა და ლაპარაკობდა... სიღრმისეულად შეემეცნებინა ენის სული და ის კულტურული კონტექსტი, რასაც ეფუძნება ინგლისური ენა“...

ასე იყო თუ ისე, „წვრილმანების ღმერთის“ კითხვას, უცნობთან „შეხვედრას“, – მონდობებითა და გარკვეული ფორიაქით შევუდექი. ტექსტი ინგლისურიდანაა თარგმნილი, ეპიგრაფად კი ჯონ ბერჯერის მრავლისმთქმელი ფრაზა აქვს წამძღვრებული: „ამიერიდან, ალბათ, ვერც ერთ სხვა ამბავს ველარავინ მოყვება ისე, თითქოს ქვეყნად ერთადერთი მოსაყოლი ამბავი იყოს“. წიგნი 2016 წელს ქალბატონმა თამარ ჯაფარიძემ თარგმნა, მოიცავს 462 გვერდს, შედგება 21 თავისგან, რომელთაც იმ თავისთვის განკუთვნილი, შინაარსიდან გამომდინარე

სათაურები უძღვის. მაგალითად: „გონების გასავარჯიშებელი რვეულები“, „კინოთეატრ აბჰილში“, „პაპაჩის ფარვანა“, „სამოთხის მწიგნობები და კომპოტები“, „მდინარე ნავში“, „ისტორიის სავანე“, „სიცოცხლის საფასური“ და სხვა.

წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ „თანამედროვე დიდი მწერლის არუნდატი როის ნახევრადავტობიოგრაფიულ რომანში მოთხრობილია ერთი ოჯახის ტრაგიკული ისტორია, რომლის მაგალითზეც თვალწინ გვეშლება ჩვენთვის აქამდე უცნობი ინდური ყოფის ნიუანსები თავისი პოლიტიკური, კასტური თუ რელიგიური თავისებურებებით. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში ჩვეულებრივი ადამიანური ვნებებია აღწერილი, მასში უხვად გაფანტული რეალობის გამო, ის ბოლომდე ინარჩუნებს ეგზოტიკურ სურნელსა და ფერებს“.

რა თქმა უნდა, არ ვაპირებ რომანის შინაარსის გადმოცემას და არც გარკვეულ, მნიშვნელოვან პერიპეტებზე ყურადღების გამახვილებას, ამჯერად ვარღვევ ჩემს ტრადიციულ, თანამედროვე წესრიგს, რადგან პირველი გვერდებიდანვე ჩემი ყურადღება მდიდარი ლექსიკით, სინტაქსით, ზუსტად შესატყვისი სიტყვის ძიებამ მიიპყრო, ვიდრე უბრალოდ, სიტყვებისა თუ წინადადებების მშრალმა თარგმანმა. ერთგან ოთარ ჭილაძე წერს: „მ. თუმანიშვილი ჟან ანუის დგამს. აღტაცებულმა თარგმანით, თითქოს პიესა ქართულადაა დაწერილი, მსახიობებმა ცოტა სული მოითქვესო... თარგმნილი წიგნი იმ ხალხის ლიტერატურას ეკუთვნის, რომლის ენაზედაცაა თარგმნილი, ამიტომ მთარგმნელის მიმართ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე შეღავათის გაწევა ენის, მხატვრულობის, თუ ოსტატობის საკითხში“...

თვალშისაცემმა კარგმა ქართულმა, გაწეულმა უშეღავათო შრომამ, რომანში მიმდინარე ადამიანურმა პროცესებმა, იმდენად წააქეზა ჩემი ინტერესი, რომ კითხვისას ხშირად ვივიწყებდი კიდევ, – რომ არა პერსონაჟთა სახელები, გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებები... – შორეულ ინდოეთს, მეგონა, ყველაფერი საქართველოში, მის რომელიღაც კუთხეში ხდებოდა..

გვერდი ვერ ავუარე ლატვიური ენიდან მთარგმნელის, ენათმეცნიერის უ. სახლთსუციშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თარგმანთან დაკავშირებით: „...ცნობილია, ადამიანს სულ რაღაც ოთხასი-ხუთასი სიტყვა სჭირდება (რა თქმა უნდა, აქ გრამატიკის ცოდნაც იგულისხმება), ნებისმიერ ენაზე რომ ილაპარაკოს. მწერალს, ცხადია, ხუთასი სიტყვა კი არა, ათასობით სიტყვაც არ ეყოფა ნაწარმოების დასაწერად, მთარგმნელმა კი, მე თუ დამიჯერებთ, გაცილებით მეტი სიტყვა უნდა იცოდეს, თანაც ორივე ენაში, დედნის ენაშიც და მშობლიურ ენაშიც... მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს იმ ხალხის ისტორია, უნდა ერკვეოდეს იმ ენის დიალექტებში, რადგან ხშირად ავტორის მიერ ნახმარი სიტყვა თუ სიტყვის ფორმა დიამეტრიულად ცვლის წინადადების შინაარსს, მას სულ სხვა ელფერს აძლევს. მას უნდა შეეძლოს ასეთ სიტყვასა თუ ფორმას, თავის ენაშიც დაუძებნოს ზუსტი შესატყვისი, უნდა იცნობდეს იმ გეოგრაფიულ გარემოს, სადაც ნაწარმოების პერსონაჟები ცხოვრობენ, საქმიანობენ, ერთმანეთს ხვდებიან... მთარგმნელი ყოველთვის მართალი და პატიოსანი უნდა იყოს, როგორც ავტორის, ისე მკითხველის წინაშე“...

აქვე, მწერლისა და გერმანული ენიდან პო-

ეტური თარგმანების ავტორის – დათო ბარბაქაძის მიერ 1999 წლის 20 მარტს, ლაშა იოსელიანთან საუბრისას, თარგმანზე გამოთქმულ მის იდეა-მოსაზრებას შეგახსენებთ, იმასაც დავეძენ, მართალია, მას მოზარდობიდან ვიცნობ და ეს ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ გარკვეული ადამიანური სიმპათიები მაკავშირებს, – ლიტერატურის პროცესებზე გამოთქმულ მის მოსაზრებებს ხშირად არ ვეთანხმები... ვთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ საუბრიდან: „...რაც შეეხება ჩემს პროექტს, უკეთ, იდეას, იგი გულისხმობს თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურის მსხვილი, სოლიდური მოცულობის ჟურნალის შექმნას. ასეთი ჟურნალი მოახერხებდა როგორც ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევას, ისე – მთარგმნელობითი კულტურის, მთარგმნელობითი სისტემის შექმნას; ყველა თაობის ქართველ მწერალს, ყველა თაობის დაინტერესებულ მკითხველს მიაწვდიდა ცოცხალ პროდუქციას პოეზიაში, პროზაში, ექსპერიმენტულ ლიტერატურაში, სალიტერატურო კრიტიკაში... ჩემი პროექტი გულისხმობს, ძირითადად, ახალგაზრდა მთარგმნელებზე ორიენტირებას, და აქ შესაძლო შეცდომების არ მეშინია. სამწუხაროდ, არც ერთ ქართველ მთარგმნელს (ჩემთვის ცნობილს) არ უშუშავია საგანგებოდ მთარგმნელობითი სკოლის შექმნაზე. ვერავის დაგმრახავთ, დრო იყო ასეთი, როგორც იტყვიან... ჩვენ მიჩერებული ვართ რამდენიმე მნიშვნელოვან, მაღალი რანგის მთარგმნელს და გვგონია, რომ მათზე უნდა „იდგეს“ მთარგმნელობითი სფერო საქართველოში. ეს სიბნელეა. თუ მართლა გვინდა საქმის კეთება, მთარგმნელობითი საქმიანობის გაშლაზე უნდა ვზრუნავდეთ. წარმოიდგინე აბსურდის უსაზღვროება, როცა ყოველწლიურად ასეულობით სტუდენტი ამთავრებს უცხო ენების ინსტიტუტს და უნივერსიტეტის დასავლეთი ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს და მხატვრული თარგმანის არანაირი სანუგეშო სპექტრი არ არსებობს... ათწლეულთა და ოცწლეულთა განმავლობაში რამდენმა ასეთმა სტუდენტმა დაამთავრა სასწავლებელი?... მოდი, ყველაფერი რუსებს დავაბრალოთ, მაგრამ უშველის საქმეს?...“

როდის-როდის ვილაც რალაცას წაიკითხავს, თარგმნის, ამ თარგმნის როდის-როდის მომწონებელი გამოუჩნდება, როდის-როდის ვილაც დაჯდება და სულ სხვა კულტურულ კონტექსტში შექმნილ რომელიმე ტექსტს და ენას თავის შესაძლებლობებზე „დაამყნობს“... ასე არაფერი გაუმჯობესდება... საქართველოში, სადაც მიმდინარე საზღვარგარეთული სალიტერატურო ცხოვრების მონაწილე არც ერთი ცოცხალი ავტორი არ გამოიციემა, არანაირი საწიგნო კულტურა არ შეიმჩნევა, ქვეყანა გახეთქება წალეკეს და ამ გახეთქიდან გაუსვლელად ყველა ჭირ-მართლის შეტყობა შეიძლება უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე თუ კინოვარსკვლავებზე... ჩვენთან არ არსებობს არც სახელოვნებო და არც სამეცნიერო კულტურა. ჩვენ არც აწმყოში ვცხოვრობთ და არც წარსულში, ჩვენ მარადიულ მომავალში ვცხოვრობთ. ნუთუ, მართლა შეუძლებელია, დღესდღეობით საქართველოში ერთი მაინც ისეთი მსხვილი ბიზნესმენი მოიძებნოს, რომელიც მომენტალურად შეფასებდა შექმნილ სიტუაციას და მიხვდებოდა, რომ მისთვის იოლზე იოლი საქმეა უკვდავება, ნებისმიერი სარაჯიშვილის თუ ზუბალაშვილის უკან ჩამოტოვება (არა ერთი და ასი

ნაბიჯით), სისტემატურად და რაციონალურად თუ იმოქმედებს. მაგალითად, გერმანულენოვანი, ფრანგულენოვანი ან ინგლისურენოვანი ლიტერატურის მრავალტომიანი თარგმან-გამოცემის უზრუნველყოფას თუ მოახერხებს. ეს დაუშვლიდა ასეთ ფულთან ადამიანს, მთელი ენ სერაი (ორმოცდაათ-ტომიანი იქნებოდა თუ სამოცდამეუთლი) თავისი საყვარელი შვილისთვის ან შვილიშვილისთვის მიეძღვნა? ეს ნომ მართლაც უკვდავებაა, უკვდავება გონებისა და ფულის შერწყმის ფასად!“...

არ ვიცი, ხელმძღვანელობდნენ თუ არა ზემოთ მოხმობილი პოსტულატებით ჩვენი მთარგმნელები (ქვეშეცნეულად მაინც...), ფაქტია, რომ ჩვენი წიგნის თაროებს, სხვადასხვა ენიდან თარგმნილი საუკეთესო უცხოენოვანი ლიტერატურის ნიმუშები ამშვენებს. მართალია, წლების წინ ჭარბობდა რუსული ენიდან გადმოთარგმნილ-გადმოქართულებული უცხოენოვანი მწერლების შემოქმედებითი თარგმანები, თუმცა მათ გვერდით ყოველთვის იწონებდნენ თავს უშუალოდ დედნიდან თარგმნილი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები, კვლავ ვიმეორებ, ამით ქართველი მკითხველი ოდითგანაა განებივრებული; ვავიხსენოთ, თუნდაც, ვახტანგ VI მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ქილილა და დამანა“... აქვე, აუცილებლად უნდა დავასახელო, მრავალთაგან, ის მთარგმნელები, რომლებმაც, ისევე როგორც სხვებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის განვითარებაში: – თედო სახოკია, მალვა ნუცუბიძე, თამარ ერისთავი, თინათინ ჯავახიშვილი, ნონა კალანდარიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, გიგლა სარიშვილი, გივი მაჭხაზარი, ჯემალ აჯიაშვილი, თამაზ ნატროშვილი, დალი კოკაია-ფანჯიკიძე, ნინო ქუთათელაძე, ზეზვა მედულაშვილი, გიორგი ლობჯინიძე...

ამ წუთში, წერის პროცესში, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, უამრავი თარგმანიდან, ზოგიერთებს სიამოვნებით შეგახსენებთ; მთარგმნელები-სადმი კი მადლიერებასა და მოწიწებას გამოვხატავ – ხშირად დროში გაწელილი ტიტანური შრომის, მოთმინებისა და საყვარელი საქმისადმი ერთგულების გამო...

ინგლისური ენიდან შესრ. თარგმანები: ივანე მაჩაბლის – შექსპირის „ტრაგედიები“... რეზო თაბუკაშვილის – შექსპირის სონეტები; ნიკო ყიასაშვილის – ჯეიმს ჯოისის „ულისე“; ვახტანგ ჭვლიდის – ჯეკ ლონდონის „მარტინ ილენი“; ერნესტ ჰემინგუეის – „ფიესტა“; მოთხრობები; ჯონ სტაინბეკის – „ტორტილა ფლეტი“; ჯერომ სელონ-ჯერის – „თამაში ჭვავის ყანაში“... ელგუჯა მალ-რადის – თომას მელორის „ამბავი მეფე არტურის ზეობისა“, მაინ რიდის „უთავო მხედარი“, არტურ კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“... მოსე ქარჩავას – თეოდორ დრაიზერის „ფინანსისტი“, ჯეკ ლონდონის „მოთხრობები“, პაატა და როსტომ ჩხეიძეების – „უილიამ ფოლკნერის „საუბრები“... ზაზა გაჩეჩილაძის სომერსეტ მოემის „შეჯამება“... ვალენტინა ტატიშვილის – მაინ რიდის „კვარტერონი“, ანდრეაფარ ჭეიშვილის – „ჯეკ ლონდონის მოთხრობები“... ლელა ზურებიანის – „ქეთრინ მენსფილდის მოთხრობები“, ნოდარ ნონიაშვილის – ჯეიმს მორიერის „პაჯვი ბაბა ის-ფაჰანელის თავგადასავალი“, მაია ცერცვაძის – ო. ჰენრის, შერვუდ ანდერსონის, სკოტ ფიცჯერალდის, თომას ვულფის მოთხრობები, პეტრე მარიას მაინ რიდის – „ოცეოლა, სემინოლების ბელადი“, აკაკი

ბრეგადისა და ლელა ზურებიანის – „სიღნეი შელ-
ლონის მოთხრობები“, სოფიო ჯობავას – ხალილ
ჰოსეინის „ათასი მოვლვარე მზე“, გივი და ლელა
ბოგვეუბის, ლელა ზურებიანის – „ჯადოსნო ფილ-
იპსის მოთხრობები“...

ფრანგული ენიდან შესრ. თარგმანები: ილია
ჭავჭავაძის – ბუვიეს „ინა“... გერონტი ქიქოძის
– სტენდალის „იტალიური ქრონიკები“, ალფონს
დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“, ანატოლ
ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“... ბაჩანა ბრეგვა-
ძის – ბლენ პასკალის „აზრები“, პოლ ვალერის
„რჩეული პროზა“... რუსუდან დოდაშვილის – ჟან
დე ლა ბრუერიის „ხასიათები“... არისტო ჭუმბაძის
– გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, „სენტიმენ-
ტალური აღზრდა“... ივანე მაჭავარიანის – ვიქ-
ტორ ჰიუგოს „საბრალონი“... თინათინ ქიქოძის –
ალექსანდრე დიუმას „კაკასია – მოგზაურობის
შთაბეჭდილებები“... მაყვალა მრეველიშვილის –
შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელისა და ლამე
გუდაკის ლეგენდა“... ჯანეტო ჭანტუიას – ალექ-
სანდრე დიუმას „დელოფალი მარგო“...

გერმანული ენიდან შესრ. თარგმანები: კონ-
სტანტინე გამსახურდიას – გოეთეს „ახალგაზ-
რდა ვერტერის ვნებანი“... ვანტანგ ბეწუკელის –
„გოეთეს დრამები“, ჰაინრიხ მანის – „მეფე ანრი
IV სიჭაბუკე“, შტეფან ცვაიგის ნოველები... გ. და
კ. ჯორჯანელის – ჰაინრიხ ჰაინეს „მოგზაუ-
რობის სურათები“ – იტალია, შტეფან ცვაიგის –
„მარადიული ძმის თვალები“... ლამარა რამიშვილის
– ერნსტ კასირერის „რა არის ადამიანი“...

ესპანური ენიდან შესრ. თარგმანები: მანანა
გივინეიშვილის – გაბრიელა მისტრალის „პოემები
პროზად, მოთხრობები“... თეა გვასალიას – გაბრიელ
მარკესის „ფოთოლოცვენა“, მოთხრობები; მიგელ
ოტერო სილვას „როცა მეტირება არ ვტირი“...
ნინო ფიფისა – მარიოს ვარგას ლიოსას „დეიდა
ხულია და ჯღაბნია“, მარიამ მეგრელიშვილის –
პაულო კოელიოს „ზაპირი“...

ბერძნული ენიდან შესრ. თარგმანები: აკაკი
ურუშაძის – აპოლონიოს როდოსელის „არგონავ-
ტიკა“, ძვ. ბერძნულიდან – პლუტარქეს „რჩეული
ბიოგრაფიები“... რომან მიმინოშვილის ძვ. ბერძნუ-
ლიდან – ჰომეროსის „ილიადა“... თამარი კუკავას
– არისტოტელეს „მეტაფიზიკა“...

რუსული ენიდან შესრ. თარგმანები: აკაკი ბრეგვა-
ძის – ალექსანდრე პუშკინის მოთხრობები. კრებ. „კაპი-
ტანის ქალიშვილი“, ასევე მოთხრობები. თარგმანები – კ.
გამსახურდიამ, ი. აგლაძემ, მ. პატარიძემ, მ. დადიანმა,
ირ. ქაჯარაძემ, თ. ბუაჩიძემ და სხვებმა; პოეტური
ნიმუშები თარგმნეს – ი. ჭავჭავაძემ, პ. იაშვილმა,
ვ. გაფრინდაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ს. ჩიქოვანმა, დ.
წერეთლიანმა, თ. ჩხენკელმა, ა. კალანდაძემ, კ. ნადი-
რაძემ, თ. ჭელიძემ, მ. ჩანტლაძემ, თ. ჭილაძემ, გ.
გეგეჭკორმა, გ. გაჩეჩილაძემ და სხვებმა. რუსუდან
ქებულაძე – თეოდორ დოსტოვესკის „ემმაკინი“,
ანტონ ჩეხოვის მოთხრობები; ჩინგიზ აითმათოვის
– „და დღე იყო გრძელი წუთისოფელზე“. მწერ-
ლის მოთხრობები. თარგმანები, აგრეთვე: თენგიზ ჩხაიძემ,
ბაბული შელიამ, გივი დვალიშვილმა... რეზი თვარა-
ძის – ლუდვიკ ზაიდლერის „ატლანტიის“, ლელა
ზურებიანის – „იოკო მისიმას მოთხრობები“...

ჩემთვის ყურადსაღებია თ. ჰენრის ნოველების
ინგლისური ენიდან მთარგმნელის ზურაბ ცერცვა-
ძის მკითხველისადმი გულწრფელად განდობილი
სიტყვები: „მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ ეს

თარგმანი არ გახლავთ „თარგმანი სიტყვასიტყვით“.
იგი ემყარება ჰუმბოლტის ენათმეცნიერულ პრინ-
ციპს. რომლის არსი ისაა, რომ ყოველი ადამიანი
საგნებსა და მოვლენებს ისე აღიქვამს, როგორც მას
მშობლიური ენა წარმოუდგენს. აქედან კი გამომ-
დინარეობს, რომ სემანტიკურად ზუსტი თარგმანი,
შესაძლოა, აზრობრივად და პათოსით საკმაოდ გან-
სხვავებული აღმოჩნდეს ორიგინალისაგან. ამიტომ
თუ მთარგმნელს სურს, რომ თარგმანის აზრი და
პათოსი მაქსიმალურად მიუახლოვოს ორიგინალი-
სას, მოუწევს გარკვეულწილად შეცვალოს ლექსიკა
და გრამატიკული კონსტრუქციები. ამ პრინციპი-
თაა შესრულებული ჩემი ადრინდელი თარგმანები,
ამ პრინციპს ვიცავ ახლაც და არც მომავალში
ვაპირებ, ვულაღატო მას“.

ვრცელი ლირიკული გადახვევის შემდეგ, კვლავ
რომანს ვუბრუნდები, ზემოთ გაკვრით აღვნიშნე,
რომ ინდოეთი ჩემთვის საკმაოდ შორეულია-მეთქი;
მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წამიკითხავს, დოკუმენ-
ტური ფილმებიც მინახავს, სხვადასხვა პროფესიის,
იქ ნამყოფი ადამიანების მოყოლილი მთაბეჭდილე-
ბებიც მრავალგზის მომიხმენია... დღესაც მახსოვს
ჩემი ბავშვური, ემოციურ-გულწრფელი „ცრემლთა
დენა“, როდესაც ჩვენს საყვარელ კიროვის ბაღის
(დღეს ვერის ბაღი) საზაფხულო კინოდარბაზში,
სამეზობლოსთან ერთად, ინდური მხატვრული
ფილმი „მაწანწალა“, ვნახე, რომელიც ანძლაგით
გადიოდა ქვეყნის კინოთეატრებში... გავიდა დრო
და ამ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი
მსახიობი, შემდეგში უკვე რეჟისორი რაჯ კაპური
თბილისში, რამდენჯერმე ჩამოვიდა... გამახსენდა
ისიც, რომ 1965 წელს მოსკოვის საერთაშორისო
კინოფესტივალზე მოწვეულ უცხოელ სტუმრებს
მორის, ისიც გახლდათ. ჟურნალისტებისთვის
მიცემულ ინტერვიუში, ფესტივალზე გამარჯვებული
რეზო ჩხეიძის, სულიკო ჟღერის, სერგო ზაქარი-
აძისა და ზოგადად, ფილმის გადამღები ჯგუფის
ნამუშევარი – შედეგები – „ჯარისკაცის მამა“ ასე
შეაფასა: „...როდესაც ამ ფილმს ვუყურებდი, უმაღ-
ლესი გამიღვავა აზრმა, რომ ფილმში ასახულ მოვლენ-
ებს ინდოეთის ნებისმიერ სოფელში შეიძლებოდა
ჰქონოდა ადგილი. ცოტა ხნის წინ მომხდარი
ინდოეთ-პაკისტანის სამხედრო კონფლიქტის დროს.
ასევე ცოცხლად გამახსენდა ჩემი საყვარელი მამა,
რადგან ჯარისკაცის მამა ძლიერ ჰგავს პრიტივი
პაჯა კაპურს. ისეთივე თანაგრძობით აღსავსე
თვალები, ისეთივე ჰუმანური და სათნო სახე, ისე-
თივე შესანიშნავი აღნაგობა აქვს მამას, მიუხედავად
ხანდაზმულობისა.“

ფილმის თემა იმ ზომამდე სადაა, რომ ყველას
ერთნაირად ატყვევებს... ჩვეულებრივი მაყურებ-
ლის გარდა, ეს ფილმი იმ მშობლებმა უნდა ნახონ,
რომელთა შვილები ინდოეთის თავისუფლებისათვის
იბრძოდნენ და რომლებმაც ამ თავისუფლებას შეს-
წირეს თავი, ფილმი თვალნათლივ მოუთხრობს და
გულს უმაგრებს ამ ჯარისკაცთა მამებს – სხვათა
შვილებმაც ხომ თავი შესწირეს ჰუმანიზმსა და
მშვიდობის საქმეს. ეს შემატებს მათ ძალას, რათა
დაძლიონ მწუხარება“.

ვერაფრით შეველიე ცნობილი ველომოგზაურისა
და გინესის არაერთგზის რეკორდმენის, დედაძი-
წის ყველა კონტინენტზე ნამყოფის (ორჯერ
ანტარქტიდაზე), ცხრა წლის (1993-2002 წწ.)
განმავლობაში 238 ქვეყნის მნახველის – ჯუმბერ
ლეჟავას წიგნიდან „მოგზაურობის ჩანაწერები“

(გამომც. „არტანუჯი“, 2023წ.) – ჩანაწერებს ინტერვიუს, ვთავაზობთ რამდენიმეს:

1994 წლის 8 ივლისი. ინტერვიუ – „დილით 4 საათზე ვდგები. შესანიშნავი ბუნებაა... ისევ წვიმს. წვიმს ისე, როგორც იმერეთში – ხანდახან, ზაფხულში ცა რომ გაშავდება და თითქოს დედამიწა უნდა წალეკოს წყალმა. ველოდები წვიმის შემცირებას, რადგანაც აგრამი ადრე მინდა ჩავიდე... გარიჟრაჟზე წვიმამ თითქოს გადაიღო, შხაპუნა წვიმის მაგივრად ახლა ცრის. გადავწყვიტე წასვლა, გავიარე დაახლოებით 25 კილომეტრი. ვხედავ სიძინდისა და ბრინჯის ყანებს, რომლებიც სულ წყალშია. ერთ-ერთი გზის მონაკვეთზე, სასტუმროს ეზოში დავინახე, სპილო იწვა და პატრონი ამ წვიმაში ბანდა. უნდა გენახათ, როგორ ნებივრობდა სპილო... ქალაქი საშინლად ბინძურია, მოძრაობა კი – უსისტიემო... / იქვე მდგარ რიქმის პატრონს ვკითხე თავ-მაჰალიში წაყვანის ფასი, მან მითხრა, რომ წაგიყვან, დავიცდი, დავათვალიერებინებ ქალაქს და ისევ სასტუმროში მოგიყვან, 25 რუპია მომეცითო. დავთანხმდი. წავიდეთ, მე პრინციპულად არ ვვლდები ველო რიქმაზე, მაგრამ ვიფიქრე, ხომ უნდა შემიგონებო მისი გემო? ნეტავი არ დაკვდარიაყვი, რა საცოდაობაა რიქმას წამება და შენ მედიდურად ზიხარ სავარძელში და უყურებ ამ საცოდავ სცენას – ეს საცოდავი მხოლოდ ლუკმა პურისთვის წვალობს. რიქმას ვთხოვე, აი, შენ 25 რუპია და აღარ მინდა შენი მომსახურება, მე დიდხანს ვიქნები აქ-მეთქი. მან მიპასუხა, თუ გინდა დილაზე იყავი, მე აქ დავიცდი და რომ მიგიყვან სასტუმროში, რუპიებს მხოლოდ მაშინ გამოგართმევო, ხედავთ, რამხელა ადამიანური სიწმინდეა პატიოსან, მშრომელ ადამიანში“?!

14 ივლისი. ტანსაცმელი ისევ სველია. ერთი კვირაა, მძრალი ტანსაცმელი ვერ ჩავიცვი... ყახების დიდი ნაწილი დატბორილია. ვხედავ, გლეხები დგანან ქოლგით ხელში თავის მიწის ნაკვეთის პირას და უყურებენ მას. განსაკუთრებით დაზარალდა ბრინჯის ნათესები, წვიმამ სულ ზემოთ ამოყარა ნერგები. ხალხი აგროვეებს ამ ნერგებს, რომ შემდეგ გამოიყენონ ხელახლა დასარგავად. ზოგიერთები კი წყალშივე ხნავს მიწას. ეს ყველაფერი უდიდეს მრომას მოითხოვს...

ვარძელებ გზას, გავიარე ქალაქები – ალოდარა და მაკარპურა... გზა არის აღმართ-დაღმართი, ბევრია მაიძუნი, ფარმეკანგი, წერო, ციყვი – ბევრია სპილოც... წვიმამი შემომალამდა კიდევ. ვარ ბენზინგასამართ სადგურთან, ქალაქამდე 15 კილომეტრია, მაგრამ აქ ვამჯობინე დარჩენა. სადგურის მორიგეს ვუთხარი, აქ მინდა ღამის გათევა-მეთქი. მიპასუხა, ოფისში ვერ დავაძინებ და ამ გადასურულის ქვეშ თუ მოახერხებ, შენი ნებაო. სავარძელი ვთხოვე, ვჭამე ხახვი და ნიორი, დავიწყე თვლემა, გახდა 12 საათი. წვიმს საშინლად. ვხედავ, ბენზინის ხარჯის აღმრიცხველებს შორის ერთ-ერთმა მორიგემ დააფინა მუყაო, დაწვა და დაიძინა. მორიგეს ვუთხარი, შეიძლება, მეც ესე მოვეწყო, შემდეგ მრიცხველებს შორის-მეთქი, დამთანხმდა. მომცა მუყაო, ვრისკავ, ველოსიპედს მორიგესთან ვტოვებ და ვიძინებ. გასაკვირია, მაგრამ კარგად მეძინა... მთელი ღამე წვიმდა, მეძინა ფხიზლად, მხოლოდ რამდენიმე მანქანა მოვიდა ბენზინის შესავსებად“.

15 ივლისი – დილით რომ გამეღვიძა, სიცილით ავდექი. ისევ ჩემს თავზე მეცივნება და თან ვამხნევებ, ყოჩაღ ჯუშბერი, მართლა ექსტრემალურ პირობებში

ხარ აქაც და იქაც, სადაც უნდა იყო... წვიმის წყლით დავიბანე ხელ-პირი, დავემშვიდობე მასპინძლებს. დილის ხუთი საათია, დავადექი ნავსარი-მარბადი-ბომბეის გზას“.

16 ივლისი – ხუსტად 11-ის ნახევარზე შემოვედი ქალაქ ბომბეში. შევხედე თუ არა ქალაქს შორიდან, მაშინვე ვთქვი, ეს ის ბომბეი არ არის, მე რომ მქონდა წარმოდგენილი. მივყვები ჩაჟამული, დაბალი შენობებით „დამშვენებულ“ ქუჩებს. აგერ მაწანწალათა პატარა, 4-5-კაციანი დასახლება პირდაპირ ქუჩაში. გავდივარ სანაპიროზე. სანაპიროს კედელსა და ზღვას შორის მანძილი ალბათ 30 მეტრამდეა, აქაც დაახლოებით მაწანწალების 15 კარავია. მე კარავს ვამბობ, თორემ ეს რა კარავია? ძონძებისაგან, ფიცრებისაგან, თუნუქის ნაჭრებისაგან, რაღაც მიძინძილ-მოძინძილი. ფოტოც გადავუღე. არიან მაწანწალები, რომლებსაც არაფერი არ აქვთ და პირდაპირ ასფალტზე ან რომელიმე მალახის საფეხურზე იძინებენ“.

17 ივლისი – ბომბეი ჭრელი ქალაქია. არის უამრავი მათხოვარი. არქიტექტურით ვერ დაიტრახებას. ცხოვრობს 12 000 000-ზე მეტი მოსახლე. ქალაქს არ აკლია სიბინძურე. მეტრო მიწის ზედაა. სადგური ჭუჭყიანია!!

31 ივლისი, 1994წ. – ტირუვაგავტპურამი ინტერვიუს კერელის შტატის დედაქალაქია... არაბულ სახელმწიფოებში ბევრი ინდოელი მუშაობს და მათი უმრავლესობა კერელის შტატიდანაა. ყველამ იცის ინგლისური ენა და ამიტომ უკავიათ მაღალი თანამდებობებიც. თვითონ კერელის შტატი ცნობილია ბუნების სილამაზით და განათლების მაღალი დონით...

8 საათისთვის ოდნავ გადაიღო წვიმამ და მაშინვე ეს დრო ვარჯიშისათვის გამოვიყენე. ორგანიზმს არ ვამლევ ძორუნების საშუალებას... მსუბუქი ვარჯიშის შემდეგ გადავივლე და საუზმისათვის ქალაქში გავედი... წამოვიდა წვიმა. გზას ორივე მხარეს მიჰყვება არხი, რომელიც გამოიყენება როგორც წვიმის წყლის გასატარებლად, ასევე საკანალიზაციო არტერიაცაა. ამ დროს ვხედავ გადასარევ სცენას, როგორ ვნანობ, რომ იგი ფირზე ვერ ავსახე. არხის პირას, მიწაზე, წვიმისაგან გალუქმული ხეიბარი ზის. არხში კი, რომელშიც ამჟამად წვიმის წყალთან ერთად მიედინება ყველა უბედურება, წელამდე წყალში დგას „პარიკმახერი“ ხეიბარს ერთ ხელში უკავია სარკე და ხანდახან შიგ იხედება. მეორე ხელში კი – ქოლგა, წვიმისაგან იცავს „პარიკმახერს და ვითომ თავისთავსაც. პარიკმახერს კი არხის პირას უწყევია ქაფისათვის ჭიქა და შიგ უღევს სახეზე ქაფის წასასმელად ჯაგრისი. თვითონ უკავია სამართებელი და პარსავს ამ ხეიბარს. სამართებელს დროდადრო ავლებს არხის წყალში. მისგან მეორე გვერდზე უღევს თუნუქის საშუალო ჩემოდანი, სადაც საპარსი ხელსაწყოები უწყევია. ორივენი არიან ტიპური ინდოელები. პატარები და ძლიან გამხდრები. პარსვისას პარიკმახერი ისე იცვლიდა პოზებს და სახის გამომეტყველებას, თითქოს ხან ცირკის არენაზე ხალხის გასაცინებლად გამოდიოდა და ხან პარლამენტის სხდომაზე ინდოეთის უმძიმესი პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების განსახილველად.

ისე დავდექი და ვუყურებ, რომ მათ არ შემაძმინო... პირველი პირი ჩამოპარსა და სამართებელი არხის ნავგვიან და შარდიან წყალში გაავლო. აქ ხომ ჭუჭყზე, სიბინძურეზე ზიხლი არ არსებობს.

სამართების შემდეგ საპნის ჭიქა გამოავლო და ახალი ქაფი გააკეთა. ისევ სახეზე წასმისა ამ სინიბძურისა და მეორე პირი გაპარსვა უფრო სერიოზულად დაიწყო. ერთ მომენტში ქაფიანი ჭიქა გაივსო წვიმის წყლით და უეცრად, ნიკაბის ქვეშ რომ პარსავდა, იდაყვი მოუხვდა და წაიღო არხმა. დააგლო სამართებელი და გაეკიდა ამ პლასტმასის ჭიქას... ვიფიქრე, ნეტავ გაცუროს, ნეტავი გაცუროს, არ გაცურა. ისე, როგორც ინდოელების უმეტესობამ, ალბათ, მანაც არ იცოდა ცურვა, თორემ ჭიქას იგი არ შეეღებოდა... მარჯვენა ხელში ქოლგით და მარცხენა ხელში სარკით პირდაფრენილი, ნახევრად გასაპნული კლიენტის სრულად იზიარებდა პარიკმახერის მწუნარებას...

პარიკმახერი ისევ ჩახტა არხში და დაიწყო გაპარსვა კლიენტისა... გაპარსვის შემდეგ შემოატრიალა თავისი კლიენტი ზურვით და დაუწყო თმის გაკრეჭვა. ქოლგა მას ვეღარ იცავდა წვიმიდან. როგორც იქნა, გაკრეჭა და აალაგა თავისი ხელსაწყოები, წყლით სავსე ჩემოდანი გათმობდა, ჩაალაგა ხელსაწყოები, რომლებიც, ალბათ, რამდენიმე წუთში ჟახვის ფერს მიიღებდა. ამოვიდა არხიდან. ცოტათი შემოიწურა შარვალი. ტალახში ამოვანგლულ კლიენტს გამოართვა სველი რუპიები და გაუყვინნა გზას სხვადასხვა მხარეს. პარიკმახერი ახალი კლიენტის საძებნელად, კლიენტი თავის მოსაწონებლად...

ცრემლები წამომცვივდა, არ ვიცი რატომ, იმიტომ, რომ ეკონომიის გამო ფირი არ მქონდა, თუ ის ხალხი, რომელიც თავს იმ წუთში ბედნიერად მიიჩნევდა, მე უბედურად მომეჩვენა“?..

მონობილი მწირი მაგალითებით, მინდოდა ფსიქოლოგიურად განმეწყო მკითხველი იმ რეალობისადმი, რომელიც არუნდატი რომი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, გავკანდო;

საგულისხმოა ის, თუ როგორ მადლიერებას გამოხატავს მწერალი გარემომცხოვრების მიმართ; ყოველივე მის პიროვნებას სულ სხვა ელფერს სძენს: „მადლობა მერი როის, რომელმაც აღმზარდა და მასწავლა, რომ ვიდრე სიტყვას გავაწყვეტინებდი სხვების თანდასწრებით „უკაცრავად“ უნდა მეთქვა, რომელსაც იმდენად ვუყვარდი, რომ მისგან წასვლის უფლება მომცა“. „მინდა მადლობა გადავუხადო ფრადით კრიშენს – ჩემს ყველაზე მკაცრ კრიტიკოსს, ჩემს უახლოეს მეგობარსა და სიყვარულს, რომლის გარეშეც ეს წიგნი ისეთი არ იქნებოდა, როგორც არის; პანკაჯ მიშრას, რომელმაც ამ წიგნს მთელი მსოფლიოსაკენ სავალი გზა დაულოცა. დევიდ გოდუინს – ჩემს აკენტს, მეგზურსა და მეგობარს, რომელსაც ინდოეთში ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდა და ამ წიგნს ფართო გზა გაუკაფა ოკეანის ვაღმა და რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ჩემს დადისა და დადას, მათი სიყვარულისა და თანადგომისათვის... – ყველას დიდი მადლობა“.

ახლა კი ვრცელ ციტატებს შემოვთავაზებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ოდნავ მაინც შევიყვანოთ ამ სქელტანიანი რომანის არა მარტო შინაარსობრივ სიჭრტეში, არამედ გაგრძობინოთ მთარგმნელის გაწეული შრომის ფასი, ქართული ენისადმი პატივი და მოკრძალება.

„მოსაცდელი დარბაზი სიყვარულის, მონატრებისა და მოუთმენლობის საწნანლად იქცა. ბომბეი-კოჩინის რეისით ზომ ყველა საზღვარგარეთ წასული ახლობელი ბრუნდებოდა სამშობლოში.

თითოეულ მათგანს მთელი ოჯახი ხვდებოდა ხოლმე. ადამიანები მთელი კოჩინის შტატიდან მოდიოდნენ დანჯღრეული და ჯაყჯაყა ავტობუსებით. რანიდან, კუმილიდან, ვიჟინჯამიდან, უჟავურიდან, ზოგი მთელ ლამეს აეროპორტში ათევდა და თან საგზალიც მოჰქონდა. იქითობისთვის კი – ტაპა-იოკის ჩიფსები და პურის ხის ტკბილი ნაყოფით შეზავებული მონარშული ბრინჯი.

ყველა მოდიოდა: ყრუანჩალა ბებიები, ართრიტით დაავადებული ბაბუები, ტრაწიანი ბავშვები, ყოფილი საცოლეები, რომლებსაც თავის შესწენება უნდოდათ, მასწავლებლის ქმარი, რომელიც ჯერ კიდევ საუდის არაბეთის ვიზის ცდაში იყო, იმ მასწავლებლის მულები, რომლებიც ჯერ კიდევ მზითვის მოლოდინში იყვნენ და ელექტრიკოსის ორსული ცოლი.

მთელი ძალი და ღორი აქ მოთრეულა!.. – თქვა აღშფოთებულმა ციცქნა კოჩმამ და პირი მიიბრუნა, რომ არ ეყურებინა, ცხაურებთან კარგი ადგილის დაკარგვის შიშით შეპყრობილი დედა როგორ აფსძევინებდა ცარიელ ბოთლში თავის აცუნდრუკებულ პატარა ვაჟს, რომელიც ილიმებოდა და ხელს უქნევდა გარშემო მყოფებს.

– ფსსსს, – სისინებდა დედა. თავიდან თხოვნის ტონით, მერე კი მუქარით, მაგრამ ბიჭუნამ, ეტყობა, გადაწყვიტა, რომ რომის პაპი ბრძანდებოდა – ილიმებოდა და ხელს იქნევდა, ილიმებოდა და იქნევდა, ბოთლში ჩაკვეტებული კუტუნათი“...

„ბომბეი-კოჩინის რეისის მგზავრებს, როგორც იქნა საშველი დაადგათ. გრილი ჰაერიდან ცხელ ჰაერში გამოვიდნენ. მოსაცდელი დარბაზისაკენ მომავალი, ფრენისას მთლად მოთეილილი ადამიანები გზადაგზა სწორ იერსახეს იბრუნებდნენ. მოკლე, გამოჩნდნენ შორეთიდან სამშობლოში დაბრუნებულენო! იმ ტანსაცმელში გამოწყობილები, რომელსაც დაუთოება სჭირდებოდა, და ცისარტყელას ფერებში მოლივლივე მზის სათვალეებით. არისტოკრატიული ჩემოდნებით ყველაფერი მოჰქონდათ: ბეტონის სახურავები საკუთარი პალმების ფოთლებით გადახურული სახლებისათვის, მშობლების აბაზანაში დასადგმელი წყლის გამათბობლები, წყალგაყვანილობის მილები და ანტიბაქტერიული ფილტრები, მაქსი ქვედატანები და ქუსლიანი ფენსაცმელები, სახელოებაფუშფუშებული ბლუზები და პომადები, ელექტრომიქსერები და ფოტოაპარატის მაგნიუმის სანათები, გადასათვლელი გასაღებები და იმ გასაღებებით გასაღები და ჩასაკეტი კარალები. ის ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებსაც მანიოკის და თევზის ფლავის ჭამა მონატრებოდათ, რომლებსაც ახლობლებიც მონატრებოდათ, აქ რომ ელოდნენ. სიყვარულითა და მონატრებით აღსავსენი და ოდნავ შეფაკულები მოდიოდნენ, რადგან რცხვენოდათ, ასეთი... როგორ ვთქვა... მოკლე, ამდენად „ჯღანი“ ახლობლები რომ დახვდნენ“...

„წამიც და, ათობით ადამიანი ერთბაშად მოხლავდა გზაზე, ავტომობილები იმ ხლვამი მიმოფანტულ პატარა კუნძულს დაემსგავსნენ. ჰაერი წითლად შეღებეს სისხლისფერმა დროშებმა, რომლებიც, შლაგბაუმიან ქვეშ მელროშეთა გაძრომისას, წამით იძირებოდნენ, მერე ისევ ზედაირზე ამოდიოდნენ და უზარმაზარ აღისფერ ტალღად იღვრებოდნენ რკინიგზის მეორე მხარეს.../მთელი ამ ათი წლის განმავლობაში სახლი მიტოვებული იღვა. ძალიან ცოტას თუ ენახა, შიგნით რა ხდებოდა... როგორი იქნებოდა ის სახლი – ისტორიის ჭეშმარიტი

სავანე. — ქვის ცივი იატაკებით, მოღუშული კედლებითა და ზედ გემბებით მიმავალ-მომავალი იდუმალი ჩრდილებით, ძველი სურათების უკან მცხოვრები ბუთქუნა, ნახევრად გამჭვირვალე ხელიკებით, გადაღრმუხებული, ცვილისფერსახინი და დაკოფრებული ფენისფრჩხილებიანი წინაპრებით, რომლებსაც ქალაქის ძველი რუკების სუნი ამოსდიოდათ პირიდან და ისეთი დაბალი ხმით მუსაიფობენ, გეგონება, ფურცლები შარიშურობენო/პაპანის კაბინეტში ძღვარ მინის ვიტრინებში ერთ დროს ლამაზად გამოფენილი პეპლები და ფარვანები დაფრთხილიყვენ, ვიტრინების ძირი ჭრელაჭრულა მტვრით დაფარათ და საკუთარი სამსჭვალეები გაემიშვლებინათ. ფანჯრის რაფაზე შავი ჭიანჭველების გრძელი და ბრჭყვიალა რივი მიუყვებოდა. მზის სხივებით ეფექტურად განათებული უკანალები ბასბი ბერკლის მიუხიკლის კორდებალეტის გოგოებით ჰქონდათ აბზეკილი“ ...

„ჩაკო ამ ოთანისთვის მეტისმეტად ზორბა იყო, ცისფერი კედლები ყოველი მხრიდან აწვებოდნენ და სულს უხუთავდნენ. დაძაბული იჯდა და თვალებს აქეთ-იქით უმწეოდ აცეცებდა. პატარა, მწვანეცხაურებიან სარკმელზე პირსახოცი მიეფინათ გასაშრობად. სასადილო მაგიდაზე ჭყეტულა ყვავილებით მოხატული მუშამბა გადაეფარებინათ. მომინანქრებულ თეთრ თევზზე, გარშემო ლურჯი კანტით, ბანანების აცმა იდო და ქინქლები ესეოდნენ, ერთ-ერთ კუთხეში მწვანე ქოქოსების გროვა იდგა. იატაკზე, სარკმლიდან შემოსული მზის შუქის ზოლიან პარალელოგრამში, ბავშვის მობრეცილი ფეხსაცმელი ეყარა. მაგიდის უკან, კედელთან, შეძინული კარადა ატუხულიყო. მისი მიგთავსი უცხო თვალისგან ჩითის ფარდებით იყო შენიღბული. /ამხანაგი ბილაის დედა — ერთი მუჭა დედაბერი, ყავისფერ ჰილუნასა და გადარუხებულ მუნღუმი — კედელთან მიდგმული ხის მაღალი საწოლის კიდზე წამოსკუპებულიყო და იქიდან უმწეოდ გადმოკიდებულ ფეხებს იატაკამდე ვერ აწვდენდა, მკერდზე დიაგონალურად აფარებული მიტკლის ბოლო მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. თავზე კონუსისებურად, ამოყირავებულ წოწოლა ქუდივით წამოდაგომოდა კოლოების ერთსულოვანი გუნდი. იდაყვზე ჩამოყრდნობილი იჯდა და ცალი ლოყის ყველა ნაოჭი ერთ კონად შეკრული ელო ხელისგულზე. მთელი სხეული, მაჯებისა და კოჭების ჩათვლით, უზომოდ დანაოჭებოდა. მხოლოდ კისრის კანი ჰქონდა გადატკიცინებული უშველებელი ჩიყვის წყალობით. ის ჩიყვი მისი უწინდელი ყმაწვილქალობის უკვდავსაყოფად დადგმულ ძეგლს ჰგავდა, დედაბერი მოპირდაპირე კედელს უმტერებდა თვალს, რიტმულად ირწეოდა და დროდადრო კუთავდა ავტობუსით ხანგრძლივი ჯაყყაყისაგან გაბეზრებული მგზავრით“ ...

„...ამ ათი წლის წინათ მიტოვებულ სახლში, ისტორიის ჭეშმარიტ სავანეში ვერ შევდივართ, — განაგრძო ჩაკომ, — რადგან იმ სახლის კარი ჩაკეტილია, თუ ფანჯრიდან შევიჭყიტებით, მხოლოდ ჩრდილებს დავინახავთ და თუ გარედან მივაყურადებთ, მხოლოდ ჩურჩულს გავიგონებთ, მაგრამ ვერ ჩაგვწვდებით ამ ჩურჩულის შინაარსს, რადგანაც გონება ომმა დაგვიჩილუნვა. იმ ომმა, რომელიც თან მოვიგეთ და თან წავაგეთ, ყველაზე საზარელმა ომმა, რომელმაც ყველა ჩვენი ოცნება დაატყვევა და სხვა ოცნებად გადააკეთა, ომმა, რომელმაც გვაძიულა, ჩვენი დამძინებლებით აღფრთოვანებულიყავით და

საკუთარი თავი შეგვძულდებოდა.

— ჩვენი დამძინებლები, რომ გეთქვა, უფრო სწორი იქნებოდა, — მშრალად გადაუკრა ამუმი მარგარიტ-კონამაზე. ჩაკომ დის ნათქვამი არ შეიმჩნია და ტყუპები აძიულა, სიტყვა სიძულვილის მნიშვნელობები მოეძებნათ. ლექსიკონი ამბობდა, რომ სიძულვილი ზემოდან ქვემოთ ყურებას, აგლებულ დამოკიდებულებას, ყოველგვარი პატივისცემის დაკარგვასა და ლანძღვა-გინებით მოხსენიებას ნიშნავს.

ჩაკომ თქვა, ამ ომის კონტექსტში, რომელზეც ახლა გელაპარაკებით — ოცნებების ომის კონტექსტში — სიძულვილის ყველა ზემოაღნიშნული მნიშვნელობა იგულისხმებაო. — ყოფილი სამხედრო ტყვეები ვართ — თქვა მან; ყველა ჩვენს ოცნებაზე ცდა ჩაატარეს და გადაასხვაფერეს. საკუთარი ფესვები დავივიწყეთ, უღუზოდ დავცურავთ ბობოქარ ოკეანეში... ვერცერთ ნავსადგურში ვერ შევდივართ. აძიებოდაც არის, რომ ყველა ჩვენს სადარდებელს სიღრმე აკლია, ჩვენს სინარულს — აღმაფრენა, ჩვენს ოცნებებს — გაქანება, ჩვენს ცხოვრებას კი — შინაარსი, რომ რამეს აზრი მიეცეს!!

„...როდესაც მაღალი ლარი ცოლს ეხვეოდა, რაჰელი ლოყით მკერდზე ეკვროდა და ქმარი მხოლოდ მის კინკრინოს ხედავდა, მის გაბურძენულ გიშრისფერ თმას, ქალს ტუჩის კუთხეში თითს რომ მიაღებდა, სუსტ პულსაციას გრძნობდა. სიფიქსადე მოსწონდა მისი ნაზი კანის ქვეშ ეს სუსტი და გაუბედავი ფეთქვა გონებას უძღვრევდა. ხელს შეახებდა და გაფართოებული თვალებით აყურადებდა — ზუსტად ისე, სულგანაბული მამა რომ აყურადებს ხოლმე მუცლად მყოფი შვილის მოძრაობას.

გულში ისე იხუტებდა, როგორც საჩუქარს, როგორც სიყვარულით მირთმეულ განძს. როგორც პატარა, ჩუმსა და სათუთ არსებას, გაუსაძლისად ძვირფასს.

მაგრამ ერთად რომ იწვნენ, ქალის მზერა შეურაცხყოფას აყენებდა. მისი თვალები ისე იქცეოდნენ, თითქოს სხვისი თვალები ყოფილიყვენ, ვილაც გარედან მოთვალთვალის. ფანჯრის მიღმა მოლიცლიცე ზღვას გასცქეროდნენ, მდინარეში მოცურავე ნავს უყურებდნენ, ახდა ქუდიან გამკლელს, რომელიც ბურუსში მიიკვლევდა გზას. /გული მოსდიოდა, რადგანაც ვერ ხვდებოდა, ეს გამოხედვა რას ნიშნავდა. ეგონა, უემოციობას ან სასოწარკვეთილებას გამოხატავსო, წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ზოგან, მაგალითად, ისეთ ადგილებში, საიდანაც რაჰელი იყო წარმოშობით, ათასი ჯურის უსასოობა და კაემანი ებრძვის ერთმანეთს პირველობისათვის, არ იცოდა, რომ პირადი უსასოობა სასოწარკვეთილების ყველაზე სუსტი ფორმა იყო. არ ესმოდა, რა ხდება მაშინ, როდესაც პირადი გასაჭირი სადღაც შორს, გზისპირა სამლოცველოში ჩაიკარგება ხოლმე უზარმაზარი, დაუნდობელი ქარბორბალასავით დაბზრიალებული, გავემებებული, სასაცილო, გიჟური, წარმოუდგენელი, საყოველთაო ეროვნული გასაჭირის ფონზე. როდესაც დიდი ღმერთი ცხელი ქარით ღმუის და მოწიწებასა და თაყვანისცემას მოითხოვს, მაშინ პატარა ღმერთი (მყუდრო და მორიდებული, შინაური და მცირე გაქანების) კულს ამოიძუებს, ითრგუნება და საკუთარ უწინდელ ყელყელაობაზე ეცინება კიდეც. საკუთარი უმნიშვნელობის განცდით შეპყრობილი, ძალიან თვინიერი და უემოციო ხდება. გარშემო ყველაფერი მნიშვნელობას კარგავს, მნიშ-

ვნელობა არაფერს აღარ აქვს. ჰოდა, რადგან აღარ აქვს, მაშინ რაღა მნიშვნელობა აქვს? ისედაც არასდროს ყოფილა დიდად მნიშვნელოვანი, რადგანაც უარესებიც ხდებოდა.

ამიტომაც ეცინება პატარა ღმერთს უღვაშებში და სულ კუნტრუმ-კუნტრუმით მიხტის შორტში გამოწყობილი მდიდარი ბიჭვიით, გზადაგზა უსტვენს კიდევაც და ფეხით კენჭებსაც აგროვებს. მისი თითქოსდა უსაგნო მხიარულების მიზეზი საკუთარი უიღბლობის უმნიშვნელობაა. იმ მოკუნტრუმე ღმერთმა ადამიანის თვალებში თუ დაისადგურა, მათ შეურაცხყოფელ გამოხედვას ანიჭებს“!!

„როდესაც ცოლ-ქმარი ასამაში გადავიდა საცხოვრებლად, ლამაზი, ახალგაზრდა და თამამი ამუ მთელი „პლანტატორთა კლუბის“ თვალისჩინად იქცა. სარის ქვეშ მოკლე, ზურგმოშიშვლებულ ჟილეტებს იცვამდა და წელის ძეწკვზე ვერცხლისფერი ფარჩის საფულეს ატარებდა, ვერცხლის მუნდშტუკით გრძელ სიგარეტებს ეწეოდა და პირიდან ბოლოს უზნაოდ რგოლების გამოშვებაც ისწავლა. მისი ქმარი უბრალოდ მსმელი კი არ აღმოჩნდა, არამედ ნამდვილი ლოთი, ლოთებისათვის დამახასიათებელი სიყალბეებითა და ტრაგიკული ხიბლით. მასში, რაღაც ისეთი იყო, რაც ამუმ ვერასდროს ამოხსნა. მასთან გაყრის მერეც ხშირად ფიქრობდა, ასე უტიფრად და გამუდმებით რატომ ტყუოდა, როცა ამის საჭიროება არ იყო; მაგალითად, მეგობრებთან საუბრისას ამტკიცებდა, მებოლილ ორაგულზე ვგიჟდებით, თუმცა ამუ იცოდა, რომ შებოლილ ორაგულს ვერ იტანდა... ტყუილში რომ ამხელდა ხოლმე, არც ბოდიშს იხდიდა და არც თავს იმართლებდა, უბრალოდ ხითხითებდა, რაც ამუს ისე ახლებდა, რომ საკუთარი თავისა უკვირდა.

ამუ მეცხრე თვეში იყო, ჩინეთთან ომი რომ დაიწყო. 1962 წლის ოქტომბერი იდგა. ასამის ჩაის პლანტაციებიდან თანამშრომლების ცოლ-შვილის გახიზვნა დაიწყო. მოლოგინების პირას მყოფი ამუ ვერსად წავიდა და იქვე დარჩა. ნოემბერში, ჩინური ოკუპაციასა და ინდოეთის გარდაუვალ მარცხზე მსჯელობის ფონზე სრულიად აუტანელი, ჯაყჯაყა ავტობუსით მილონგისაკენ მგზავრობის მერე ესტა და რაჰელიც დაიბადნენ. სანთლის შუქზე დაიბადნენ, – ჩაბელებულ სამშობიაროში. უხმაურად გამოძვრნენ დედის საშოდან, თვრამეტი წუთის ინტერვალით; ორი მოციცქნული, ერთი დიდის ნაცვლად, ტყუბი სელაპი, სლიკინები, დედის წვენში ამოვლებულები; მთლად დანაოჭებული საშოდან ჭილილში. სანამ თვალებს მილულავდა და გაირინდებოდა, ამუ ბავშვები დაათვალიერა, დეფექტი ხომ არაფერი აქვთო. სათითაოდ გადათვალა ოთხი თვალი, ოთხი ყური, ორი პირი, ორი ცხვირი, ხელის ოცი თითი და ოციც იდეალური ფორმის ფეხის ფრჩხილი.

მათი სიამური, ერთიანი სული მაშინ ვერ დაინახა. უბრალოდ, ბედნიერი იყო, რომ დაიბადნენ. მათი მამა გაღმეილი ეგლო საავადმყოფოს კორიდორში, გრძელ, მაგარ ხის სკამზე და არხეინად ზვრინავდა“...

„შუალამეს კარგად იყო გადაცილებული. მდინარე ძალიან მოდიდა, ჩაშავდა და გამალებით მოაქანებდა ზღვისკენ ღამის პირქუში ცის ანარეკლს, პალმის მოგლეჯილ ტოტებს, მორღვეულ ღობესა და კიდევ იმ უამრავ სხვა ძღვენს, რომელიც ქარმა მიაართვა. /წვიმა ჯერ თქემიდან წვრილად ცრაზე

გადავიდა და ბოლოს საერთოდაც შეწყდა. ქარმა ფოთლებს წვიმის წვეთები დააყრევინა და ცოტა იმ ხეების ქვეშაც იწვიმა, მანამდე წვიმისაგან თავს რომ შეაფარებდი.

ღრუბლებიდან მკრთალი, წყალწყალა მთვარე გამოტვივტივდა და ის ახალგაზრდა კაცი გაანათა, მდინარისკენ მიმავალი ცამეტი საფეხურის ზედა საფეხურზე რომ იჯდა. სრულიად უძრავი, ძალიან სველი და ძალიან ახალგაზრდა. ძალე წამოდგა, თეთრი მუნდუ გაიძრო, გაწურა და ჩალმასავით შემოიხვია თავზე. მერე, მიმველი ცამეტ საფეხურს ჩაუყვა და მდინარეში იქამდე შევიდა, სანამ წყალი მკერდამდე არ მიუწვდებოდა. მერე ლამაზად შეცურა წყალში, ხელების მსუბუქი და მძლავრი მოსმით, და იმ ადგილისკენ გაემართა, სადაც დინება ჩქარი და მკვეთრი იყო და წყალი ძალიან ღრმავდებოდა, მდინარის გადასაცურად სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა. გაღმა ნაპირს, რომ მიუახლოვდა, წყლიდან ამოვიდა, ძალიან შავი და მოლაპლაპე – ისეთივე შავი, როგორიც უკან მორჩენილი, კუპრივით შავი წყალი.

იმ ბილიკს დაადგა, რომელიც ჭაობის გავლით მიდიოდა ისტორიის სახლთან. ფეხქვეშ წყლის ჭავლები არ დაუტოვებია. სანაპიროზე კი – ნაკვალევი. მუნდუ გამალა და გასაშრობად თავს ზემოთ აღმართა. ქარმა იალქანივით გაბერა მიტკალი. უცებ ძალიან ბედნიერად იგრძნო თავი. ჯერ გაგვიჭირდებაო, გაიფიქრა, მერე კი ყველაფერი მოგვარდებაო. ახლა უკვე აჩქარებული ნაბიჯით მიძუნძულებდა, წყვდიადის გულისაკენ, მარტოხელა ძველივით. დანაკარგების ღმერთი.

წვრილმანების ღმერთი. სრულიად დედაშობილა, ფრჩხილებზე წასმულ წითელ ლაქს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში...


ჩემს საყვარელ მწერალს, ოთარ ჭილაძეს კიდევ ერთ რჩევას დავესესხები:

„რას ვურჩევდი მთარგმნელებს: ვურჩევდი, და ეს ჩემი მთავარი რჩევა იქნებოდა, მუშაობის წინ, რაც შეიძლება სრულიად გათავისუფლდნენ სათარგმნელი ტექსტის ენის სინტაქსიდან და რაც შეიძლება სრულიად დაეუფლონ იმ ენის სინტაქსს, რომელზედაც უნდა ითარგმნოს ტექსტი“.

არ ვიცი, რამ განაპირობა თამარ ჯაფარიძის არჩევანი, ასეთი მოცულობის რომანი ეთარგმნა, ფაქტია, რომ ამ საქმეს ხელმიწევნით კარგად გაართვა თავი და ქართულ მკითხველს მისთვის უცნობი მწერლის, შესანიშნავი ნაწარმოების, კარგი ლიტერატურული ქართული შესრულებული თარგმანი შესთავაზა; ვფიქრობ, არჩევანში არ შემცდარა.

„წვრილმანების ღმერთი“ დასავლურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ გამოცემისთანავე (1997წ.) „ყოველმხრივ გამორჩეულ ლიტერატურულ შედეგად“ აღიარა და მას ინგლისურენოვანი ლიტერატურის ყველაზე პრესტიჟული პრემია „ბუკერი“ მიანიჭა. მწერლის სამშობლოში რომანს, რომელშიც იუმორით, მაგრამ კრიტიკულადაა წარმოჩენილი ინდოეთი და ტაბუდადებული საკითხები შეუნიღბავადაა აღწერილი, აგრესიულად შეხვდნენ. მიუხედავად ამისა, არუნდატი როი არ კარგავს თავის გავლენას. იგი კვლავაც აქტიურად მონაწილეობს ინდოეთის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არის აღიარებული პუბლიცისტი.

უმთა ტოგონიკა



აქ არ მეძებოთ

ჩამოვედი და მონატრება
ვიგრძენი დედის,
მაგრამ რაც შევქმენ, შევიძინე,
შენი მადლია;
მინც სიცხიან ვაჟასავით
მეძანდა ძთები,
შენს სიყვარულში
ლიბოსმდები,
ჩემი გაღია...
ტატოს ცრემლნარევ მტკვრის
ნაპირებს
როცა ჩაივლი,
თან ბუმბერაზთა სავანე რომ
დაგცქერს ზემოდან,
ათვალიერებ ჩუქურთმიან
სახლებს, აივნებს,
ეს ყოფნის ხოლმე დარდიან გულს
ძთელ დღეს ზეიმად...
ვამაყობ შენი წარსულით და
ველი უკეთესს,
მანარებს შენი სიღიაღე,
მწყინს, რაც ნაკლია,
და კარგად ვხედავ, ხვალინდელ დღეს
ვინ რას უკეთებს;
მინც ვწრიალებ, ვერ ვისვენებ,
რალაც მაკლია...
ვინ საით მიდის, გზებმა იცის
მხოლოდ იმისმა,
ეკლიან ვარდებს გაივლის, თუ
იასამანებს;
მაჩაბელივით თუ დამკარგა
ჩემმა თბილისმა,
აქ არ მეძებოთ,
მთა იქნება სულის სავანე!..

ჩემო სოფელო, ხომ განსოვარ

კონტა სახლები ქუჩის პირზე,
ბუნებაც გშვენის,
ჩემო სოფელო, ხომ განსოვარ,
შვილი ვარ შენი.

შენთან დავტოვე ბავშვობაც და
ის სიჭაბუკეც,
შენი წყალობით და სახელით
დიდი ვარ უკვე.

არ დავივიწყებ რაც გაგაჩნდა
უფლით ბოძებულს,
ვიცნობს ქვეყანა მესტვირეთა
სოფლად წოდებულს.

ჩამიკრავ გულში შენგან წასულს
მონეტიალეს,
რადგან შენც იცი, ეს საწუთრო
როგორ ტრიალებს.

შენგან წასულებს მკლავიცა და
გონებაც უჭრით,
მაგრამ ვაი, რომ შენს ქუჩებს და
შენს სახლებს უჭირთ.

ღმერთო, უფალო, გადმოგვხედე
წყალობის თვალთ,
და გამიმრავლე ეს სოფელი
კაცით და ქალით.

თვალს დავუყენებ მტრობასა და
არარაობას,
ჩემს გვარს და სახელს თუ გადასცემ
ხვალის თაობას.

კონტა სახლები ქუჩის პირზე,
ბუნებაც გშვენის,
ჩემო სოფელო, ხომ განსოვარ,
შვილი ვარ შენი.

ქართული სიმღერა

გადავიღალე უცხო ტომთა
ნმათა ნმაურში
და გული ეძებს, თავისთავად
მყუდრო სავანეს;
თუ გასაფრენად შთაგონების
ფრთები ავუშვი,
შენი წყალობით გადავლახავ
ქვეყნის სამანებს.

რა სივრცეში ხარ, რა ჰორიზონტს
გაკიდებული,
ჩემო სიმღერავაწეულო
ზეცის თავანო;
სული ხარ ჩვენი მდინარისებრ
ადიდებული
და სამლოცველო, უნაპირო,
უგალავანო.

მომეფინები, როგორც სიო
სიცხიან მკერდზე,
და არემარეს შეატოვებ
ნმათა ხვედრებს,
მაფხიზლებ, მანთებს და მაფიქრებ
სამშობლოს ბედზე
მამულთან ერთად შენს სიცოცხლეს
გამჩენს ვავედრებ.

„ჩაკრულოთი“ და „ლილეოთი“
კომპებს აგებდი,
ალამაზებდი ჩემი ქვეყნის
იმერ-ამიერს,
მარადისობის გზასავალზე
უკვდავ ჰანგებით,
გეაროს, ჩემო საქართველო,
მრავალჟამიერ!

ՁԵՆՆԻՈՒՆ – ՈՒՈՐՆԱ ԲՈՒՆԱԾՅՈՒՐՈՒ



սկզբում – գոծաշխարհի սկիզբում